

ელდარ მამისტვალიშვილი
Eldar Mamistvalishvili

საქართველოს საგარეო
პოლიტიკა და დიპლომატია

FOREIGN POLICY AND DIPLOMACY
OF GEORGIA

IV

(საქართველო და ჯვაროსნები)
(The Georgians and the Crusaders)

ნაშრომში, აქამომდე ცნობილ ან უცნობ საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის (XII-XIII სს. – დავით აღმაშენებლიდან მონღოლების მიერ დაპყრობამდე), საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ნაკლებად შესწავლილი საკითხები; ნაჩვენებია მისი აქტიური მონაწილეობა აღნიშნული პერიოდის საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტაში, როგორ ქმედით დახმარებას უწევდა ევროპელ რაინდებს ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ეს დახმარება არ იყო მხოლოდ ემოციებით განპირობებული. საქართველოს საჭეთმპყრობელნი საქრისტიანო საქმის წარმატებისათვის ბრძოლასთან ერთად ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და რელიგიური ინტერესების განხორციელებისთვისაც იღწვოდნენ და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ.

წიგნი სასარგებლო იქნება მკვლევართათვის, მომავალი ისტორიკოსების და ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

The work, which is based on some known and unknown written sources and scientific works, deals and analyses period that is less studied. It concerns questions of Georgian foreign policy and diplomacy of one of the most significant periods of Georgian history (the 12th – 13th cc starting with the reign of David IV till the Mongols invasions).

The book illustrates an active participation of Georgia in solving of the world's important problems in the above-mentioned period of time. It was aid of the Georgians to the European knights in the fight for liberation of Christ's grave. But that help was not stipulated only by means of emotions. Leaders of Georgian state, together with successful fight for Christian affairs, worked for realization of political and religious interests of the Georgian state and they managed definite success.

The work will be useful for scientists, future historians and readers who are interested in the history of Georgia.

შინაარსი

წინასიტყვაობა	6
I. საქართველოს სირია-პალესტინასთან დამაკავშირებელი ბზნები	15
II. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (IV-XI ს.)	27
III. საქართველო-დასავლეთ ევროპის ურთიერთობის სათავეებიდან (IV-XI სს.)	48
IV. ჯვაროსნული ლაშქრობების ზოგადი დახასიათება	71
V. იოანე ხუცესის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში	78
VI. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან დავით IV აღმაშენებლის დროს	98
<i>საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის დასაწყისი</i>	98
<i>საქართველოს შემონახუნებული დედოფალი იერუსალიმში</i>	111
<i>პოლიტიკური ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში დიდგორის ომის წინ</i>	122
<i>თბილისის საკითხი საერთაშორისო ურთიერთობაში დიდგორის ომის წინ</i>	126
<i>დიპლომატია ყივჩაყთა ჯარის საქართველოში გადმოყვანისათვის</i>	135
<i>ჯვაროსანი რაინდები საქართველოში</i>	142
VII. იერუსალიმის ქართული დიასპორის ურთიერთობა ჯვაროსნებთან ლემეტრე I-სა და ბიორბი III-ის დროს	178
VIII. ურთიერთობა ჯვაროსნებთან თამარ მეფის დროს (თამარ მეფის დიპლომატია არჩევანის წინაშე: ჯვაროსნები თუ ეგვიპტის სასულთნო)	183

<i>ბერძენი ისტორიკოსის, მაქსიმე სიმელის ერთი ცნობის რაობის შესახებ</i>	183
<i>სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის დაპყრობის გამოცხილი ვინ იყვნენ ქართული ნარატიული წყაროების „ფრანგები“ და „ალამუანები“ და საქართველოს მათთან ურთიერთობის საკითხისათვის</i>	187
<i>ევროპელ უფლისწულზე თამარ მეფის დაქორწინების საკითხისათვის</i>	190
<i>„გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის და საქართველოს მეფის პოლიტიკური კონტაქტის შესახებლობა</i>	199
<i>„ფიცის წიგნი“, როგორც საქართველო-ვევიპტის ურთიერთობის შესწავლის წყარო</i>	204
<i>საქართველო-ვევიპტის ურთიერთობა სალაჰ ად-დინის გარდაცვალების შემდეგ</i>	206
<i>IX. საქართველო-ჰვარონეების ურთიერთობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება</i>	217
<i>ევროპის სახელმწიფოების როლი ბიზანტიის იმპერიის კატასტროფაში</i>	219
<i>ხელსაყრელი ვითარება პონტოში საქართველოს ინტერვენციისათვის</i>	220
<i>ბაგრატიონთა და კომნენოსების დინასტიების ნათესაობის პოლიტიკური მნიშვნელობა</i>	226
<i>პონტოს მოსახლეობის ეთნიური ვითარების მნიშვნელობა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში</i>	236
<i>ინტერვენცია პონტოში</i>	240
<i>ტრაპიზონის იმპერიის დაარსება</i>	244
<i>X. ბიორბი-ლასას ურთიერთობა ჰვარონეებთან</i>	266
<i>XI. რუსუდანის საქართველოს ურთიერთობა რომთან</i>	278
	294

XII. საქართველო-რომის ურთიერთობა მონღოლთა ბატონობის დროს	306
XIII. ქართულ-ლათინური ეკლესიების ურთიერთობა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს	312
<i>შეთანხმებული ურთიერთობა (XII-XIII საუკუნის პირველ მეოთხედში)</i>	312
<i>ქართული – ლათინური ეკლესიების შეერთების ცდები</i>	333
დასკვნები	342
Conclusions	359
Summary	372
დამოწმებანი	Bibliography
	375
საძიებელი	Index
	406

წინასიტყვაობა

XI ს. დასასრული – XIII ს. პირველ ნახევარში ორი უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენის პერიოდია. ერთის ავტორი ქართული სახელმწიფო იყო, მეორესი კი, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. პირველმა ძირფესვიანად შეცვალა კავკასიის და ნაწილობრივ მახლობელი აღმოსავლეთის, მეორემ კი, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის რუკა. პირველი პერიოდი არის შუა საუკუნეების საქართველოს უძლიერესი სახელმწიფოს წარმოშობის და იმ პერიოდისათვის უმაღლეს დონემდე განვითარების პერიოდი. ეს არის ქართული სახელმწიფოს სტაბილურობის, სამხედრო ძლიერებისა და დასუსტების ხანა.

თითქმის იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ჯდება ისეთი საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენა, როგორც იყო ჯვაროსნული ლაშქრობები, რომლის შედეგად დასავლეთ ევროპელების მიერ მახლობელ აღმოსავლეთში, კერძოდ, სირია-პალესტინაში დაარსებულმა სახელმწიფოებმა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწიეს, მაგრამ საბოლოოდ მუსლიმებთან ბრძოლაში განადგურდნენ. ჯვაროსანთა სახელმწიფოების დაცემის ეს პერიოდი საქართველოში მონღოლების გაბატონებას და მისი დასუსტების ხანას დაემთხვა.

ისტორიული წყაროები და სპეციალური ლიტერატურა ნათელს ხდის, რომ საქართველომ და ჯვაროსანთა სახელმწიფოებმა ერთმანეთის მხარდაჭერით მტრებთან ბრძოლა გაიიღღეს. ისლამის ქვეყნებთან პრობლემების მოგვარების საქმეში ისინი ერთმანეთს მოკავშირეებად მიიჩნევენ.

გამოკვეთილად ჩანს, რომ ქართული სახელმწიფო XI საუკუნის დასასრულიდან ყოველთვის მზადყოფნას აცხადებდა

დასავლეთის სახელმწიფოებთან ერთად, საერთო, ქრისტიანობის პრობლემების გადაწყვეტის აქტიური მონაწილე ყოფილიყო.

საქართველო-ჯვაროსნების პირველი კონტაქტები ჩანს ჯვაროსნული ომების დასაწყისიდან. ქართველები და ჯვაროსანი რაინდები, სრულიად განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, ობიექტურად, ერთმანეთის მოკავშირენი იყვნენ. ორივე თურქ-სელჩუკებს ებრძოდა. ჯვაროსნებს იერუსალიმის დაპყრობისას და პალესტინა-სირიაში წარმოებულ სხვა სამხედრო ოპერაციებში ქართველები რომ ესმარებოდნენ, უეჭველია, მაგრამ გასარკვევია, დახმარება როგორი ფორმით და ინტენსივობით ხდებოდა.

დასავლეთ ევროპაში, სწორედ ჯვაროსანთა დროიდან, საქართველო განიხილებოდა, როგორც ბუნებრივი მოკავშირე მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ზ. ავალიშვილი წერდა, „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველო თანამედროვე ევროპელთა იმ მძლავრ გაქანებისა, რომელიც იყო ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა“¹. ევროპელების შეფასებით, საქართველო იყო ის ბასტიონი, რომლის გამძლეობა განაპირობებდა სირია-პალესტინაში ჯვაროსანთა მდგომარეობას. მათ ისიც იცოდნენ, რომ დავით აღმაშენებელი თავისი ქვეყნის დაცვასთან ერთად იცავდა იერუსალიმის ქრისტიანულ სიწმინდეებს, რომელთა შორის ქართველთა კუთვნილი მონასტრებიც იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუჯერებელია, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობების სულის ჩამდგმელი, რომის პაპი ლაშქრობების დასაწყისში თუ არა, პირ-

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი*, თბილისი, 1989, 31.

ველი ლაშქრობის დასრულების შემდეგ მაინც არ დაუკავშირდა საქართველოს მეფეს და ქრისტიანული სამყაროსათვის უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებაში თავისი წვლილის შეტანა არ სთხოვა, მით უმეტეს მას შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდა მუსლიმანთა წინააღმდეგ ქართველთა სასტიკი ბრძოლების შესახებ.

ამ ურთიერთობის გაგრძელების დიდი სურვილი, როგორც ჩანს, ჰქონდა რუსუდან მეფესაც, მაგრამ იმდენად შეიცვალა საქრთაშორისო ვითარება მონღოლების მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში შეჭრის შედეგად, რომ საქართველოსა და ჯვაროსნებს აღარ შეეძლოთ ერთმანეთის სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორები ყოფილიყვნენ.

საქართველოსა და დასავლეთ ევროპის (რომელიც ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნების სახით იყო წარმოდგენილი) ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა მაშინვე, როდესაც XIII საუკუნის 30-იან წლებში მონღოლების წინააღმდეგ მებრძოლმა საქართველომ დასავლეთიდან სამხედრო დახმარება ვერ მიიღო.

ამის შემდეგ საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის ურთიერთობა ძირითადად იმით შემოიფარგლებოდა, რომ ქართველი პოლიტიკოსები პაპსა და დასავლეთ ევროპას დახმარებას სთხოვდნენ ძლიერი, აგრესიული მუსლიმანი მეზობლებისაგან თავის დასაცავად, დახმარების სანაცვლოდ პაპი ითხოვდა ქართველებს მიეღოთ კათოლიკობა, ეღიარებინათ პაპის ავტორიტეტი და ქართული ეკლესია შეერთებოდა კათოლიკურ ეკლესიას.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობიდან მოყოლებული შემდგომ საუკუნეებში, ევროპელი ისტორიკოსები, დიპლომატები და მოგზაურები სიმპათიით განმსჭვალულნი წერდნენ საქართველოზე. როგორც მოღწეული ცნობებიდან ჩანს, ევროპელები

თვალყურს ადევნებდნენ საქართველოში და საქართველოს გამო მიმდინარე მნიშვნელოვან ამბებს, განსაკუთრებით, მის ბრძოლას მუსლიმთა წინააღმდეგ და მას იყენებდნენ ევროპელთათვის როგორც სააგიტაციო მასალას: პატარა საქართველო, მისი სამეფო-სამთავროები მამაცურად იცავენ თავს მრავალრიცხოვანი მტრისაგან, უფრო მეტიც, შეტევაზე გადადიოდნენ და წარმატებებსაც აღწევდნენ, მაშინ, როდესაც ევროპელებმა ვერ მოახერხეს მუსლიმთა აგრესიის წინააღმდეგ და წმინდა მიწის გასანთავისუფლებლად გაერთიანება. გერმანელი ისტორიკოსი ანა დოროთე ფონ დენ ბრინკენი წერს: „ერთმანეთს რომ შევედართ ლათინთა მიერ ბერძნებისა და ქართველების შეფასება, განსხვავება გასაოცარია. დასავლეთისათვის ორიენტი ქალაქდონიტი ერეტიკოსები არიან, მაგრამ ყოველი ლათინი კარგად აფასებს ქართველებს. უკვე ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის დროიდან გამოჩნდნენ ისინი ღვთისმოსაობის იდეალად... სრულიად აშკარად ქართველები შეესაბამებიან ქრისტიანულ რაინდულ იდეალს. ისინი არიან მებრძოლნი, მამაცნი და შეურიგებელნი მაჰმადიანთა მიმართ. მათ ჰქონდათ იგივე საბრძოლო მორალი, როგორც დასავლეთის და წმ. გიორგი, როგორც პატრონი დასავლეთისაც გამოადგებოდა დამხმარედ. ახლობელი საზოგადოებრივი სტრუქტურა ლათინებს კარგად განაწყობდა. ისინი ოცნებობდნენ იდეალურ მოკავშირე ძმაზე, რომლის ბატონობა გოგსა და მავოგზე აღწევდა...“¹

წინამდებარე ნაშრომი საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა. პირდაპირი წერილობითი წყაროების უქონლობის გამო მრავალი მო-

¹ ციტირებულია: ნატროშვილი თ., *წელი ერთი და ათასი*, თბილისი, 1988, 22.

საზრება დამყარებულია არაპირდაპირ ცნობებსა და ვარაუდებზე, რამაც შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს.

მონოგრაფიის მიზანი, როგორც მისი სათაურიდან ჩანს, არის საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის შესწავლა XI-XIII ს. პირველ ნახევარში. იმის გამო, რომ თემასთან დაკავშირებულ გამოკვლევათა უდიდესი ნაწილის პათოსი ისეთია, თითქოს ევროპელებმა საქართველო და ქართველები მხოლოდ ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად გაიცნეს და მაინც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რელიგიურ რწმენაზე, კულტურაზე, სამხედრო პოტენციალსა და სხვ. ამიტომ საჭიროდ მივიჩნეე ძირითადი თემისათვის დამერთო მცირე ნარკვევი საქართველოს იერუსალიმთან და რომთან ურთიერთობის შესახებ გაქრისტიანებიდან XI საუკუნის ჩათვლით. ესენი ის საპატრიარქო ქალაქებია, რომლებშიც საქართველოსთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ და მათ ეკლესია-მონასტრებსა და წიგნსაცავებში შესაბამისი საბუთებიც ინახებოდა. ამას გარდა, საპატრიარქო ქალაქებსა (რომი არ მაქვს მხედველობაში) და ეკლესია-მონასტრებში მრავალი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა, რომლებიც დაინტერესებულ ევროპელ ქრისტიანებს, თავიანთი ქვეყნის ხელისუფალთა ნებით, მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდნენ საქართველოს შესახებ და სხვა მნიშვნელოვან ნაბიჯებსაც დგამდნენ ქართველი და ევროპელი პოლიტიკოსების დასაახლოვებლად და მათ შორის ინფორმაციის გასაცვლელად. დასავლეთ ევროპელებს საქართველოს შესახებ არსებული წერილობითი და ზეპირი ინფორმაციის გამოყენება თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის მას შემდეგ უფრო გაუადვილდებოდათ, როდესაც სირია-პალესტინის მარ-

თღმადიდებლური ეკლესიები ლათინურ ეკლესიას დაექვემდებარა.

საქართველო-ლათინებს შორის ორნახევრი საუკუნის ურთიერთობის შესწავლის შემდეგ მიღებული შედეგები შეიძლება ჩამოვაცალიბოთ ხუთ ძირითად ნაწილად:

I – საქართველო-რომის ჯვაროსნული ლაშქრობების წინარე ურთიერთობები (IV-XI სს.)

II – საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა დავით IV-ის დროს.

III – საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა თამარ მეფის დროს.

IV – საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა გიორგი-ლაშას დროს.

V – საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა რუსუდანის დროს.

საქართველო-ლათინებს შორის საუკუნუნახევრის ურთიერთობის ანალიზის საფუძველზე წინამდებარე მონოგრაფიის მოკლე შინაარსი შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდეგნაირად:

1. საქართველოს ლათინებთან კონტაქტები XII-XIII საუკუნეებში შემოიფარგლებოდა აღმოსავლეთის ჯვაროსანთა სახელმწიფოებთან ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობით;

2. საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფლება ლათინებთან კავშირში იყო ჯვაროსნული ომების დაწყებიდან დასასრულამდე, განსაკუთრებით დავით IV აღმაშენებლის, თამარ მეფისა და გიორგი ლაშას დროს;

3. საქართველო ჯვაროსნების ურთიერთობაში XIII საუკუნის დასაწყისიდან შეინაშნება ორი საინტერესო ტენდენცია: მონღოლების ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში გამოჩენამ-

დე საისტორიო წყაროებში (ისინი მთლიანდ ევროპელების კალამს ეკუთვნის, მაგრამ მაინც) ჩანს საქართველოს სამხედრო პოტენციალის გამოყენებისადმი ინტერესი.

4. იმავე პერიოდში დასავლეთ ევროპის საეკლესიო და პოლიტიკური მეთაურები, პაპები საქართველოს მეფეებს დახმარებას სთხოვენ მუსლიმანების წინააღმდეგ ბრძოლაში და დადებით პასუხს იღებენ.

5. ვითარება იცვლება XIII ს. 30-იანი წლებიდან: მონღოლებისგან შეჭირვებული ქართველები თვითონ ითხოვენ სამხედრო დახმარებას, მაგრამ უარს იღებენ.

6. იმდენად, რამდენადაც მოცემულ პერიოდში ქართული ეკლესია და სახელმწიფო ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსის გამტარებელი იყვნენ, ქართული პოლიტიკური ელიტის რომის პაპისადმი უკმაყოფილებამ თავი იჩინა ეკლესიურ განხეთქილებაში. ის დოგმატური უთანხმოებები, რომლებზეც წინათ ორივე მხარე პოლიტიკური მოსაზრებით თვალს ხუჭავდა, ახლა კამათისა და დაპირისპირების საგანი გახდა.

7. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან ბიზანტია-ლათინების დაპირისპირებისას და მათთან ღია თუ დაფარული შეთანხმებით შექმნა ტრაპიზონის იმპერია;

8. საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა დიპლომატიურ დონეზე ეჭვს არ იწვევს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მოლაპარაკების საგანი იყო ქართველების ჯვაროსნებისადმი სამხედრო ძალით დახმარება და ჯვაროსნების მიერ ქართველებისათვის ხელის შეწყობა თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების საქმეში.

9. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურებთან სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობა საუკუნისხმოს

ხდის ურთიერთობას ლათინთა იმპერიასთანაც მისი არსებობის პირველ ათწლეულში მაინც (დავით კომნენოსის მიერ ლათინთა იმპერიისადმი ვასალობის აღირება უნდა მომხდარიყო თამარ მეფის დახმარებით);

10. განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია იერუსალიმის ლათინთა საპატრიარქოს მიერ მამულების ფლობა საქართველოში, რაც თავისთავად გულისხმობს საქართველო-იერუსალიმს შორის არა მხოლოდ რეგულარულ მიმოსვლას. იგი ნიშანია, აგრეთვე, რეგულარული პოლიტიკური კავშირისა. იერუსალიმის ჯვაროსანი სამღვდელოება, ხშირად, პოლიტიკის განმსაზღვრელიც იყო;

11. მრავალმხრივ საინტერესოა ლათინთა მოსახსენებლები ქართულად თარგმნილ სვინაქსარში. ის მაღალი წარმოშობის ფრანკი დიდებულები, რომლებისთვისაც მოსახსენებლები დაიწერა, ქართველ ბერმონაზვნებთან ურთიერთობდნენ, ალბათ, არა მხოლოდ სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ორივე მხარე პოლიტიკური პროცესების მონაწილეც იყო.

12. საქართველო-იერუსალიმის სამეფოს შორის ურთიერთობაში ორ ინციდენტად (დღეისათვის ცნობილი წერილობითმა წყაროებმა სხვა შემთხვევა არ იცის) უნდა ჩაითვალოს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულის ნაწილის კონფისკაცია იერუსალიმის მეფე ბაღდუინ IV-ის მიერ და ამის გამო (შეიძლება, არა მხოლოდ ამის გამო) სალაჰ ად-დინისადმი ქართველების მხარდაჭერა იერუსალიმის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლის დროს. სავარაუდოა, ანტიჯვაროსნული პოლიტიკის გაგრძელება იყო ე. წ. თამარ მეფის „ფიცის წიგნი“, რომელმაც, მართალია, სალაჰ ად-დინის სიკვდილისთანავე ძალა დაკარგა, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში ჯვაროსნების წინააღმდეგ მოქმედი სულთნისადმი მხარდაჭერას ნიშნავდა. ეს

ორიოდე ფაქტი საქართველო-ლათინების ურთიერთობის მახასიათებელი არ იყო. ისინი შეიძლება გამონაკლისად მივიჩნიოთ.

13. მუსხლობრივად ჩამონათვლის მონოგრაფიაში გაშლით და შესაბამისი მტკიცებულებებით შემაგრებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქართველებსა და ლათინებს შორის შემთხვევითი კონტაქტები კი არ არსებობდა, რასაც გვიმტკიცებენ როგორც ქართველი ისე უცხოელი მკვლევრები, არამედ ეს იყო ურთიერთობა დამყარებული ორივე მხარის პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესებზე.

ესარგებლობ შემთხვევით და ამ წიგნის გამოქვეყნებისათვის მადლობას მოვასხსენებ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ გიორგი სოსიაშვილსა და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, დასკვნებისა და რეზიუმის ინგლისურ ენაზე თარგმანისათვის პროფესორ მედეა წოწელიას, ნაშრომის კორექტირებისათვის პროფესორ მარიკა შერაზადიშვილს.

I. საქართველოს სირია-პალესტინასთან ღამაპავშირებული გზები

ქართველების და ევროპელების ორმხრივი კონტაქტების განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს იერუსალიმთან ისტორიულ კავშირს, რომელსაც ქართული საეკლესიო ლიტერატურა ქრისტიანობის წარმოშობის დროიდან იწყებს. სინამდვილეში ეს ურთიერთობა უფრო ხანდაზმული იყო და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის კონტაქტები სირია-პალესტინასთან ქრისტესწობამდე ათასეულ წლებს მოითვლიდა. ებრაელების საქართველოში მოსვლის პირველ ქართულ წერილობითი ცნობას თუ გავიზიარებთ, ქართველების კავშირი იერუსალიმთან ძვ. წ. VI საუკუნიდან, ღტოლვილი ებრაელების პირველი ნაკადის საქართველოში მოსვლის შემდეგ უკვე რეგულარული ხასიათის უნდა ყოფილიყო.

როგორც „ნინოს ცხოვრება“ გვამცნობს, მცხეთელი ებრაელები *„პასექსა მას წლიითი-წლად აღვიდიან იერუსალიმს სიტყვის ყოფად და დამტკიცებად სჯულსა მოსესსა“*¹. საქართველოს ებრაული თემების წარმომადგენლები მცხეთელი ელიოზის მეთაურობით, იერუსალიმში წავიდნენ ქრისტეს გასამართლებაზე დასასწრებად და უკან დაბრუნდნენ მისი კვართით. ელიოზი და მისი თანამგზავრები, სირიაზე, კერძოდ, ანტიოქიაზე გავლით წავიდნენ იერუსალიმში და პასექამდე მივიდნენ.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963, 225.

პერაკლე კეისარმა იერუსალიმი დაიბრუნა და ქართველები-სადმი კეთილგანწყობა გამოამჟღავნა, რაც წმ. ჯვრის მონასტრის შეკეთებაში გამოიხატა¹.

637 წლიდან იერუსალიმს არაბები დაეუფლნენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში, XVI ს. დასაწყისამდე, ჯვაროსანთა პერიოდს თუ არ ჩავთვლით, მუსლიმანი არაბები წმინდა ქალაქს ფლობდნენ. მაგრამ არც მაშინ სუფევდა მშვიდობა პალესტინაში. დინასტიური ბრძოლა, მუსლიმანურ ქვეყნებს შორის დავა, თითქმის განუწყვეტლივ ხდებოდა. 969 წელს აბასიდებმა იერუსალიმი ეგვიპტის ფატიმიდებს დაუთმეს, 1077 წელს მას სელჯუკები დაეუფლნენ, 1099 წელს ჯვაროსნებმა დაიპყრეს, 1187 წელს ისევ ეგვიპტის სულთნები დაეუფლნენ, 1516 წელს ოსმალების იმპერიაში მოექცა და ასე გაგრძელდა XX საუკუნის შუა ხანებამდე.

V საუკუნეში ქართველების პალესტინაში მოგზაურობა იმდენად ინტენსიური გახდა, რომ პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა იერუსალიმში „*აღაშენეს სახლი სასტუმროდ ქალაქსა შინა და განუსვენებდეს მომავალთა ძმათა ქართველთა და*

ეკლესია-მონასტრებს ნგრევა-განადგურება არ განუცდია და არც მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა ყოფილა. მაშასადამე საქმე გვაქვს ძველი მწერლების მიერ ფაქტების გაზვიადებასთან. იხ. *The Persian Conquest of Jerusalem (614 CE) – An Archeological Assessment*, By Gideon Avni Director, Excavations and Surveys Department Israel Antiquities Authority, 2003, 1-11. ინტერნეტრესურსი: <http://www.bibleinterp.com/articles/pers357904.shtml>

¹ მამისტოვალიშვილი ე., *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი*. მეორე შეესებულები და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, 86-87.

ბერძენთა, რამეთუ განჰმზადეს ფერკთა საბანელი და ტრაპეზი და სარეცლები⁴.

საქართველო-იერუსალიმის მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს, ალექსანდრიულად მაინც, ჯუანშერის გადმოცემა ვახტანგ გორგასალის, მისი დედისა და დის იერუსალიმის მოსალოცად მოგზაურობის შესახებ. რაც ამ ქალაქთან დიდ სულიერ კავშირზე მეტყველებს: „ხოლო ვახტანგს ევედრნეს დედა და დაა მისი ხუარანძე, რათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალემს. წარიტანნა, და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა ადარბადაგანისასა²; და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაა მისი იერუსალემს, და ხუასრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი აღვილნი წმიდანი, და შევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას³.

პალესტინაში მოგზაურობა საკმაოდ რთული იყო. მისი განხორციელება შეიძლებოდა როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზებით. მოგზაური ამა თუ იმ გზას უპირატესობას ანიჭებდა იმ პოლიტიკური ვითარების მიხედვით, რომელიც მოცემულ პერიოდში არსებობდა როგორც საქართველოში ისე მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც იყო მათ შორის ურთიერთობა – მშვიდობიანი თუ საომარი და სხვ.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 260.

² მონიშვნა ყველგან ჩემია.

³ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 186.

მგზავრობა რომ სახიფათო იყო, პირველ ასეთ ცნობას ვხვდებით IX საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის, ილარიონ ქართველის „ცხოვრებაში“. საინტერესოა, რომ ილარიონი, როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია აღნიშნული, იერუსალიმში გამგზავრებამდე ხანძთაში მოღვაწეობდა და ის აქედანვე წაჰყვა წმ. ქალაქს მიმავალ თეოდორეს და ქრისტეფორეს¹. ის კინაღამ ავაზაკთა მსხვერპლი შეიქმნა: „და წარიყვანა ძმაჲ ერთი და წარემართა იგი (ილარიონი – ე.მ.) წმიდად ქალაქად იერუსალიმად, და ვითარ მიიწიეს ივინი ქუყანასა მას შამისასა² დაემთკვნეს ავაზაკნი ბოროტნი ვზასა ზედა და იკადეს მახვლები, რათამცა სცეს წმიდასა ილარიონს. მესეულად განუკმეს კელნი მათნი და ვერ შეუძლეს ქუე ჩამღებად“³. შემდეგ ჩამოთვლილია ის წმინდა ადგილები, რომლებიც ილარიონმა და მისმა თანამგზავრებმა მოიხილეს წმინდა მიწაზე: „ილოცეს მუნ (თაბორის მთა – ე.მ.) და მიერ წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალიმად და მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი და მერმე განვიდა ლაგრასა წმიდისა საბაძსს და იორდანის უდაბნოთა, დაყო შუდი წელი ღუაწლითა და შრომითა, რომელ ვერვინ შემძლებულ არს მოთხრობად“⁴. ხანძთაში დაბრუნებული ილარიონი გრიგოლ ხანძთელმა ახალაშენებული უბის მონასტრის მამასახლისად დაადგინა⁵.

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. შედგენილი სოლ. ყუბანიშვილის მიერ, თბილისი, 1946, 115.

² სირია.

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 171.

⁴ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 171

⁵ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 115.

გამორჩეულად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პალესტინასთან იმავე საუკუნეში გრიგოლ ხანძთელს. იქ იმყოფებოდნენ მისი მოწაფეები და თანამზრახველები მაკარი და არსენი, „*შუენიერნი, კეთილი მონაზონნი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულმოქმედნი, მეძიებელნი სასუფეველისანი და მეოტნი დიდებისაგან ამის სოფლისაჲსა, მღვდელნი ღირსნი, შვილნი დიდებულთა აზნაურთანი*“¹. მაკარმა და არსენმა წერილი გამოუგზავნეს გრიგოლს ვინმე მოსეს ხელით, რომელმაც „*წმიდანი ესე ადგილნი მოვლნა და მოილოცნა*“. იერუსალიმის ერთერთ დელატა მონასტერში იყო გვედია ეფროსინე².

ქართული ეკლესიის იერუსალიმთან მჭიდრო კავშირის მაჩვენებელია გრიგოლ ხანძთელის მიერ იქ კაცის გაგზავნა ტიბიკონის მოსატანად. გრიგოლმა „*მას ჟამსა იერუსლჳმს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თვისი და მას დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემაჲ*“³. რამდენიმე ხნის შემდეგ „*იერუსალჳმით მოიწია კაცი, რომელმან მოართუა საბაწმიდისაჲ განგებაჲ და წერილი, ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თვისისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფას დაუღვენელთა კეთილითაჲ*“⁴.

ხანძთიდან იყო „*ქრისტესს მოწამეს*“ იოვანე, რომელიც **იერუსალიმს მიმავალი ბაღდადში მოკლეს** არაბებმა⁵.

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 143.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 143.

³ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 111.

⁴ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 112.

⁵ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 153.

იერუსალიმში „*მოილოცნა ყოველნივე წმიდანი და თაყუანის-საცემელნი ადგილნი*“ გიორგი ათონელმა XI საუკუნეში, რომელიც ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა¹.

როგორ პირობებში უხდებოდათ ხმელეთით მგზავრობა იერუსალიმს მიმავალ ქართველებს XI საუკუნეში, ამის შესახებ ზოგიერთ ცნობას ვნახულობთ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში: ბაგრატ IV-ის დედას დედოფალ მარიამს განუზრახავს „*წარსვლად წმიდად ქალაქად იერუსალემად ღოცვად და თაყვანისცემად წმიდათა მათ და განმაცხოველებელთა ადგილთა*“. ის *ანტიოქიაზე გავლით* აპირებდა *წმ. ქალაქში* მისვლას, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქმა და მთავარმა, გიორგი მთაწმინდელის თანხმობით, გადაწყვიტეს დედოფალი არ გაემგავთ, რადგან მუსლიმანთა ქვეყანაზე გავლა სახიფათო იყო. მათ დედოფალი დაითანხმეს. მარიამმა გიორგის დაავადა, რომ „*საფასე იგი, რომელი სავზლად აღეკაზმა, წარიღოს იგი იერუსალემდ და გლახაკთა მას და დავრდომილთა განუყოს წმიდისა ქალაქისათა და მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარემოდა მისა*“². გიორგიმ „*წმიდად ქალაქად მშვიდობით და უვნებლად მიიწია*“ და დედოფლის დავალება შეასრულა. ის კვლავ შავ მთაზე დაბრუნდა.

მეფე ბაგრატმა და დედოფალმა მარიამმა გიორგი მთაწმინდელი საქართველოში მიიწვიეს. ისინი გიორგის სწერდნენ: „*წმიდაო მამო, მანდა, შავსა მთასა, მცირედნი არიან მონასტერნი ჩვენნი, რამეთუ ქვეყანად არს უცხოვ, ხოლო ჩემი სამეფო ვრცელ არს და დიდი ფრიად მრავალ და დიდებულ*“. გიორგის თანხმობით გახარებულმა მეფემ „*წარმოავლინა საკ*

¹ *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, I, 94.

² *ქართული მწერლობა*, II, თბილისი, 1987, 97.

უთარი თვისი ოვანე და სახედარნი და განძი, რაოდენი კმაეყო-
ვოდა მას და მოწაფეთა მისთა⁴.

გიორგიმ განიზრახა უმოკლესი სახმელეთო გზით – **ანტი-
ოქიდან** (ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო) **სელჩუ-
კთა სასულთნოზე გავლით – საქართველოში დაბრუნებულიყო.**
მაგრამ ანტიოქიდან მდ. ეფფრატთან მისულმა შეიტყო, რომ
„თურქთა დაუპყრის ყოველი შუამდინარე და ისაური და სა-
ბერძნეთი... შევიქცით მიერ და **სევასტიით კერძო მივიდოდეთ.**
გვეგონა, ვითარმედ მათ კერძოთა მშვიდობად არს. ხოლო
უწინარეს ჩვენსა მისრულ იყვნეს თურქნი და აელო ქალაქი
იგი და დაეწვა. და ჩვენ არად უწყოდეთ და მივიდოდეთ და
კნინდა მცირედ ხელთა მათთა შტავარდებოდეთ... ესრეთ
შევიქეცით და მათთა მივჰმართეთ და დიდითა შრომითა და
დღე და ღამე სღვითა **კესარიად² მოვედით. და მუნით წარმო-**
ვედით და ზღვასა მოვჰმართეთ, რამეთუ ხმელით არღარა
ეგებოდა. და ნებითა ღმრთისაჲთა **ევხაიტს³ მოვიწიენით...** და
ესრეთ გამოვედით მიერ და მოვიწიენით სამისონს, ქალაქსა
ზღვის კიდისასა. და მუნ განვეიდენით სახედარნი ჩვენნი და
ესრეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა და
კეთილითა და ჰამოითა ნიავითა მივიწიენით ფოთს და მიკერ
სახედრითა ქუთათისს ჟამსა სოვლისასა,⁴ არანაკლებ საინტე-

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 107.

² ქალაქი ანატოლიაში.

³ შავი ზღვის სანაპიროზე სინოპის დასავლეთით. იხ. ტიმოთე
გაბაშვილი, *მიმოსღვა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკე-
ლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბი-
ლისი, 1956, 98.

⁴ შემოდგომა.

რესო ცნობები გვაქვს საქართველო-წმინდა მიწის ურთიერთ დამაკავშირებელი გზების შესახებ შემდეგი საუკუნებისათვის, მაგრამ, რადგან ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების წინ საქართველოს წმინდა მიწასთან და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საურთიერთობო გზები გვაინტერესებს, ამჟერად, აღნიშნულით დავკმაყოფილდეთ. მხოლოდ ერთს დავამატებ: XV საუკუნის დასასრულის ერთი არაბული დოკუმენტიდან ირკვევა, ქართველთა ჯვრის მონასტერთან არსებობდა თანამდებობა საქართველოდან იერუსალიმში მისული პილიგრიმი ბერების მომსახურებისათვის. კერძოდ, მას ევალებოდა უკან, სამშობლოში გაბრუნებული ბერები, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, ჩრდილო სირიის ქალაქ ჰალაბამდე მიეცილებინა. ძნელია თქმა, როდიდან არსებობდა ასეთი თანამდებობა. საფიქრებელია, რომ მას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. გამცილებელს, იმისდა მიხედვით, როგორი ინტენსივობით მოძრაობდნენ პილიგრიმები საქართველოდან იერუსალიმისკენ, გარკვეული შემოსავალი უნდა ჰქონებოდა. ისიც ჩანს, რომ გამცილებელს პილიგრიმები კი არ უხდიდნენ გასამრჯელოს, არამედ ჯვრის მონასტერი იყო პასუხისმგებელი გამცილებლისათვის მიეცა მომსახურების საფასური. ისიც ჩანს, რომ გამცილებლის თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო, მამიდან შვილზე გადადიოდა¹. ის, რომ არაბული გვარის წარმომადგენელი ქართველ მომლოცველებს ხვდებოდა ჰალაბში და იერუსალიმამდე მიჰყავდა და შემდეგ უკანვე ჰალაბამდე

¹ ჯაფარიძე გ., ბუაჩიძე გ., *მამლუქი სულთნების ორი ბრძანებულება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს კოლექციიდან*. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 8, თბილისი, 2001, 229-231.

აცილებდა, სხვა არაბულენოვანი დოკუმენტთაგან დასტურდება¹.

თბილისი-იერუსალიმის დამაკავშირებელი გზა შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე: თბილისი ღორე ანისი ყარსი კარნუ ქალაქი ერზინკა მელიტენა ედესა ჰალაბი ხამა (ხამატი)-ხომსი დამასკო ტივერიადა იერუსალიმი. რა თქმა უნდა,

¹ Butrus Abu-Manneh, *The Georgians in Jerusalem in the Mamluk Period*. XXI Deutscher Orientalistentag von 24 bis 29 Marz in Berlin, Wiesbaden, 1983, 165.

ცნობილი არ არის სად გადიოდა ჰალაბის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზა. მხოლოდ შეიძლება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა.


ჰალაბი, სირიის ქალაქი, მდებარეობს მდინარეების – ეფფრატისა და ორონტის შორის. იგი უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. აქ გადიოდა ბაღდადთან, სამხრეთ სპარსეთთან და ინდოეთთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა. როგორც ჩანს, საქართველოში მიმავალი მგზავრი იერუსალიმიდან დამასკოზე გავლით მივიდოდა ჰალაბამდე. მაგისტრალური გზის გარკვეული მონაკვეთის აღმოსავლეთის მიმართულებით გავლის შემდეგ, სავარაუდოა, მგზავრი, გადაუხვევდა ჩრდილოეთით და მივიდოდა არზრუმამდე (კარნუ-ქალაქი), იქიდან კი, ოსმალეთის მიერ ტაო-კლარჯეთის დაპყრობამდე, ქართულ პროვინციებზე – ბასიანზე, ტაოზე, კლარჯეთზე... გავლით საქართველოს ყველა რეგიონში მისვლა შეიძლებოდა. როგორც ვარაუდობენ, ამ გზით უნდა ემოგზაურა ანტიოქიის პატრიარქს მაკარიოსს დამასკოდან თბილისამდე 1665 წელს.

, 1884, 274-275.

შესაძლებელი იყო სხვა მარშრუტიც. მარშრუტის შეცვლა შეიძლებოდა გამოეწვია რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებას.

ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარია, რატომ სჭირდებოდა მოგზაურს გამყოლი იერუსალიმიდან მხოლოდ ჰალაბამდე და პირუკუ – ჰალაბიდან იერუსალიმამდე. მგზავრობა ჰალაბიდან საქართველომდე ხომ უფრო რთული და საშიშიც იყო? დასაშვებია, საქართველოდან ჰალაბამდე და უკან გაცილება ქართველი გამყოლების საქმე იყო და ისინიც გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ, ამიტომ არ აისახა არაბულ წყაროში ქართველი გამყოლის უფლება-მოვალეობები.

პილიგრიმების უხიფათო წასვლა იერუსალიმში, როგორც ირკვევა, ორგანიზებული იყო ქართლის სამეფოში და, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ, ალბათ, სხვა სამეფოებშიც. წმ. ქალაქში მოგზაურობის მსურველნი, მომლოცველნი და ვაჭარნი იმდენად მრავლად იყვნენ, რომ პროფესიონალი ადამიანებიც კი ყოფილან თბილისში, რომლებიც მგზავრებს აქეთ-იქით დაყვებოდნენ და მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. ცნობების უქონლობის გამო შეუძლებელია დადგენა იმისა, როდის გაჩნდა ე. წ. „მოქალაქე ბელადების“ ინსტიტუტი. საფიქრებელია, იგი დიდი ხნის წინათ, განსაკუთრებით კი წმ. მიწაზე ქართველთა სიძლიერის, ქართველი პილიგრიმების სიმრავლის და ქვეყანაში ძლიერი ხელისუფლების არსებობის პერიოდში, XI-XII საუკუნეებში წარმოიშვა და მეტ-ნაკლები ინტენსიურობით გვიან საუკუნეებშიც არსებობდა, მაშინაც კი, როცა ქართველებს იერუსალიმში არც ერთი მონასტერი აღარ ეკუთვნოდათ.



შენიშვნა: რუკა შედგენილია პრეფექსორ ი. ალიბერაშვილის მიერ.

II. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (IV-XI სს.)

საქართველოს პალესტინასთან კავშირს ძველი ქართული მწერლობა ქრისტიანობის წარმოშობის დროიდან იწყებს. სინამდვილეში იგი უფრო ხანდაზმული იყო. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის კონტაქტები პალესტინასთან ქრისტესშობამდე მრავალ საუკუნეს მოითვლიდა¹. პირველი ქართულ წერილობით ცნობას თუ გავიზიარებთ, მაშინ კავშირი იერუსალიმთან ძვ. წ. VI საუკუნიდან, დევნილი ებრაელების საქართველოში მოსვლის დროიდან უკვე რეგულარული უნდა ყოფილიყო².

¹ ნიორაძე გ., *დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლი*. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველოს ებრაელთა ისტორია, საქართველო-პალესტინისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი“. თეზისები, თბილისი, 1996, 28; ნიორაძე გ., *საქართველოსა და პალესტინის ძველი ქვის ხანის ძეგლებს შორის კავშირ-ურთიერთობის შესახებ*. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თბილისი – იერუსალიმი 2“, თბილისი, 1998, 3; ლ. ალფენიძე, *თორის (მოსეს ხუთწიგნეული, „ბერეშით“) ქართული პირველი საწყისის ქართული წყაროს აღმოჩენა და მისი ინტერპრეტაცია ქრისტიანობისა და იუდაიზმის კონტექსტში (ეგვიპტური „მკვდართა წიგნი“, სოფოკლეს „ოიდიპოსის“ და თომას მანის რომან-ტეტრალოგიის „ოსები და მისი ძმების“)* პერმენეტიკული საიდუმლოს გაშიფვრა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „თბილისი-იერუსალიმი 2“, თბილისი, 1998, 6.

² ტიმოთე ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი, *მიმოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან მთავარ-ეპისკოპოსისა*, დაბეჭდილი თბილისს სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისსა, 1852; უანენი რ., *ქართველები იერუ-*

სალიმში. ავტორის წინასიტყვაობით (ფრანგულიდან) პ. შალვა ვარდიძისა. სტამბოლი, საბუკღაფი კათოლიკე ქართველთა სავა-
ნისა, 1921; უანენი რ., *ქართველები იერუსალიმში*, ჟურნ. რელიგია,
№10, 1992; საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობაზე იხ. ტიმოთე
გაბაშვილი, *მიმოსღვა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკ-
ველევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა,
თბილისი, 1956; მეტრეველი ე., *მასალები იერუსალიმის ქართული
კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.)*, თბილისი, 1962; კონ-
სტოშვილი პ., *მოგ ზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის
მთაზედ*, თბილისი, 1901; ჩაჩანიძე ვ., *პეტრე იბერიელი და ქარ-
თული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში*, თბი-
ლისი, 1974; ნუცუბიძე შ., *პეტრე იბერი და ანტიკური ფილო-
სოფიური მემკვიდრეობა, შრომები*, ტ. 5, თბილისი, 1975; ავალიშვი-
ლი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი*, 1989; დავიდი ი., *ნაწე-
რები*, I, თელ-ავივი – იერუსალიმი, 1976; მენაბდე ლ., *ქართული
მწერლობის კერები*, II, თბილისი, 1980, 9-148; ფერაძე გ., *უცხოელ
პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქარ-
თული მონასტრების შესახებ*. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი
წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ, თბი-
ლისი, 1995; მამისთვალიშვილი ე., *ქართველები და ბიბლიური
სამყარო*, თბილისი, 1998; მამისთვალიშვილი ე., *იერუსალიმის
წმინდა ჯვრის მონასტერი*, გორი, 2002; მამისთვალიშვილი ე.,
საქართველოს და პალესტინის დამაკავშირებელი გზები. გორის
სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული
№3, გორი, 2007; მამისთვალიშვილი ე., *ქრისტეს კვართის ისტო-
რია*, გორი, 2003; მამისთვალიშვილი ე., *საქართველო-იერუსალიმის
ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII საუკუნეები)*, თბილისი,
2008; სტეფნაძე მ., *ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმის წმინ-
და მიწაზე VII–XVII საუკუნეთა საერთაშორისო აქტების მიხედ-*

გით. ქართული დიპლომატია, წელიწადეული, 5, თბილისი, 1998; ცაფერისი ვ., *ჯვრის მონასტრის მნიშვნელოვანი ეტაპები*. საერთაშორისო სიმპოზიუმი – საქართველოს ებრაელები და საქართველო პალესტინის ურთიერთობანი. თეზისები, იერუსალიმი, 11-12 დეკემბერი, 1990; ცაფერისი ვ., *იერუსალიმის წმინდა წმ. ჯვრის მონასტერი*. ინგლისურიდან თარგმნეს ა. ჯიქიამ, ე. ძნელაძემ, უერნ. რელიგია, 1993, იენის-ივლისი, №№6–7; *ჯაფარიძე ვ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლოაღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე*. ახლოაღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი, 2005;

„...“, 1888; „...“, c IV VI „...“, 1896; „...“, I, „...“, 1903; „...“, VI „...“, 1810 „...“, e „...“, XVI-XIX „...“, 19, „...“, I, „...“, 1904; „...“, „...“, 1942; „...“, („...“), „...“, 1963; „...“, „...“, 1963; *The Holy City or Historical and Topographical Notices of Jerusalem*. By Georg Williams. *With illustrations from sketches by W.F.Witts*, London, Parker, 1845. [http://books.google.ge/books?46KX6U3jwPAC&printsec=frontcover&dq=inauthor:%22George+WILLIAMS+\(M.A.\)%22&hl=ru&sa=X&ei=c2BsT8CvJOHa4QSG3pHAAg&ved=0CDAQ6AEwAA#v=onepage&q&f=false](http://books.google.ge/books?46KX6U3jwPAC&printsec=frontcover&dq=inauthor:%22George+WILLIAMS+(M.A.)%22&hl=ru&sa=X&ei=c2BsT8CvJOHa4QSG3pHAAg&ved=0CDAQ6AEwAA#v=onepage&q&f=false); Titus Toblers *zwei Bücher Topographe von Jerusalem und seinen Umgebungen*. Zweites Buch, Berlin, 1854; *Recuil des Historiens des Croisades, Histiriens orientaux*, III, Paris, 1884; Raabe Richard, *Petrus der Iberer. Ein Charakterbild zur Kirchen-und Sittengeschichte des funften Jahr-*

ქართველების წმ. მიწასთან ურთიერთობის ინტენსივობა უკანასკნელ ორ ათასწლეულში ყოველთვის ერთნაირი არ იყო, რასაც მთელი რიგი მიზეზები განაპირობებდა. ახ. წ. აღ. I საუკუნიდან საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, წმ. მიწასთან ურთიერთობა სულ უფრო სისტემატურ ხასიათს მიიღებდა, ხოლო IV საუკუნიდან კი, იგი უფრო გაცხოველდებოდა.

hundreds. Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie. Herausgegeben und übersetzt von Richard Raabe, Leipzig 1895; Sivan F., *L'Islam et la Croisade. Ideologie et propagande dans les réactions Musulmanes aux Croisades*, Paris, 1968; *The Monasteri of the Holy Cross in Jerusalem* by V. Tzaferis, Ph. D., Archeologist-Byzantinologist Curator of The Museum of The Greek Orthodox Patriarchate of Jerusalem Jerusalem, 1987; Kofsky A. *Peter the Iberian Pilgrimage, Monasticism and Ecclesiastical Politics in Byzantine Palestine*, 1997 <http://198.62.75.1/www1/ofm/sbf/-Books/LA47/47209AK.pdf>; *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem: A Corpus, vol. 2. L-Z (excluding Tyre)*. Cambridge University Press, 1998; Yishai Eldar, *Jerusalem Christian Architecture through the Ages*, January 2000. http://www.mfa.gov.il/MFA/MFAArchive/2000_2009/2000/1/-Focus+on+Israel+Jerusalem++Christian+Architectur.htm?WBCMODE=PrForeign+Relations; *The Persian Conquest of Jerusalem (614 CE)*, 1-11. <http://www.bibleinterp.com/articles/pers357904.shtml>; Pringle D., Seligman Jon, *Excavations at the Georgian monastery from the Byzantine Period in Umm Leisun*, Jerusalem. ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში, თბილისი, 2004; John Rufus, *The Lives of Peter the Iberien, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus*. Edited and Translated With Introduction and Notes by Cornelia B. Horn and Robert R. Phenix Jr. Leiden, 2008.

შუა საუკუნეებში და ახალ პერიოდშიც კი, წმ. მიწამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. სახელმწიფოთა მესვეურნი თავიანთი სარწმუნოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე (განსაკუთრებით ქრისტიანები და მუსლიმანები), იერუსალიმის დაუფლებისათვის მიმართავდნენ ყოველგვარ საშუალებას: დიპლომატიას, მოსყიდვას, შანტაჟს და შეიარაღებულ ძალასაც კი. ქრისტიანული ქვეყნები ისლამის მიმდევართა ხელიდან იერუსალიმის განთავისუფლებას ზოგჯერ გაერთიანებული ძალებით ცდილობდნენ. ეს უკანასკნელნი იერუსალიმისათვის ხშირად ერთმანეთსაც ებრძოდნენ. ასე გაუთავებლად მიმდინარეობდა ბრძოლა პალესტინისა და, კერძოდ, იერუსალიმის წმინდა ადგილების დაუფლებისათვის.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე იერუსალიმი რელიგიური და პოლიტიკური ბრძოლის არენას წარმოადგენდა, რომელშიც მეტ-ნაკლებად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მონაწილეობდნენ. ალბათ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ქრისტემდე VI-I საუკუნეებში საქართველოს ებრაელთა საშუალებით და ქრისტეს შემდეგ კი მთელი ჩვიდმეტი საუკუნის განმავლობაში იერუსალიმსა და მახლობელი აღმოსავლეთის მონასტრებში მოღვაწე ქართველი ბერების და მომლოცველთა საშუალებით მიღებული ინფორმაცია საქართველოს ხელისუფალთ საერთაშორისო ვითარების ანალიზის და საგარეო ორიენტაციის შემუშავების საშუალებას აძლევდა. დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის პეტრე იბერის¹

¹ Raabe R., *Petrus der Iberer. Ein Charakterbild zur Kirchen-und Sittengeschichte des funften Jahrhunderts.* Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie. Herausgegeben und übersetzt von

Richard Raabe, Leipzig 1895, 1-146; *Die sogenannte Kirchengeschichte des Zacharias Rethor in deutscher Übersetzung*, herausgegeben von K. Ahrens und G. Krüger, Leipzig, 1890;

V

, . 16, . 2, 1896; *The syriac Chronicle known as that of Zachariah of Mitylene translated into English* by F. T. Hamilton and E.W. Brooks, London, Menhuen, 1899; იოანე რუფუსი, *წმინდა პეტრე იბერის, ნეტარი ეპისკოპოსის და ჩუენი უფალის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება. პლეროფორიები. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ*, II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხნიშვილმა, თბილისი, 1965, 247-289, 291-297; *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხნიშვილმა, თბილისი, 1936, 3-12; მაკარი მესხის მიერ XIII საუკუნეში შესრულებული ქართული თარგმანი, გამოაქვეყნა სოლ. ყუბანეიშვილმა: *ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველითა მეფისა*. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1946, 256-272. *ცხოვრება პეტრე იბერისა*. ასურული რედაქცია. გერმანულიდან თარგმნა, გამოკველევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1988; John Rufus: *The Lives of Peter the Iberien, Theodosius of Jerusalem, and The Monk Romanus*. Edited and Translated With Introduction and Notes by Cornelia B. Horn and Robert R., Phenix Jr. Leiden, 2008, 94, com.1. http://books.google.ge/books?id=tSq1wuai-UC&pg=PA93&dq=Holy+Cross+-+Monastery+in+Jerusalem&h=en&ei=60-nTcrHMsFeswbiIGPCA&sa=X&oi=book_result&ct=result&rediresc=y#v=onepage&q=Holy%20Cross%-20Monastery%20in%20Jerusalem&f=false;

სიცოცხლეში სირია-პალესტინაში დაწეპული რელიგიური ბრძოლა VI საუკუნეშიც მიმდინარეობდა.

„...“, 1942. „...“ (), 1963; Honigmann Ernest, *Pierre l'Iberian et les écrits du Pseudo-Denys l'Aréopagite*, Bruxelles, 1952. ამ გამოკვლევის რუსული თარგმანი: „...“, 1959. . 5. შალვა ნუცუბიძისა და ერნსტ ჰონიგმანის ჰიპოთეზის კრიტიკა. იხ.: „...“, 1956. . 8.; *Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited*, *Orientalia Christiana Periodica*, 59 (1993), 217-227; ყაუხიშვილი ს., *ბერძნული ლიტერატურის ისტორია*, ტ. 3, თბილისი, 1973, 103-113; ნუცუბიძე შ., *პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა*, შრომები, ტ. 5, თბილისი, 1975; ლოლაშვილი ივ., *დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველ ქართულ მწერლობაში*, თბილისი, 1983; Michel van Esbroeck, *Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revisited*, *Orientalia Christiana Periodica*, 59 (1993), 217-227; Kofsky A. *Peter the Iberian Pilgrimage, Monasticism and Ecclesiastical Politics in Byzantine Palestine*, 1997, 212. <http://198.62.75.1/www1/ofm/sbf/Books/LA47/47209-AK.pdf>; ა. კოფსკი ეყრდნობა პეტრე იბერის ცხოვრების სირიული ტექსტის რ. რაბესეულ გამოცემას. Brouria Bitton-Ashkelony, *Imitatio Mosis and Pilgrimage in the Life of Peter the Iberian. Christian Gaza in Late Antiquity*. Edited Brouria Bitton-Ashkelony and Arie Kofsky. *Jerusalem Studies in Religion and Culture*. Editors Guy Stroums and David Shulman. Hebrew University of Jerusalem, Department of Comparative Religion, vol. 3, 1997, 107-128. <http://www.scribd.com/doc/24692483/Christian-Gaza-in-Late-Antiquity>. Stiglmeyer J., *Der sogenannte Dionysius Areopagita und Severus von Antiochien*. *Scholastik*, N 3, 1928.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება ქართული მონასტრების დაცარიელებისა და განადგურებამდე მისვლის უმთავრესი მიზეზები: რელიგიური ბრძოლა, ჯერ სპარსელების, შემდეგ კი, არაბების მიერ პალესტინის დაპყრობის და ხანგრძლივი ბატონობის შედეგი იყო. ყოველივე ამას თან სდევდა მომლოცველების ნაკადის შემცირება, მეტროპოლიებიდან დახმარების შემცირება ან საერთოდ შეწყვეტა, მუსლიმანი ხელისუფლების მიერ გადასახადების დაწესება და სხვ.

სირია-პალესტინიდან დევნილი მრავალი ქართველი მონოფიზიტი სამშობლოში დაბრუნდა და, გარკვეულ დრომდე, თავისუფლად გააგრძელა ცხოვრება და მოღვაწეობა. ალბათ აქვს არსებობის უფლება, ჩემი აზრით სწორ მოსაზრებას, რომ VI საუკუნეში საქართველოში მოსული ასურელი მამები სირიიდან გამოქცეული მონოფიზიტი ქართველები იყვნენ¹, მით უფრო, როდესაც საწინააღმდეგო მყარი არგუმენტები არ არსებობს².

პალესტინაში მომხდარი პოლიტიკურ-რელიგიური კატაკლიზმების შედეგად იბერთა და ლაზთა მონასტრები იმდენად დაზიანდა, რომ მათი განახლება პროკოპი კესარიელმა იუსტინიანე კეისრის (527-565) ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამშენებლო ღონისძიებად ჩათვალა. იუსტინიანეს მიერ მონასტრების „გან-

¹ ბაქრაძე დ., *ისტორია საქართველოსი*, თბილისი, 1889, 182-183; კეკელიძე კ., *ეტიუდები*, I, 43-44; კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, 1960, 157-158, შენ. 2.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, I, 410-415; ჯაფარიძე ა., *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*, I, თბილისი, 1996, 385-395.

ახლება“ შეიძლება მათ რეორგანიზაციას, მათში მონოფიზიტობის ნაშთების აღმოფხვრასაც გულისხმობს. იმპერატორი ჯერ ლაპარაკობს იბერთა იერუსალიმური წარმომავლობისა და, აქედან გამომდინარე, წმინდა ქალაქისადმი მათი მუდმივი ინტერესის შესახებ. იგი ამის შემდეგ გადმოგვცემს: „*როდესაც ირაკლი მეფემ გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ, ისინი (იბერები – ე. მ.) მას შეუერთდნენ და მასთან ერთად ილაშქრეს, მას აქეთ მათ დაიმორჩილეს სპარსელთა საკმაო ქალაქები და ქვეყნები...*“¹ კონსტანტინე პორფიროგენეტის (913-959) ამ ნათქვამთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ ირანის წინააღმდეგ ომის დროს ჰერაკლე კეისარს (610-641) მართლაც ეხმარებოდნენ ქართველები – იბერიელები, ეგრისელები და აფხაზები. ქართველთა ის ნაწილი, რომელიც ადარნასეს (VII ს. I ნახევარი) ხელმძღვანელობით კეისარს დაუდგა მხარში, დიოფიზიტები იყვნენ, მონოფიზიტებს კი პროირანული პოზიცია ეკავათ და, სავარაუდოა, ისინი იყვნენ ბიზანტიელთა სასტიკი მოწინააღმდეგენი ქართლში².

ქართველ მონოფიზიტებს ეცოდინებოდათ, როგორ გაუსწორდა იმპერიის ხელისუფლება მათ თანამოაზრეებს სირიპალესტინაში. ამიტომ სრულიად მოსალოდნელი იყო მათი უნდობლობა ბიზანტიის ხელისუფლებისადმი. ჰერაკლემ იგივე

¹ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV, ნაკვ. II, 257.

² იორდანიის კრონ-პრინცი ალ-ჰასან იბნ ტალალი აღნიშნავს, რომ „სპარსელი დამპყრობლები, სადაც არ უნდა შეჭრილიყვნენ, სარგებლობდნენ ადგილობრივი მონოფიზიტი მოსახლეობის მხარდაჭერით (უკიდურეს შემთხვევაში, წინააღმდეგობას მაინც არ ხვდებოდნენ)“. ალ-ჰასან იბნ ტალალი, *ქრისტიანობა არაბულ სამეფაროში*. ქართულად თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო მედია აბაშიძემ, თბილისი, 2009, 54.

გაიმეორა ქართლში ყველა მონოფიზიტის ანუ ანტიქალკედონიკის მიმართ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გადმოგვცემს: „ამან ერაკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჯარმოს განაგლინა ქალაგნი, რადთა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი ანუ მონათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ მონათველაჲ არა ინდომეს, ზაკუვით თანა აღერივნეს, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარმართთა მეფემან იკადა მახვლი. და ეკლესიათა შინა მდინარენი დიოდეს. და განწმიდა ერაკლე მეფემან სჯული ქრისტესი და წარვიდა“¹.

ჰერაკლე კეისრის მიერ ამოწვევტილ ურწმუნოებში აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელების მიერ მაზდეანობაზე გადაყვანილი და იმავე სპარსელების მიერ მხარდაჭერილი ქართველი მონოფიზიტები უნდა იგულისხმებოდნენ.

ჰერაკლეს კარგი ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდა ქართველებთან, რაც საგულისხმოს ხდის იმის ვარაუდს, რომ კეისარს შეიძლებოდა წმ. მიწაზე არსებული ქართული სიწმინდეებისადმი ყურადღება გამოეჩინა და ქართველ ბერებს ჯვრის მონასტრის შეკეთებაში დახმარებოდა, თუკი მას ამგვარი რამ სჭირდებოდა.

არაბებმა პალესტინის დაპყრობა დაასრულეს 638 წელს. საისტორიო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით ამ დროს გაწყდა ან გაიქცა ქალაქების ქრისტიანული მოსახლეობის უმრავლესობა. ნგრევასა და აკლესიას გადარჩენილ მონასტრებში ბერმონაზვნების რაოდენობა უაღრესად შემცირდა,

¹ მოქცევაჲ ქართლისაჲ, 96.

მაგრამ სხვადასხვა ცნობების მიხედვით, მათ შორის ქართველები მაინც იყვნენ¹. არ შეწყდა ქართველთა მომლოცველობა².

ამ საკითხზე გვაქვს ერთი უაღრესად საყურადღებო ცნობა, რომელიც ნათელს ხდის ქართველების გავლენასა და ავტორიტეტზე არაბების მიერ დაპყრობილ წმინდა ქალაქში. X

¹ გეორგიკა, IV, ნაკვ. II, 43, 260; ..

, 1877, 432; ..
(V-XVIII ..).

, 1974, 84; თარხნიშვილი მ., *წერილები*, 34; მამისთვალისშვილი ე., *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 7-68; მგალობლისშვილი თ., *მცხეთა – ქართველთა ახალი იერუსალიმი*. გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის „შრომთა კრებულები“, №2, თბილისი, 2011, 83-97.

² .., 234-237; საბინინი მ., *საქართველოს სამოთხე*, თბილისი, 1882, გვ. 437-438. *ქრონიკები*, I, 303; *ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპები*, თფილისი, 1901, 74-75; ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი*, ტ. VIII, თბილისი, 1977, 87-90; აბულაძე ი., *ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოდახილი ძველ ქართულ მწერლობაში*. ენიშვილის მოამბე, XIV, 1944, 58; ტიმოთე გაბაშვილი, *მიმოსლვა*, 0166; ინგოროყვა პ., *თხზულებათა კრებული*, I, თბილისი, 1963, 348, 861-862; *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, I, 75, 262; *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, 268, 302; *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II, 101-207, 122. 145, 268, 302. კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბილისი, 1960, 89, 133-134, 164-170. 178-180, 520-522; მენაბდე ლ., *ძველი ქართული ეულტურის კერები*, II, 31-32, 34-35, 37, 42, 43.

საუკუნის ქრისტიანმა არაბმა მწერალმა საიდ იბნ ალ-ბატრიკმა (იგივე ალექსანდრიის მართლმადიდებელი პატრიარქი ევტიხი) თავის თხზულებაში მოიყვანა ხალიფა ომარის ხიჯრის 15-ე წლის (637 წ.) ედიქტი, საიდანაც ვიგებთ, რომ, როცა იერუსალიმი მუსლიმანებს დანებდა და იერუსალიმის პატრიარქი სოფრონიოს I (634-638) ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატიბის შესახვედრად გამოვიდა, ხალიფამ სპეციალური ედიქტით დაამტკიცა ქალაქში მცხოვრები ქრისტიანების უმრავლესობის დამორჩილება იერუსალიმის ბერძენთა პატრიარქისადმი, მათ შორის ეგვიპტელი კობტებისაც. მაგრამ ხალიფამ გამონაკლისი დაუშვა ქართველთა და ეთიოპიელთა რელიგიური თემების მიმართ. საიდ იბნ ალ-ბატრიკის ცნობასთან დაკავშირებით ი. მ. კობიშჩანოვი შენიშნავს, რომ შეიძლება ომარის ედიქტი პატრიარქ ევტიხის მნიშვნელოვანი შეცდომებით მოჰყავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ედიქტის მიერ დაშვებული გამონაკლისი საქართველოსა და ეთიოპიელების მიმართ სიმართლეს შეეფერება¹.

იმ სიგელში, რომელზეც იერუსალიმის ორთოდოქსური მართლმადიდებლური საპატრიარქოს იერარქები ხშირად აპელირებდნენ, ეწერა შემდეგი: „*ჰქონდეს შენდობა მათ (ბერძნებს – ე. მ.), მათ ეკლესიებს, მონასტრებს და მათ ხელში არსებულ თაყვანისცემის ადგილებს, როგორცაა ალ-კუმამა (აღდგომის ტაძარი), ბეთლემი, ჩვენი უფალი იესოს დაბადების ადგილი. ჰქონდეთ შენდობა იქ (იერუსალიმში) დანარჩენ ქრისტიანებს, როგორც არიან ქართველები, აბისინიელები; თაყვანისცემისათვის მოსული ფრანკები, კობტები, ნესტორიანი სომ-*

1

(V-XVIII .).

, 1974, 85.

ხები, იაკობიტები, რომლებიც ემორჩილებიან ზემოსსენებულ პატრიარქს, რომელიც იქნება მათი მეთაური¹.

მოდწეულია ხალიფა ომარის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ ქრისტიანებისათვის მიცემული სიგელი, რომელშიც სრულებით არ წერია ის, რაც ზემოთ ითქვა. მასში საერთოდ არაა დასახელებული არც ერთი ხალხი. ზოგადად მოხსენიებული არიან ქრისტიანები. ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი ხალიფების დროს პრივილეგირებული ქრისტიანები იერუსალიმში არ იყვნენ. მაშასადამე, ხალიფა ომარს პატრიარქ სოფრონიოსისათვის სიგელი არ მიუცია და ის სიგელი რომელსაც ბერძნები XVI-XVII საუკუნეებში თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად იყენებდნენ, ნაყალბევი იყო². სიგელში არ ჩანს, რომ პირველი ხალიფების დროს იერუსალიმში არსებობდა პრივილეგირებული ქრისტიანული თემები. მაგრამ, ამჯერად მაინც დიდ ყურადღებას იმსახურებს საიდინ ბატრიკის ნათქვამი, რომელშიც გამოსჭვივის არაბების იერუსალიმში მბრძანებლობის პერიოდში (VII-XI სს.) ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, რაც საგულისხმოს ხდის მისი ბერმონაზვნების სიმრავლეს, ეკონომიკურ სიძლიერესა და პოლიტიკურ გავლენას.

ამ პერიოდის (VII ს.) ცნობილი ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, იმავე პატრიარქ სოფრონიოსის თანა-

1 . . . , 17, . 2(1), . . , 1903, 609.

2 . . . , 608-609).

მედროვე, ალექსანდრიის პატრიარქი კიროსი¹ ფაროსელი, რომელიც მანამდე კოლხეთში მოღვაწეობდა, მთელ ახლო აღმოსავლეთში ცნობილი იყო „ერეტიკოსების“ მიმართ თავისი შეუწყნარებლობით. სავარაუდოა, ასეთი თვისების გამო ჰერაკლე კეისარმა ის ალექსანდრიის პატრიარქად გადაიყვანა და, რადგან ეგვიპტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი „ერეტიკოსებად“ მიიჩნეოდა, ამ ქვეყნის გამგებლობაც ჩააბარა 631 წელს. გარდაცვალებიდან (642 წ.) კარგა ხნის შემდეგ, VI მსოფლიო ანუ ტრულის საეკლესიო კრებამ (681 წ.) კიროსი მწვალებლად გამოაცხადა და მისი ნაწერები გაანადგურა. მას ბრალად ედებოდა ახალი ერეტიკული მოძრაობის ჩამოყალიბება, რაც მდგომარეობდა იესო ქრისტეს ერთ სახეში ორი ბუნების განმარტებაში. მისი მოწინააღმდეგე იყო სოფრონიოსი, შემდეგში იერუსალიმის 64-ე პატრიარქი.

იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოს II-ის (1669-1707) გადმოცემით, *„იმპერატორ ირაკლის დროს ფაზისის მიტროპოლიტი იყო ვინმე კიროსი, ერესის წამომწეები, ოდესღაც ალექსანდრიის ეპისკოპოსი და მე-ნ საეკლესიო კრების მიერ შეჩვენებული. ტრულის საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ: თევდორე, ფაზისის ანუ ლაზების ეპისკოპოსი და იოანე, (ლაზიკაში) პეტრის ეპისკოპოსი“*².

¹ გეორგიკა, IV, ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1941, 101-102. იხ. ზ. ალექსიძის სტატია – *კიროს ფაროსელი*. ქსე, V, 534.

² მამისთვალიშვილი ე., *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.)*, თბილისი, 2008, 158.

არსებობს ცნობები ცალკეული ქართველებისა და ზოგჯერ საქართველოდან გამოსულთა მთელი ჯგუფების შესახებაც კი არაბული პერიოდის ეგვიპტეში. ქვემოთ გავეცნობით ნოსირ ხისროუს ცნობას ფატიმიდების კარზე ქართველი უფლისწულების შესახებ, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ ეთიოპიელ, ნუბიელ და ჩრდილო აფრიკული წარმოშობის დიდებულებთან ერთად.

არაბებმა პალესტინის დაპყრობა დაასრულეს 638 წელს. ამ დროს გაწყდა ან გაიქცა ქალაქების ქრისტიანული მოსახლეობის უმრავლესობა. ნგრევასა და აკლესიას გადარჩენილ მონასტრებში უაღრესად შემცირდა ბერმონაზვნების რაოდენობა. ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია სომეხი პილიგრიმის ანანტასის გადმოცემა, რომ VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე იერუსალიმის იოანე მახარებლის მონასტერში ქართველი ბერები იყვნენ. 808 წლის ერთი ცნობით, იერუსალიმის უმთავრეს ეკლესიაში, უფლის საფლავში იყო 41 ბერი, ელეონის მთის ეკლესიაში 3 ბერი, ცალკე სენაკებში კი 29 განდევნილი ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ: 11 ბერძენი, 4 ქართველი, 6 სირიელი, 2 სომეხი, 5 ლათინი და 1 არაბი; გეთსიმანიაში

ცხოვრობდა სამი განდევილი – ბერძენი, სირიელი და ქართველი¹.

დანგრევას გადარჩენილ მონასტრებში ბერმონაზვნების იმდენად მცირე რაოდენობა დარჩა, რომ ხიფათით აღსავსე ვითარებაში, განმარტოებით ყოფნა არ შეეძლოთ. სხვადასხვა მონასტრების ბინადარნი თავს იყრიდნენ შედარებით დაცულ მონასტრებში. სხვადასხვა ერის ბერმონაზვნების ერთად ცხოვრება არავითარ სირთულეს არ ქმნიდა. ქრისტიანული თემების და ტაძრებისათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო მრავალეთნიურობა. ქართველებიც მრავლად და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ არაქართულ მონასტრებში. VI ს. მეორე ნახევარში იერუსალიმში მოღვაწეობდა საბაწმინდის მამასახლისი მარტვირი საბაწმინდელი, რომელსაც დაუწერია ასკეტურ-მისტიკური შინაარსის თხზულება – „სინანულისა და სიმდაბლისათვის“².

VI-VII საუკუნეებში იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ბერების შესახებ ვიგებთ სვიმეონ საკვირველთმოქმედის დედის, მართას ბიოგრაფიიდან, მასში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთ ქართულ მონასტერში „სამნი მონაზონნი ქართველნი იერუსალიმით მოვიდეს მონასტრად წმიდი (სვიმეონისა), რომელთაგან ერთი, სახელით ანტონი, მღვდლობისა პატივითა შემოსილი

¹ Tobler T., *Descriptione Terrae Sanctae*, Leipzig, 1874, 76-79; Dopsch A., *Die Wirtschaftsentwicklung, der Karolinger zeit*, Weimar, 1921, 116-199;

Co . . . VI, M . . . , 1966, 345

² კეკელიძე კ., *მარტვირი ქართველი (VI-VII სს.) და მისი შრომა „სინანულისა და სიმდაბლისა“*. ლიტერატურული ძიებანი, III, თბილისი, 1947, 261-313.

იყო და მამასახლისი მონასტრისა პატიოსნისაჲ წინამძღუარი ძმათა სიმრავლისაჲ⁴.

VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე იერუსალიმის მახლობლად საბაწმიდის ლავრაში იმყოფებოდა სეითი, გამოჩენილი მთარგმნელი ბერძნულიდან. მას უმეტესწილად უთარგმნია იმ წმინდანთა ცხოვრებანი, რომლებიც იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) დროს ან მანამდე მოღვაწეობდნენ. მას მიაკუთვნებენ 25 აგიოგრაფიული ტექსტის თარგმანს².

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯეროვნად არ არის შეფასებული IX საუკუნის მარტვილის კოსტანტი ქართველის (კახი) „ცხოვრებასა და წამებაში“ მოცემული მისი ბიოგრაფიის ის განსაკუთრებული მომენტი, რომელიც დაკავშირებულია იერუსალიმის და მისი შემოგარენის სიწმინდეებთან. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ კოსტანტი კახის ანონიმი აგიოგრაფი მის ბიოგრაფიას თითქმის არ ეხება და მის მოგზაურობას წმ. მიწაზე კი გვამცნობს³. „ცხოვრება“ დაწერილია 853-856 წლებში. ავტორის ვინაობა უცნობია. თხზულების მე-3 თავში ნათქვამია: „გული უთქმოდა ნეტარსა მას მისლვად იერუსალემად და თაყუანის-ცემად წმიდასა გოლგოთასა, სადა იგი იქმნა განახლებაჲ ჩუენი მარჯუენისაგან მადლისა და ნათლით-შემოსი-

¹ კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბილისი, 1960, 89.

² კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, 133-134.

³ კოსტანტი კახის შესახებ იხ. ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, VIII, თბილისი, 1977, 87-90; კეკელიძე კ., *გეოგრაფიები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I, თბილისი, 1955, 133-146; მისივე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, 520-522.

ლისა და ცხოვრების-მომცემლისა საფლავისა და წმიდისა სიონისა, დედისა ეკლესიათაჲსა, და ყოველთა წმიდათა ადგილთა, რომელთა დადგეს ფერჳნი უფლისანი“¹.

გადაჭრით იმის თქმა, რომ კოსტანტიმ ნამდვილად მოილოცა პალესტინის წმინდა ადგილები, ძნელია და, ამჯერად, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს. მთავარი ისაა, რომ მიუხედავად არაბების მიერ პალესტინისა და საქართველოს გამუდმებით აკლება-აოხრებისა, საქართველოში არ იგიწყებდნენ ქართველთა იმ დვაწლზე, რაც მათ მიუძღვოდათ ქრისტიანთა უმთავრესი სიწმინდეების – „ცხოვრების-მომცემლისა საფლავისა და წმიდის სიონისა, დედისა ეკლესიათაჲსა“. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კოსტანტი კახის მარტვილობა პირველი აგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელშიც აღნიშნულია ქართველთა მიერ გოლგოთის, წმ. საფლავის და წმ. სიონის განახლებაზე. აქამომდე მკვლევრები მხოლოდ იმას აღნიშნავდნენ, რომ სხვა ქრისტიან ხალხებთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ ეგვიპტის სულთნის ჰაქემის მიერ 1010 წელს დანგრეული გოლგოთის ტაძრის აღდგენაში, რომელიც დასრულდა 1048 წელს.

ხემოთმოყვანილი 808 წლის და ქართველი ანონიმის ცნობების შედარება ნათელს ხდის, რომ დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში იერუსალიმში ბერებისა და მომლოცველების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულა. აღნიშნულ წელს მხოლოდ უფლის საფლავის, ელეონის მთის და გეთსიმანის ტაძრები ფუნქციონირებდნენ, რაც სხვა წყა-

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 75.

როთიც დასტურდება¹. ქართველი ავტორის თქმით, „*ეითარცა მოიწია იგი (კოსტანტი – ე. მ.) იერუსალიმად და მოილოცნა წმიდანი ადგილნი... და მერე გამოვიდა იერუსალიმით და მოვლნა ყოველნი მონასტერნი უღაბნოდსანი და მკუდრნი იორდანისანი და მრავალი განსუენებად და ნუგეშინის-ცემად მოჰმადლა მათ*“².

მარტვილობიდან იმასაც ვიგებთ, რომ IX საუკუნისათვის უკვე კარგა ხნის დამკვიდრებული იყო ტრადიცია წმ. მიწის ეკლესია-მონასტრებისათვის შესაწირავების მირთმევა-გაგზავნა. კოსტანტიმ იერუსალიმში და მის სიახლოვეს არსებულ მონასტრებს და „გლახაკთა და მკუდრთა“ დიდძალი „საფასი“ დაურიგა. ის სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ ივიწყებდა იერუსალიმის წმინდა ადგილებს, მეუღაბნოებსა და გლახაკთ „და რაჲ წელიწად წარსცის ერთსა მსახურთა მისთაგანსა სამი ბევრი (30 ათასი – ე. მ.) ვერცხლი“³.

უჭკველია, კოსტანტი კახი პირველ რიგში მონახულებდა და დახმარებასაც გაუწევდა იმ მონასტრებს, რომლებიც ქართველებს ეკუთვნოდათ ან სხვებთან ერთად იქ მისი თანატომელებიც იყვნენ. ანონიმი ავტორი, სავარაუდოა, შეგნებულად გვერდს უვლის წმინდანი კოსტანტი კახის ინტერესსა და თანადგომას თანატომელთა მიმართ, რათა ხაზი გაუსვას მის დამოკიდებულებას საერთო საქრისტიანო საქმისადმი.

¹ ჯაფარიძე გ., *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე*. კრებულში: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, თბილისი, 2005, 139.

² *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, I, 75.

³ *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, I, 75.

IX საუკუნეში იერუსალიმში მოღვაწე ქართველების და იქაური სიწმინდეთა შესახებ რამდენიმე მოკლე ცნობა დაცულია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში¹. ქართველები იმყოფებოდნენ, იმავე საუკუნეში საბას ლავრაში². აქვე IX-X საუკუნეებში მოღვაწეობდა რამდენიმე ქართველი³. ქართველებს ვხედავთ X საუკუნეში ე. წ. პალავრაში⁴, საბას ლავრაში, სინასა და იერუსალიმში⁵.

პალესტინის არაბი გამგებლების მიერ ქრისტიანების და მათი ეკლესია-მონასტრების მიმართ გატარებული დისკრიმინაციული პოლიტიკა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ იძლეოდა მათი აღდგენის შესაძლებლობას, ახლის აშენება კი თავიდანვე კატეგორიულად აიკრძალა.

X საუკუნისათვის იერუსალიმში ქართველი ბერმონაზვნები მომრავლდნენ. საყოველთაოდ აღიარებული ქრისტიანული სიწმინდეების, ასევე იმ ეკლესია-მონასტრების დასახმარებლად, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ, საქართველოდან იმდენად

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 268, 302.

² „...“, 1888, 234-237.

³ მენაბდე ლ., *ძველი ქართული მწერლობის კერები*, I, 34-35, 37.

⁴ აბულაძე ი., *ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამომდახილი ძველ ქართულ მწერლობაში*. ენიმკის მოამბე, XIV, 1944, 58; მენაბდე ლ., *ძველი ქართული მწერლობის კერები*, I, 42.

⁵ კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, 164-170, 178-180.

მნიშვნელოვანი თანხები იგზავნებოდა, რომ ამის აღნიშვნა საჭიროდ ჩათვალა ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა¹.

* * *

X საუკუნის მეორე ნახევარში პალესტინა განუწყვეტელმა ომებმა გააჩანაგა. იქ ბატონობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ფატიმიანების ეგვიპტე და ბიზანტია. 970-იანი წლებიდან ფატიმიანებმა პალესტინა დაიპყრეს. ამ დროიდან ქრისტიანულ სახელმწიფოებს, ვისაც რაიმე ინტერესი ჰქონდა პალესტინაში, მათი გადაწყვეტა მხოლოდ ეგვიპტელ მბრძანებლებთან კარგი ურთიერთობით შეეძლოთ².

წმინდა მიწაზე ქართველების მოღვაწეობის უდიდეს მოვლენად უნდა ჩათვალოს იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის აღდგენა XI საუკუნის 20-50-იან წლებში³.

¹ *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, 258.

² ჯაფარიძე გ., *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება*, 140.

, - , 1902, 662

1810 .

XVI-XIX . . 55.

2. . 1904, 17-19.

³ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც იგი ქართველებს ეკუთვნოდათ (V-XVII სს), განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის განვი-

წარმოაჩენს მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში და აქედან გამომდინარე დასკვნებიც პოზიტიურია.

მართალია, საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვება რომის იმპერიის საგარეო პოლიტიკის გამარჯვება იყო¹, მაგრამ ეს არ ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის რომის ეპისკოპოსზე დამოკიდებულებას. საქართველოს ხელისუფლება და ეკლესია თავიდან კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარს დაუკავშირდა, რასაც გვამცნობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. თუმცა ძველი ისტორიკოსები („მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორები, გელასი კესარიელი, რუფინუსი), რომლებიც ქართლში ქრისტიანობის გამარჯვებასა და ქართველი მეფის მიერ კონსტანტინე კეისართან ელჩების გაგზავნაზე გადმოგვცემენ არ ასახელებენ იმ ქალაქს, სადაც ისინი კეისარმა მიიღო.

ქართლის გაქრისტიანება მოხდა IV ს. 20-იან წლების შუა ხანებში. ამ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას თან ახლდა მცხეთის სხვადასხვა რელიგიურ თემებს შორის სერიოზული დაპირისპირება, რაც აისახა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში. ცნობილი არ არის რამდენ ხანს გაგრძელდა რელიგიურ ნიადაგზე ატეხილი შფოთი. ყოველ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ამავე მიზეზით სხვა ქვეყნებში მომხდარ ამბებს, მაშინ საკმაო დრო უნდა გასულიყო მცხეთაში და, საერთოდ, ქართლში ვითარების მოწესრიგებამდე. როდესაც იმპერიის დედაქალაქად კონსტანტინოპოლი გამოცხადდა (330 წლის 11 მაისი), ქართლის მეფის ელჩები იმპერატორს ამ ქალაქში უნდა სწვევოდნენ. სავარაუდოა, მოლაპარაკების შემდეგ, რადგან ამ დროს კონსტანტინოპოლის

¹ ბოგვერაძე ა., *ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*, თბილისი, 1979, 13.

ქრისტიანული ეკლესია ჰერაკლიის მიტროპოლიტის იურისდიქციაში იყო, კეისარმა ქართველების ეკლესიის მოწყობაში დახმარება ანტიოქიის პატრიარქს დაავალა¹.

ამგვარად, კონსტანტინე კეისართან ურთიერთობის ზემოთმოთხრობილი ეპიზოდი არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ „რადგან იმდროინდელი საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომთან“², ქართლის გაქრისტიანებასთან ერთად იწყება კავშირი რომთან და მის ეკლესიასთან³.

რომთან „მჭიდრო“ კავშირის არსებობის დასამტკიცებლად ვერ გამოგვადგება ჯერ კიდევ იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, სახელგანთქმული ქართველი ერეტიკოსის, მარკიონ პონტოელის (II საუკუნის პირველი ნახევარი), ფაზისის ყოფილი ეპისკოპოსის რომში ჩასვლა (138 წელს) თავისი შეხედულების დასაცავად. მარკიონი თავისმა მამამ, ეპისკოპოსმა პალმოსმა, ეკლესიიდან განკვეთა. მარკიონის მოწინააღმდეგეებმა, რომელთა შორის

¹ ვრცლად იხ. მამისთვალისშვილი ე., *საქართველოს და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან*, ისტორიანი, სამეცნიერო კრებული მიიძღვნილი როინ მეტრეველის დბადების 70 წლისთავისადმი, თბილისი, 2009, 251-272.

² ლომსაძე შ., *მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი*, თბილისი, 1984, 48; პაპაშვილი მ., *საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს.*, თბილისი, 1995, 61.

³ ქართული ეკლესია, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე და მის შემდგომაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმთან, ამის შესახებ საინტერესო ცნობებიც გავგაჩნია. რაც შეეხება რომთან ურთიერთობას, მის შესახებ რაიმე ცნობა არ ვიცი.

იყო ცნობილი ღვთისმეტყველი და მწერალი ტერტულიანე, დაამტკიცეს მისი ეკლესიიდან განკვეთის სამართლიანობა¹.

VI საუკუნის 90-იან წლებში, ქართლში ქრისტიანობის გამარჯვებიდან დაახლოებით ორსაუკუნე-ნახევრის შემდეგ, ქართლის კათალიკოსმა კირონ I-მა (596-610) რომის პაპს, გრიგოლ I დიდს (590-604) ეპისტოლე გაუგზავნა. ჯერ ერთი, როგორც ითქვა, ქართლის ეკლესიის მოწყობასა და განმტკიცებაში რომის ეკლესიის ხელი არ ერია. მეორეც, ორსაუკუნე-ნახევრის განმავლობაში რამდენმა ქარიშხალმა გადაუარა როგორც საქართველოს, ისე რომს, რამდენჯერ შეიცვლებოდა როგორც ერთის ისე მეორის კონფესიურ-ეკლესიური და პოლიტიკური ორიენტაცია, ამდენად, შეუძლებელია ერთმანეთისაგან საუკუნეებით დაშორებული ფრაგმენტული ცნობებით რაიმე პოლიტიკური ან საეკლესიო ხასიათის კანონზომიერების დადგენა.

გრიგოლ დიდის წერილი, თავისთავად, საინტერესოა. ჩანს, რომ ქართველი პილიგრიმები და განსაკუთრებული დავალებით წარგზავნილები, ყოველგვარი სარწმუნოებრივი ან პოლიტიკური მოსაზრებით შეზღუდვის გარეშე, დაიარე-ბოდნენ საპატრიარქო ქალაქებში, მათთვის რაიმე განსაკუთრებული უპირატესობის ან მნიშვნელობის მინიჭების გარეშე. წერილიდან ვიგებთ, რომ კათალიკოს კირონის წარგზავნილი კაცი ჯერ იერუსალიმში იყო, საიდანაც შემდეგ რომს გაემგზავრა. სავარაუდოა, რომ იგი იერუსალიმის მაშინდელ პატრიარქთან ამოსთან (594-601) იმავე საკითხების გარკვევას ცდილობდა, რის შესახებაც მან პაპს, გრიგოლ I-ს მოახსენა.

¹ თამარაშვილი მ., *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, 190.

ამასთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი სრულიად სხვაგვარად ფიქრობდა: „ეს წიგნი იმითაც შესანიშნავია, რომ საქართველოს კათალიკოსს სასულიერო კითხვების განსამარტებლად რომის პაპისათვის მიუმართავს და არა აღმოსავლეთის პატრიარქებისათვის. ესეც საკმაო საბუთია იმისი, რომ საქართველოს სარწმუნოების კითხვებში რომასთან უფრო კავშირი პქონია, ვიდრე ბერძნებთან“¹.

ნესტორიანობა აღმოსავლეთის ეკლესიისა და, როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესიისთვისაც იმდენად სახიფათო იყო, რომ მისმა წარმომადგენელმა, ჭეშმარიტ მართლმადიდებლობის წიადში დაბრუნებული სექტის წევრებისადმი მოპყრობის მეთოდზე, სავარაუდოა, სხვადასხვა საპატრიარქოთა მოსაზრებათა გაცნობა და მათი ერთმანეთთან შეჯჯერება განიზრახა. ამ მიზნით, იმავე მოგზაურობის დროს, სხვა (როგორც იერუსალიმის, ასევე ანტიოქიის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის) პატრიარქებიც მონიხსულა. ქართულმა ეკლესიამ, ამგვარად, ყველა საპატრიარქოსა და რომის პაპისადმი თანაბარი ყურადღება და პატივისცემა გამოხატა იმ დროს, როდესაც ქართული ეკლესიის სომხურ ეკლესიასთან დაპირისპირება უკვე სახეზე იყო. ქართული ეკლესიის მეთაურის ქრისტიანული ეკლესიის საჭეთმპყრობელთა მიმართ ყურადღებისა და პატივისცემის გამომჟღავნება პოლიტიკური მოსაზრებითაც გამართლებული ჩანს. საჭირო იყო მათთვის ჩვენება იმისა, რომ ე. წ. აღმოსავლეთის ეკლესიის (ნესტორიანელთა სექტის) წინააღმდეგ ბრძოლა ორთოდოქსალური ქრისტიანული ეკლესიის საერთო საქმე იყო. ამგვარი პოზიციის გამოხატვის სურვილმა

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის*, 26.

მიიყვანა ქართველი მოციქული იერუსალიმში (და სხვა საპატრიარქო ქალაქებში). მისი ბოლო ვიზიტი უნდა ყოფილიყო რომის პაპთან. გასათვალისწინებელია, რომ პაპის წერილში მხოლოდ იერუსალიმი იმითგაა ნახსენები, რომ წმინდა ქალაქში ქართველმა მოციქულმა, სხვა ნივთებთან ერთად, კვირონ ეპისკოპოსის მიერ პაპისათვის გაგზავნილი წერილიც დაკარგა. მიუხედავად ამისა პაპმა მოციქულს მაინც მოუსმინა, გაიგო ქართველი კათალიკოსის თხოვნა და პასუხი წერილობით გაუგზავნა. მასში მსჯელობა მხოლოდ კანონიკურ საკითხზეა¹.

„856 წელი... ძველი ჩვეულების მიმდევარმა იმპერატორმა მიქაელმა² რომში ახალ ხელდასხმულ პაპთან³ ელჩობა გაგზავნა საჩუქრებით, ხოლო ღაზების მეფემაც იმ დვთისმოსაობის გამო, რომელიც მოციქულებრივ საზღვრამდე აღწევდა, საუცხოო საჩუქრები გაგზავნა წმ. პეტრეს სახელზე“⁴.

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის*, 24-26; ლადანიძე მ., *მიმოწერა რომსა და მცხეთას შორის ნათლისღების შესახებ*. სულხან საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი. *დიאלოგი*. აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურნალი, №2(3), თბილისი, 2005, 64-70.

² ბიზანტიის კეისარი მიქაელ III (842-867).

³ პაპი ბენედიქტე III (855-858).

⁴ ტაბაღუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)*, I, 70. ი. ტაბაღუას მიერ საეკლესიო ანალებიდან ამოღებული ეს ცნობა მ. პაპაშვილმა რატომღაც გადააკეთა: იმპერატორ მიქაელის მიერ პაპთან ელჩის გაგზავნა გამოსტოვა და ელჩისა და საჩუქრების რომში გაგზავნა დასავლეთ აფ-

ამონარიდი საინტერესოა იმდენად რამდენადაც ბიზანტიის კეისართან ერთად, აფხაზთა სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) მეფე დემეტრე II, ლეონ II-ის ძე, მართალია კეისრის ელჩის ხელით (ამიტომ არ არის აღნიშნული დემეტრე მეფის ელჩის შესახებ), საჩუქრებს უგზავნის ახალარჩეულ რომის პაპს. მისი ასეთი მოქმედება მაჩვენებელია იმ ხანგრძლივი ბრძოლის წარმატებით დასრულებისა, რომელსაც იგი დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა ბიზანტიის წინააღმდეგ. იმავე დროს ისიც ჩანს, რომ დემეტრე II-მ ბიზანტიელებთან იმდენად კარგი ურთიერთობა აღადგინა, რომ კეისარი და ქართველი მეფე ერთად აგზავნიან საჩუქრებს რომში.

არ შემიძლია რაიმე ვთქვა დემეტრე II-ის განსაკუთრებულ რწმენასა და პატივისცემაზე რომის პაპისა და ეკლესიის მიმართ, მაგრამ ცხადია, რომ იგი რომში საჩუქრების გაგზავნით თავისი სამეფოს დამოუკიდებლობის დემონსტრირებასაც ახდენდა საერთაშორისო ასპარეზზე. ალბათ, ახალხელდასხმული პაპებისა და პატრიარქებისათვის მილოცვა და საჩუქრების გაგზავნა, მათდამი ჩვეულებრივი ყურადღების გამოვლი-

საზეთის (საქართველოს) მეფე დემეტრე II-ს (825-861) მიაწერა. მან იგივე ცნობა შემდგენიარად გადმოსცა: „856 წელს ლაზების მეფემ... საუცხოო საჩუქრებით ელჩობა გაავზავნა წმინდა პეტრეს სახელზე რომის პაპთან“. მან, ამგვარად გადაკეთებული წყაროდან, შესაბამისი დასკვნაც შემოგვთავაზა: „იმ დღეთისმოსაობის გამო, რომელსაც მაშინდელ იბერიასა და ეგრისში იხენდნენ რომის პაპისადმი, ქრისტიანობისათვის დაუცხრომლად მზრუნველმა დემეტრე II-მ მოკითხვის მიზნით საუცხოო საჩუქრები გაუგზავნა რომის პირველ მღვდელმთავარს“. პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., 65-66.

ნება იყო. მეფეები და დიდებულები ზოგჯერ მათთვის არასასურველ მეფე-მთავრებსა და იერარქებს გამეფებას ულოცავდნენ და საჩუქრებსაც უგზავნიდნენ.

ზემოთქმულის (საქართველოს ეკლესია რომ ყველა ქრისტიანულ ეკლესიასთან ერთნაირ, მიუკერძოებელ ურთიერთობაში იყო) დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს IX საუკუნის დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწის ილარიონ ქართველის მომლოცველობა მისი დროის უმთავრეს ქრისტიანულ წმინდა ადგილებში. ილარიონის მიერ მოლოცვილი ადგილები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა თავიანთი განუმეორებელი სიწმინდეებით, მაგრამ იგი არც ერთ მათგანს არ ანიჭებს განსაკუთრებულ უპირატესობას.

სხვაგვარად ფიქრობს ნ. პაპუაშვილი¹. მისი აზრით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების დაპირისპირების დროს, „აპრიორულად სავარაუდოა, რომ ქართველებს ამ შემთხვევაში უფრო მეტად რომის მხარე დაეჭირათ“. ამ მოსაზრების დასაბუთებისათვის მას მიაჩნია სამი ქართველი წმინდანის – ილარიონის, იოანეს და გიორგის – ცხოვრება. როგორც ქვემოთ შევეცდები ვაჩვენო, დასახელებული სამი წმინდანის ცხოვრება არ იძლევა ამგვარი სერიოზული დასკვნის გაკეთების საფუძველს.

წმ. ილარიონმა ჯერ მოილოცა იერუსალიმი და პალესტინის სიწმინდეები: „წარვიდეს ქალაქად წმიდად იერუსალმად და მოილოცნეს წმიდანი იგი და თაყუანისსაცემელნი ადგილნი. და იხილა მას შინა წმიდამან მან ყოველივე სახლ განგებულებისა სიტყუსა ღმრთისაჲ და თაყუანის-სცა წმიდასა

¹ პაპუაშვილი ნ., ვიდრე ერთმორწმუნეობის სამოსელი ვაირღვეოდა <http://church.ge/index.php?showtopic=8289>, 5.

და დიდებულსა გოლგოთასა და ცხოველს-ყოფელსა საფლავსა. და მიერ წარვიდა ბეთლემად... მიიწია ვიდრე ლავრადმდე დიდისა საბაძსა¹. იგი პალესტინიდან სამშობლოში დაბრუნდა მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ.

ილარიონი საქართველოდან კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. „წარვიდა კონსტანტინოპოლედ თაყუანის-ცემად პატიოსანსა ჯუარსა და ყოველთა წმიდათა ეკლესიათა... თაყუანის-სცასასურველსა თვსსა ძელსა პატიოსანსა და ამბორს-უყო სურვილით ნაწილთა წმიდათასა“², წმინდანმა იმპერიის დედაქალაქში ხუთი წელი დაჰყო. ამის შემდეგ „განიზრახა, რამთა მიერ წარვიდეს პრომედ თაყუანის-ცემად სამარხვოსა წმიდათა და ყოველად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა... და წინამძღვარებითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა მოციქულთაჲთა მიიწია ქალაქად პრომედ. და ვითარცა ირემმან, სურვიელმან წყაროდ მიმართ წყალთაჲსა, ეგრეთ აღვზნებულმან სურვილითა საღრმთოოდთა მესხეულად მიისწრაფა ტაძრად წმიდათა და თავთა მოციქულთა პეტრესსა და პავლესსა...“³. წმინდანმა ორი წელი რომში გაატარა. მაგრამ, როგორც წმინდანის ცხოვრებიდან ჩანს, მისი სიმპათიები მაინც კონსტანტინოპოლისკენ იყო. რომში სხვადასხვა სასწაულის

¹ ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-XV სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967, 13.

² ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ, 22.

³ ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ, 22

მოსდენის „შემდგომად აღძვრითა ზეგარდმოთა მოუკდა გულსა, რადთა კუალად წარვიდეს სამეუფოდ ქალაქად კონსტანტინოპოლედ, რამეთუ ენება ღმერთსა, რადთა არაჯუებულ ყოს დიდებული ესე ქალაქი, რომელსა შეუკრებიან სიმრავლენი ყოველთა წმიდათანი თავსა შორის თვისსა და გარემოდს ყოველთავე სანახებთა თვთა, და რადთა ამისთაცა ნაწილთა ღირს იქმნას შეწყნარებად ვრცელთა მათ და დიდებულთა წიადთა შინა თვსთა, რომლისაცა მიზეზისათვის წარმოვიდა მიერ წმიდად ილარიონ¹. დასნეულებულმა წმინდანმა ქალაქ თესალონიკამდე მიადწია და იქვე გარდაიცვალა. მისი ნეშთი კონსტანტინოპოლში დაკრძალეს².

როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, „ილარიონი თითქმის პირველი ქართველი იყო, რომელმაც თავის თანამემამულეებს, მათ შორის ექვთიმესაც (მთაწმინდელი – ე. მ.), გზა გაუკაფა დასავლეთისაკენ. ილარიონს ვერ აკმაყოფილებდა ვერც სამშობლო და ვერც აღმოსავლეთი, ამიტომ მან უღუმბო-კონსტანტინოპოლი-თესალონიკე-რომით დასავლეთს მიმართა, სწორედ ასე მოიქცა ექვთიმეც: უღუმბო-კონსტანტინოპოლ-ათონის გზით მას უნდოდა რომსაც გასცილებოდა და თვით ისპანიაში დამკვიდრებულიყო³. წმინდანის ცხოვრება კი გვიჩვენებს, რომ

¹ ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ, 24

² ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ, 30-37.

³ კეკელიძე კ., ნაწევები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1957, 143.

მას გული კონსტანტინოპოლისაკენ მიუწევდა და იქ დამკვიდრება უნდოდა. მან სიცოცხლეში ვერ შეძლო ამ სურვილის აღსრულება, მაგრამ როდესაც თესალონიკეში გარდაიცვალა, მისი ნეშტი გადასვენეს მისი მოწაფეების მიერ აშენებულ პრომანის მონასტერში, კონსტანტინოპოლის მახლობლად¹.

ილარიონის მომლოცველობიდან ჩანს IX საუკუნის ქართველების პატივისცემა და მოწიწება აღმოსავლეთის (სირია-პალესტინის) სიწმინდეებისადმი, ქართველთათვის კარგად ცნობილი ძველი და ახალი აღთქმის სამყაროსადმი. იმავე დროს გამოკვეთილია ღტოლვა ახლად ჩამოყალიბებული რელიგიური და პოლიტიკური ცენტრებისაკენ – კონსტანტინოპოლისა და რომისაკენ. ვფიქრობ, წმ. ილარიონის ცხოვრების ლაიტმოტივი არის არა რომელიმე ეკლესიის უპირატესობის წარმოჩენა, არამედ თითოეული მათგანის საქრისტიანოსათვის მნიშვნელობის ხაზგასმა და ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობის პროპაგანდა. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა, წმინდანის მიერ თანამედროვე ქართული საზოგადოების აზრის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

გიორგი მთაწმინდელის მიერ დაწერილ **იოვანე მთაწმინდელის** ივირონის მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებლის, „ცხოვრებაში“ გადმოცემულია იოანესთან დაკავშირებული პასაჟი, რომელიც „ივირონის აქტების“ გამომცემლებს საეჭვოდ მიაჩნიათ². „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „*შემდგომად თორნი-*

¹ *ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ, 30-37.*

² *ივირონის აქტები, I.* დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე დიპლომატიკური გამოცემა. უაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპასისისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავ-

კის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამან ჩუენმან იოვანე, რაათა აღილოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და იველ-ტოდის სპანიად – რამეთუ პირველითგანვე უძნდა შუღლიანობა და შფოთი, გარნა თავს ედვა მუნ უამამდე თორნიკის აშენებისათჳს და რაათა შეიძინოს სული მისი, – რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკჯდრნ არიან მუნ, და ამის პირისათჳს წარვიდა ავიდოსამდე...“¹

არ დავიწყებ იმაზე მსჯელობას, შეიძლებოდა თუ არა იოვანე იბერს ჰქონებოდა ესპანეთში გადასახლების სურვილი. „ცხოვრების“ ეს საინტერესო პასაჟი ავტორს, გიორგი მთაწმინდელს ხომ ეკუთვნის და, მაშასადამე, მის თვალსაზრისსაც უნდა გამოხატავდეს. მაგრამ, საინტერესოა, გვაძლევს თუ არა საფუძველს მოყვანილი ამონარიდი იოანე იბერის ან გიორგი მთაწმინდელის დასავლეთის ეკლესიისადმი ლიბერალური დამოკიდებულების დასადგენად.

„ცხოვრებაში“ გარკვევითაა ნათქვამი, რომ იოვანეს, თავიდანვე არ უნდოდა მონასტრის მშენებლობასა და მის მართვაში მონაწილეობის მიღება, რადგან ძმობაში შუღლი და შფოთი არსებობდა. იოვანეს გაგებით, ესპანეთში გადასახლებით სხვა ტომელებთან კი არ დამკვიდრდებოდა, არამედ ესპანეთის მკვიდრ ქართველებთან (იბერებთან) დაიდებდა ბინას

ტორობით. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბლიეშივილმა, თბილისი, 2008, 42-43.

¹ ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისად. აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-XV სს.), 54.

და სულიერი სიმშვიდეს მოიპოვებდა. ნაწილობრივ გასაზიარებელია „ივირონის აქტების“ გამომცემელთა მიერ იოანეს სურვილის შეფასება: *„ეს ცნობა იმასაც გვიდასტურებს, რომ იოვანე იბერს მარტომყოფობა უნდოდა და მმართველობას გაურბოდა“*¹. მაგრამ უფრო მართებულად მიმაჩნი ივ. ჯავახიშვილის მიერ იოანეს გადაწყვეტილების თვით იოანესავე სიტყვებით ასხნა: *„ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირდენი ნათესავნი და ერნი მკვდრნი არიან მუნ“*. *„ცხადია, იოანეს იმედი ჰქონია, – განმარტავს ისტორიკოსი, – რომ ესპანიაში ვითომც მცხოვრები ქართველნი იმ ქართველებზე უკეთესნი იქნებოდნენ, რომელნიც ათონის მთაზე შეკრებილი იყვნენ; მასასადაამე, ამ შემთხვევაშიაც იოანე ადგილის ამორჩევის დროს თანამომხეებს ეძებდა და ქართველებს“*²

ამგვარად, ივირონში არსებული შუღლი და დაპირისპირება, რომლისგანაც გარიდება სურდა იოვანე იბერს, არ ნიშნავდა მის კონფესიურ სხვაგვარ აზროვნებას. ის აღმოსავლური ეკლესიის ერთგული დარჩებოდა, როგორც ის ფიქრობდა, „მომემ“ ესპანელ იბერებშიც.

ვიდრე ვიტყოდეთ დიდი ქართველი სასულიერო და კულტურის მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის ბერძნული და რომაული ეკლესიებისადმი დამოკიდებულებაზე, მანამდე მოკლედ გადავხედოთ რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიათა მეთაურების საეკლესიო და პოლიტიკურ ამბიციებს და ყოველივე ამის მიმართ ქართველთა დამოკიდებულებას.

¹ *ივირონის აქტები*, I, 42-43.

² ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტომი II, თბილისი, 1983, 170.

ქართველი საეკლესიო მოღვაწენი ხედავდნენ, რომ საქმე განხეთქილებისაკენ მიდიოდა და ისინი ყოველთვის მიანიშნებდნენ, რომ საქრისტიანოს და ეკლესიების ერთობის მომხრენი იყვნენ. ისინი ყველა ეკლესიისადმი პატივისცემას ადასტურებდნენ. საქართველოში თავდაპირველად არ იზიარებდნენ ბერძნების მიერ ორ ეკლესიას შორის არსებულ რიტუალური განსხვავებების გაზვიადებას. საკითხისადმი ამგვარ მიდგომას ვხედავთ განხეთქილებამდე რამდენიმე წლის წინ, ექვთიმე გრძელი იერუსალიმელისა და სომხური მონასტრის შარმაშენის წინამძღვრის სოსთენის პაექრობისას ღრტილას ანუ არტანუჯის კრებაზე 1046 წელს. სოსთენმა, რომელსაც მხარს უჭერდა ბაგრატ IV-ის სამსახურში დაწინაურებული, სოსთენის დისწული, მწიგნობართუხუცესი იერემია¹, ექვთიმეს ნიშნის მოგებით ჰკითხავს: ნუთუ ჩემთან საპაექროდ იერუსალიმიდან მოხვედით, ექვთიმემ მიუგო: *„მე უკუშ პირუშლად მოვალ წმიდით ქალაქით რუსალიმით აღსადგომელით უფლისათ... და მიერ ანტიოქიით და ჰრომით საყდრით წმიდისა პეტრე მოციქულთა თავისათ და მერმე აღექსანდრიით... და მერმე კონსტანტინოპოლით... ხოლო შენ ვინა მოხვალ არა უწყი, არგანადო და შარმაშენით მოხვალა და მოვაქუ წუალება ნესტორისა და სევერიზისი“².*

ამონარიდიდან ჩანს, რომ ქართველი ეკლესიის მსახურნი ყველა ქრისტიანულ ცენტრებს ერთნაირად პატივს სცემდნენ.

¹ აბდალაძე ა., *ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში*, თბილისი, 1988, 121.

² *საქართველოს სამოთხე*. საბინინის გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1882.

XI საუკუნე გარდატეხის პერიოდია დასავლეთის და აღმოსავლეთის იმპერიების ურთიერთობაში. პოლიტიკურმა დაპირისპირებამ თავისი ასახვა პპოვა ქრისტიანული სამყაროს შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ რელიგიურ-იდეოლოგიურ ბრძოლაში. ამ დიდი დაპირისპირების პარალელურად აღმოსავლეთის ეკლესიაში იყო „შიდა“ წინააღმდეგობები, რომლებიც საერთო სურათის აღქმას ართულებდა.

საეკლესო განხეთქილების მიმართ ქართველთა დამოკიდებულებაზე საუბრამდე მოკლედ მაინც უნდა ითქვას საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკურ ურთიერთობაზე XI ს. პირველ ნახევარში. ამ პერიოდში სერიოზულად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში. არაბთა სახალიფოს ნანგრევებზე აღმოცენებული მუსლიმანური საამიროები ბიზანტიისათვის სერიოზულ მოწინააღმდეგეს აღარ წარმოადგენდნენ. შეცვლილ ვითარებაში ბიზანტია აღარ საჭიროებდა ძლიერ მოკავშირეებს საქართველოსა და სომხეთის სახით და მათი დასუსტება იმპერატორის კარისათვის სრულიად მისაღები იყო. ბიზანტიის ხელისუფლება მხარს უჭერს საქართველოში არსებულ სეპარატისტულ ძალებს. ეს გახდა მიზეზი გაძლიერების გზაზე დამდგარი საქართველოს ბიზანტიასთან დაპირისპირებისა, რაც შემდეგში იმპერიის მხრიდან პირდაპირ აგრესიაში გადაიზარდა.

დიდი საეკლესიო განხეთქილების წინ, საქართველო-ბიზანტიის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ქართული სამეფო კარისა და ეკლესიის მიერ გატარებული დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რაც გამოიხატა ანტირომაული პოლიტიკისადმი მხარის არ დაჭერაში. ამგვარ პოლიტიკას ერთობლივად ანხორციელებდნენ კეისარი და მისი გავლენის ქვეშ მყოფი საპატრიარქოები. ამ პერიოდში ქარ-

თული ეკლესიის მტკიცე პოზიცია იყო ქალკედონური მრწამსის და ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობის დაცვა, რომლის ბურჯი რომის ეკლესია უნდა ყოფილიყო. ახალი არ იყო, რომ რომის ეკლესია თვითონ გამოდიოდა ქრისტიანული ეკლესიის გამაერთიანებლის პრეტენზიით და ამის მიღწევას ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა. ამ პრეტენზიას კვებავდა ოდინდელი რომის იმპერიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიული განვითარების თავისებურებები, რამაც V-VI საუკუნეებში გამოიწვია „*ეპატობრივად ურთიერთგამომრიცხველი „ეკლესიოლოგია“ – ორი სწავლება ეკლესიის შესახებ. აქ ხაზი უნდა გაეუხვათ იმას, რაც აღმოსავლეთის ბრალის არსს წარმოადგენს ეკლესიათა განყოფაში. კერძოდ, აღმოსავლეთის ეკლესიურმა აზროვნებამ თითქმის სრული უგრძობლობა გამოიჩინა ამ ეკლესიოლოგიური წინააღმდეგობის მიმართ, და პაპიზმის ზრდას არ მოჰყოლია რაიმე თანმიმდევრული რეაქცია. მსოფლიო კრებების პერიოდში რომი ღიად აღიარებს თეორიას, რომის ეპისკოპოსის მსოფლიო ეკლესიაზე „ძალაუფლების“ (Potestas) შესახებ... მაშინ, როდესაც დასავლეთი გამოკვეთილად ავითარებდა თავის მიმართულებას, აღმოსავლეთს (XI საუკუნემდე) არც ერთხელ არ გამოუხატავს თავისი უთანხმოება რაიმე ცხად ფორმებში, და ყოველთვის ცდილობდა მიეჩქმალა პრობლემა ბუნდოვანი და ორაზროვანი ფრაზებით... ეფესოსა და ქალკედონის ისტორიიდან მართლაც შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბერძენი ეპისკოპატი ნამდვილად აღიარებდა რომის ეპისკოპოსის განსაკუთრებულ პრეროგატივებს... როცა აღმოსავლეთის ეკლესიას მთლიანობაში განვიხილავთ, მაშინ, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს სიმართლე არ არის¹. აღ.*

¹ შუმანი ალ., *განყოფა. „ღიალოგი“*, №1 (2), თბილისი, 2005, 48.

შემანს მოჰყავს ა. კარტაშევის სიტყვები, რომ აღმოსავლეთის ეკლესია არა მხოლოდ დროულად არ ეწინააღმდეგებოდა „პაპობის დოგმატის მზარდ მისტიკას“ და უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ პაპების ფორმულარებს, რომისადმი თავისი „იურიდიულად გაუაზრებელი აპელაციებით და გულუბრყვილო რომოფილობით“ ხელს უწყობდნენ რომაელთა შორის ილუზიის ჩამოყალიბებას, „თითქოს ბერძნები მართლაც იზიარებდნენ პაპობის მისტიკის რომაულ გაგებას“¹. აღმოსავლეთში პაპიზმის ამგვარი გაგების მიზეზი ძვეს აღმოსავლეთის ეკლესიის რომის იმპერიასთან განსაკუთრებულ კავშირში, იმ იმპერიასთან, რომელიც კონსტანტინე დიდმა ქრისტიანული იმპერიის სახით შექმნა და ამის გამო, „რომაული იდეა“ „გაზიარებული იქნა, როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში. როდესაც დასავლეთის იმპერია დაინგრა „რომაულმა იდეამ“ ფორმა შეიცვალა, ხელი შეუწყო პაპიზმის იდეის ზრდას. როდესაც აღმოსავლეთი ფაქტობრივად გამოეყო დასავლეთს, აღმოსავლეთში უკვე აღარ ესმოდათ ის დოგმატური აზრი, რასაც პაპები თავის იურისდიქციულ პრეტენზიებში დებდნენ, და „მათ გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ საქმე ჰქონდათ უბრალო ადმინისტრაციულ პირველობასა და პატივმოყვარეობასთან“... მაგრამ აღმოსავლეთის გაგებით, ამგვარი ადმინისტრაციული საკითხები ეხებოდა არა იმდენად საეკლესიო, არამედ საეკლესიო-სახელმწიფო სფეროს“².

აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს დაშორდნენ როგორც სახელმწიფოებრივად ისე ეკლესიურად. ჩამოყალიბდა ორი სამყარო, ორი ტრადიცია, ორი საეკლესიო ფსიქოლოგია.

¹ შემანი ალ., *განყოფა*, 50.

² შემანი ალ., *განყოფა*, 51.

საქმე მივიდა ამ განცალკევების ფორმალურად გაფორმებამდე. მაგრამ აღმოსავლეთს და დასავლეთს ერთმანეთისათვის არ ეცალათ. მათ თავიანთ გავლენის სფეროებში მრავალი მოსაგვარებელი პრობლემა ჰქონდათ. „თუ ადრეულ ეკლესიაში ერთობა მოიაზრებოდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც ერთობა რწმენისა, სიყვარულისა და ცხოვრებისა, დასავლეთისათვის ახლა უკვე მთელი პრობლემა ერთადერთ პუნქტამდე დაიყვანებოდა: რომისადმი მორჩილება, მისი აბსოლუტური პრიმატის გარეგნული აღიარება. ბიზნტიის ყოველ თხოვნას დახმარების შესახებ რომი პასუხობდა: აღიარეთ პაპის ძღაუფლება და მთელი დასავლეთის სამყარო თქვენი მოკავშირე გახდება. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ დასავლეთის სულიერი ცენტრი რომი გახდა, ამიერიდან ყოველთვის, როცა ბიზანტია ისლამის სულ უფრო მაგრად მოჭერილ მარწუხებში იხრჩობა, მას ერთადერთი გზა დარჩენია – მიმართოს რომს. და აი, ახალ-ახალი რგოლები ემატება დაუსრულებელი მოლაპარაკებების, კინკლაობის, დაპირებების, ტყუილების სამარცხვინო ჯაჭვს, რომელშიც არის ყველაფერი, გარდა უმთავრესისა: არ არის სურვილი ერთიანობისა, ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი აღდგენისა“¹.

ის რაც აღმოსავლეთის ეკლესიაზე ზოგადად ითქვა, ბუნებრივია, ქართულ ეკლესიაზეც ვრცელდებოდა. პაპობისა თუ პაპიზმისადმი მიმართებაში ტრადიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში თავს იჩენდა კიდევ და მისი ინტერპრეტაცია, ქართველების მხრიდან, ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სქიზმამდელი პენტარქიის (ხუთი საპატრიარქოს ერთობა) სახით, რომელშიც რომის ეპი-

¹ შამუნიანი აღ., *განყოფა*, 61-62.

კოპოსი იყო მხოლოდ „პირველი თანასწორთა შორის“. რა თქმა უნდა, მონოლითური არ იყო აღმოსავლეთის ეკლესია და ხშირად წინააღმდეგობა პოლიტიკურ-ეკლესიურ ინტერესთა სხვადასხვაობაში ვლინდებოდა.

საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკურმა დაპირისპირებამ გამოიწვია საეკლესიო ურთიერთობის გათულებაც: დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ ქართველი და ბიზანტიელი სამღვდელონიც. ამ უკანასკნელთ განიზრახეს ქართველთა გაძევება იმპერიის ტერეტორიაზე არსებული სახელგანთქმული სავანეებიდან და მათი ქონების დაუფლება. დაპირისპირებამ განსაკუთრებით დაუფარავად იჩინა თავი საზღვარგარეთ არსებულ ისეთ მნიშვნელოვან რელიგიურ-კულტურული ცენტრებში, როგორც იყო: ივერიის მონასტერი ათონის მთაზე (ეგეოსის ზღვის პირას, ქალკედონის ნახევარკუნძულზე), შავი მთა (ანტიოქიის მახლობლად). ბერძნებმა პიველ რიგში იოანე მთაწმინდელის და თორნიკე ერისთავის მიერ დაარსებულ სახელგანთქმულ ათონის მონასტერს შეუტიეს 1019-1029 წლებში და იმას მიაღწიეს, რომ მონასტრის წინამძღვარი გიორგი ვარაზეაჩე გადასახლებაში გარდაიცვალა (1029). ბერძნებმა მონასტერი სამჯერ გაძარცვეს, საპყრობილეში ჩასვეს იმავე მონასტრის სხვა წინამძღვარი არსენი. იმავე დროს შავ მთაზე დაიწვეს ქართველი ბერების შევიწროება და ცილის დაწამება, თითქოს ისინი მწვალებლები იყვნენ. ამ ამბების მომსწრე და მოწამე გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი, ქართველი მწერალი) გიორგი მთაწმინდელის ბიგრაფიაში გადმოგვცემს, შურით აღვსილი სვიმეონ-წმინდის მონასტრის ბერები როგორ აპირებდნენ ქართველებს გაძევებას. მათ განიზრახეს, „*რადთა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩუენსა ბიწი*

რამე დასწამონ¹. ქართველებისათვის მწვალებლობის დაბრალებამ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ანტიოქიის ახლადარჩეულმა პატრიარქმა თევდოსიუს II-მ (1075-1084) გამოძიება დანიშნა და ბერძნული ენისა და მწერლობის მცოდნე ქართველის თავისთან მიყვანა ბრძანა. პატრიარქის წინაშე წარსდგა გიორგი ათონელი (მთაწმინდელი), რომელმაც „იწყო წარმოთქმად მართლისა სარწმუნოებისა ესრეთ, რომელგან აკვრენა მსმენელნი, რამეთუ სული წმიდად იტყოდა პირით მისით“².

ბერძენმა ბერებმა, დარწმუნდნენ რა ქართველებისათვის მწვალებლობაში ბრალის დადების უპერსპექტივობაში, ახლა შეტევა სხვა მხრიდან წამოიწყეს. მათ ეჭვქვეშ დააყენეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა და ანტიოქიის საპატრიარქოსადმი მისი დაქვემდებარება განიზრახეს, მაგრამ გიორგი ათონელმა ამჯერადაც ბრწყინვალედ დაიცვა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა. ეს მოხდა კონსტანტინოპოლისა და რომის ეკლესიების განხეთქილებიდან (1054) მცირე ხნის შემდეგ, კონკრეტულად კი – 1057 წელს. როგორც ჩანს, აღმოსავლეთის სხვა საპატრიარქოებს (ყოველ შემთხვევაში ანტიოქიის საპატრიარქოს მაინც) ჯერ კიდევ არ გაუზიარებიათ კონსტანტინოპოლის პოზიცია (ისინი ხომ იმპერიის შემადგენლებაში იმყოფებოდნენ) და ჯერ კიდევ არ არიან რომთან გათიშულნი. ასეთი მდგომარეობა ნათლად გამოჩნდა, მაშინ, როდეს

¹ გიორგი მცირე, *ცხორებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა*. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 149.

² გიორგი მცირე, *ცხორებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა*, 150-151.

საც ანტიოქიის საპატრიარქოში შეიმუშავეს ქართული ეკლესიაზე ანტიოქიის პატრიარქის გაგლენის გავრცელების პროგრამა¹. თუ ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგება საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფლება, მაშინ „*მიუწეროთ ხოთავე პატრეაქთა საყდრის-მოდგმათა ჩვენთა და ვაუწყოთ თვითრჩეულობა*“² და *ქედფიცხელობა*³ ნათესავისა თქვენისა“⁴ – დამუქრა პატრიარქი გიორგი მთაწმინდელს. როგორც ჩანს, ანტიოქიის პატრიარქი თავის მხარდამჭერთა შორის რომის პაპსაც გულისხმობდა, თვითონ ხომ მეხუთე იყო.

საინტერესოა, რომ **გიორგი მთაწმინდელის** ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობისას და შემდეგ კონსტანტინოპოლში კონსტანტინე X-სთან ვიზიტის დროს გამოკვეთილად ჩანს მისი კრიტიკული დამოკიდებულება აღმოსავლეთის ეკლესიების მიმართ და უპირატესობას ანიჭებს ქართულ და რომაულ ეკლესიებს. სავარაუდოა, რომ გიორგი საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლების საერთო აზრის გამომხატველი იყო. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბერძნულ-ბიზანტიურმა ეკლესიამ გადაუხვია თავდაპირველ ქრისტოლოგიურ პრინციპებს, რაც გამოწვეული იყო ამ ეკლესიის წიაღში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მწვალებლური მოძღვრებისა და მოძრაობის არსებობით. ჩვენ ქართველებს კი – განუცხადა მან

¹ ვრცლად იხ. მამისთვალისშილი ე., *ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიასთან ურთიერთობის ისტორიიდან*, 251-258.

² თავნებობა.

³ დაუმორჩილებლობა

⁴ გიორგი მცირე, *ცხორება გიორგი მთაწმინდელისა*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 153

ანტიოქიის პატრიარქს – „*ვინადიგან ერთი ღმერთი გვიცნობი-
ეს, არღარა უარგვიყოფიეს. და არცა ოდეს წვალებისა მიმართ
მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი, და ყოველთა უარისმყოფელ-
თა და მწვალებელთა შევაჩვენებთ და დავსწყევთ*“¹. მოგვიანე-
ბით, ამგვარადვე შეაფასა გიორგი მთაწმინდელმა რომის ეკ-
ლესია კონსტანტინოპოლში, როცა მას იმპერატორმა სთხოვა
ორ ეკლესიას შორის არსებული განსხვავება და უპირატესობა
წარმოეჩინა: „*პოი მეფეო, ვინადიგან ბერძენთა შორის მრავალი
წვალებად და მრავალგზის მიდრეკეს... ხოლო პრომთა ვი-
ნადიგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარაოდეს მიდრეკილ
არიან და არცა ოდეს წვალებად შემოსრულ არს მათ შორის*“².

გიორგი მთაწმინდელს საკმაოდ სრული წარმოდგენა ჰქონდა
ათონელი ქართველი ბერების რომის ეკლესიის წარმომადგენ-
ლებთან, კერძოდ, ამალფიტელთა მონასტერთან ურთიერთობის
შედეგად. ამ ურთიერთობის საფუძვლის ჩამყრელი იყო ივირო-

¹ გიორგი მცირე, *ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა*, II, 154.

² გიორგი მცირე, *ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა*, 179. იმა-
ვე კეისართან აუდიენციის დროს, რომელსაც ყარსის სომხური
სამეფოს მეფე გაგიკი და სხვა სომხებიც ესწრებოდნენ, საუბრი-
სას გიორგი მთაწმინდელმა მკაფიოდ გამოხატვა აზრი სომეხთა
სარწმუნოებაზე, რომელიც, ალბათ მთელი ქართული ეკლესიას
ეკუთვნოდა. „*მერმე კუალად ჰკითხა მეფემან სომეხთათვის: „თუ
აქუს რად ნაწილი ქრისტეანეთა თანა?“* კეისარის კითხვაში ჩანდა
არაქალკედონური სომხური სარწმუნოების მიმართ არაკეთილგან-
წყობა. გიორგი მთაწმინდელის პასუხიც იმავე განწყობილებას
გამოხატავდა: „*ხოლო მიუვო წმიდამან მოკლედ, ვითარმედ: „ბო-
როტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედებინ“*. და მათ ყოველთა
წინაშე სირცხვლითა აღავსნა სომეხნი ივი მეფენი“. გიორგი
მცირე, *ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა*, 180.

ნის დამაარსებელი იოანე იბერი (გარდ. 1005 წ.). დასახელებული ამალფიტიელთა მონასტერი დაარსდა 984 წ. ქართველების ფინანსური დახმარებით, მაშინ, როდესაც ბენედიქტელოთა ორდენის წევრი ვენეციის ღუკის ძმა ლეონი, ექვსი მოწაფის თანხლებით ათონზე მივიდა და თავდაპირველად ქართველებთან დაიდო ბინა: „და ვითარ იხილეს მამათა ჩუენთა მადლითა შემკობილ სახლ მისი... სიხარულით შეიწყნარეს და ევედრებოდეს აქა ყოფასა და ეტყოდეს, ვითარმედ: „ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ... ჩუენ გიყიდოთ ადგილი და ყოველთავე საკმრითა შეგეწინეთ“¹.

გიორგი მთაწმინდელი გადმოგვცემს აგრეთვე როგორი ახლო სულიერი მეგობრობა დამყარდა ლეონსა და ივირონის მონასტრის ბერ ათანასეს შორის². გიორგის დროს იტალიელთა მონასტერი ერთადერთი ლათინთა მონასტერი იყო ათონზე და ქართველებს მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ³.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებამდე, საქართველოს და დასავლეთის ხელისუფალთა და იერარქებისათვის ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო ივირონის მონასტერი.

¹ *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II, 65; *ივირონის აქტები*, I, 46-47.

² *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II, 66.

³ *ივირონის აქტები*, I, 47.

IV. ჯვაროსნული ლაშქრობების ზოგადი დახასიათება

იმისათვის, რათა გასაგები გახდეს რა საერთო და განსხვავებული მიზნები ჰქონდათ ქართველებსა და ჯვაროსნებს წმიდა მიწის მიმართ, ძალიან მოკლედ მაინც უნდა ითქვას ჯვაროსნულ ლაშქრობებზე, მის თანადროულ საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და იმის შესახებაც თუ რა იცოდნენ ჯვაროსნებმა პალესტინაში მცხოვრები ქართველებისა და, ზოგადად, საქართველოს შესახებ.

ჯვაროსნული ლაშქრობები, ე. ი. დასავლეთი ევროპის მიერ ახლო აღმოსავლეთში გაჩაღებული ომი (ევროპელთა მიგრაცია თუ კოლონიზაცია?), უმნიშვნელოვანესი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. მის ღოზუნგს ქრისტეს საფლავის მუსლიმანთა ტყვეობიდან დახსნა წარმოადგენდა. ამ წამოწყების სულის ჩამდგმელი იყო კათოლიკური ეკლესიის მეთაური რომის პაპი, რომელსაც დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებში უდიდესი გავლენა ჰქონდა. ომები, დროგამოშვებით, თითქმის ორი საუკუნე მიმდინარეობდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებისათვის არსებობდა სხვადასხვა მიზეზები (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური...), რომლებზეც საუბარი, ამჯერად, საჭირო არ არის. იმის აღნიშვნა კი აუცილებელია, რომ ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურისათვის ხელსაყრელი იყო. დასავლეთ ევროპის, განსკუთრებით კი ჩრდილო იტალიის სავაჭრო-სამრეწველო ქალაქები დიდად დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი უმთავრესი კონკურენტის – ბიზანტიის აღმოსავლეთთან ვაჭრობიდან ჩამოშორებით. ბიზანტია – დასუსტებული შიდა

პოლიტიკური არასტაბილურობით და გარეშე მტრებთან – თურქ-სელჩუკებთან, ნორმანებთან, პაჭანიკებთან ბრძოლით, დასავლეთ ევროპაში სერიოზულ მოწინააღმდეგედ აღარ აღიქმებოდა.

ჯვაროსნული ომების დაწყების წინ საქართველოს სახელმწიფოსაც, როგორც მუსლიმან მეზობლებთან ისე ბიზანტიასთან კონფრონტაციის მიზეზები და პრეტენზიები ჰქონდა, რომელთა შესახებ შემდეგში აღინიშნება.

რომის პაპისა და კათოლიკური სახელმწიფოების ბიზანტიის საშინაო საქმეებში ჩარევის პირობას თვით საიმპერატორო კარი ქმნიდა. ეს უკანასკნელი მათ გამუდმებით თხოვდა დახმარებას, განსაკუთრებით მანასკერტთან (1071 წ.) დამარცხების და იმპერატორ დიოგენეს ტყვედ ჩავარდნის შემდეგ. XI საუკუნის მეორე ნახევარში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმეტესობა და თვით ბიზანტიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მომთაბარე თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს. მათი თარეშით საქართველოც დიდად ზარალდებოდა.

კათოლიკური ეკლესიის მეთაურები მოხერხებულად იყენებდნენ სირია-პალესტინაში შექმნილ ვითარებას, და დასავლეთ ევროპის მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას არწმუნებდნენ, რომ ქრისტეს საფლავის დასნანსთან ერთად, დაპყრობილ ადგილებში იშოვიდნენ მიწას, ყმებს და სხვა სიმდიდრეს. ჯვაროსნული ლაშქრობისადმი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების კეთილგანწყობის ასამაღლებლად ხდებოდა მათი დეზინფორმირება. ამახინჯებდნენ და ანტიმუსლიმანურ ელფერს აძლევდნენ სირია-პალესტინაში მომხდარ სხვადასხვა ფაქტებს: თითქოს ხდებოდა იქაური ქრისტიანების დევნა და ხოცვა, ადგილობრივი ხელისუფალნი ძარცვავენდნენ და ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, მათ შორის ისეთსაც კი, როგორც

იყო იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესია, რაც დასავლეთ ევროპაში ხალხის მასების აღშფოთებას იწვევდა.

1099 წ. 15 ივლისს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, საშინლად გაძარცვეს და მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის ქრისტიანებიც, გაწყვიტეს.

ჯვაროსნებმა პირველი ლაშქრობის შედეგად დაპყრობილ ტერეტორიაზე დაარსეს იერუსალიმის სამეფო, რომელსაც ნომინალურად ემორჩილებოდა ანტიოქიის სამთავრო, ტრიპოლის საგრაფო და ედესის საგრაფო. სამეფო, თავისებურ, სუსტ სამხედრო-ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ქვეყნის შიდა რაინებში ფაქტობრივად სამეფო ხელისუფლება ვერ ვრცელდებოდა, მას ძირითადად ზღვის სანაპირო ზოლი ემორჩილებოდა; სამეფოში ჯვაროსან-რაინდთა შემადგენლობა მუდმივად იცვლებოდა, რაც, აგრეთვე, ამ სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუსტ მხარეს წარმოადგენდა; ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევით გამდიდრებული რაინდების ერთი ნაწილი ტოვებდა იერუსალიმის სამეფოს და სამშობლოში ბრუნდებოდა, მათ ნაცვლად ევროპიდან სხვები მოდიოდნენ; სერიოზულ პრობლემას ქმნიდა რაინდებსა და დაპყრობილ მოსახლეობას შორის დაპირისპირება, რაც ზოგჯერ აჯანყებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ყოველივე აღნიშნულის გამო ძნელი იყო ახლად დაარსებული სახელმწიფოს მტრისგან თავდაცვა.

იერუსალიმის სამეფოს სოციალური და პოლიტიკური წყობილება დასავლეთ ევროპის ფეოდალური სახელმწიფოს ანალოგიური იყო, მაგრამ ბატონყმური ურთიერთობა აქ უფრო მკაცრი გახდა. ყველა მიწათმოქმედი მიმაგრებული იყო მიწაზე, მაგრამ ევროპელი ყმისაგან განსხვავებით, ბატონის მიერ სირიელი ყმის მიწიდან და ოჯახიდან მოცილება შედარებით

იოლად ხდებოდა. ბატონს შეეძლო ყმის გაყიდვა, გასაჩუქრება, მზითვეში გატანება და სხვ. ყმები რაინდების ხელში ყოველგვარი პირადი უფლებების გარეშე დარჩნენ. ყოველივე ამან და იმ გარემოებამ, რომ ყმა არც რაიმე ტრადიციული ჩვეულებით იყო დაცული, ბატონყმობა იერუსალიმის სამეფოში უფრო აუტანელი გახდა. გლეხობის დიდი უმრავლესობა რაინდის სასარგებლოდ თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს იხდიდა, როგორც ფულადი, ისე პროდუქტების სახით. ხშირად გადასახადი ნებისმიერი იყო, რადგან ჯვაროსნების უმრავლესობა, როგორც ზემოთ ითქვა, თავის თავს დროებით მაცხოვრებლად თვლიდა და მოკლე ხანში გამდიდრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა. გლეხობა დამპყრობელი ბატონის მიმართ ბრძოლის ყველა საშუალებას მიმართავდა.

იერუსალიმის სამეფოში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პაპის ინიციატივით მუდმივად მოქმედი სამხედრო-სასულიერო ორდენების ჩამოყალიბება. სულ ჩამოყალიბდა სამი ორდენი: ტამპლიერების ანუ ტაძროსნების, იოანიტების ანუ ჰოსპიტალიერების და ტევტონების ანუ გერმანელების. როგორც წესი, ორდენის წევრად ღებულობდნენ რაინდს ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს. ორდენებს საკუთარი წესდებები გააჩნდათ და პაპს ემორჩილებოდნენ.

სასულიერო რაინდული ორდენები, როგორც პალესტინაში, ისე ევროპის სახელმწიფოებში უამრავ მამულებს ფლობდნენ, რომელთა შემოსავალი, ორდენის მიერ წარმოებულ სავაჭრო ოპერაციებთან ერთად, მათი არსებობის მატერიალურ ბაზას წარმოადგენდა.

სასულიერო-რაინდული ორდენების ჩამოყალიბებით იერუსალიმის სამეფოში დროებით სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ სამეფო-სამთავროებს შორის ურთიერთობა მაინც

დაძაბული იყო. ამით ისარგებლა მოსულის ათაბაგმა და სერიოზული დარტყმა მიაყენა იერუსალიმის სამეფოს. მან მოულოდნელი იერიშით დაიპყრო ედესა 1144 წელს. იერუსალიმის მეფე იძულებული გახდა დახმარებისათვის მიემართა პაპისათვის, რომელსაც შეეძლო შესაბამისი აგიტაციით პალესტინაში რაინდთა ახალი რაზმები გაეგზავნა.

1147-1149 წლებში მიმდინარეობდა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა. მასში მონაწილეობდნენ საფრანგეთის მეფე ლუი VII და გერმანიის იმპერატორი კონრად III (1138-1152). ლაშქრობამ სრული კრახი განიცადა, მარცხის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სირიაში ფეხმოკიდებული ევროპელი ბარონები არ დაემარნენ ევროპიდან ახალმოსულებს, რადგან ისინი თავიანთ კონკურენტებად მიაჩნდათ.

ედესის დაკარგვით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შექმნილ საშიშროებას დაემატა კიდევ უფრო საშიში მუქარა სამხრეთიდან. 1171 წელს ეგვიპტის მბრძანებელი გახდა სალად-ედ-დინი (სალადინი). მან ეგვიპტე, სირიის ის ტერეტორიები, რომლებიც ჯვაროსნებმა ვერ დაიპყრეს და ჰიჯასი ერთ სამეფოდ გააერთიანა. სალადინმა „საღვთო ომი“ გამოუცხადა ჯვაროსნებს და სასტიკად დაამარცხა ტივერიადასთან. მან მოკლე დროში ხელთ იგდო პალესტინის მნიშვნელოვანი ქალაქები და 1187 წელს იერუსალიმსაც დაეუფლა.

ჯვაროსნებისაგან განსხვავებით სალადინი გონივრულად მოიქცა: ქრისტიანების ამოწყვეტის ნაცვლად გამოსასყიდი მოითხოვა. ვინც ვერ გადაიხადა საჭირო თანხა მონად გაყიდეს. ფაქტიურად მოისპო იერუსალიმის სამეფო. ჯვაროსნებს შერჩათ ანტიოქია, ტრიპოლი, ტირი და ჰოსპიტალიერების ციხესიმაგრე მარკატი.

1189-1192 წლებში მიმდინარეობდა მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელშიც მონაწილეობდა სამი ძლიერი სახელმწიფოს სამი მეთაური – გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა, საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტუსი და ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული.

ლაშქრობა თავიდანვე განწირული იყო დასამარცხებლად, რადგან დასახელებულ სახელმწიფოთა ლიდერებს შორის არსებობდა უაღრესად სერიოზული წინააღმდეგობები. ფრიდრიხ ბარბაროსა სირიაში პატარა მდინარეში, სალუფში დაიხრჩო 1190 წელს, ფილიპე II თავისი ჯარით საფრანგეთში დაბრუნდა, რიჩარდმა, წარმატებული სამხედრო ოპერაციებით შეძლო სალადინთან სამი წლით დაზავება, რომლის მიხედვით იერუსალიმის სამეფოს დარჩა მხოლოდ ზღვის სანაპირო ზონა ტირიდან იაფამდე, იერუსალიმი კი სალადინისა იყო.

იერუსალიმის განთავისუფლება კვლავ დღის წესრიგში იდგა. შემუშავებული გეგმის მიხედვით, ჯვაროსნები სიცილიიდან ეგვიპტეში გადავიდოდნენ, მისი დაპყრობის შემდეგ კი პალესტინაში შეიჭრებოდნენ. მაგრამ ვენეციელების ინტრიგების შედეგად მოვლენები ისე განვითარდა, რომ 1204 წლის 13 აპრილს აღებული იქნა კონსტანტინოპოლი და ყოფილი ბიზანტიის იმპერიის ტერეტორიის დიდი ნაწილი ჯვაროსნების ხელში აღმოჩნდა. დაარსდა ჯვაროსანთა ახალი იმპერია – „ლათინთა იმპერია“. ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაცემამდე წარმოიშვა ტრაპიზონის იმპერია. ცალკე იმპერიად გამოცხადდა ნიკეა. დამოუკიდებლობა მოიპოვა ეპირის დესპოტატმა. ბიზანტიის იმპერიის მოსპობით ყველზე მეტად ვენეციის რესპუბლიკამ იხეირა.

მარცხით დასრულდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობაც (1217-1221), რომლის ინიციატორებს განზრახული ჰქონდათ

მეოთხე ლაშქრობის თავდაპირველი გეგმის განხორციელება – ეგვიპტის დაპყრობა. მართალია, ჯვაროსნებმა მდ. ნილოსის დელტაში სავაჭრო და სტრატეგიული ქალაქი დამიეტაც კი აიღეს, მაგრამ შემდეგ საბრძოლო ოპერაციების გაგრძელება ვეღარ შეძლეს და უკან ევროპაში დაბრუნდნენ. ჯვაროსნებისადმი დახმარება განზრახული ჰქონდა საქართველოს მეფე გიორგი ლაშას, მაგრამ მონღოლების თავდასხმის გამო ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოახერხა.

მარცხით დასრულდა VI-VIII ლაშქრობებიც.

მარცხით დასრულების მიუხედავად დიდი იყო ჯვაროსნული ლაშქრობების მნიშვნელობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაკავშირების საქმეში; განვითარდა საერთაშორისო ვაჭრობა; განვითარდა ევროპის სოფლის მეურნეობის წარმოება; აღმოსავლეთიდან ევროპაში შევიდა ახალი სასოფლო კულტურები; განვითარდა საბრძოლო ტექნიკა და ზღვაოსნობა.

V. იოანე ხუცესის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში

ქართველი და უცხოელი მკვლევრების ყურადღება დიდი ხანია მიპყრობილია და კვლევის საგანს წარმოადგენს საკითხი იოანე ხუცესის შესახებ¹. ზოგი მკვლევარი ამ ლეგენდარულ გმირში შუა აზიის ზოგიერთ ცნობილ ისტორიულ პიროვნებას ხედავს, ზოგი კი, XII-XIII საუკუნის პირველი მეოთხედში მუსლიმანთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მეფეებს. მე კი **ქართველი მეფეების გაიგივება იოანე ხუცესთან, ქართველთა სასახელო ისტორიული ფაქტების უგულვებელყოფად მიმაჩნია.** აღნიშნულ პერიოდში, სირია-პალესტინასთან დაკავშირებულ ევროპელ ჯვაროსნებს არ შეიძლება ქართველებზე ისეთი წარმოდგენა ჰქონებოდათ, როგორც „დოკუმენტებში“ არის ასახული. ამ მნიშვნელოვანი საკითხის ობიექტურად აღქმისათვის დაიწერა წინამორბედი თავები, რომლებშიც გადმოცემულია საქართველოს კავშირი ევროპასთან (რომთან) ჯვაროსნული ;ლაშქრობების დაწყებამდე.

იერუსალიმის სამეფოს სამხედრო გაჭირვების უამს, 1145 წელს, დასავლეთ ევროპაში გავრცელდა ხმა, რომელმაც მაშინდელი საზოგადოების ყველა ფენის სული და გონება დაიპყრო. XII საუკუნის სახელგანთქმული ქრონიისტი, ფრეიზინ-

¹ საკითხის შესახებ არსებული უცხოური ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვა იხ. გოგოლაძე ან., *იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ*, თბილისი, 2005.

გის ეპისკოპოსი ოტონ ფრეიზინგელი (1111-1158)¹, 1145 წლის ქვეშ გადმოგვცემს: ჩვენ შევხვდით ეპისკოპოსად ახალ ხელდასხმულ სირიელ გაბულის ეპისკოპოსს, რომელმაც მოგვითხრო, რომ რამდენიმე წლის წინათ ვინმე იოანე, უკიდურეს აღმოსავლეთში, სპარსეთისა და არმენიის მხარეს მცხოვრები ქრისტიანული – ნესტორიანული აღმსარებლობის ხალხის მეფე და ხუცესი წავიდა ორი ძმა შამიარდების – მიდიისა და სპარსეთის მეფეების წინააღმდეგ საომრად და დაიპყრო მათი დედაქალაქი ეკბატანა. იოანემ, გამარჯვების შემდეგ გააგრძელა გზა, რათა დახმარებოდა რომის წმინდა ეკლესიას იერუსალიმში, ე. ი. იერუსალიმის სამეფოს. მაგრამ, როდესაც მდინარე ტიგროსს მიაღწია, ხომალდების უქონლობის გამო ვერ გადალახა და ჩრდილოეთისკენ წავიდა, სადაც გაიგო, რომ ეს მდინარე ზამთრობით იყინება. მან იქ გაატარა რამდენიმე წელი, მაგრამ ამოდ, მდინარე არ გაიყინა. იგი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო, მით უმეტეს, რომ არაჯანსაღი კლიმატის გამო მრავალი მებრძოლი დაკარგაო².

¹ იმპერატორ კონრად III-ის ძმა დედის მხრიდან და იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბარუსას ბიძა, 1138 წლიდან ქ. ფრეიზინგის (ბავარიისში, მიუნხენის ჩრდილო აღმოსავლეთით) ეპისკოპოსი. მონაწილეობდა მეორე ჯვაროსნულ ლაშქრობაში.

e . III -

: 1096-1492, .- ,

1887, 379-380.

² *Scriptores rerum Germanicarum in usum scholarum*, rec. Adolf Hofmeister, Hannover–Leipzig, 1913, 365.

ოტონ ფრეიზინგენს ყოველივე ზემოთქმული შეუტყვია იმ წერილიდან, რომელიც დასახელებულ სირიელ კათოლიკე ეპისკოპოსს რომში გაუგზავნია.

1165 წელს, იმავე ქრონიკის მიხედვით, ინდოეთის მეფე იოანე ხუცესმა წერილები გაუგზავნა მრავალ ქრისტიან მბრძანებელს, მათ შორის კონსტანტინოპოლის მეფე მანუილ კომნენოსს და რომის იმპერატორს ფრიდრიხს.

ცნობილია მხოლოდ მანუილ კომნენოსისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი, რომელშიც იოანე ხუცესი აღწერს თავის სახელმწიფოს – „სამ ინდოეთს“, რომლის დედაქალაქი იყო სუზა¹. ახლა ყურადღებას არ შევაჩერებ იმ სახელმწიფოსა და მისი დედაქალაქის სრულიად გაუგებარ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რომელმაც არავითარი კრიტიკული დამოკიდებულება არ გამოიწვია თანამედროვე დასავლეთ ევროპის პოლიტიკოსებში, მათ უდრტვინველად მიიღეს და დაიჯერეს წერილში გადმოცემული სხვა მრავალი „ფაქტი“. იოანე ხუცესის კათოლიკებისადმი დასახმარებლად მისვლის იმედი, ზემოაღნიშნული წერილის დაწერიდან თითქმის 500 წლის შემდეგაც კი ცოცხლობდა².

1177 წელს პაპმა ალექსანდრე III-მ იოანე ხუცესთან გაგზავნა ვინმე ფილიპე, ის პიროვნება, რომელმაც რომში დასახელებული ხუცესის წერილი მიიტანა. პაპმა იგი კათოლიკე

¹ წერილის ფრაგმენტი იხ.

„...“, II, , 1961, 442-443.

²

), , 1970, 12.

ეპისკოპოსად აკურთხა და თავისი წერილი გაატანა. ელჩი ვენეციიდან გაემგზავრა 27 სექტემბერს.

პაპის წერილი საინტერესო და სიმპტომატურია იმდენად, რამდენაც იგი შინაარსითა და პათოსით მიესადაგება იმ წერილებს, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში რომიდან იგზავნებოდა არაკათოლიკურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. პაპები, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, თავს იკავებდნენ პოლიტიკური ხასიათის წერილების გაგზავნაზე აღმოსავლეთში, რადგან მათ არ შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ იქაური ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაზე. პაპის კურიის მიზანი ყოველთვის ნათელი იყო: ადრესატს თუ სურვილი ან საჭიროება უბიძგებს კავშირი დაამყაროს რომთან და მისი საშუალებით დახმარება მიიღოს რომიდან და იმ ქვეყნებიდან, რომლებიც პაპის გავლენის ქვეშ არიან, მაშინ მან თავის ხალხთან ერთად უნდა იწამოს კათოლიკური მოძღვრება და შეუერთდეს რომის ეკლესიას¹.

დიდი ხნის განმავლობაში ევროპელებს არ სურდათ შეგუებოდნენ აზრს, რომ არც ინდოეთში, არც ეთიოპიაში და არც ჩინეთში არ მოიძებნა წერილში დაწვრილებით აღწერილი მეფე იოანეს სამეფო. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმიზეზოდ არაფერი ჩნდება. დღეისათვის უცხოურ გამოკვლევებში მიღებულია, რომ იოანე ხუცესის შესახებ გაგრძელებული ხმების საფუძველი გახდა სინამდვილეში მომხდარი ამბავი: კიდანის გურხანის ელიუმ დაშის მეთაურობით სელჩუკი სულთნის, სანჯარის ჯარის განადგურება ცენტრალური აზიის

¹ *Annales Ecclesiastici*, auctore Caesaro Baronio Sorano, XIX, Lucca, 1746, 450. ციტირებულია რ. ჰენიგის დასახელებული წიგნიდან –
., II, 444-445.

გაერთიანებული ტომების ღაშქრის მიერ კატვანის დაბლობზე 1141 წელს¹. საერაუდოა, ელიუშ დაშის მომთაბარეთა ღაშქარში ნესტორიანებიც² იყვნენ, რაც ხელს უწყობდა ყალბი შეხედულების ჩამოყალიბებას, თითქოს აღმოსავლეთში არსებობდა ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის მეფე იყო იოანე ხუცესი. იოანე ხუცესისაგან დახმარების მიღების მოლოდინი გამოცოცხლდა მას შემდეგ რაც ასპარეზზე გამოჩნდნენ მონღოლები, რომლებმაც სრულიად შეცვალეს სამხედრო და პოლიტიკური სიტუაცია შუა აზიაში. მათი აღზევების საწყის ეტაპზე ხდება ის მოვლენები, რომლებმაც ხელი შეუწყო ჩვენთვის საინტერესო ლეგენდისადმი ნდობის გაძლიერებას. 1208 წელს ხორეზმშაჰმა მუხამედმა შეძლო თავის მხარეს გადაებირებინა ხოტანის მბრძანებელი და ბუხარა და სამარყანდი დაიკავა. მუსულმანური მოსახლეობა მიესალმა ხორეზმშაჰს, როგორც მსხნელს. მაგრამ მუსლიმანთა ფართო მასები მალე დარწმუნდნენ, რომ ერთმორწმუნე ხორეზმელების უღელი უფრო აუტანელი იყო, ვიდრე მონღოლებისა. სამარყანდში ყველა ხორეზმელი ამოწვიტეს. 1211 წელს აჯანყებულებს სა-

1 . . . , 13.

2 ნესტორიანები – მიმდევრები აღმოსავლეთქრისტიანული მოძღვრებისა, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნესტორმა დაარსა 428-431 წლებში. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ 431 წელს იგი ეკლესიიდან განკვეთა. ნესტორი ქადაგებდა, რომ ქრისტეში უნდა გამოვეყთ ადამიანური და ღვთაებრივი ბუნებები, რომ იესო იყო მხოლოდ ადამიანი, რომელიც გაღმერთდა. აქედან გამომდინარე ნესტორი არ სცნობდა მარიამს, როგორც ღვთისმშობელს.

.. , 1948, 25.

თავეში ჩაუდგა კუნლუკი, რომელმაც მთელი ძალაუფლება დაიპყრო.

სავარაუდოა კუნლუკი თავდაპირველად ნესტორიანი იყო, მაგრამ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ მიატოვა თავისი ქრისტიანი ცოლი. მას შეუყვარდა ყარა-კიდანელი ქალწული, რომელმაც, როგორც ვარაუდობენ, იგი ბუდიზმზე გადაიყვანა.

კუნლუკმა ისარგებლა მონღოლების ჩინეთის საქმეებით დაკავებით. მან შეძლო ხორეზმელების შევიწროება და დაიმორჩილა აღმოსავლეთ თურქესტანის დიდი ნაწილი – ალმალიკის გამოკლებით, რომელიც მონღოლების მფარველობის ქვეშ შევიდა. მაგრამ კუნლუკმა, რომელიც ლ. გუმილევის დახასიათებით, კარგი მხედართმთავარი და ცუდი პოლიტიკოსი იყო, ნება მისცა ნესტორიანებსა და ბუდისტებს დაეწყოთ დევნა მუსლიმანებისა, რომლებიც სახელმწიფოში უმრავლესობას შეადგენდნენ. ამან უბიძგა ხალხს თავისი სიმპათია გადაეტანა მონღოლთა ხანზე, რომელიც ძლიერ სწყალობდა მუსლიმანებს.

მონღოლებმა კუნლუკი მოკლეს 1218 წელს ალმალიკის დაპყრობის მცდელობისას¹.

სიკვდილის შემდეგ კუნლუკს მიაწერეს სრულიად დაუმსახურებელი დიდება. მის მიერ მუსლიმანების უაზრო დევნას მოულოდნელი რეზონანსი ჰქონდა დასავლეთ აზიის პერიფერიაზე. პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი ცდილობდა მიემხრო ბაღდადის ხალიფა, რომელიც ცუდ ურთიერთობაში იყო ხორეზმშაჰთან. ბაღდადში მცხოვრებმა ნესტორიანელმა პატრიარქმა, ხალიფას თხოვნით, ელჩები გაგზავნა „მეფე დავითთან“, იგივე ხუცეს იოანესთან, რათა მას დაეწყო დივერსიული

1

, 176-180.

მოქმედება ხორეზმის წინააღმდეგ. მაგრამ ამ დროს ქრისტიანობიდან გამდგარი კუნღუკის მთელი ყურადღება კონცენტრირებული იყო ჯუნგარზე და არა შუა აზიაზე¹. მიუხედავად ამისა, მისი ბრძოლის შესახებ ხმებმა მუსლიმანების წინააღმდეგ მიაღწია ჯვაროსნებამდე, რომლებსაც 1218 წელს ალყაში ჰქონდათ მოქცეული ჩრდილო ეგვიპტის ქალაქი დამიეტა. თავდაპირველად ჯვაროსნებმა რამდენიმე ბრძოლა მოიგეს და დამიეტაც კი აიღეს, მაგრამ იმის გამო, რომ შემდეგი ბრძოლა უპერსპექტივო იყო, მათ ეგვიპტე დატოვეს.

ეგვიპტეში ბრძოლების დროს, ჯვაროსნების კრიტიკულ მდგომარეობაში ყოფნისას, გაერცვლდა ხმა მოხალისე პოტენციური აღმოსავლელი მოკავშირის შესახებ, რომელიც ქრისტიანების დასახმარებლად მოდიოდა. ამან გამოიწვია იოანე ხუცესისადმი იმედების გამოცოცხლება. სწორედ ეს ჩანს აკრის ეპისკოპოსის ჟაკ დე ვიტრის მიერ 1221 წლის 18 აპრილს პაპ ჰონორიუს III-ისათვის (1216-1227) გაგზავნილ წერილში, რომელსაც დაურთო მუსლიმანი თარჯიმნების დახმარებით არაბულიდან ლათინურზე თარგმნილი ხელნაწერები. წერილი ნათელს ხდის იონე-დავითის პიროვნებასა და მის შესაძლებლობებს.

ჟაკ დე ვიტრის წერილის ფრაგმენტი გამოაქვეყნა რიჰარდ ჰენიგმა. მასში ნათქვამია: ზემოხსენებულმა სერაფიმმა მოისმინა, რომ ინდოეთის მეფე დავითი შეიჭრა მის ქვეყანაში², მაგრამ, წინააღმდეგობის გამო, იძულებული გახდა უკან დაეხია. ამის შემდეგ მოცემულია მეფე დავითის დახასიათება: „*ეს*

1 . . . , 176-180.

² წერილში არ ჩანს ვინ არის სერაფიმი, სად მდებარეობს მისი ქვეყანა.

მეფე დავითი უძლიერესი და სამხედრო ხელგუნებაში გამოცდილი, ჭკვიანი და უძლეველი ხელმწიფეა, რომელსაც უფალმა ჩვენს დროს მოუწოდა, რათა იყოს ურო წარმართებისათვის და ამოძირკვოს მუჰამედის მოძღვრება და მისი დაწვეული კანონი, რომელიც შავი ჭირივით ვრცელდება. ხალხი მას „იონე ხუცესს“ ეძახის“¹.

სერაფიმი „ინდოეთის“ მეფე დავითს ბიბლიურ დავითს აღარებს და აღნიშნავს, რომ ისევე როგორც ებრაელთა ახალგაზრდა მეფე დავითი თავის ძმებს შორის გამოარჩია უფალმა და ყველაზე აამაღლა, ასევე აამაღლა „ინდოეთის“ მეფე დავითიც. წერილში ნათქვამია, რომ „ინდოეთის“ მეფე დავითის შეიარაღებული ძალები გაყოფილია სამად და წარმართულია გალათიის, ეგვიპტისა და მოსულის მიმართულებით. „იგი დვას ანტიოქიამდე არა უმეტეს 15 დღის სავალზე და მოიქაზრის აღთქმული მიწისაკენ, რათა იხილოს ღვთის საფლავი და აღადგინოს წმინდა სახელმწიფო“², ე. ი. იერუსალიმის ქრისტიანული სახელმწიფო. უაკ დე ვიტრი გადმოგვცემს, რომ აღნიშნული წერილის ხელნაწერი მას გადასცეს ტრიპოლის გრაფის მიერ გამოგზავნილმა კაცებმა. ასეთივე ცნობები მიუტანიათ აღმოსავლეთის ქვეყნების ვაჭრებსაც. მაგრამ მთავარი ავტორები დავით მეფის შესახებ გავრცელებული ხმებისა

¹ „... , III, 26. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ის ქართველ მკვლევარები, რომლებიც წერდნენ ქართველ მეფეებთან – დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის (1225-1256) იონე ხუცესთან იდენტიფიცირების შესახებ, არ ისარგებლეს რ. ჰენიგის ნაშრომის II და III ტომებში მოთავსებული საინტერესო მასალებით.

² „... , 26.

იყვნენ ეგვიპტის სულთნის მიერ დატყვევებული რამდენიმე ქრისტიანი მეომარი, რომლებიც მან თავის ძმას, დამასკოს გამგებელ კორადინს გაუგზავნა. კორადინმა ტყვეები თავის ბატონს, ბაღდადის ხალიფას გადასცა, მან კი ისინი, როგორც ძვირფასი საჩუქარი, მეფე დავითს გაუგზავნა. როცა მეფემ შეიტყო, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, გაანთავისუფლა და ანტიოქიაში დააბრუნა.

ბაღდადის ხალიფას მიერ ეგვიპტეში გაგზავნილი კაცებისაგან სულთანმა შეიტყო მეფე დავითის უძლეველობაზე, მის საკვირველ ტრიუმფზე, იმის შესახებაც, თუ როგორ დაიპყრო მან სარაცინების ყველა ქვეყანა 200 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ სულთანმა ბრძანა მასთან მიეყვანათ დატყვევებული ქრისტიანი დიდებულები, რათა მათი საშუალებით დაემყარებინა მშვიდობა მეფე დავითთან. სულთანმა დამასკოსთან განლაგებულ ქრისტიანთა ჯარში გაგზავნა თავისი ელჩები სამშვიდობო ხელშეკრულების გასაფორმებლად¹.

განსაკუთრებით საყურადღებოა პაპის, ჰონორიუს III-ის მიერ საფრანგეთის არქიეპისკოპოსებისათვის გაგზავნილი წერილი: *„პაპი ჰონორიუსი ასე სწერდა საფრანგეთის ყველა არქიეპისკოპოსს: კარდინალმა პელაგიუსმა ოკეანის გაღმიდან გვაცნობა, რომ იოანე ხუცესად წოდებული, ღვთისმოსიში დავითი, შეიარაღებული ძალით შეიჭრა სპარსეთში და სპარსეთის სულთანზე გამარჯვების შემდეგ 24 დღეში დაიკავა და დაიმორჩილა მისი ქვეყანა; იქ დაეუფლა მრავალ გამაგრებულ ქალაქსა და ბანაკს. იქიდან იგი ისე სწრაფად დაიძრა, რომ მისი ჯარი დგას 10 დღის სავალ მანძილზე უდიდესი და ყველაზე სახელგანთქმული ქალაქ ბაღდადიდან, სადაც იმყოფება ხა-*

1

„

, 27.

ლიფა, რომელსაც სარაციონები უწოდებენ უმაღლეს მღვდელმსახურს. ამგვარი საშიშროების დროს, სულთანმა ხალაპიამ¹, ძმების, დამსკოსა და ბაბილონის სულთნების ნათესავმა, უბრძანა თავის ჯარს, გაეზავნა ქრისტიანთა იმ არმიის წინააღმდეგ, რომელსაც ალყაში ჰყავდა მოქცეული დამიეტა, წასულიყო ზემოთდასახელებული ქრისტიანი მეფის წინააღმდეგ. **იმავე ლეგატმა პელაგიუსმა აგინიონში აცნობა: ქვეყანა ქართველებისა, რომლებიც კათოლიკეებ² და კარგად შეიარაღებულნი არიან, ითხოვენ და იხვეწებიან, რომ მათაც დართონ ნება ელმონ სარაციონებს.**

შემდეგ რაინდი-ტამპლიერების წერილებში შეიძლება წავიკითხოთ, რომ სახელდობრ, ამ დავით მეფემ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სპარსეთის მახლობლად დაიპყრო ერთი სამეფო 300 ქალაქით, რომ არ ჩავთვალოთ ციხეები და ბანაკები და ის მეორე სამეფო, რომელშიც 300 ციხესიმაგრის გარდა არის 66 მდინარე და გაყოფილია 40 ნაწილად. [მეფე დავითმა] 100 ათასი მემომარი შეკრიბა. ყველაფერი რაც აქ მეფე დავითზე ითქვა მოხდა მიმდინარე წელს, დანარჩენი კი, გასულ წელს. მიმდინარე წელს საფრანგეთში გვაცნობენ აგრეთვე, რომ მეფე დავითი, ან მისი ვაჟი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, უკვე მივიდა კომანიაში, რომელიც მდებარეობს უნგრეთის იქით, რუსეთის მიწაზე. მან იქ გაანადგურა ზოგიერთი წარმართული ქვეყნები, განსაკუთრებით კომანია და ხუთი თვის განმავლობაში აწარმოებდა სისხლისმღვრელ ომს. მან ამოწვევით მრავალი

¹ ალბათ, ხალიფა.

² როგორც მ. თამარაშვილი შენიშნავდა, XII-XIII საუკუნეთა მწერლები ქართველებს კათოლიკებად თვლიდნენ. იხ. მისი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 7.

ათასი რუსი, რომლებმაც წინააღმდეგობა გააუწიეს, და წარმართების ზოგიერთი რაოდენობა პრუტანისზე და დაანგრია დიდი ქალაქი ტორნაქსი, ან ორნარი¹, სადაც დაიარებიან ვაჭრები შორეული ქვეყნიებიდან. ამასთან ერთად გვაცნობებს, რომ მის ჯარში არის 40 მეფე და 60 არქიებისკოპოსი და ეპისკოპოსი. მეფე დავითმა იმ ქვეყნებში გაატარა ორი წელი. იტყობინებოდნენ აგრეთვე მრავალ დაუჯერებელს, მაგრამ ეს მცირედით საკმარისია. ზოგიერთები ამტკიცებდნენ აგრეთვე, რომ **[ქართველები]** არც ქრისტიანები და არც სარაცინები არიან... როცა დავით მეფემ და მისმა ჯარმა შეიტყო დამიეტის დაცემის შესახებ, საზღვაო კუნძულებით გაბრუნდნენ რადგან მათთვის ასე იყო მოხერხებელი. ყველა ხმები, რომლებიც წინათ მათზე ვრცელდებოდა, შეწყდა².

* * *

იმის თქმა, რომ ზემოთმოთხრობილ ლეგენდებში პირდაპირ თუ ირიბად აისახა საქართველოს და მისი გამოჩენილი მეფეების – დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული, მომენტები, ჩემი აზრით, ნიშნავს საქართველოს ჯვაროსნებთან ხანგრძლივი და საინტერესო ურთიერთობის უგულვებელყოფას. ზოგიერთი გამოკვლევის პათოსი ისეთია, თითქოს ჯვაროსნებს და მათი სახით ევროპელებს საქართველო სადღაც შუა აზიის თვალუწვდენელ სტეპებში ან ინდოსტანის ნახევაკუნძულზე ეგულვებოდათ, წარ-

¹ ალბათ, სუდაკი ყირიმში.

² *Chronika Alberici monachi trium fontium ad annum 1221*. Monumenta Germaniae historica, SS XXIII, 911. ციტირებულია რ. ჰენიგის დასახელებული ნაშრომიდან, 29-30.

მოდგენა არ ჰქონდათ მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რელიგიასა და საბრძოლო შემართებაზე. თითქოს მათი ცოდნა საქართველოზე იმ ზღაპრებით შემოიფარგლებოდა ზემოთ რომ გავეცანით. მითუმეტეს, ამგვარი უვიცობის დაბრალება რომის პაპებისა და მათი ისტორიკოსებისათვის, უმართებულოა¹.

მასალას, რომელსაც ზემოთ გავეცანით, ვფიქრობ, იცნობდა XII-XIII საუკუნეთა საქართველოს შესახებ არსებული ევროპული წყაროების შესანიშნავი მცოდნე ზურაბ ავალიშვილი. მაგრამ 1929 წელს გამოქვეყნებულ მის წიგნში² ისინი ვერ მოხვდა, რადგან მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ აღნიშნული პერიოდის საქართველოსთან. ზ. ავალიშვილის წიგნიდანაც კარგად ჩანს, რომ რომსა და დანარჩენ ევროპაში იმდენად სრული და რეალური ცოდნა ჰქონდათ საქართველოსა და ქართველებზე, რომ მათ მიერ დატოვილ ცნობებზე დაყრდ-

¹ იოანე ხუცესში დავით აღმაშენებლის დანახვის დიდმა სურვილმა შეიძლება მკვლევარი ამგვარ აზრამდეც კი მიიყვანოს: „მღვდელმთავრობა (დავით – ე. მ.) მეფისა და მისი სასულიერო სახელი იოანე მხოლოდ ვიწრო ეზოტერული წრისათვის უნდა ყოფილიყო ცნობილი. შესაძლოა ყოველივე ზემოთქმული ტაძრულეებისაგან გავრცელდა ევროპაში ოღონდ ქართველთა მეფის საზოგადო სახელის გარეშე, რამაც სინამდვილე ლეგენდის საბურველით დაასაიდუმლოვა. ქართველმა მემკვიდრემ კი პირიქით, საიდუმლოდ შეინახა მღვდელმთავრობა და ხელდასხმის სახელი დავითისა“. თოიძე ზ., *ტამპლიერების ორდენის დამოკიდებულება საქართველოსთან*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. „კლიო“, 27, საისტორიო აღმანახი, თბილისი, 2005, 168.

² ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*. ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი, 1989.

ნობით ხშირად ვაგსებთ ან ვაზუსტებთ ჩვენი ქვეყნის წარსულის უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიის ეპიზოდებს.

ხემოთმოხმობილი წერილებიდან, ვფიქრობ ეურადლებას იმსახურებს ჰონორიუს III-ის მიერ საფრანგეთის არქიეპისკოპოსებისათვის გაგზავნილი წერილი, რომელიც თითქმის მთლიანად მონღოლების დასაველეთისაკენ ლაშქრობას ასახავს. ეს წერილი, ჩემი აზრით, ნათელს ხდის, რომ ევროპელ ჯვაროსნებს და რომის პაპებს არაფერი ეშლებოდათ და ისინი ქართველებსა და მონღოლებს ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ.

წერილში გადმოცემულია სამი სხვადასხვა ამბავი და ისინი თარიღდება დამიეტასთვის ბრძოლებითა (1218-1221) და შემდგომი პერიოდით.

პირველი ამბავის ავტორი არის კარდინალი პელაგიუსი, რომელიც წმ. მიწაზე მოპოვებულ ინფორმაციას უგზვნის პაპ ჰონორიუს III-ს. კარდინალ პელაგიუსის მიხედვით, იოანე ხუცესმა ანუ დავით მეფემ დაიპყრო სპარსეთი და ბაღდადისაკენ გაეშურა.

მონღოლებმა ირანი დაიპყრეს 1256 წელს, ბაღდადს შეუტიეს 1258 წელს. პელაგიუსის გადმოცემით კი, მონღოლები ირანისა და ბაღდადისათვის ბრძოლებს აწარმოებდნენ ჯვაროსნების მიერ დამიეტას ალყის პარალელურად, რაც სრული შეუსაბამობაა.

მეორე ამბავიც კარდინალ პელაგიუსს ეკუთვნის: „იმაველეგატმა პელაგიუსმა ავინიონში აცნობა: „ქვეყანა ქართველებისა, რომლებიც კათოლიკეები და კარგად შეიარაღებულნი არიან, ითხოვენ და იხვეწებიან, რომ მათაც დართონ ნება ეომონ სარაცინებს“. ის რაც ქართველებზეა ნათქვამი, სიმართლეს შეეფერება იმის გამოკლებით, რომ ქართველები კი არ ითხოვდნენ და იხვეწებოდნენ დამიეტასათვის ბრძოლებში მო-

ნაწილეობა მიგვაღებინეთო, პირიქით, როგორც ქვემოთ დაგრწმუნდებით ჯვაროსნები საქართველოს მეფეს სთხოვდნენ დახმარებას. ამ დროისათვის გიორგი-ლაშას საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან ტრადიციული იყო. მისი წინამორბედი ჯვაროსნებთან ურთიერთობაში იყო ყველა ქართველი მეფე დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული. გიორგი-ლაშას რომ დახმარებას თხოვდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურები 1219-1222 წლებში, ამის შესახებ ვიცით რომის პაპის მიერ გიორგი ლაშასთვის გაგზავნილი ეპისტოლედან და რუსუდან მეფისა და რომის პაპის მიმოწერიდან¹.

კარდინალ პელაგიუსის მიერ მოთხრობილი მესამე ამბის წყარო ყოფილა რაინდ-ტამპლიერების წერილები, რომლებშიც მიახლოებით გადმოცემულია მონღოლების მიერ რუსეთის დაპყრობა (1237-1240) და მათი შემდგომი ლაშქრობები დასავლეთის მიმართულებით (1241-1242).

ყოველივე ის, რაც საფრანგეთში გაგზავნილ წერილშია მოთხრობილი და რაც ქართველებთან დაკავშირებულად მიაჩნდათ მის მთარგმნელსა და რედაქტორს, ჩანს ტექსტში ჩასმული განმარტებით – [ქართველები]. მაშასადამე, მათი აზრით, ის რაც გადმოცემულია წერილში, ყველაფერი ქართველებმა ჩაიდინეს.

ევროპელი მკითხველისათვის, რომ გასაგები ყოფილიყო ანონიმი ავტორების ხუცეს იოანე-დავით მეფე და მისი ქვეყნის ბუნდოვანი გეოგრაფიული მდებარეობა შუა აზიაში, ინდოეთის

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა საქართველოში*, 7. რუსუდანის წერილის შესახებ ვრცლად ითქმევა შემდგომში. დამიეტასთან ქართველი ელჩის მისვლის შესახებ კი, იხ. მამისთვალისშვილი ე., *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი*, 220-225.

ნახევარკუნძულზე თუ ეთიოპიაში, რ. ჰენიგმა აქცენტი გადაიტანა საქართველოსა და მის მეფეებზე და ზემოთმოყვანილ ფრაგმენტულ ცნობებს დაურთო XII-XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საშინაო და საგარეო ურთიერთობათა ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტების მოკლე მიმოხილვა. იგი ძირითადად დაეყრდნო მ. ბროსეს, ზ. ავალიშვილის, ა. სანდერსის¹ და სხვათა ნაშრომებს².

ამგვარად, დასახელებული სამი ეპიზოდიდან, მხოლოდ მეორე, რომელშიც ლაპარაკია ქართველებზე, ემთხვევა დამიეტის ალყის პერიოდს, პირველი და მესამე კი ასახავს მონღოლთა ძლევამოსილ ლაშქრობებს ახლო აღმოსავლეთში, რუსეთსა და ცენტრალურ ევროპაში XIII ს. 20-30-40-ან წლებში.

დავით აღმაშენებელი და დემეტრე I რომ იოანე ხუცესის პროტოტიპები იყვნენ, ამის დამტკიცებას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა შ. ბადრიძემ³. იგი ლოგიკურად ცდილობდა

¹ სანდერსი არის გერმანიაში მოღვაწე ქართველი ალექსანდრე ნიკურადის (1900-1981) ფსევდონიმი. მისი ნაშრომის სათაურია: Sanders Al., *Kaukasien, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien, geschichtlicher Umriss*. München: Hoheneichen-Verlag, 1942.

² „...“, III, 30-37.

³ ბადრიძე შ., *ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე*. წიგნში საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბილისი, 1984, 153-175. საინტერესოა, რომ ფ. ბრუნს იოანე ხუცესის პროტოტიპად, ცნობილი ქართველი სარდალ იოანე ორბელი მიაჩნდა. „...“

... e V (...), ... , 1870, 112-159.

განემტკიცებინა თავისი მოსაზრებები იმ ისტორიული ფაქტებით, რომლებიც დაკავშირებულია დავით IV-ისა და დემეტრე I-ის სახელებთან: „ამ ფაქტების შუქზე, რომლებიც მიგვანიშნებენ დავითისა და დემეტრეს მსგავსებაზე (რაც, თავის მხრივ, ჯვაროსანთა ფანტაზიაში საშუალებას იძლეოდა ამ პიროვნებათა იდენტიფიკაციისათვის) – უნდა ვიფიქროთ, რომ სირიელი ეპისკოპოსის მიერ დახასიათებული ხელმოწერის „სახე“ კონსტრუირებულია ქართველ მეფეთა შესახებ ჯვაროსანთა შორის გავრცელებული ნახევრად რეალისტური ინფორმაციების მიხედვით. ჯვაროსნულ ფანტაზიაში განდიდებულ ასეთ მეფეებად, ისტორიული თვალსაზრისით, შეიძლება ვიგულისხმოთ ან დავით აღმაშენებელი და დემეტრე პირველი ცალ-ცალკე, ან ორთავე მეფე ერთდროულად“¹.

ჯვაროსნებს და, მათი სახით, დასავლეთ ევროპელებს სხვა უფრო სარწმუნო ცნობები რომ ჰქონდათ საქართველოზე, მისი მეფეების საქმიანობაზე და ქართველებთან უშუალო კონტაქტშიც იმყოფებოდნენ, ვფიქრობ, ეს სარწმუნო გახდება ქვემოთ წარმოდგენილი ნარკვევიდან. მანამდე კი უნდა ითქვას შემდეგი:

იოანე-დავითის ლეგენდა, რომ საყოველთაოდ გავრცელებული იყო და მის შესახებ საქართველოშიც იცოდნენ, ჩანს

¹ ბადრიძე შ., *ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე*, 171. ტ. მაჭარაშვილს შ. ბადრიძის მოსაზრებაზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე პირველის იგივეობა იოანე ხუცესთან საბოლოოდ გადაწყვეტილად მიაჩნია. მაჭარაშვილი ტ., *ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIV საუკუნეებში)*, თბილისი, 2009, 122-123.

რუსუდან მეფის მიერ რომის პაპთან გაგზავნილ სიგელში, რომელიც მ. თამარაშვილმა 1223 წლით დაათარიდა. მეფე რუსუდანი პაპს განუმარტავს იმის შესახებ, თუ რატომ ვერ შესძლო მისმა ძმამ, გიორგი-ლაშამ ჯვაროსნებისათვის მიცემული პირობის შესრულება სამხედრო დახმარების შესახებ, რომ ამის განხორციელებაში ხელი შეეშალა მის სამეფოში მონღოლების შემოსევამ. რუსუდან მეფე სწერდა: „*დამიეტ ში მყოფი შენი ლეგატისაგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ, თუ თქვენც გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწირი თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვსი ათასი კაცი ამოგვიწყვიტა. ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან ისინი ქრისტიანები გვეგონა*“¹. ამირსპასალარიც შეცბუნებული სწერდა: „*ჩვენს ქვეყანას ჯვრის ნიშნებით შენიღბული თათრები შემოესივნენ. გარეგნულად ისინი ქრისტიანულ აღმსარებლებს ჰგავდნენ. ასე მოგვატყუეს და ექვსი ათასამდე კაცი მოგვიკლეს*“².

უადრესად საინტერესოა უამთაადმწერელის გადმოცემა მონღოლების რელიგიური რწმენის შესახებ, რომელიც ქართველების და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანთა დაბნეულობას ნათელს ჰყენს. ის, რასაც უამთაადმწერელი მონ-

¹ ტაბაღუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 176-177; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 7-8.

² ტაბაღუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 178-179; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 9.

ლოლების რწმენაზე გადმოგვცემს მხოლოდ ქართველთა დაკვირვების შედეგად არ უნდა შექმნილიყო. დაახლოებით, ასე ფიქრობდნენ თურქ-სელჩუკების თავდასხმებით გაწამებული ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ხალხები, რომლებსაც აღმოსავლეთიდან წამოსულ ახალ ძალაში თავიანთი მხსნელი ეგულებოდათ. უამთააღმწერელის მიხედვით, ქრისტიანობის მიმსგავსებული წესები მონღოლებში ჩინგიზ-ყაენს დაუწერგია: „ამათ აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა უკვდავისა თაყუანისცემა, პირი მზის აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანისცემა, და შუა-თითის წუერის ნებსა ზედა დადება და დატკაცუნება, და მეტი არარაა“¹. „ხოლო აქუნდათ წესად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, რომელსა თენვრი უწოდეს ენითა მათითა. და წივნისა თავსა ესრეთ დასწერდეს: „მანგუ თენვრი ქუჩუნდურ“, ესე არს: უკუდავისა ღმრთისა ძალითა“².

უამთააღმწერელის მიხედვით სმა ყოფილა გავრცელებული („ითქუა ესეცა“), „ვითარმედ ჩინგიზ-ყაენი ადვიდა მთასა მაღალსა, და გამოუწნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა, და მან ასწავა სამართალი, სჯული, სიწმიდე და სიმართლე, ტყუილისა, პარვისა და ყოველისა ბოროტისაგან განშორება და რქუა: „თუ მცნებანი ესე დაიმარხნე, ყოველი ქუეყანა შენოვს და ნათესავისა შენისათვის მიმიცემიეს. წადი და აღიდე ყოველი ქუეყანა, რაოდენ გეძლოს“³. გასაგებია, რომ უამთააღმწერელს ჩინგიზ-ყაენი აღქმული ყავს, როგორც

¹ *ქართლის ცხოვრება*, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, 158.

² *ქართლის ცხოვრება*, II, 159.

³ *ქართლის ცხოვრება*, II, 162.

ბიბლიური მოსე, რომელიც უფლის ნებით ჩინგიზ-ყაენის სახით მოევლინა კაცობრიობას, როგორც ქრისტიანთა გამანთავისუფლებელი და ურწმუნოთა დამთრგუნველი. „ხოლო იქმნა რა ყაენად (ჩინგიზ-ყაენი – ე. მ.) და მივიდა ხატაეთს, და შევიდა ხილვად ეკლესიათა, იხილა მუნ ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, მესხეულად თაყუანი-სცა და თქუა: „აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე, ამა სახისა იყო. ამან მასწავა ყოველი ესე წესი“. ესე შეიყუარა ჩინგიზ-ყაენმან და მას აკურთხევდის, და ამისი მცნება, რაოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაიცვა“⁴.

ზემოთციტირებული ევროპული წყაროების და „უამთაადმწერელიდან“ ამონარიდის ურთიერთ შედარება კიდევ ერთხელ ნათელს ხდის, თუ როგორ მტკიცედ იყო დაკავშირებული XII-XIII საუკუნეებში საქართველო ახლო აღმოსავლეთთან, კერძოდ, სირია-პალესტინასთან. საქართველოში ცნობილი იყო იქაური ფოლკლორი, რომელშიც აირეკლებოდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და სამხედრო ვითარება. სავარაუდოა, რომ ქართველებმაც იცოდნენ თქმულება იოანე-დავით მეფე-ხუცესის შესახებ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველები კიდევ ერთხელ აცხადებდნენ მზადყოფნას ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობით თავისი წვლილი შეეტანათ მუსლიმანთა ხელიდან წმინდა ადგილების დახსნაში. მეფე რუსუდანი პაპს აცნობებდა: „ავრეთვე ვაუწყებთ, რომ ხსენებულმა მხედართმთავარმა და ჩვენი სამეფოს ბევრმა წარჩინებულმა მიიღო ჯვარი და თქვენს გამოსვლას ელოდებიან“. ივანე მხარგრძელი: „გვინდა ვაცნობოთ, რომ რამდენადაც ჩვენ უკვე

⁴ ქართლის ცხოვრება, II, 162.

მივიღეთ თქვენი ბრძანება, ჩვენ მზად ვართ, მთელი ჩვენი ლაშქრით მოვიდეთ ქრისტიანების დასახმარებლად...¹

მეფისა და მისი სპასალარის განცხადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ: **დასავლეთ ევროპაში გავრცელებული წესის მსგავსად საქართველოშიც „ჯვარის მიღება“, ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილედ წასვლას ნიშნავდა. როგორც ჩანს, დასავლეთევროპული ეს წესი და ტრადიცია საქართველოში კარგად იყო ცნობილი და ქართველებს თავი მიაჩნდათ, ზოგადად, დასავლეთევროპული ჯვაროსნული მოძრაობის მონაწილედ.**

XII-XIII საუკუნეთა ახლო აღმოსავლეთის ამბებს და მათში საქართველოს მონაწილეობისათვის მზადყოფნას თუ გადაფხედავთ, ზემოაღნიშნულში გადაჭარბებულს ვერაფერს შევამჩნევთ. საქართველოს სწრაფვა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქრისტიანულ სამყაროსთან საერთო იდეოლოგიური საფუძვლების² გარდა განპირობებული იყო წმინდა პრაქტიკული საარსებო მიზნებითაც. წმინდა მიწის განთავისუფლება ევროპელი ჯვაროსნების მიერ საქართველოს კონკურენტი ქვეყნების – მუსლიმანურის გარდა ქრისტიანული (მართლმადიდებლური) ბიზანტიის დასუსტებაც იყო. ამ უკანასკნელთან ჯვაროსნული ომების მთელ მანძილზე ლათინებსდაფარული თუ დაუფარავი მტრობა ჰქონდა.

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთ შორის*, 8-9.

² თვარაძე აღ., *საქართველო და კავკასია ევროპული წყაროებში, XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული კარტოგრაფიული მასალის მიხედვით*, თბილისი, 2004, 133.

VI. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან დავით IV აღმაშენებლის დროს

საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის დასაწყისი

ჯვაროსნული ღაშქრობების დაწყებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა ახლო აღმოსავლეთში. დასავლეთ ევროპელების მიერ ქრისტეს საფლავის დახსნისათვის დაწყებულია ამ ხანგრძლივმა მოძრაობამ, სერიოზული გავლენა მოახდინა გეოგრაფიულად საკმაოდ დაშორებული საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. დავით IV აღმაშენებელი სწორედ ამ დროს იწყებს აქტიურ ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. საქართველო და ჯვაროსანი რაინდები, სრულიად განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, ობიექტურად ერთმანეთის მოკავშირენი იყვნენ. ორივენი თურქ-სელჩუკებს ებრძოდნენ¹.

მეფე დავითი, ქართველი პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწენი გულგრილი ვერ იქნებოდნენ XI ს. დასასრულს იერუსალიმის გამო დატრიალებული ამბებისადმი, კერძოდ დასავლეთ ევროპელი ფეოდალების მიერ დაწყებული ჯვაროსნული ომებისადმი, რომლის შედეგებს საქართველოსთვისაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა², მაგრამ საქართველოს და

¹ ბერაძე ი., *საქართველოსთან ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხისათვის*. თსუ შრომები, ტ. 87, თბილისი, 1960, 283-300; კობალიანი ვ., *საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა)*. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები, ტ. 125, თბილისი, 1968, 83-121.

² რამდენად ემთხვეოდა ჯვაროსანთა და საქართველოს ინტერესები ამ უკანასკნელის ბიზანტიის იმპერიასთან დაპირისპირე-

ბის ფონზე, თავისი მოსაზრება არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს:

1843; პოტტო ვ., *საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო*. ისტორიული წერილები, ჟურნ. მოამბე, №5, 1894; ურბნელი ნ., *მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო*, ჟურნ. მოამბე, №2, 1894; ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი*, თბილისი, 1989; Sanders A., *Kaukasien, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien, geschichtlicher Umriss*. München, Hoheneichen-Verlag, 1942; რობაქიძე გ., *მზის ხანა ქართველთა*, ბედი ქართლისა, პარიზი, 1948, №4; ბერაძე ი., *საქართველოსთან ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხისათვის*. თსუ შრომები, ტ. 87, თბილისი, 1960; კოპალინი ვ., *საქართველოს ურთიერთობები ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა)*, მესხია შ., *ძღვეაჲ საკვირველი*, თბილისი, 1972; ბადრიძე შ., *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XVIII სს.)*, თბილისი, 1984; ტუხაშვილი ლ., *ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, I*, თბილისი, 1984; ბუაჩიძე გ., *საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში)*. “ქართული დიპლომატია”, წელიწადეული, 4, თბილისი, 1997; მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ*, თბილისი, 2006; მეტრეველი რ., *საქართველოს სახელმწიფოს სავარყო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში, დავით აღმაშენებლის დიპლომატია*. ქართული დიპლომატიის ისტორია, თბილისი, 2003; მეტრეველი რ., *ჯვაროსნული ომები და საქართველო*. კრებულში: სამეცნიერო პარადიგმები, თბილისი, 2009; მაჭარაშვილი ტ., *ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის*

ევროპელ ფეოდალებს სხვადასხვა მიზნები ამოძრავებდათ. ეს უკანასკნელნი, როგორც ახლოაღმოსავლეთში მათი მოქმედების შედეგად გამოიკვეთა, უფლის საფლავის ურჯულოთა ხელიდან დახსნის ღოზუნგს ამოფარებულნი, აწარმოებდნენ კოლონიურ ომს, მაშინ როდესაც ქართველები თურქ-სელჩუკებთან ბრძოლისას „საკუთარი ოჯახის, საკუთარი ქვეყნის მოწყობას, განთავისუფლებას და დაცვას მისდევდა. გარედან მოსული მტრის განსაძევებლად, და მათი სახლის გარშემო მტკიცე ზღუდის ასაგებად იბრძოდნენ ქართველები. ამასთან ერთად ჩნდებოდა კავკასიელთა ერთობა – ერთობა ქართველთა, სომეხთა, „რანთა“ და იმიერ კავკასიელთა ბრწყინვალე ქართველ ბავრაციონთა თაოსნობით“¹.

წმინდა მიწის განთავისუფლებისა და მუსლიმანური სამყაროსადმი დამოკიდებულების განსხვავებული მიდგომის მიუხედავად, მაინც სავარაუდოა, რომ ქართველები ომის დასაწყისიდანვე ეხმარებოდნენ ევროპელ ჯვაროსნებს, მაგრამ რა ფორმით, ამის დადგენა არსებული წყაროების მიხედვით შეუძლებელია, ვარაუდის გამოქმა კი შეიძლება.

პალესტინისადმი ჯვაროსანთა ინტერესის შესახებ ცნობებს საქართველოს სამეფო კარი, ალბათ, ბიზანტიიდან იღებდა, მაგრამ განსაკუთრებით სარწმუნო უნდა ყოფილიყო ის ცნობები, რომელსაც აგზავნიდნენ წმ. ქალაქის და საზღვარგარეთის სხვა სამონასტრო ცენტრებში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები და მრავალრიცხოვანი და ძლიერი ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ამგვარი ინფორმაცია გათვალისწი-

ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIV საუკუნეებში), თბილისი, 2009.

¹ ავალიშვილი ზ., *ჯავაროსანთა დროიდან*, 31-32.

ნებული იქნებოდა საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. ამდენად, 1097-1099 წლებში ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებას არ შეიძლებოდა ქართველებისათვის მხოლოდ მორალური მნიშვნელობა ჰქონებოდა¹. დავითის ისტორიკოსი ჯვაროსნების მიერ ქალაქების – ანტიოქიისა და იერუსალიმის დაპყრობაზე („ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია“) მხოლოდ იმიტომ არ უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, რომ დასახელებულ ქალაქებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანული სამყაროსათვის. ძნელია არ დაუჯერო ისტორიკოსს, რომელიც მის მიერ აღწერილი ამბების თანამედროვეა². მისთვის და მისი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯვაროსანთა გამარჯვებას თურქ-სელჩუკებზე, რადგან ამის შედეგად და „შეწუნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი, და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“³.

¹ ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, თბილისი, 1995, 22.

² დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც თვითმხილველი, კახთა მეფე აღსართანის გამუსლიმანებასა და ამ აქტის უარყოფით შედეგთან დაკავშირებით წერს: „ესე ყოველი მოიწია, და თუაღითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვითარმცა ვინ გამოთქუა თითოეულად რომელი დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი“, *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩი-შვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 322.

³ *ქართლის ცხოვრება*, I, 325-326.

თუკი ამგვარი შედეგი შეიძლებოდა ჰქონებოდა ჯვაროსანთა მოქმედებას სირია-პალესტინაში, მაშასადამე საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ხელმძღვანელობა სისხლხორცეულად დაინტერესებული იქნებოდა რეგიონში განვითარებული მოვლენებით და, შეძლებისდაგვარად, შეეცდებოდა გავლენა მოეხდინათ იქ არსებულ ვითარებაზე.

დავით აღმაშენებლის მეფობის დროიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნების იერუსალიმის სამეფოსთან. განსაკუთრებით საინტერესო და ამავე დროს ბუნდოვანია ქართველების მონაწილეობა ჯვაროსნების მხარდამხარ წმინდა ქალაქის აღების დროს. ამ საკითხის გასარკვევად გვაქვს ერთადერთი, თამარ მეფის ისტორიკოსის ირიბი ცნობა. იგი გადმოგვცემს: *„თუ ვითარ ძუელ ოდესმე წინაშე დავითისა ოცდაათშუდმეტნი გმირნი მბრძოლობდეს და მძლეობდეს უცხოთესლთა და ვითარ სპანი ვახტანგისნი წინაშე ვახტანგისა, და ვითარ სპანი ახლისა დავითისნი წყობათა დავითისთა იერუსალემს ერთობდეს, აწ შეიღისა მის თამარისნი, რომელი დავით წინასწარმეტყველითგან ოთხმოცსა-ერთობს შეიღად ცხებულად“¹.*

მოყვანილ ციტატაში ებრაელთა მეფე დავით წინასწარმეტყველის სახელგანთქმულ მოყმეთა გახსენებაა². ისტორიკოსი ვახტანგ გორგასლის ჯარს იმ გმირებს ადარებს, რომლებიც პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას მეფის წინაშე. ასევე ქართველთა მეფე დავით IV-ის ჯარი ბიბლიური

¹ *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959, 69.

² 2 მეფ. 23: 8-39.

დავითის ჯარს უერთდებოდა იერუსალიმში. ამჟამად კი, ამბობს მემატიანე, დავითის ჩამომავალი თამარი აგრძელებს თავისი წინაპრის, დავით აღმაშენებლის საქმეს.

ციტატიდან, ამჯერად, ყურადღებას იპყრობს ერთი ფრაზა: „*ვითარ სპანი ახალი დავითისნი წყობათა დავითისთა იერუსალიმს ერთობდეს*“. როგორც ვარაუდობენ, მასში დავით აღმაშენებლის მიერ ჯვაროსნებისადმი იერუსალიმის აღების დროს რეალურად გაწეულ დახმარებაზეა საუბარი. არ ვიცი თამარის ისტორიკოსის ნათქვამი დაედო საფუძველად პ. იოსელიანის გადმოცემას თუ მას სხვა რაიმე წყაროც გააჩნდა, როდესაც იგი წერდა: „*ქართველი მეომრები გაემგზავრნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ შავმა ზღვამ შთანთქა ისინი. მიუხედავად ამ უბედური შემთხვევისა, კვლავ გაემგზავრა ქართველ მეომართა მეორე წყება, რომელთა მოქმედების შედეგი უცნობია*“¹. ვ. პოტტო, როგორც ჩანს პ. იოსელიანის ნათქვამს იმეორებს და ცდილობს კიდევ უფრო დააზუსტოს და სარწმუნო გახადოს ქართველ მეომართა საქმიანობა წმ. მიწაზე: „*საქართველო იმდენად მოღონიერდა, რომ თავის ჯარი შორს პალესტინაშიც კი გაგზავნა ქრისტეს საფლავის მტრებთან საბრძოლველად. აღელვებულმა ზღვამ შთანთქა საქართველოს პირველი გმირნი – ჯვაროსანნი, მაგრამ ამ უბედურებამ მაინც ვერ დააბრკოლა ახალი მეომარნი, ივინი მშვიდობით მივიდნენ წმინდა ადგილას და სხვა ჯვაროსნებთან ერთად იღწვოდნენ*

1

*ქრისტეს საფლავის გასანთავისუფლებლად ურწმუნოთა ხელიდან*¹.

პ. იოსელიანისა და ვ. პოტტოს ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების განხილვისას ვ. კოპალიანმა ივარაუდა, რომ თუ ისინი (მოსაზრებები) სინამდვილეს ასახავენ, მაშინ დავით აღმაშენებელს ჯვაროსნების დასახმარებლად რაზმები უნდა გაეგზავნა არა იერუსალიმის აღებისათვის მებრძოლი რაინდების დასახმარებლად, არამედ სხვა დროს, პირველად 1118, მეორედ კი 1119 წელს².

კ. კეკელიძემ თამარის ისტორიკოსის თხზულების ცნობის შემდეგნაირი ინტერპრეტაცია მოგვცა: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორის მიხედვით, დავით აღმაშენებლის ჯარები იერუსალიმში დავით წინასწარმეტყველის რაზმებთან („წყობათა“) გაერთიანებულნი იყვნენ („ერთობდეს“)... დავით წინასწარმეტყველის რაზმებად აქ ალეგორიულად იგულისხმებიან ჯვაროსნები“³. შ. მესხიამ კი, იგივე ამონარიდი დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან, ისე გაიგო, ვითომც „თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელი თავისი ღაშქრით იერუსალიმისათვის ბრძოლებშიც კი იღებდა მონაწილეობას“⁴. იერუსალიმის აღების დროს დავით აღმაშე-

¹ პოტტო ვ., *საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო*, 98.

² კოპალიანი ვ., *საქართველოს ურთიერთობები ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან*, 98.

³ *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*. აკად. კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვევით, თბილისი, 1959, 7-8.

⁴ მესხია შ., *ძღვეა საკვირველი*, თბილისი, 1972, 80. შ. მესხიას მოსაზრება იერუსალიმისათვის ბრძოლებში დავით აღმაშენებლის

ნებლის ჯვაროსნებისადმი დახმარებაზე აღნიშნავდნენ, წყაროების მითითების გარეშე, XIX საუკუნის ისტორიკოსები: ი. ბატონიშვილი, პლ. იოსელიანი, ვ. პოტტო, ნ. ურბნელი. ვ. კოპალიანმა, შ. ბადრიძემ, რ. მეტრეველმა გაიზიარეს კ. კეკელიძის მოსაზრება. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობის ამგვარი გაგება საეჭვოდ მეჩვენება. ის საეჭვოა თუნდაც იმიტომ, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა, რომელიც აღწერილი პერიოდის თანამედროვე იყო, საკმაოდ დაწვრილებით და საღად გადმოგვცა ამ უდიდესი მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ არაფერი სთქვა დავითის მიერ ჯვაროსნებისადმი გაწეულ დახმარებაზე, მის მონაწილეობაზე ჯვაროსნებსა და მუსლიმანებს შორის დაწყებულ ომში, რომლისკენაც მიჰყვებოდა იყო იმდროინდელი კაცობრიობის ყურადღება. ისტორიკოსის დუმილი მით უფრო საყურადღებოა, რომ იგი ობიექტურად აფასებდა ჯვაროსნული ომების დაწყების მნიშვნელობას საქართველოსათვის. მრავლისმთქმელია მის მიერ უაღრესად ლაკონური შეფასება ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ძალთა თანაფარდობის შეცვლისა: „ამას კამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწვენითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულ-

მონაწილეობის შესახებ არ გაიზიარა ო. კაზარიანმაც, მაგრამ მიუთითებს არა შ. მესხიას ნაშრომს, რომელსაც ის იცნობს და სხვაგან კიდევაც იმოწმებს, არამედ ჩემ წიგნს (*ქართველები და ბიბლიური სამყარო*, გორი, 1998, 95-98), მაგრამ ისე თითქოს მეც ასე ვფიქრობ (.. (XII-XIII ..). <http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html>), რაც სიმართლეს არ შეეფერება.

ტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს¹. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ არც თანამედროვე და არც გვიანდელი პერიოდის ლათინურენოვანი დოკუმენტები და ნარატიული წყაროები არაფერს ამბობს დავით აღმაშენებლის მიერ ჯვაროსნებისათვის გაწეულ დახმარებაზე.

მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობები, ზოგადად, მაშინდელი საქართველოს ჯვაროსნებთან ურთიერთობას კი არ უარყოფს, არამედ ის სწორედ ასეთ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს, რაც, ჩემი აზრით, სინამდვილეში მართლაც არსებობდა. იმდროინდელი საქართველოს საერთაშორისო გავლენისა და დავით IV-ის ავტორიტეტის მანვენებელია ისიც, რომ, როგორც მემატიანე ამბობს, დავითის „*ახრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და კვლმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი*“².

მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველები ჯვაროსნებს მართლაც ეხმარებოდნენ იერუსალიმის დაპყრობისას და სხვა სამხედრო ოპერაციებში, მაგრამ ეს არ იყო საქართველოს სამეფო კარის და უშუალოდ მეფის მიერ სახელმწიფოებრივ დონეზე დაგეგმილი და განხორციელებული ის ღონისძიება, რომელიც „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის“ ავტორს თავის თხზულებაში უნდა დაეფიქსირებინა.

ქართველების დახმარებას ჯვაროსნებისადმი პირველი ჯვაროსნული ღაშქრობის დროს კატეგორიულად უარყოფს ს. მარგიშვილი, რადგან ასეთი ფაქტი არც ერთი ისტორიკოსის

¹ *ქართლის ცხოვრება* II, 325-326.

² *ქართლის ცხოვრება* II, 360.

მიერ არ არის დადასტურებული¹. მაგრამ თუ გათვალისწინებული იქნება ევროპელი რაინდების ქართველებისადმი დამოკიდებულება იერუსალიმის აღების შემდგომ პერიოდში, თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ შეიძლება ეჭვი აღარ შევიტანოთ ქართველი მემკვიდრის ცნობაში.

თამარის ისტორიკოსი, ჩემი აზრით, აღნიშნავს ქართველთა რაზმის მონაწილეობას იერუსალიმის აღებაში, მაგრამ არ ჩანს პირადად მეფეც მონაწილეობდა თუ არა შორეულ ლაშქრობაში, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს. მას ისეთი რამ არ უთქვამს, რაც არ შეიძლებოდა მომხდარიყო. დავით IV მაშინ, როდესაც ჯვაროსნები იერუსალიმის აღებისათვის იბრძოდნენ (1099 წ.), იქ ვერ წავიდოდა, რადგან ასეთ სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობა დიდი ხნის განმავლობაში სახელმწიფოდან განშორებას მოითხოვდა². ესეც რომ არ

¹ მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ*, 281-282.

² შეიძლება გავიხსენოთ „მეფეთა საღაროს“ ერთი შეგონება, რომელშიც იერუსალიმს წასვლის მოსურნე მეფეზე ნათქვამია: „ერთსა კელმწიფესა გონებაშიგან იერუსალიმს წასვლა ჩაუვარდა და აემზად. ვაზირთა და დიდებულთა მოახსენეს, ვითა: „*კელმწიფის იერუსალიმს წასვლა დიდაც კარგი იქნების, მაგრამ კელმწიფეთ ბევრი მტერი ჰყავს, თუ მარტო წაბრძანდება, მტერთაგან საშიში არის და თუ ლაშქრით წავა, ერთობ შორი გზა არის და არ გაეწყობა. მერმე კელმწიფე მსგავსი არის სულისა და ქვეყანა მსგავსი გვამისა. თუცა კელმწიფის ჩრდილი თავზედ განშორდების, სული რომ ვორცს გაეყაროს მისი მსგავსი იქნება და ქვეყანა აირევის და ქუეყანას გარიგება მოიშლებს“.* ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1949, 254.

ყოფილიყო, დავით მეფეს ჯერ კიდევ არ შესწევდა ძალა აშკარად დაპირისპირებოდა ჯვაროსნებთან ბრძოლაში ჩართულ მუსლიმანურ სახელმწიფოებს. მას, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს, უნდა ემოქმედა ისე, რომ ჯერჯერობით, მუსლიმანი მეზობლები არ გაეღიზიანებინა.

„ღვთის საფლავის“ მუსლიმთაგან განთავისუფლებაში საქართველოდან წასული რაინდი-მეომრების მონაწილეობა სიმბოლური უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში, მახლობელ აღმოსავლეთში არსებულ პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებას, იერუსალიმის კამპანიაში საქართველოდან დიდი სამხედრო შენაერთი ვერ წავიდოდა. დიდ სამხედრო ძალას თავის ტერეტორიაზე მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოც კი არ გაატარებდა.

ვინ შეიძლებოდა დახმარებოდა ჯვაროსნებს საქართველოდან პირველი ლაშქრობის დროს? ამ კითხვაზე პასუხს ისევ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი გვაძლევს. მას მოუესმინოთ: *„თუ – იგი ვინმე მაშინ იყვნეს მძებარნი სახელთანნი და დამდებნი თავისანი ისტორიის ქებისანი შესხმათასა, აწ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთა, დავაძუელნეთ და დავარცხენეთ პომთა მათთა და მოვიგონნეთ ვიეთნიმე სჯულისა და ქრისტეს კუაღთა შედგომილებისათუს თავისმსხმელნი... ვინმე გმირნი გოლიათნი, სახელის მძებრობისათუს არამრიდნი სიკუდილისანი...“¹.*

გამოდის, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მიხედვით, იერუსალიმის დასახსნელად საქართველოდან შეიძლებოდა წასულიყვნენ მხოლოდ ქრისტეს საფლავის

¹ ქართლის ცხოვრება, I, 69-70.

დახსნისათვის თავდადებული მოხალისე რაინდები. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ იერუსალიმს გამგზავრებულ მებრძოლთა შორის ისინიც იყვნენ, ვინც თავიანთ თავს, საბრძოლო ენერგიას და გამოცდილებას მსურველს მიაქირავებდნენ ხოლმე (ვრცლად ქვემოთ).

დავით აღმაშენებლის დროს რაინდობა, როგორც ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, აყვავების ზენიტში იყო. მან საკუთარი წესები და იდეოლოგია შეიმუშავა, რომელთა ჩამოთვლა-დახასიათება შორს წავგიყვანს. მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული რაინდული ლაშქრით დავით აღმაშენებელმა საქართველო დამპყრობთაგან გაანთავისუფლა, გააერთიანა და საზღვრებიც გაუფართოვა. XII-XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველ რაინდთა საგმირო საქმეები აისახებოდა როგორც იმ პერიოდის სარაინდო ლიტერატურულ ნაწარმოებებში ისე ზეპირსიტყვაობაში, რომლის გამოძახილი ზემოთმოყვანილ ამონარიდშიც უნდა იყოს.

ქართველი რაინდისათვის, მსგავსად ევროპელი რაინდისა¹, საკმარისი არ იყო ქრისტიანად ყოფნა. მას უნდა ებრძოლა და დაეცვა ეკლესია და მისი იდეები, ისინი უნდა ყოფილიყვნენ მამაცნი და სიმამაცე განსაკუთრებით გამოემჟღავნებინათ ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ურწმუნოთა ხელიდან ქრისტეს საფლავის დახსნისათვის ბრძოლა („ქრისტეს კუალ-

¹ ს. კაკაბაძე სავსებით სწორად აღნიშნავდა: „*ქართველების სარაინდო ინსტიტუტი ზოგადად ჰგავდა დასავლეთ ევროპის ანალოგიურ ინსტიტუტებს*“. კაკაბაძე ს., *დიდგორის ომი*, თბილისი, 1982, 67-68.

თა შედგომა“), როგორც ქართველი ისე ევროპელი რაინდი-სათვის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იყო.

ქართველი და ევროპელი რაინდები, რომლებსაც ურთიერთ დახმარების ზნეობრივი მოვალეობა ჰქონდათ (ისინი ხომ „ურჯულოებს“ ებრძოდნენ: პირველნი – კავკასიაში, მეორენი – პალესტინაში), საკმაოდ ინფორმირებული იყვნენ ორივე რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესახებ, რაზეც მიუთითებს ჩვენამდე მოღწეული ევროპული წყაროები.

* * *

იერუსალიმი – სამი რელიგიისა და კულტურის ცენტრი დიდი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა საქართველოში. დავით აღმაშენებლის ბიოგრაფი წმინდა მეფის შესახებ გვატყობინებს, რომ იგი ღირსეულად აფასებდა ქრისტიანული სამყაროს ყველა სიწმინდეს, მათ შორის იმათ, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ. მაგრამ მისთვის გამორჩეულად საპატივცემო იყო *„ლაგერანი და საკრებულონი და მონასტერნი არათვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმინდისა და ბორღალეთისანი (ბულგარეთისა), მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, ადავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მეოფნი იერუსალემისანი თვითოფერთა მიერ შესაწირაეთა განამდიდრნა“*, მაგრამ, როგორც ჩანს, მეფე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იერუსალიმის სიწმინდეების მიმართ ამჟღავნებდა. დავით აღმაშენებელი, თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული და მოაზროვნე მეფე, ჯერონად აფასებდა იერუსალიმის საკაცობრიო მნიშვნელობას. ამაზე მეტყველებს მის მიერ გელათის გადაქცევა „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კე-

თილისად, მოძღვრად სწავლულებისად¹. გელათის აკადემიის მოძღვართ-მოძღვრად ანუ რექტორად დაინიშნა იერუსალიმს ნამოდვაწარი არსენ იყალთოელი². გელათის „ახალ იერუსალიმად“ მოხსენიება ტრადიციად გადაიქცა და ასევე მოიხსენიებოდა შემდგომ საუკუნეებშიც³. ზოგჯერ მცხეთასაც ასეთივე ეპიტეტით მოიხსენიებდნენ⁴.

საქართველოს შემონახუნებული დედოფალი იერუსალიმში

გვაქვს ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც ჯვაროსნების დროინდელი იერუსალიმისადმი და იქაური სიწმინდეებისადმი საქართველოს სამეფო ოჯახის დამოკიდებულებას ასახავს. იგი ეკუთვნის XII ს. პირველი მეოთხედში იერუსალიმში მოღვაწე ფრანგ სასულიერო პირს, მეფსალმუნესა და უფლის საფლავის პრესვიტერს ანსელუსს. წერილის ქართული თარგმანი პირველად გამოაქვეყნა ზურაბ ავალიშივილიმა.

ანსელუსის წერილი, გაგზავნილი ეპისკოპოს გალონისადმი, შეიცავს ძვირფას ცნობებს როგორც დავით მეფის „ქერივზე“, ისე მის მიერ იერუსალიმში ჩატანილი ჯვრის შესახებ. დედო-

¹ *ქართლის ცხოვრება*, I, 330-331.

² ინგოროყვა პ., *თხზულებათა კრებული შვიდ ტომად*, I, თბილისი, 1963, 806.

³ *ქართული სამართლის ძეგლები*, II, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, 189.

⁴ *ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი*. XV ს. – 1762. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო მ. ბერძენიშივილიმა, თბილისი, 1989, 85.

ვლის სახეში შეიძლება დავინახოთ XII საუკუნის ქართველთა დღაწლი იერუსალიმის მონასტრების შენარჩუნება-გაძლიერებისათვის, რის პროპაგანდასაც, მისდა უნებურად, ანსელმუსი ეწევა. წერილში, კერძოდ ნათქვამია: „ხოლო ის ჯვარი, თქვენ რომ გამოგიგზავნეთ, ორი ძელითგან არის გააკეთებული. იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული, იმ ძელისა არის, რომელზედ ეკიდა (იესო ქრისტე – ე. მ.); სადაც ჩართული იმ ძელისაა, ფეხთ ქვეშ რომ იყო და ჯვარს რომ ამაგრებდა; ორივე პატიოსანი, ორივე წმინდა.

ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა, სანამ ცოცხალი იყო, უადრეს თავყანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. ის დავით, რომელს, მისი წინაპრებით, კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს¹ რომ ზღუდავს – ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შეილი შეილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მიდელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შეილის გამეფებისა, მეუღლემ მისმა, უფრო სიწმინდისა, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანოვ, წესი მონაზნობისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენ (მხლებელით) იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარისა და ბევრი ოქროს თანწამოღებით, და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

იმ წამოღებულ ოქროთაგან წმინდა ქალაქის მონასტრებს წილები დაურიგა, აგრეთვე გლახაკთა და მგზავრთათვის მისაცემი გაიღო, შემდგომად ამისა უფალ პატრიარქი ვიბელინის

¹ გოგი და მაგოგი – იუდეურ, ქრისტიანულ მითოლოგიაში ორი ველური ხალხი.

ხელქვეით ქართველ დელატა მონასტერში, იერუსალიმს რომ არის, შესულა. მალეც, დათა და პატრიარქის თხოვნით წესი მონაზნობისა მიიღო.

ბოლოს წამოღებული სულ დაარიგა, გახცა და მონასტრის საჭიროებისათვის დახარჯა. და ოდეს ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, თვითონ მისი ხელქვეითებით გაჭირვებაში ჩავარდა, და თუმცა ბევრი რამ საჩუქრად ან სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარ ხორციელ საჭიროებისათვის არასგ ზით არ იმოქმედებდა.

ამრიგად ის ძელი, არა ვითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა გამოვიგზავნეთ⁴.

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 17-18. ანსელუსის გადმოცემით, მას შემდეგ რაც მუსლიმანი არაბების მიერ იერუსალიმის დაპყრობის საშიშროება შეიქმნა და ჯვარცმის ჯვარს საფრთხე დაემუქრა ქრისტიანებმა „ითათბირეს რა, დაჭრეს და დაანაწილეს მრავალ კერძ და მორწმუნეთა ეკლესიებს დაურიგეს, ასე რომ... კონსტანტინოპოლის ქალაქს, გარდა კეისრის ჯვარისა, არის საში ჯვარი, კიპროსს – ორი, კრეტას – ერთი, ანტიოქიას – ერთი, ედესას – ერთი, ალექსანდრიას – ერთი, ასკალონს – ერთი, დამასკოს – ერთი, იერუსალიმს – ოთხი, ასურებს აქვთ ერთი, წმინდა საბას ბერძნებს – ერთი, იოსაფატის ხევის ბერებს – ერთი; ჩვენ, ლათინთ წმინდა საფლავთან ერთი გვაქვს, სივრძით ერთი მტკაველი და ნახევარი, სივანიით ერთი ცერი და იმავე სისქით; აგრეთვე ქართველთა პატრიარქს აქვს ერთი; და ქართველთა მეფესაც ჰქონდა ერთი, რომელიც ღვთის მადლით თქვენ გაქვთ...“ (ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 19). მაგრამ თუ უფრო ადრინდელ ავტორს, კერძოდ, იოანე რუფუსს დავუჯერებთ, პეტრე

როგორც წერილშია ნათქვამი ანსელუსი ეპისკოპოსს გაღონს საფრანგეთში აცნობებს, რომ დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლე-დედოფალი მცირეოდენ მხლებლებით წმინდა ქალაქში წავიდა, თან წაიღო ჯვარი, ბევრი ოქრო. მისი წადილი იყო სამონასტრო სიმყუდროვეში სიცოცხლის დასრულება. ის შემონაზუნდა და ქართველ დედათა მონასტერში შევიდა. მონასტრის დათა და იერუსალიმის ლათინთა პატრიარქის თხოვნით მონოზანი გახდა.

წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ დედოფალი შემდეგში მონასტრის წინამძღვარი გახდა და, ბუნებრივია, მისი პასუხისმგებლობა მონასტრის მიმართ გაიზარდა.

ზ. ავალიშვილმა წერილი 1108 წლით დაათარიღა¹.

ანსელუსი არ აღნიშნავს, პირადად შეხვდა თუ არა დედოფალს ან როდის შეიძინა ჯვარი.

იბერმა იმპერატორის სასახლიდან გაქცევისას წმ. მიწაზე ჩაიტანა იერუსალიმელი ხუცებისაგან კონსტანტინოპოლში შექმნილი ჯვარცმის ჯვრის სასწაულმოქმედი ნაწილი (გეორგიკა. *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*. ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1965, II, 271). გამოდის, რომ ქრისტეს ჯვარი არაბების მიერ იერუსალიმის დაპყრობამდე ორი საუკუნის წინ უკვე დანაწევრებული იყო. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით კი, იგი უფრო ადრე დაუნაწევრებიათ. IV ს. პირველ ნახევარში კონსტანტინე კეისარმა მირიან მეფეს გამოუგზავნა „ძელი ცხორებისაჲ“ და „ფერკთა ფიცარი“ (*ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I (V-X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963, 85-86).

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, თბილისი, 1989. 18.

ანსელუსის ნათქვამის გარდა, დედოფლის, დავით მეფის ქვრივის, იერუსალიმში გამგზავრების, შემონაზვნებისა და საქმიანობის შესახებ სხვა რაიმე ცნობა არ გავგვანია, ამიტომ მასზე აზრთა სხვადასხვაობაა.

ვინ იყო ანსელუსის მიერ დასახელებული დავით მეფის ქვრივი?

დავითის ისტორიკოსის მიხედვით, მეფე დავითს „პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შეიღო ყივჩაყთა, უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა სჯულიერად მეუღლედ თვსად და დედოფლად ყოველი საქართველოსა“¹. მემატიანის გადმოცემას ყივჩაღთა მთავრის ასულის დავით მეფის ცოლობის შესახებ იზიარებენ ცნობილი ქართველი ისტორიკოსები ივ. ჯავახიშვილი², შ. მესხია³, რ. მეტრეველი⁴ და პ. ინგოროყვა⁵.

ვფიქრობ, დავითის „ქვრივის“ საკითხის გასარკვევად საინტერესოდ მსჯელობდა ზ. ავალიშვილი. მან, ზემოთმოყვანილ ლათინურ წყაროზე დაყრდნობით, ივარაუდა, რომ დავითის ქვრივი ნამდვილი ქვრივი არ იქნებოდა, პირველ რიგში იმიტომ, რომ წერილის იერუსალიმიდან გაგზავნის დროს (1108 ან 1107 წელი) დავით მეფე ჯანმრთელი და საშუალო ასაკის კაცი იყო. ზ. ავალიშვილი საცნაურად მიიხნევს იმ მოსაზ-

¹ ქართლის ცხოვრება, I, 336.

² ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965, 199.

³ მესხია შ., ძლევა საკვირველი, 76.

⁴ მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, თბილისი, 1986, 295.

⁵ ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შეიდ ტომად, I, 819.

რებას, რომ მეფე ამ პირველ ცოლს იქნებ გაეყარა და მისი მეორე ცოლი იყო ყიფნადთა ასული, რომელზეც პოლიტიკური მოსაზრებით დაქორწინდა. მაშასადამე, იერუსალიმს წასული დედოფალი დავითის პირველი მეუღლე უნდა ყოფილიყო, გურანდუხტი კი, მეორე. „ამ პოლიტიკური კავშირის მსხვერპლად მეფის პირველი ცოლი შეიქმნებოდა, რომელმაც მონაზნობა მიიღო, თვით მეფე კი ბოლომდე სინანულში იყო“¹.

მათე ურჰაელის მიხედვით დავითის პირველი ცოლი იყო სომეხი ქალი². სწორედ მასზე უნდა გადმოგვცემდეს ანსელუსი. პ. ინგოროყვას აზრით, ის მონასტერი, რომელშიც დავითის „ქვრივი“ შევიდა იყო კაპათა მონასტერი³, იერუსალიმის ერთ-ერთი უძველესი ტაძარი სიონის მთაზე, აგებული იუსტინიანე კეისრის მიერ VI საუკუნეში ძველი ტაძრის ადგილას. გადმოცემის მიხედვით, 1010 წელს ის დაანგრია ეგვიპტის სულთანმა ჰაქემმა. მისი აღდგენა და იქ დედათა მონასტრის დაარსება დაკავშირებულია მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) მეუღლე დედოფალ ბორენასთან და ასული მართას სახელთან. მონასტერი დაინგრა 1244 წელს, ხვარაზმელთა შემოსევის დროს⁴.

ანსელუსის წერილში აღნიშნული არ არის იმ მონასტრის სახელი რომელშიც დავით მეფის „ქვრივი“ შემონაზვნდა და

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 15.

² *Armenia and the Crusades, tenth to twelfth centuries: the Chronicle of Matthew of Edessa*. London, 1993, 227.

³ ინგოროყვა პ., *თხზულებათა კრებული შვიდ ტომად*, I, 806.

⁴ აკაკელიძე კ., *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. თბილისი, 1957. 4, 203–210; მენაბდე ლ. *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II, თბილისი, 1980, 145–146.

სახლობდა. ო. კაზარიანი უფრო შორს წავიდა და ამტკიცებს, რომ დედოფალი იმყოფებოდა მის მიერ დაარსებულ დედათა მონასტერში, მაგრამ ვერც ის ამბობს, რომელი იყო ის მონასტერი. ო. კაზარიანი ამტკიცებს, რომ „*ანსელუსის ლათინური ტექსტის ორიგინალი პირდაპირ და გარკვევით ამბობს იმის შესახებ, რომ დავითის ცოლმა instituit (შექმნა, დაარსა) მონასტერი*“. არ შემოიძლია შევამოწმო, რომელ ტექსტს ეყრდნობა ო. კაზარიანი. ჩემთვის ხელმისაწვდომ არც ერთ პუბლიკაციაში მსგავსი არაფერია¹.

ზ. ავალიშვილი ქართველი მანდილოსნის მეფის ქვრივად გამოცხადებას ანსელუსის შეთხზულად მიიჩნევდა და ვარაუდობდა, რომ ასეთი ცნობა მას არ შეიძლებოდა იერუსალიმში მოეპოვებინა, სადაც ინფორმირებულნი იყვნენ საქართველოსა და მისი მეფის მდგომარეობის შესახებ, პარიზში კი მას ვერ გადაამოწმებდნენ², ე. ი. გამიზნული იყო პარიზელების მცდრობაში შესაყვანად. მაგრამ, როგორც ქვემოთ გამოჩნდება ანსელუსისადმი ამგვარი ბრალდების წაყენება არასწორია.

ზ. ავალიშვილთან წერილი დათარიღებულია 1108 წლით, რაც, ასევე არასწორია. როგორც ქვემოთ გაირკვევა, მან ამოსავლად აიღო იერუსალიმის ლათინთა პატრიარქის გიბელინის (1107-1112) ზეობის წლები. ამდენადვე, ვერ გავიზიარებ ო. კაზარიანის მიერ შემოთავაზებულ წერილის დაწერის მეორე თარიღსაც – 1120 წელს³.

¹ იხ. ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 19-20;

.., .., I, 156.

² ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 15.

³ .., .. (XII-XIII ..). ო. კაზარიანი იმ-

ოწმებს: *East and West in the Crusader states*, 2003. 49.

დედოფლისგან გაგონილის ან იერუსალიმში გავრცელებული ხმების მიხედვით ანსელუსი დავით მეფეს გარდაცვლილად აცხადებს, რაც რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერება. 1108 და 1120 წელსაც დავით მეფე ცოცხალი და ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა.

იხილავდა რა ქართულ და უცხოურ წყაროთა მონაცემებს, ჯ. სტეფნაძე იმ აზრამდე მივიდა, რომ იერუსალიმში იმყოფებოდა დავით მეფის მეორე ცოლი, დედოფალი გურანდუხტი და იმას, რასაც ანსელუსი გადმოგვცემს, მას ეხება. რადგან დედოფალი ქვრივია, ე. ი. დავითი უკვე გარდაცვლილია და მეფობს მისი ვაჟი (დემეტრე), ყოველივე ამის გამო ქვრივი დედოფალი უნდა ყოფილიყო გურანდუხტი. მკვლევარი წერილს ათარიღებს დავით აღმაშენებლის გარდაცვალების, 1125 წლის შემდგომი პერიოდით. მას მიაჩნდა, რომ წერილი დათარიღებულია გამომცემლების მიერ არასწორად¹. ჯ. სტეფნაძე ამ საკითხს შემდეგში კვლავ დაუბრუნდა და გურანდუხტის იერუსალიმში წასვლა ცვატას აჯანყებასთან დააკავშირა. იგი თავის სხვა ნაშრომში აღნიშნავს, რომ გურანდუხტი იერუსალიმში წავიდა დემეტრე I-ის ნახევარი ძმის ცვატას აჯანყების ჩახშობის (1130 წ.) შემდეგ. ცვატას ყიფჩაყები ეხმარებოდნენ. დამარცხებულ ცვატას თვალები დათხარეს. ამ ამბების შემდეგ, როგორც ჯ. სტეფნაძე ფიქრობდა, „*ცვატას დედა გურანდუხტი იძულებული გახდა მონაზვნად აღკვეცილიყო და შორეულ იერუსალიმში, ქართველ დედათა მონასტერში გამგზავრებ-*

¹ სტეფნაძე ჯ., *დემეტრე პირველი. ცხოვრება და მოღვაწეობა*, თბილისი, 1990, 10-11.

*ულიყო. რაც შეეხება ათრაქა შარადანის ძეს, ცვატას პაპას და გურანდუხტის მამას... ყივჩაყეთში ბრუნდება*⁴.

ვიზიარებ, რომ ანსელუსმა წერილი დაწერა 1125 წლის შემდეგ², დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ „ქერივ“ დედოფალში გურანდუხტს მაინც ვერ ვიგულისხმებ, რადგან ნადეოფლარის იერუსლიმში ასვლისორიენტირი უნდა იყოს წერილში დასახელებული იერუსალიმის ლათინი პატრიარქი გიბელინ არლედი, რომლის ზეობის წლები, როგორც აღინიშნა, იყო 1107-1112 წლები. დედოფალი იერუსალიმში უნდა ჩასულიყო ამ წლებს შორის. საინტერესოა, რომ 1104 წელს დავით მეფეს განუზრახავს ათრაქა შარადანის ძის ასულის, გურანდუხტის შერთვა³. ახლა ძნელია იმის დადგენა გურანდუხტის შერთვა მეფემ პირველ ცოლთან განშორებამდე თუ განშორების შემდეგ გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევისათვის გასათვალისწინებელია და მისაღებიც ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ დავით მეფის მეუღლე გურანდუხტ დედოფალი იყო ყივჩაყთა მთავრის ასული და ამის გამო ყივჩაყები

¹ სტეფნაძე ჯ., *მეფეთ-მეფე გიორგი მესამე*. მეორე გამოცემა, შესწორებებით და დამატებებით, თბილისი, 1999, 208-209.

² რ. მეტრეველს, ალბათ, ჯ. სტეფნაძის მოსაზრება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წერდა: „გამოთქმულია მოსაზრება და იგი შორს არ უნდა იყოს ჭეშმარიტებისაგან, რომ იგი დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგაა დაწერილი, თვით წერილის შინაარსი ამ მოსაზრებას უჭერს მხარს“. მეტრეველი რ., *ჯვაროსნული ომები და საქართველო*. კრებულში: სამეცნიერო პარადიგმები, თბილისი, 2009, 399.

³ წურწუშია მ., *ყივჩაყთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში*, 187.

მისი ერთგული იქნებოდნენ. არსებობდა სხვა მიზეზიც, კერძოდ, ის, რომ მეფემ იცოდა ყივჩაყთა სიმრავლის, სიმხნის, სიფიცხის, სწრაფად გადაადგილების და სხვა თვისებების შესახებ და მათი გადმოყვანა გადაწყვიტა¹. როგორც ჩანს, დავით მეფეს ყივჩაყთა საქართველოში ჩამოსახლებამდე კარგა ხნით ადრე გურანდუხტი უკვე ცოლად ჰყავდა. მიუხედავად ამისა, მაინც სავარაუდოა, რომ განშორება მოხდა 1104 წლის ახლო პერიოდში, ან „დაახლოებით“ 1106 წლისათვის

საქართველოს მეფე დავით IV ეყრება თავის პირველ ცოლს, ეთნიკურ სომეხს და ირთავს ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარადანის ძის ქალს².

მანამდე კი, ე. ი. მეორე ქორწინებამდე სამეფო კარს საკმაოდ დიდ დასჭირდებოდა ნადედოფლარის იერუსალიმს გასამგზავრებლად მოსამზადებლად, შემდეგ მგზავრობისათვის შესაფერისი უსაფრთხო სიტუაციისათვის დალოდებას და ვიდრე თავის ნებით წასული თუ გაძევებული დედოფალი წმინდა ქალაქში მივიდოდა, პატრიარქ გიბელინის ზეობის პერიოდი დადგებოდა.

არ არის აუცვლელი ვიფიქროთ, რომ „ქვრივმა“ უძვირფასესი ჯვარი იერუსალიმში ჩასვლისთანავე გაყიდა. მის მონასტერს გიბელინის ზეობის თუ შემდგომ პერიოდში დაუდგა იმგვარი გაჭირვების უამი, რომ ძვირფასი რელიკვია, მონასტრის ილუმენმა გასაყიდად გაიმეტა, მანამდე მან უკვე დახარჯა მეფის მიერ ნაბოძვარი „ბევრი ოქრო“, „ბევრი რამ საჩუქრად

¹ ჯავახიშვილი ივ., *თხულებანი თორმეტ ტომად*, II, 199.

² ალასანია გ., *ყივჩაყები საქართველოში*. ვალერიან გაბაშვილი 90. თბილისი, 2003, 39.

ან სესხად მიღებული“ და ბოლოს ჯვრის გაყიდვის ჯერიც დადგა და იგი ანსელუსის ხელში აღმოჩნდა.

იერუსალიმში გასხვისებული დავით აღმაშენებლის ჯვრის გამო ზ. ავალიშვილი გააკვირვებას ვერ მალავდა და აღნიშნავდა: „*ნუთუ დასაჯერებელია, რომ ქართველთა მეფე (დავითი – ე. მ.) მემკვიდრეობით მიღებულ საუნჯეს, ყოველი ქრისტიანის თვალში უძვირფასესს, არ შეინახავდა საშვილისშვილოდ თავის ოჯახში და შვილს არ უანდერძებდა?*“¹

რა თქმა უნდა, მეფისათვის ძნელი იქნებოდა ჯვართან განშორება, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მან, მართალია, ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მაგრამ მაინც ჩაიბნა ქრისტიანული კანონისა და მორალისათვის მიუღებელი მოქმედება: განშორდა ჯვარდაწერილ მეუღლეს. სამუდამოდ იერუსალიმში მიმავალი ნაცოლარისათვის ამგვარი ძვირფასი რელიკვიის გატანებით და მისი (რელიკვიის) წმინდა მიწაზე დაბრუნებით, დასაშვებია, მეფეს ცოდვის მონანიება და ქალისათვის მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაციაც უნდოდა. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ღვთისმოსავმა ნადეოფლარმა თვითონ მოითხოვა წმინდა ჯვარი დავითთან გაყრისა და იერუსალიმში წასვლის სანაცვლოდ. ამდენად მისაღებია ჯ. სტეფნაძის ვარაუდი, რომ ანსელუსმა ჯვარი შეიძინა 1125 წლის შემდეგ დავითის ქვრივისაგან, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ის იყო დავით მეფის არა მეორე ცოლი – გურანდუხტი, არამედ პირველი, რომლის სახელი ქართულმა და სომხურმა ისტორიოგრაფიამ არ შემოინახა. ის იყო დავით მეფის პირველი ცოლი, რომელსაც 1125 წლის შემდეგ შეეძლო ეთქვა, რომ ქვრივი იყო. ანსელუსმა მისი თავგადასავალი ამის

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 14.

შემდეგ შეიტყო და ჯვრის შესყიდვის შესახებ ცნობას წაუმძღვარა ამ დროისათვის მოკლე ცნობები დაქვრივებული დედოფლის შესახებ: რომელი ლათინი პატრიარქის დროს ჩავიდა დედოფალი იერუსალიმში, როდის შემონახვდა და როდის გახდა იგი დედათა მონასტრის წინამძღვარი. ძნელია იმის დაშვება, რომ დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ იერუსალიმს შემონახვებულიყო მეორე ცოლი გურანდუხტი, როგორც ჯ. სტეფნაძე ფიქრობდა. დაუჯერებელია, რომ სასტიკად დასჯილი ცვატას დედას, გურანდუხტს, რომელიც თავის მამა ოტროკთან და სხვა ყივჩაყებთან ერთად მხარს უჭერდა ამბოხებას, მეფე დემეტრე I-მა უძვირფასესი სიწმინდითა და დიდძალი ოქროთი იერუსალიმში გაისტუმრა. ტრამალებსა და წარმართობაში აღზრდილი გურანდუხტი იერუსალიმში გადასახლებას მონდომებდა? საფიქრებელია, რომ იქნებ ისიც, თუ ფიზიკურად დასჯას გადაურჩა, გაქცეულ ან განდევნილ ყივჩაყებთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა?

პოლიტიკური ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში დიდგორის ომის წინ

დიდგორის ბრძოლამ მნიშვნელოვან წილად საქართველოს შემდგომი განვითარების ხანგრძლივი პერიოდი განაპირობა და მახლობელი აღმოსავლეთის რუკა შესცვალა.

დიდგორის ბრძოლაში საქართველოს წარმატებას წინ უძღვოდა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდგომ სირია-პალესტინაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები. ამ ომში საქართველოს გამარჯვებამ მეფე დავით აღმასენებლის მეთაურობით შეაჩერა სელჩუკების წინსვლა მახლობელ აღმოსავლეთში, მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში.

ლათინთა სახელმწიფოებს განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდნენ ანატოლიის თურქები, ართუკიანები და მოსულის სულთანი. ისინი ებრძოდნენ ანტიოქიის სამთავროსა და ედესის საგრაფოს. ანტიოქიის რეგენტის, ტანკრედის სიკვდილის შემდეგ, რომელიც შეტევით პოლიტიკას ატარებდა მუსლიმანების მიმართ, ხელისუფლების სათავეში მოექცა როჟერ დე პრინციპატო (1112-1119). მან წარმატებით გააგრძელა ტანკრედის პოლიტიკა. იგი მაშინვე შეუდგა ანტიოქიის სამთავროს საზღვრებზე მუსლიმანთა თავდასხმების აღკვეთას. 1113 წლის გაზაფხულზე მუსლიმანთა დიდმა არმიამ მოსულის ათაბეგის მავდუდის მეთაურობით ტივერიადასთან დაამარცხა იერუსალიმის მეფე ბალდუინ I¹ და ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. როჟერი მეფის დასახმარებლად გაეშურა, რამაც მავდუდი აიძულა უკან დაეხია². როჟერმა ისარგებლა მუსულმან გამგებლებს შორის არსებული ქიშპობით და მათთან დადო ხელშეკრულება მოსულის ახალი ათაბეგის, ბურზუკის წინააღმდეგ. 1114 წელს ჯვაროსნების ყოფილბი მტრები – დამასკოს ემირი თულ-თეგინი, ალეპოს ემირი ბადრ ალ-დინ ლულუ და ართიკუდების მხედართმთავარი ილ-ლაზი თავიანთი ჯარებით აპამეესთან შეხვდნენ. მოგვიანებით სამოკავშირეო არმიას შეუერთდნენ ბალდუინისა და ტრიპოლის გამგებლის პონსის

¹ ბალდუინ დე ბულონ, იყო ედესის გრაფი (1097-1100), გრაფ გოტფრიდ ბულონელის (იერუსალიმის მეფე – 1100-1118) ძმა. მისი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო იერუსალიმის მეფის გვირგვინი (1100-1118), მეფობის მთელი პერიოდი გაატარა ბრძოლებში.

²

, 2006, 199.

რაზმები. მათ აიძულეს ბურზუკი უკან დაეხია და ამის შემდეგ მუსლიმანები თავიანთ სამფლობელოებში დაბრუნდნენ. როჟერი იძულებული გახდა მარტო მოეგერიებინა მტერი. 1115 წლის 14 სექტემბერს ანტიოქიისა და ედესის რაინდებმა თელდანიფთან ბრძოლაში გაანადგურეს სელჩუკები, რითაც საბოლოოდ აღკვეთეს ბარზუკის გეგმები სირიის დაპყრობის შესახებ. ამ გამარჯვების შემდეგ როჟერმა საგრძნობლად გააფართოვა თავისი სამფლობელოები¹. როჟერის წარმატებით შეშფოთებულმა მისმა ყოფილმა მოკავშირეებმა, ალექოსა და დამასკოს მუსლიმებმა ანტიოქიის სამთავროს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება განაახლეს. მაგრამ ალექოსს საემირო პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ბადრ ალ-დინ ლულუ თავისივე დაცვამ მოკლა. მისი შემცვლელი ევზუხი იარუკტაში მეზობლებთან ბრძოლებით იყო დაკავებული. ამით ისარგებლა როჟერმა, შეუტია, საემიროს რამდენიმე ქალაქი დაიკავა და ალექოსს მიდამოები აიკლო. მან მოითხოვა მისი რაინდებისათვის უფლება მიეცათ მუსლიმთა ქარავნები ალექოდან მექაში გაეცილებინათ და ქრისტიანთა ტერიტორიაზე გაეღისას გადაეხადათ ბაჟი. როჟერმა იარუკტაშიც აიძულა მის წინაშე ვასალური ფიცი დაედო. ამის შემდეგ ალექოელები ვალდებულნი იყვნენ ანტიოქიის მთავართან ერთად თავიანთი ერთმორწმუნეების წინააღმდეგ ებრძოლათ.

მუსლიმანებისათვის როჟერის მოთხოვნები იმდენად დამამცირებელი იყო, რომ 1117 წლის მაისში მათ ქალაქი ჩააბარეს თურქ მხედართმთავარს, მარდინის გამგებელს, ნაჯმ ალ-დინ ილ-დაზი ბ. არტუკს (დაახლ. 1062-1122). იგი ქალაქს დაეუფლა, ხოლო 1119 წ. 28 ივნისს სოფ. ბალათთან ბრძოლაში გაანად-

1

გურა ანტიოქიელი ჯვაროსნების ჯარი (700 რაინდი და 3 ათასი ქვეითი), ჯვაროსნებმა წაგებულ ბრძოლის ადგილს „სისხლის ველი“ უწოდეს. ანტიოქიის მთავარი როჟერი ბრძოლაში დაიღუპა¹.

ბალათთან დამარცხებამ დიდად შეაშფოთა ჯვაროსნები. ანტიოქიელებმა დახმარებისათვის იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-ს მიმართეს და იგი ანტიოქიის რეგენტად გამოაცხადეს. 14 აგვისტოს გაიმართა ბრძოლა სოფ. თელ-დანისთან, რომელშიც ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა უპირატესობა. ილ-ლაზიმ ჰალაბში დაიხია, ბალდუინმა კი – ანტიოქიაში. ანტიოქიას ამჯერად საშიშროება ასცდა, მაგრამ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მუსლიმანთა თავდასხმა. მართლაც, 1120 წლის ივნისის დასაწყისში ისინი ისევ გამომჩნდნენ ანტიოქიის მიდამოებში².

ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილ ჯვაროსნებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ სელჩუკების სახელმწიფოს ჩრდილოეთიდან უპირისპირდებოდა, სამხედრო თვალსაზრისით ძლიერების ზენიტში მყოფი, დავით IV-ის საქართველო. 1120 წელს დავით მეფე უტევდა სელჩუკებზე დამოკიდებულ შარვანს. ამავე წლის „თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყენა, და წარმოიღო ნა-

¹ . . . , 213. ილ-ლაზის შესახებ ვრცლად იხ. Hillenbrand C., *The Career of Najm al-Din il-Gazi*. Der Islam, 1981, Bd., 58. 250-292; Süssheim K., *Ilgazi*. The Encyclopaedia of Islam (New Edition), Leiden, 1986, vol. III, 1118-1119; ნატროშვილი თ., *მაშრიყით მადრიობამდე*, 19-20.

² K . . . , . . . , 1990, 154.

ტყუენავი მათი ურიცხვ, ჩამოვლო მეზავრ, დაესხა სევველა-
მეჯეს¹ თურქმენტავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათ-
თა; ესე ერთისა წლისა².

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ გადმოცემული ამბავი მეფის ლაშქრობისა საქართველოს სამხრეთით მდებარე თურქმენტა სამფლობელოების მიმართულებით, ასახავს საქარ-
თველოს მხედრობის მიერ უშუალოდ ილ-ღაზის სამფლობე-
ლოებისადმი – მარდინისა და მაიფარაკანისადმი შექმნილ სა-
შიშროებას. ამორნია მდებარეობდა ბასიანის მახლობლად და
ქართველებს შეეძლოთ ილ-ღაზის სამფლობელოებსაც მიწვდო-
მოდნენ³.

თბილისის საკითხი სერთაშორისო ურთიერთობაში დიდგორის ომის წინ

სელჩუკები, რომ სერიოზულად დაკავებულნი იყვნენ საქარ-
თველოს საკითხით, ჩანს იქიდანაც, რომ მათ ყურადღება გაა-
მახვილეს თბილისზე, რომლის მუსლიმანი მოქალაქეები დავით
მეფემ აიძულა წლიურად 10 ათასი დინარი გადაეხადათ⁴. სა-
ქარტველოს მეზობელი მუსლიმანური პოლიტიკური ერთეუ-
ლები უნდა შეეშფოთებინა, აგრეთვე, დავით აღმაშენებლის
წარმატებულ ომს 1121 წლის გაზაფხულზე ხუნანის, არრანის
და ბარდავის წინააღმდეგ.

¹ მდებარეობა გაურკვეველია.

² *ქართლის ცხოვრება*, I, 339.

³ ნატროშვილი თ., *მაშრიყით მადრიბამდე*, 23.

⁴ *ქართლის ცხოვრება*, I, 337; სიხარულიძე ე., *აღ-ფარიკი სა-
ქართველოში*. სემიტოლოგიური ძიებანი, II, თბილისი, 1985, 88.

როგორც ჩანს, თავდაპირველად, თბილისელების თხოვნის მიუხედავად, საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება ილ-ლაზის გეგმაში არ შედიოდა. აღინიშნა, რომ თბილისელებმა ილ-ლაზის მიმართეს 1121 წლის მარტის მეორე ნახევარში, მაგრამ მან თბილისელების თხოვნას ყური არ უგდო და მაისში ომი განაახლა ანტიოქია-ედესის წინააღმდეგ¹. ამ დროს თბილისიდან ილ-ლაზის ბანაკში უნდა ჩაეღწია იმ ცნობას, რომელშიც ქართველების მიერ თბილისიდან 100 თურქის გამოტყუებისა და ამოწვევების შესახებ იყო ნათქვამი². ვფიქრობ, დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული ეს აქტი იყო საწყისი ეტაპი იმ საიდუმლო გეგმისა, რომელზეც ქვემოთ ითქმევა. მან შეასრულა კატალიზატორის ფუნქცია, რათა ილ-ლაზის, როგორც მუსლიმთა ინტერესების დამცველს, საქართველოზე გაეღაშქრა.

სხვა წყაროს მიხედვით, ილ-ლაზის გარკვეულ დრომდე არ აინტერესებდა საქართველოში მცხოვრები მუსლიმების ბედი, მაგრამ გამდიდრებისა და განდიდების სურვილმა სძლია და ეს გახდა გადამწყვეტი ფაქტორი საქართველოზე ლაშქრობის ორგანიზებისათვის. იბნ ალ-ფარიკი წერს, რომ ილ-ლაზის მოუხმეს თბილისის საამიროს მცხოვრებლებმა: *„თბილისის ხალხმა ნუჯმ აღ-დინ ილლაზისთან (კაცი) გაგზავნა და სთხოვა ჩაებარებია თბილისი, რომელიც ორმოც წელს, დაახლოებით, თვით ხალხის ხელში იყო. მათი (თბილისელების) ხელმწიფეები იყო ჯგუფი ხალხისა, სახელად „ჯაფაროს გვარი“ (ან „ჯაფარის სახლი“), რომელსაც ორას წელს ეპყრო ბატონობა და შემდეგ მოისპო და გამგებლობა თვით ხალხს ჩაუვარდა*

¹ Minorsky V., *Caucasica in the History Mayyâfâriqin*, 31.

² *ქართლის ცხოვრება*, I, 349-350.

ხელში¹. ამგვარად, აღ-ფარიკის თანახმად, თბილისელები ილ-ლაზის მარტო დახმარებას კი არ სთხოვდნენ, არამედ ქალაქსაც სთავაზობდნენ. სხვა ცნობით, თბილისელმა მუსლიმებმა დახმარებისათვის მიმართეს არრანის გამგებელს ტულრილ იბნ მუჰამადის, მაგრამ მას თბილისელების დახმარება არ შეეძლო².

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მუსლიმთა მთავარი დამრტყმელი ძალა იქნებოდა ართუკიანთა მიერ ჩამოყალიბებულ ანტიქართულ კოალიციაში გაერთიანებული „არაბეთის მეფე“, დამასკოსა და ალექოს თურქმანები, განძის ათაბაგისა და „ყოველთა სომხითის ამირათა“ შეიარაღებული ძალები³. კოალიციის შეიარაღებულ ძალებს უმეთაურბდა ილ-ლაზი.

ილ-ლაზის სამხედრო გეგმა შედგებოდა ორი ნაწილისაგან: ჯერ საქართველოს დამორჩილება და შემდეგ იერუსალიმისა და ანტიოქიის ჯვაროსნებისაგან განთავისუფლება. როგორც ანტიოქიის კანცლერი გოტიე გადმოგვცემს, ილ-ლაზი ფიქრობდა, რომ საქართველოს პრობლემა უფრო იოლად გადასაჭრელი იყო და მას დაესხა თავს: „(აღლაბით) წამოსულმა

¹ ფუთურიძე ვლ., *არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ*. ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის მონაშე, №XIII, 1942, 130-140.

² „... (12 1124). შდრ. ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 41.

³ *ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. შანიძემ, თბილისი, 1992, 190.

(ილღაზიმ) თურქმანთა და აგრეთვე არაბთა ურიცხვი ჯარი შეკრიბა, და ამ შეკრებილთა სიმრავლე რომ ნახა, უაღრეს ამპარტავნებით გათამამებულმა, დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში დაშქრობა გადაწყვიტა ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად, რათა მისი დაქცევის, ანუ განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულიად შეუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას¹.

მართალია გოტიე გვამცნობს, რომ იღ-ღაზის გეგმა ითვალისწინებდა „*იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას*“, მაგრამ სხვა ცნობებიდან არ ჩანს მისი ასეთი განზრახვა იერუსალიმის მიმართ. რაც შეეხება ანტიოქიას, იღ-ღაზი საქართველოს აკლება-დამორჩილების შემდეგ ანტიოქიაზე თავდასხმას რომ ფიქრობდა, ჩანს ერთი არაბული ცნობიდან, რომელშიც გადმოცემულია იღ-ღაზისა და მისი სიძის (ქალიშვილის ქმრის), ქ. ჰილლას გამგებლის, დუბაის იბნ სადაკას საუბარი: „*ჭკესმარიტად, როდესაც დუბაის იბნ სადაკა იღღაზთან ერთად ქართველებზე (საომრად – ე. მ.) წავიდა, მან ვზაში იღ-ღაზის ჰკითხა, მისცემდა თუ არა მას (იღ-ღაზი) ჰალაბს, დუბაისი თუ შესწირავდა მას 100 ათას დინარს იქ თურქმენტა ახალი არმიის შესაქმნელად და დაეხმარება (იღ-ღაზის) ანტიოქიის დაპყრობაში*“. *ართუკიდმა მიიღო ეს წინადადება და [თანხმობის ნიშნად] ხელი ჩამოართვა დუბაისს².*

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 45.

² Asbridge T. S., *The Significance and Causes of the Battle of the Field of Blood*. Journal of Medieval History. 1997. vol. 23, №4, 301-316; ..

(12 1124). <http://deusvult.ru/79-franki-v-bitve-pri-didgori.html>

ზემოთ დამოწმებული წყაროები გვიჩვენებს, რომ ილ-ღაზის მიზანი ანტიოქიის სამთავროს დაპყრობა იყო, მაგრამ შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ იგი აიძულა მთელი ძალები თავდპირველად საქართველოს წინააღმდეგ მიემართა.

მაშინ, როდესაც ანტიოქიელ ჯვაროსნებს წარუმატებლობა სდევდათ, წარმატებას აღწევდა ქართული იარაღი. ამგვარ ვითარებაში, სავსებით ლოგიკურია, მათ საქართველოსთან პოლიტიკურ კავშირზე ეფიქრათ, დიდგორის ომის წინ საქართველოს მეფესთან მოციქულებიც გაეგზავნათ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი გეგმის შემუშავებასა და მოქმედებაზე შესათანხმებლად. ასეთი კავშირი დავითისათვის მისაღები იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნებს არ შეეძლოთ რაიმე სერიოზული წვლილის შეეტანათ ქართული სახელმწიფოს სელჩუკებთან ბრძოლაში. დასაშვებია, საქართველოს მეფესთან პოლიტიკური კავშირი დაემყარებინა საქართველოს საზღვრებთან ახლოს მდებარე და მუსლიმთაგან თავდასხმების საშიშროების ქვეშ მყოფ ედესის საგრაფოსაც.

საინტერესოა, როგორ ხდებოდა საქართველო-ჯვაროსნების დიპლომატიური ურთიერთობის განხორციელება ან დაზვერვითი ინფორმაციის გაცვლა. ამ საქმეში სერიოზული როლი, როგორც აღინიშნა, უნდა შეესრულებინათ სირია-პალესტინის ქართულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებს, რომლებსაც მუდმივი კავშირი ჰქონდათ საქართველოს ხელისუფლებასთან და ღათინ სასულიერო პირებთან.

ისე ჩანს, რომ საქართველოს თავის თავზე უნდა აეღო მთავარი დარტყმა და ჯვაროსანთა სახელმწიფოებიც გადაერჩინა. სავარაუდოა, მოკავშირეთა ჩანაფიქრით, დავით მეფის მიერ მუსლიმანთა კოალიციის ჯარების საქართველოში შემოტ-

ყუება¹ და განადგურება იყო, სატყუარა კი, თბილისის საამირო რო უნდა ყოფილიყო.

¹ დავით აღმაშენებელი საბრძოლო ტაქტიკისათვის დამახასიათებელი იყო მოწინააღმდეგის თავისათვის მოხერხებულ დროსა და ადგილას შეტყუება და განადგურება. როგორც მისი ისტორიკოსი გადმოგვცემს: „*რამეთუ მოიმხტვარნის მეფემან რომელთა მოსრგაა ვეგბოდის, და უგრზნეულად დაესხის და მოსწყდა ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, ვინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას*“. *ქართლის ცხოვრება*, II, 333. ნათქვამის საილუსტრაციოდ ისტორიკოსი თავისი მეფის ერთ მაგალითს ჰყვება: „*ხოლო აქუნდის ჩვეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით ვარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუვნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირისათა. რამეთუ მათნიცა მსტოვარნი ზედა ადვიან მეფესა და ეძებდიან ვზათა მისთა. ვარდავიდა მეფე გეგუთს და მიერ ხუფათს, და ამით გულჰყრობილ ყვნა ივინი. ქრონიკონი იყო სამას ორმოცი (1120 წ.). ხოლო მათ ცნეს რა სიშორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი ფრიად, და დაიზამთრეს. და არა პრულოდა მეფესა, არამედ ვარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლით ვინმე შეესწრა ცხენსა და ვარდაიხუეწა. აღიდეს ტყუე და ალაფი ურიცხვ, და მოვიდა ღანუკს*“. *ქართლის ცხოვრება*, II, 338.

ამგვარი ტაქტიკის საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს დიდგორის ბრძოლის წინ დავით აღმაშენებლის მიერ 200 ყივჩაყის შეგზავნა ილ-დაზის ჯარის რიგებში, არეულობის შეტანა და შემდეგ უკან დახევა, რასაც გადმოგვცემს იბნ ალ-ნასირი. ჩხატარაიშვილი ქ., შაიშმელაშვილი ი., *დიდგორის ბრძოლა*, თბილისი, 1973, 104; კუტალია გ., *ნარკვევები და მოვონებები*, თბილისი, 2004, 7-8.

დაცვისათვის. იმავე აღ-ფარიკის თქმით, თბილისელებმა 1121 წელს დახმარება სთხოვეს მარდინისა და მაიაფარიკანის მფლობელს ნეჯმ აღ-დინ ილ-ლაზის, რათა მისუღიყო და ქალაქის გამგებლობა ჩაებარებინა¹. აღ-ფარიკის მიხედვით, როგორც აღინიშნა, თბილისელებმა ილ-ლაზის მიმართეს 1121 წლის მარტის მეორე ნახევარში² (ამ თარიღს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიდგორის ბრძოლის მონაწილე ევროპელი რაინდების საქართველოში მოსვლის საკითხის გასარკვევად). თბილისელი მუსლიმანების გარდა, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ თბილისის მართვის საქმეში და XII საუკუნეში იბრძოდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და თავისი კომერციული ინტერესების დასაცავად, მათთან ერთად სელჩუკთა მოკავშირე იქნებოდა, განჯისა და დმანისის სავაჭრო წრეები, რომლებსაც მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობა სურდათ; ილ-ლაზის პოტენციური მოკავშირენი იყვნენ, აგრეთვე, დავით მეფისაგან შევიწროებული მომთაბარე თურქმენები, რომლებსაც აღარ დაედგომოდათ მტკვრისა და არეხის ნაპირებზე; საქართველოს მეზობელი მუსლიმი გამგებლები, რომელთა ძალებს აღემატებოდა გაძლიერებულ საქართველოსთან დაპირისპირება.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა მეფის მიერ გატარებული ღონისძიებებით შეწუხებული მოწინააღმდეგეების მოქმედება შემდეგნაირად გადმოგვცა: „*ამათ ესევითართა ჭირთავან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტვილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა*

¹ მესხია შ., *ძღვეაი საკვირველი*, 89.

² Minorsky V., *Caucasica in the History Mayyâfâriqin*. Bulletin of the School of Oriental and African Studies, 1948. XII/4, 31.

სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ჳელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჳირნი, მოწვენულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თვისა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა¹.

მათე ურჳაელს დიდგორის ომის მიზეზად დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკების დამარცხება და მათი საქართველოდან განდევნა მიიჩნდა: „მაშინ თურქთა ჳარებიდან გადარჩენილები საშინლად შეშფოთდნენ. შემოიფლითეს თავიანთი ტანსაცმელი, თავზე მიწა დაიყარეს, შავადმოსილნი და თავშიშეკლნი შკჳალადებდნენ ქალაქ განძაკში თავიანთ სულთანს მელიქს ტაფარის შვილს, გლოვით იჩივლეს მის წინაშე თავიანთი დანაკარვის გამო. ხოლო სხვებმა მიადწიეს არაპკელთა მხარეს კარმიანის ქვეყანაში ამირა ხაზიმდუ, რომელიც იყო არდუხის ძე და საშინელი ტირილით მოუთხრეს მას თავიანთი გაწვევტის შესახებ²“

მუსლიმების მიერ ხიფათის შემცველად უნდა აღქმულიყო დავით მეფის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმა, განსაკუთრებით კი, ყივჩაყების გადმოყვანა (1118 წ.) და მათი მეომრების რეფორმირებული ქართული ჳარის სისტემაში ჩართვა.

¹ ქართლის ცხოვრება, I, 340

² დავლიანიძე ლ., მათე ურჳაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, საქართველო რუსთაველის ხანაში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1966, 244.

**დიპლომატია ყივჩაყთა ჯარის საქართველოში
გადმოყვანისათვის¹**

დავით აღმაშენებელთან, როგორც საერთაშორისო ავტორიტეტთან და მის გონივრულ დიპლომატიურ საქმიანობასთან დაკავშირებულია ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლება და თავისი სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება. საქართველოს ისტორიის ამ საინტერესო მომენტზე მხოლოდ დავითის ისტორიკოსის რამდენიმე ცნობა გაგვაჩნია. ჩნდება გონივრული ვარაუდი, რომ დავით აღმაშენებელი გაითვალისწინებდა ყივჩაყთა მწვავე ურთიერთობებს მათ მეზობლებთან, განსაკუთრებით კი, კიევის სამთავროსთან. ამიტომ მეფეს აუცილებლად ექნებოდა დიპლომატიური ხასიათის კონტაქტი კიევის მთავარ ვლადიმირ მონომახთან (1113-1125), რომელიც სათავეში ედგა რუსეთის სამთავროების ანტიყივჩაყურ კოალიციას. ვლადიმირ მონომახი დაინტრესდებოდა თავისი სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ყივჩაყთა სამეზობლოში მიმდინარე ამბებითა და საქართველო-ყივჩაყეთის კავშირით, რაც განმტკიცებული იყო დავით მეფის ყივჩაყთა მთავრის ასულზე ქორწინებით. მხედველობა-

¹ დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლების საკითხის განხილვა, ერთი შეხედვით, არ არის დაკავშირებული საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხის გარკვევასთან, მაგრამ იგი დაგვეხმარება დიდგორის ბრძოლაში „ფრანკების“ მონაწილეობის მიზნებისა და მიზეზების გარკვევაში; ზოგადად წარმოდგენას შეგვიქმნის დიდი მეფის დიპლომატიურ საქმიანობაზე უცხოელ მეომართა ქართულ ჯარში მოწვევასა და საბრძოლო კამპანიებში მათ მონაწილეობაზე, აგრეთვე საქართველოში უცხოელების და ქართველების უცხოეთში დაქირავებულთა სახით ყოფნის ტრადიციაზე.

შია მისაღები, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა ერთი ნაწილის საქართველოში გადმოსახლებამდე მცირე ხნით ადრე რუსებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, 1103-1116 წლებში, მათი ძირითადი მასა გაწყვიტეს. ყივჩაყთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთაური, როგორც ითქვა იყო ვლადიმირ მონომახი¹.

XII ს. ვოლინელმა მემატიანემ ყივჩაყების საქართველოში გადმოსვლის ამბავი შემდეგნაირად აღწერა: „*მარად დაუცი- წყარ, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი დიდი მთავრის რომანის გარდაცვალების შემდეგ... (რომელიც – ე. მ.) ეჭიბრე- ბოდა თავის პაპას მონომახს, რომელმაც დაღუპა უწმინდური ისმაიტელნი, ყივჩაყებად წოდებულნი, განდევნა რა ოტროკი² აფხაზეთში (საქართველოში) რკინის კარებს იქით... მან ვლადიმერ მონომახოსმა... მიიღო (შემოიერთა) მათი მიწა-წყალი სრულიად და გადარეკა წყეულნი ავარიანნი. ვლადიმერის გარდაცვალების შემდეგ სირხანთან დარჩენილი ერთადერთი მებუკე (სახელად) ორევა გაგ ზაენა (სირხანმა) აფხაზეთში (სა- ქართველოში) და დააბარა (ეთქვა ოტროკისათვის): „ვლადი- მერი უკვე მკვდარია, დაბრუნდი და მოდი შენს ქვეყანაში“³.*

¹ . . . , . I, . . . , 1901; ცინცაძე ი., *ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.)*, თბილისი, 1965, 191-192.

² ოტროკი, დავითის ისტორიკოსის ათრაქა შარაღანის ძე, დავით IV-ის სიმამრი.

³ ცინცაძე ი., *ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.)*, 190. ოტროკი შემდეგში მართლაც დაბრუნდა სამშობლოში.

., . 2, - ., 1908, 716.

შ. მესხიას სწორი ვარაუდით, ყივჩაყთა საკითხმა დავით აღმაშენებელი და ვლადიმირ მონომახი ერთმანეთთან დააკავშირა. ყივჩაყებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება და შემდეგ მათი საქართველოში გადმოსახლება ვერ მოხერხდებოდა კიევის რუსეთის დიდ მთავართან მოლაპარაკება-შეთანხმების გარეშე. კიევის მთავარი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ებრძოდა ყივჩაყებს, საქართველოს მეფის ყივჩაყებთან დაკავშირება შეიძლებოდა კიევის საწინააღმდეგოდ მოქმედებად აღექვა, თუკი იგი სათანადოდ ინფორმირებული არ იქნებოდა ქართველი მეფის მიზნებისა და ამოცანების შესახებ¹.

კიევის მთავრის საქართველოს შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოს III-ის (1648-1672) ვაჟის პავლე ალექსოელის „საქართველოს აღწერილობაში“ მოთავსებული ცნობა დავით IV-ის მიერ ყივჩაყების საქართველოში გადმოყვანისათვის კიევის მთავარ, ვლადიმირ მონომახს რომ უკავშირდება². სავარაუდოა, ვოლინის მატიანე

¹ მესხია შ., *ძლევა და საკვირველი*, 62.

² შ. მესხიამ ვარაუდი გამოსთქვა ნ. ასათიანის მიერ 1965 წელს გამოქვეყნებულ თეზისებზე დაყრდნობით, რომელშიც განხილული იყო პავლე ალექსოელის (პავლე ალექსოელს მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე, აგრეთვე წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა ვრცლად იხ. ასათიანი ნ., *მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის*, თბილისი, 1973) „საქართველოს აღწერილობა“ (ასათიანი ნ., *პავლე ალექსოელის „საქართველოს აღწერილობა“ და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზივიერთი საკითხი*. თსუ და საქართველოს პედინსტიტუტების ისტორიის კათედრების გაერთიანებული სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1965, 18-19; მისივე, *ახალი ცნობები რუსეთ-საქართველოს*

და მის შინაარსთან მიახლოებული სხვა წყარო საფუძვლად დაედო პავლე ალექსოელის ცნობას.

პავლე ალექსოელი აღწერს რა გელათის მონასტერს, აღნიშნავს ამ მონასტრის დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებას და იქვე ამბობს: „როდესაც უწმინდურებმა საქართველოს დაპყრობა მოიწადინეს, მაშინ მეფე დავითი რუსეთში მოვიდა, თაყვანისცემით დახმარება ითხოვა და მისცეს რა დიდი ძალა, წავიდა და უწმინდურნი თავისი სამფლობელოებიდან განდევნა და გაათავისუფლა მისგან“¹.

ჩემთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით, პავლე ალექსოელი გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის კიევის მთავართან ჩასვლაზე. ამ ცნობის პირდაპირი გაგება არ შეიძლება. სავარაუდოა, ვლადიმირ მონომახთან ის ადამიანები მისუღიყვნენ, რომელთა შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს: „წარავლინა (მეფემ – ე. მ.) კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა“². შეიძლება ვივარაუდოთ: რადგან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მას შემდეგ, რაც მეფეს მისმა კაცებმა ყივჩაყებისაგან საქართველოში გადმოსვლის თანხმობა და ოსეთის გზის მშვიდობიანი გავლისათვის უზრუნველყოფის თხოვნაც ჩამოუტანეს, ამის შემდეგ დავით აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ოსეთს გადავიდნენ და ოსები და ყივჩაყები

პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან. საქართველოს მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს ისტორიის სექციის სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1965, 17).

¹ მესხია შ., *ძლევაჲ საკვირველი*, 63.

² *ქართლის ცხოვრება*, I, 336.

ერთმანეთთან შეარიგეს. „და ყო შორის მათსა სიყუარული და მშველობა ვითარცა ძმათა, და აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშველობისა ყივჩაყათვს, და გამოყვანა სიმრავლე ფრიად დიდი; და სიმამრი და ცოლისძმანი თვხნი არა ცუდად დაშურეს...“¹.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნათქვამი ყივჩაყების საქართველოში გადმოყვანის შესახებ სამ ეტაპად უნდა განვიხილოთ: 1. დავით მეფის მიერ წარგზავნილ კაცთა მოლაპარაკება ყივჩაყთა მეფესთან; 2. ყივჩაყების გადმოყვანისათვის ჩატარებული სამზადისი, რომელსაც უშუალოდ დავით მეფე ხელმძღვანელობდა; 3. ყივჩაყების წარმატებული გადმოყვანა საქართველოში.

ყივჩაყების საქართველოში გადმოყვანისათვის მეფე დავითის მიერ განხორციელებული დიპლომატიური საქმიანობიდან, თუ დავითის ისტორიკოსის თხრობას მივყევით, განსაკუთრებული ყურადღრება უნდა დაეთმოს მეორე ეტაპს. ამ დროს, როგორც ითქვა, მეფე პირადად იმყოფებოდა ყივჩაყეთსა და ოსეთში და ადგილზეც გაეცნობოდა თავისი სიმამრისა და, საერთოდ, რუსულ სამთავროებთან და აღანებთან ბრძოლებში დასუსტებული ყივჩაყების მდგომარეობას. სავარაუდოა, დავით მეფის ყივჩაყეთში ჩასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გაჭირვებაში მყოფი სიმამრისა და მისი მხარდამჭერი ტომის გადმოყვანა იყო. სავარაუდოა, მას ასეთნაირად უნდოდა ყივჩაყთა ერთი ნაწილის გადარჩენა² და, ამასთან ერთად, საქართ-

¹ ქართლის ცხოვრება, I, 336.

² ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ რუსი მემატიანის ცნობა ვლადიმირ მონომახის ყივჩაღების წინააღმდეგ წარმატებული

ველოს სამხედრო პოტენციალის ამადლებაც. ასეთ დროს დავით მეფის კიევის მთავართან დაკავშირება (რაზეც პავლე ალექსოვლი მოგვითხრობს) და მასთან დიპლომატიური მოლაპარაკება სრულიად დასაშვებია და წარმატების მიღწევაც შეიძლებოდა. ყივჩაყთა მნიშვნელოვანი რაოდენობის კავკასიაში გადმოსვლა ორივე მხარეს, საქართველოს და ყივჩაყთა მეზობლებს, აწყობდათ.

საინტერესოა მ. წურწუმიას მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაყების საქართველოში გადმოყვანა და მათგან მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის ჩამოყალიბება ჩაიფიქრა 1104 წელს, მაშინ, როდესაც მან გადაწყვიტა ცოლად მოეყვანა ათრაქა შარადანის ძის ასული გურანდუხტი. დავითმა ჩანაფიქრის განხორციელება შეძლო მხოლოდ 1118 წელს, როდესაც მან საბრძოლო მოქმედებები საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაიტანა¹. მაგრამ იმის დაშვებაც შეიძლება, რომ დავით მეფეს ყივჩაყთა გადმოყვანა და მათი სამხედრო ძალის გამოყენების აზრი იმიტომ გაუჩნდა, რომ ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მეფის ათრაქა შარადანის ძის ასული.

ბრძოლის შესახებ გაზვიადებულია.

XII-XIII , , 69; წურწუშია მ., *ყივჩაყთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში*. ივ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბილისი, 2012, 184.

¹ წურწუშია მ., *ყივჩაყთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში*, 187.

დავით აღმაშენებელმა, „ამან მეორემან აღუქსანდრე განი-
ზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო
ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე,
და წუობათა შინა სიმკვნე, სისუბუქე და მიმოსლევა, სიფიცხე
მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ
მომზდებულობა ნებისა თვისისა“¹. როგორც ივ. ჯავახიშვილი
წერდა, ყივჩაყთა ლაშქრის გადმოყვანა, მათი დაბინავება,
გაწვრთნა და დაწყოება უნდა მომხდარიყო 1118-1120 წლებში².

ამგვარად, დავით IV სამხედრო თვალსაზრისით, მზად იყო
თავისი დიდი ომისათვის, დიდგორში გამარჯვებისათვის³.

¹ *ქართლის ცხოვრება*, I, 335-336.

² ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, II, თბილისი,
1983, 200.

³ დაქირავებული ყივჩაყები საქართველოში მოჰყავდათ დავით
აღმაშენებლის შემდეგაც. როგორც ლაშა-გიორგის დროინდელი
მემატიანე გადმოგვცემს, გიორგი მესამის ყოველ დაძახებაზე ათა-
სობით ოსი და ყივჩაყი გადმოდის (ქართლის ცხოვრება, I, 367),
რა თქმა უნდა ქირავნობის პირობით. დაქირავებული ყივჩაყები
მოჰყავდათ თამარ მეფის დროსაც. „ისტორიანი და აზმანი შარა-
ვანდელთანის“ მიხედვით, გიორგი რუსთან და მის მომხრეებთან
ბრძოლის დროს მეფის ინტერესების დამცველებთან („ჰერნი,
დიდებულნი და აზნაურნი“) ერთად იყვნენ „თანდართვითა ყივჩაყ-
თათა“. (ქართლის ცხოვრება, II, 53); თამარ მეფის დროს „ძმა ყივ-
ჩაყთა მეფისა სევინჯისა სავალათი, აქა იყო სამსახურად“. (ქარ-
თლის ცხოვრება, II, 64); 1191-1192 წლებში თამარ მეფის სიახ-
ლოვეს არიან „ყივჩაყნი ახალნი“ (ქართლის ცხოვრება II, 65; ჩხა-
ტარაიშვილი ქ., *უცხოელები XII საუკუნის საქართველოში. საქარ-
თველო რუსთაველის ხანაში*, თბილისი 1966, 175).

ჯვაროსანი რაინდები საქართველოში

გადავავლოთ თვალი დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკას დიდგორის ომის წინ, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას და ამიერკავკასიაში საქართველოს ჰეგემონობის დამყარებას ემსახურებოდა.

1. საერთაშორისო ვითარების გონივრული ანალიზის შემდეგ, 1099 წელს დავითმა ე. წ. სათურქო ხარკის გადახდის შეწყვეტით, ფაქტიურად, ომი გამოუცხადა მუსლიმანურ სამეზობლოს, რომელსაც თავისი სერიოზული შიდა პრობლემები ჰქონდა. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ მათი მდგომარეობა თანდათანობით რთულდებოდა. როგორც ითქვა, ჯვაროსნებმა 1098 წელს დაიპყრეს ჯერ ედესა, შემდეგ ანტიოქია და დაარსეს ედესის საგრაფო და ანტიოქიის სამთავრო. 1099 წ. აიღეს იერუსალიმი და შექმნეს იერუსალიმის სამეფო, 1109 წ. სირიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაარსეს ტრიპოლის საგრაფო.

დავით აღმაშენებლის პირველი დაპირისპირება თურქ-სელჩუკებთან მოხდა 1104 წელს კახეთისათვის და ერწუხის ბრძოლაში ისინი სასტიკად დაამარცხა კიდეც. შემოერთებული იქნა კახეთი. 1110 წელს დაიბრუნა სამშვილდე და ძერნა.

დავით მეფის შეტევა სელჩუკებზე ქვეყნის გამთლიანებისათვის, დროის მიხედვით, **დაემთხვა** მუსლიმანთა შეტევას ედესის საგრაფოზე. ჩნდება ეჭვი დავით IV-ისა და ბაღდუის I-ის საერთო მტრის წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედებაზე. ასევე **დაემთხვა** დავით მეფის მიერ 1115 წელს რუსთავის აღება და სირიაში დანისთან ბრძოლაში ანტიოქიის გამგებელი როჟერის, ართუკიანი ილ-ღაზისა და მისი სიმამრის, დამასკოს ამირას, ტულ-თეგინის მიერ ნაესილის გამგებელ აყ-სონყურ ილ-ბარსუკის ჯარის დამარცხება. ამ უკანასკნელს

დავალებული ჰქონდა ფრანკთა (ჯვაროსანთა) სამფლობელოების დალაშქერა. მარცხის შემდეგ ირანის სელჩუკმა სულთანმა ველარც სირიის დაბრუნება შეძლო და ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაზეც ხელი აიღო. დავით IV-მ კი, ამის შემდეგ (1116-1117 წწ.) დიდი სამხედრო წარმატებები მოიპოვა ბასიანიდან შირვანამდე¹.

2. საქართველოსა და იერუსალიმის სამეფოს შორის კავშირზე მიგვანიშნებს ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა, რომელთა პირველწყაროს მიგნება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

როგორც იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა, პირადად უნახავს „სხვათა ისტორიები“, სადაც ამოუკითხავს, რომ დავით აღმაშენებლის მიერ 1119 წელს ლორეს აღების შემდეგ, სელჩუკიანთა სულთნის, მალიქ-შაჰის ვაჟი ყანდან მელიქ სულთანი საქართველოს და მისი მეფის სიძლიერეში დარწმუნების მიზნით, დაფარულად მოსულა „*გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა*“. მოსულა, აგრეთვე ბიზანტიის კეისარი ალექსი კომნენოსი. და, ბოლოს, რაც ყველაზე საინტერესოა, „*ბაღდოინ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბაღდოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა... და ვერა რომელთამე ქართველთა სცნეს ამათი იდუმალ მოხლვა, და უკუნიქცნენ მასვე წელსა შინა*“².

ამონარიდში ზოგიერთი უზუსტობაა: ალექსი კომნენოსი 1119 წლისათვის უკვე ერთი წლის გარდაცვლილია, ბაღდუინ II, იერუსალიმის მეფე კი, ერთი წლის გამეფებული. სელჩუკთა

¹ ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 30-31.

² *ისტორიანი და აზმანი შარაგანდელთანი*, 7, შენ. 1.

სულთანს მალიქ-შაჰს ოთხი ვაჟი ჰყავდა: ბარქიარუკი, მუჰამედი, სანჯარი და მაჰმუდი. როგორც ჩანს, მალიქ-შაჰს ყანდან მელიქ სულთანის სახელით ვაჟი არ ჰყავდა. ამას რომ ყურადღება არ მივაქციოთ, მაინც რომელი დროც არ უნდა ყოფილიყო, დასახელებული მეფეები საქართველოში მაინც ვერ მოვიდოდნენ. მით უმეტეს ვერ ჩამოვიდოდა ბაღდადის, რომელიც ამ დროს სელჩუკების წინააღმდეგ აქტიურ სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდა. ეგეც რომ არ ყოფილიყო, საქართველოსა და ჯვაროსანთა შორის ტერიტორიები სელჩუკებს ჰქონდათ დაკავებული. მაშ როგორ შეიძლება აიხსნას გადმოცემა, რომელიც იოანე ბატონიშვილმა, ალბათ, სადღაც მართლა ამოიკითხა?

ძველ ისტორიკოსებს ახასიათებდათ თავიანთ თხზულებებში ფაქტებისა და პიროვნებათა დამსახურების, მათთან დაკავშირებული ამბების გაზვიადება. სრულიად დასაშვებია, რომ ბიზანტიისა და იერუსალიმის სამეფოს ელჩების საქართველოში მოსვლის ფაქტები, შემდგომი დროის ჩვენთვის უცნობ მემატინეს თავისი თხზულება სასურველი სიუჟეტით „გამდიდრებინა“ ან მასში ცნობილი ისტორიული პიროვნება (ამ შემთხვევაში – ბაღდადის) შეეყვანა. ასეთი ტენდენცია მხოლოდ ქართველ მემატინეთა თხზულებებში არ შეიმჩნევა.

* * *

შენიღბული ქართველი მეფეების ჯაშუშური მიზნებით არაბთა სამფლობელოებში მოგზაურობის შესახებ გვხვდება მამლუქთა პერიოდის არაბულ წყაროებში¹.

1

„...“ . „ახლოდმოსავლური კრებული“, თბილისი, 1983, 101-106

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველი სამღვდლოება გადასახადს არ იხდიდა, ან მცირედენს იხდიდა, ხოლო საერონი ვალდებულნი იყვნენ მნიშვნელოვანი თანხა გადაეხადათ სისის მბრძანებლისათვის მამლუქთა სასარგებლოდ. ქართველები ზოგჯერ თავს არიდებდნენ დადგენილ ვალდებულებას ან დიდებული მომლოცველები ითვისებდნენ აღნიშნულ თანხებს და ბერული ტანსაცმლით შენიღბულნი ცდილობდნენ მისულიყვნენ წმინდა ადგილებში, რაც ყოველთვის წარმატებით არ მთავრდებოდა¹.

როგორც განხილული არაბული წყაროებიდან ჩანს, საქართველოსა და მამლუქების სასულთნოს შორის, ბაიბარსისა და კალაუნის დროს, გარკვეული გაგებით, მოწესრიგებული და განსაზღვრული იყო წმინდა ადგილებში მოგზაურობის უფლება.

პალესტინაში და წმინდა ადგილებში მისვლა მხოლოდ ეგვიპტის სულთნების ნებართვით შეიძლებოდა. ქართველი პილიგრიმებისათვის სპეციალური ფორმის საბუთი შემოიღეს, რომელსაც „იტლაკი“ (ნიშნავდა გაშვებას, გათავისუფლებას) ერქვა და იწერებოდა ჩველებრივი ზომის ქაღალდზე. ალკალკაშანდის მოჰყავს *„იერუსალიმის მოსანახულებლად ჩამოსული ალ-ფარანჯ ალ-ჯურჯანის (იერუსალიმის ქართველი პილიგრიმები – ე. მ.) [ხალხისათვის] განწესებული მაღალი ხელმოწერის ნუსხა“*². ეს არის პერიოდი, როგორც შენიშნული

¹ . . .

„ . . . , 104.

² *კონოლიეშვილი – XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ*. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენ-

იყო კისერში ისრით. მარჯვენა ხელზე ეკეთა ოქროს ბეჭედი. მისი ქვეყნის სახელი იყო...¹ გაემგზავრა ნავსადგურიდან...² მისი თანამგზავრის სახელი იყო... (თამგა შვილი ნკოურ-ისა). მას ჰქონდა ვრძელი წვერი, მრგვალი, ღაულაქა სახე, იყო ტანმაღალი.

სულთანმა ბრძანა მას დადევნებოდნენ, ეთვალთვალათ ყველაფრისათვის, რაც მას გადახდებოდა. ის იერუსალიმში მისვლისთანავე თავის თანამგზავრთან და თარჯიმანთან ერთად დაატყვევეს. ის იყო აფხაზეთის მეფე. ის წაიყვანეს ეგვიპტეში და საპურობილეში ჩამწყვდიეს. ის იყო მუსლიმთა შეურიგებელი მტერი და თათართა უერთგულესი მომხრე. ღმერთმა დაგვიხსნა მისი სიავისაგან³

უეჭველია, რომ ბოლო ორ წყაროში ნათქვამია ერთსა და იმავე მეფეზე. მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ლეგენდა უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს. მეფის გარეგნობა ისეთი სიზუსტითაა აღწერილი, თითქოს ავტორი პირადად შეხვდა მას. რა თქმა უნდა, დატყვევებული ქართველი არ იყო მეფე. არაბი ავტორებიც, გარკვეული პოლიტიკური ან რელიგიური მოსაზრებით, აზვიადებდნენ ტყვის სოციალურ წარმოშობას და მდგომარეობას. ისიც საინტერესოა, რომ ის დასავლეთ საქართველოს სამეფოდან იყო, მაგრამ არ ჩანს რა მიზნით მიდი-

¹ მ. ბროსე ფიქრობდა, რომ მეფის ქვეყანა გურჯისტანი კი არ იყო, არამედ ის ქვეყანა, რომელსაც არაბული ასოებით შეიძლება ვუწოდოთ ჰაფლოუდ ან ჰაფლოულ და გავაიგივოთ აფსილეთთან.

² მ. ბროსეს მიხედვით, ეს უნდა იყოს ფოთი.

³ *De l'Etat Religieux et Politique de la Georgie jusqu'au XVII siecle*, par M. Brosset. „Bulletin Scientifique“, T. V, 15, Saint-Petersbourg, 1839, 240.

ოდა იერუსალიმში. სავარაუდოა, რომ დაზვერვით საქმიანობას ეწეოდა მონღოლთა სასარგებლოდ, რადგან, როგორც ნათქვამია, ის იყო მონღოლების თავგამოდებული მომხრე და მუსლიმების შეურიგებელი მტერი. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იერუსალიმელი ქართველები სხვა დროსაც იყვნენ მხილებულნი ასეთ საქმიანობაში, რაც ჯვრის მონასტრის ჩამორთმევისა და მეჩეთად გადაკეთების მიზეზი გამხდარა¹.

XIII ს. 70-ანი წლების დასაწყისამდე რაიმე ცნობა ჯვრის მონასტერში ან მის ტერიტორიზე მეჩეთის არსებობის შესახებ, ცნობილი არ არის. ერთ-ერთი არაბული წყაროდან ვიგებთ, რომ ეგვიპტის მამლუქი სულთანი ბაიბარსი (1260–1277) ჯვრის მონასტრის ბერების ღოიადობაში დაეჭვებულა, რომ ისინი მონღოლების სასარგებლოდ ჯაშუშობდნენ. ამის გამო მამლუქებმა, შეის ხიდრის ბრძანებით, ჯვრის მონასტერი დაარბიეს, ქართველებს ჩამოართვეს, მეჩეთად გადააკეთეს და ჯვრის მამა ლუკა მუსხაისძე მოკლეს. ლუკას მარტვილობაში („მარტვილობა წმიდისა მამისა ჩუენისა ლუკადის“) ვკითხულობთ: როდესაც სულთანმა ხიდრს ჯვრის მონასტერი გადასცა, იგი *„ვითარცა მკეცი, მიედგა ძმათა ჩუენთა ქართველთა და არარაი შეარჩინა არცა მონასტრით და არცა თჳსაი, რაიცა თჳსაგან ჰქონდა, და ეგეთნი შიშუელნი გამოასხნა“*. ხიდრი განსაკუთრებით მტრულად განწყობილი იყო ლუკასადმი, რადგან ის არ შეეგუა მდგომარეობას და სულთანთან წავიდა მონასტრის დაბრუნების თხოვნით, რაც საბოლოოდ ლუკას

¹ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეჩეთის არსებობის შესახებ იხ. მამისთვალიშვილი ე., *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი*, 144-149.

დაღუპვის მიზეზი გახდა¹. ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი, როგორც ვარაუდობენ, უნდა შექმნილიყო ჯვრის მონასტერში 1314 წლის შემდეგ, არაუგვიანეს ამ საუკუნის პირველი მეოთხედისა².

ქართველების მიერ ჯვრის მონასტრის დაკარგვის რამდენიმე თარიღს აღიარებენ³. ქართული და არაბული წყაროების ურთიერთ შეჯერებით დ. გოჩოლელიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მონასტრის მეჩეთად გადაკეთება მოხდა XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში და არ უნდა სცილდებოდეს 1272 წლის 27 ივლისს⁴.

* * *

დასავლეთ ევროპაში, სწორედ ჯვაროსანთა დროიდან მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველო ბუნებრივ მოკავშირედ განიხილებოდა. როგორც ზ. ავალიშვილი წერდა, *„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დავით აღმაშენებლის დროიდან*

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 253-254; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი 1958, 107-111.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, სვინაქსარული რედაქციები. ტექსტი გამოსცა ე. გაბიაშვილმა, თბილისი 1968, 118-119

³ დავიდი ი., *ნაწურები*, I, თელ-ავივი – იერუსალიამი, 1976, 289; მეტრეველი ე., *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის*, 42; გოჩოლელიშვილი დ., *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან* (XIII ს. 70-ანი წლები), „მაცნე“, ისტორიის სერია, თბილისი 1975, №4, 107. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 118.

⁴ გოჩოლელიშვილი – *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ*, 32.

საქართველო თანამედროვე ევროპელთა იმ მძლავრ გაქანებისა, რომელიც იყო ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა¹. ევროპელების შეფასებით, საქართველო იყო ის ბასტიონი, რომლის გამძლეობა განაპირობებდა სირია-პალესტინაში ჯვაროსანთა მდგომარეობას. მათ ისიც იცოდნენ, რომ დავით აღმაშენებელი თავისი ქვეყნის დაცვასთან ერთად იცავდა იერუსალიმის ქრისტიანულ სიწმინდეებს, რომელთა შორის ქართველთა კუთვნილი მონასტრებიც იყო.

საინტერესოა ისიც, რომ დავით აღმაშენებლის მთელი რიგი სამხედრო ღონისძიებები დროის თვალსაზრისით „საკუგოდ“ ემთხვეოდა ჯვაროსანთა სამეფოს ან სამთავროების წინააღმდეგ სელჩუკთა სამხედრო კამპანიებს. ქართველების მოქმედება იწვევდა სელჩუკების შეიარაღებული ძალების დაქსაქსვას, რითაც მდგომარეობას უმსუბუქებოდა ჯვაროსნებსაც. ამ უკანასკნელებს, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ქართველები მიეჩნიათ ჯვაროსნებად, რომელთა მეფე დავით აღმაშენებელი მონეტებზე იწოდებოდა „ქრისტეს მონად“ და „ქრისტეს ხრმლად“².

ანტიოქიის სამთავროს კანცლერი, „ანტიოქიის ომების“ ავტორი გოტიე, საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმური კოალიციის ომის დაწყების გამო შემფოთებული წერდა: ელდაზიმ „დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა გადაწყვიტა ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად, რათა მისი (საქართველოს – ე. მ.) დაქცევის, ანუ (დავით მეფის – ე. მ.) განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულად შეუდგეს იერუსალიმის

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 31.

² ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 32.

და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწვევას¹. შემდეგ გოტიე აღფრთოვანებული გადმოგვცემს დავითის გამარჯვებას დიდგორის ველზე, სადაც, მისი თქმით, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ორასმა რაინდმა². რაინდების ყოფნა დავითის ჯარში, ერთი შეხედვით აღქმული უნდა იქნას, როგორც სიმბოლური დახმარება, უფრო სწორად, სოლიდარობის გამოხატვა ჯვაროსნების მხრივ ქართველების მიმართ, მაგრამ ეს იმის მახვენებელიც არის, რომ ლათინები მუსლიმთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის საქმის კურსში იყვნენ და ამ ბრძოლას საერთო ქრისტიანული საქმისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ დავითის ისტორიკოსის მიერ ჯვაროსნების ომის საქართველოსათვის მნიშვნელობის შეფასება, რომელსაც ზემოთ უკვე გავეცანით. ჯვაროსანი რაინდების დიდგორის ომში მონაწილეობის საკითხს შემდგომში უფრო ვრცლად შევხებით.

ანტიოქიაში ლათინების გარკვეული წრისათვის ილ-დაზის გეგმა რომ ცნობილი იყო, ამაზე მიგვანიშნებს ამ სამთავროს კანცლერის გოტიეს ინფორმირებულობა საქართველოს შესახებ. დავით IV-ის დაზვერვა, ალბათ, გაფაციცებით აღევენებდა თვალყურს, საქართველოს სამხრეთ სამეზობლოში მიმდინარე ამბებს. იგი ანტიოქიელი ფრანკებისგან და იქ მცხოვრები საერო და სასულიერო ქართველებისგანაც მიიღებდა ცნობებს მუსლიმური კოალიციის ანტიქართული გეგმის შესახებაც. ადგილობრივ ფრანკ ხელისუფლებასა და ქართველ ბერებს შორის კავშირს ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ 1100 წლიდან ანტიოქიის ქართული მონასტრები ლათინებს დაემორ-

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 45.

² ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 46.

ჩილა. ამგვარი მდგომარეობა ხელს უწყობდა მათი ინტერესების თანხვედრას და ერთობლივ მოქმედებასაც. ეს მაფიქრებინებს, აგრეთვე, რომ შავშთელი ქართველები ვალდებულნი იყვნენ, შეძლებისდაგვარად, საქართველოს ხელისუფლებასა და ანტიოქიელ ლათინებს შორის შუამავლები ყოფილიყვნენ. ფრანკებმა იცოდნენ, რომ მუსლიმები მათი ძლიერი მოკავშირის, საქართველოს წინააღმდეგ მიმართავდნენ იარაღს. ამიტომ დასაშვებია, მათ რაინდთა შეზღუდული კონტიგენტი (200 ან თუნდაც 100 რაინდი, მოცემულ პერიოდში, მაინც სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა) გაეგზავნათ საქართველოს დასახმარებლად.

4. ძნელია იმის დადგენა საიდან იყვნენ ის ჯვაროსანი რაინდები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დიდგორის ბრძოლაში ქართველების მხარეს. გოტიე და მათე ურჰაელი არ აღნიშნავენ მათ ვინაობას. თუ გვინდა რაინდების საქართველოში მოსვლის ფაქტში ჯვაროსნების საქართველოსთან კარგი ურთიერთობა დაეინახოთ, მაშინ შეიძლება ვარაუდი, რომ ისინი ანტიქიიდან იყვნენ. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი გამოგზავნეს ედესის საგრაფოდან, რომელიც ტერიტორიულად საქართველოსთან უფრო ახლოს მდებარეობდა და, სავარაუდოა, ქართველ პოლიტიკოსებს მათთანაც ჰქონდათ კავშირი. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ მეგრძოლები ანტიოქიის მთავარმა ბოემუნდ II-მ (1111-1130) და ედესის გრაფმა უოსლენ I-მა (1118-1131) გამოგზავნეს, რომ ორივეს – მთავრისა და გრაფის ერთობლივი მონღომების შედეგი იყო რაინდების საქართველოში მოსვლა.

ჯვაროსანი რაინდების საქართველოში ყოფნის მოწინააღმდეგეების მთავარი არგუმენტი არის იმ გზის არ არსებობა, რომლითაც ევროპელი რაინდებს შეიძლებოდა ესარგებლათ.

საქართველოსა და ჯვაროსნების სამფლობელოებს შორის არსებული ტერიტორიები დაკავებული ჰქონდათ მტრულად განწყობილ სელჩუკებს. ბ. ჰამილტონს მიაჩნია, რომ ფრანკებს შეეძლოთ მიეღწიათ საქართველომდე ბიზანტიის ტერიტორიებზე გავლით კონსტანტინოპოლამდე, შემდეგ საზღვაო გზით საქართველომდე¹. როგორც ჩანს ბ. ჰამილტონის ვარაუდითაც ფრანგი რაინდები ჯვაროსანთა სახელმწიფოებიდან იყვნენ. ამას იხიარებს ო. კაზარიანიც²

ო. კაზარიანს, ბ. ჰამილტონის მოსაზრების გასამაგრებლად, რომ სახმელეთო გზით ქართველების ანტიოქიასთან დაკავშირება შეუძლებელი იყო, მოჰყავს XIII საუკუნის დომინიკანელი ბერის ვენსან ბოვეზელის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, ქართველები ანტიოქიაში ჩასვლას ვერ ახერხებდნენ თურქების მიერ დაპყრობილ მცირე აზიაში გავლით, რათა თავიანთი კათოლიკოსობის კანდიდატის ხელდასხმა მოეხდინათ. ო. კაზარიანი იმოწმებს ნ. გორელოვის წიგნს³ (მისი გაცნობის საშუალება არ მქონდა), მაგრამ არ აღნიშნავს, რომელი საუკუნის ამბავზეა ლაპარაკი. ვფიქრობ, აღნიშნული ცნობა VIII საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი ვერ იქნება, რადგან ბერძნულ-ანტიოქიური წყაროების მიხედვით, ანტიოქიის საპატრიარქომ ამ დროს ქართველებს, თითქოს, მათი კათალი-

¹ Hamilton B., *Latins and Georgians and the Crusader Kingdom*. Al-Masaj: Islam and the Medieval Mediterranean, 2011, 119.

² ,, (12 1124).

<http://deusvult.ru/79-franki-v-bitve-pri-didgori.html>

³ ,, , - , 2006.

კოსის ხელდასხმა მათვე მიანდო¹. ესეც, რომ არ იყოს, უხერხულია VIII საუკუნის ცნობით XII ს. პირველი ოცწლეულის საქართველო-ანტიოქიის კავშირურთიერთობებზე მსჯელობა. შუა საუკუნეებში მგზავრის გადაადგილების გაიოლება ან გაძნელება ხშირად მკვეთრად იცვლებოდა ბუნებრივი პირობების, პოლიტიკური ვითარების და სხვათა მიზეზით. საკმარისია გრიგოლ მთაწმინდელის იმ თავგადასავალის გახსენება, როდესაც მან საქართველოდან სირია-პალესტინაში სახმელეთო გზით იმოგზაურა, უკან კი, უეცრად შექმნილი გართულებული ვითარების გამო, ზღვით, მცირე აზიის გარშემოვლით დაბრუნდა².

5. ახლა კი ერთ მეტად საინტერესო საკითხს შევხვით: უნდა გაირკვეს, როდის უნდა მიეღოთ ანტიოქიელ ან ედესელ, ან ორივე ფრანკ ხელისუფალს გადაწყვეტილება დავით IV-ის დასახმარებლად რაინდების საქართველოში გაგზავნის შესახებ, თუ ასეთი რამ საერთოდ მიიღეს? ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, გადაწყვეტილება, მიღებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ მას შემდეგ როდესაც ცნობილი გახდა ილ-დაზის განზრახვა საქართველოზე გალაშქრების შესახებ. მაგრამ ამისი ზუსტად დადგენა, ცნობილი წყაროების მიხედვით, შეუძლებელია. ზემოთ ითქვა, რომ 1121 წლის მარტის შუა რიცხვებში ილ-დაზიმ თბილისელი მუსლიმების თხოვნა დახმარების თა-

¹ ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე., *საქართველო-ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან. ისტორიანი*. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბილისი, 2009, 252-272.

² იხ. ზემოთ, საქართველო-იერუსალიმის დამაკავშირებელი გზები.

ობაზე ყურად არ იღო და განაგრძობდა ბრძოლას ბაღდუინის წინააღმდეგ. სავარაუდოა, ზავი დაიდო იმავე წლის ივნის-ივლისში, ამის შემდეგ ილ-ლაზიმ გამოაცხადა ჯიხადი საქართველოს წინააღმდეგ და კოალიციური ჯარით დაიძრა კიდეც. დიდგორის ბრძოლა მოხდა 12 აგვისტოს. რა თქმა უნდა, დაუჯერებელია ასე მოკლე დროში ფრანგები საქართველოში მოსულიყვნენ რომელი გზითაც უნდა ემოგზაურათ.

6. თუ ამგვარ ლოგიკას მივეყვებით, მაშინ იბადება კითხვა: როდის მოვიდნენ რაინდები საქართველოში? რა უნდოდათ „ფრანგის მეომრებს“ საქართველოში? რით იყვნენ ისინი დაკავებულნი დიდგორის ბრძოლამდე?

ვიდრე დასმულ კითხვებს ვუპასუხებ მანამდე აუცილებელია ითქვას ზოგიერთი იმ მოასაზრების შესახებ, რომლებიც გოტიესა და მათე ურჰაელის მიერ დასახელებული 200 ან 100 ფრანგი ჯვაროსნის დავით აღმაშენებლის ჯარში ყოფნას შეეხება. ზოგიერთ მკვლევარს დაუჯერებლად მიაჩნია ჯვაროსანი რაინდების დიდგორის ომში მონაწილეობა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ისინი საქართველოს ხელისუფლების მიერ დაქირავებულ მეომრებად მიაჩნია.

პირველი იყო ქ. ჩხატარაიშვილი, რომელმაც ეჭვი შეიტანა სომხური და ლათინური ცნობების რეალურობაში და შეუძლებლად ჩათვალა ჯვაროსნების მონაწილეობა დიდგორის ომში¹.

¹ ჩხატარაიშვილი ქ., *უცხოელები XII საუკუნის საქართველოში დაშქარში*. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბილისი, 1966, 178. ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრებას სრულად იზიარებს ს. მარგიშვილი. მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*. ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ, თბილისი, 2006, 262, შენ. 1.

ფიქრობ, საყურადღებოა ქ. ჩხატარაიშიელის გამოკვლევა. მასში შესწავლილია დავით აღმაშენებლის ჯარში უცხოელების ყოფნის საკითხი და გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისინი დაქირავებულნი იყვნენ¹. მგონია, მკვლევარი სწორად ფიქრობდა, რომ ორივეს – გოტიეს და მათე ურჰაელის თხზულებებში დასახელებული ფრანგი მეომრები დავით აღმაშენებელს დაქირავებული ჰყავდა². ამასთან დაკავშირებით ჩემ ზოგიერთ მოსაზრებას ქვემოთ ვიტყვი.

¹ ჩხატარაიშიელი ქ. *უცხოელები XII საუკუნის საქართველოს დაშქარში*, 178-179.

² დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გაგებით, ფრანგები არიან ჯვაროსანი რაინდები: „ამას უამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიდეს იერუსალემი და ანტიოქია“. *ქართლის ცხოვრება* I, 325. მკვლევრებს შორის აზრთა სხვაობაა გოტიესა და მათე ურჰაელის „ფრანგი რაინდების“ წარმომავლობის შესახებ. მ. ბროსე და ვლ. მიქელაძე ფიქრობდნენ, რომ მათეოს ურჰაელის ფრანგები ვარანგები ანუ ვარიანგები უნდა ყოფილიყვნენ. Brosset M., *Additions et eclaircissement a l'Histoire de la Georgie*, St.-Petersbourg, 1851, 229; „...“, 1884, 92. ვარანგები ვიკინგებს, სკანდინავიელებს, ნორმანებს შეესაბამება: კიკნაძე ვ., *ბაგრატ IV, ლიპარიტ ბაღვაში და ვარანგები ანუ „და იყო მიდამო საურავი ხელოვნებისა“!* მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას. მეორე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1998, 26; ამგვარი აზრისაა ჯ. სამუშია. იხ. მისი, *ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან*, წ. I, თბილისი, 1999, 121. თ. დადეშქელიანი, ს. კაკაბაძე, შ. მესხია, შ. ბადრიძე ფრანგებში ჯვაროსნებს, ე. ი. დასავლეთ ევროპელებს ვარაუდობდნენ: დადეშქელიანი თ., *მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1089-1224 წლამდე*. „დროება“, 1885, №65; კაკაბაძე ს., *დავით აღმაშე-*

კაციო და ომში გამოცდილი მეომართი. **ჰყავდა აგრეთვე სხვა ლაშქარიც**, ხაფხახთა (ყივჩაყთა) მეფისაგან – 15.000 მამაცი და რჩეული კაცი, ალანთა ტომისაგან – 500 კაცი, ხოლო ფრანგი – 100). მათე ურჰაელის ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ დავითის ჯარი, სტატუსის მიხედვით, ორ ნაწილად იყოფოდა: 1. ადგილობრივ მკვიდრთა ანუ ქართველთა ჯარისაგან და 2. ყივჩაყთა, ოსთა და ფრანგთა რაზმებისაგან. ვფიქრობ, ეჭვგარეშეა, რომ ყივჩაყები და ოსები დაქირავებულები იყვნენ. კონტექსტში მინიშნებულია, რომ ამავე კატეგორიას უნდა მივაკუთნოთ ფრანგებიც, რომლებიც ქართველი მეფისაგან გასამრჯელოს და პროვიანტს იღებდნენ. სხვანაირად ქართულ ჯარში მათი ყოფნა შეუძლებელი იქნებოდა. ჯვაროსანი რაინდების საქართველოში ასეთი პირობით მოსვლა (სხვაგვარად, შუა საუკუნეებში სხვის ჯარში ყოფნა შეუძლებელი იყო. ანაზღაურება ხდებოდა ხაზინიდან, ნადავლიდან...). გოტიესა და მათე ურჰაელს, რაინდების დავით აღმაშენებლის ჯარში ყოფნა, ზოგადად, ჯვაროსნებისაგან კეთილი ნების და დახმარების სურვილის გამოხატვად მიაჩნდათ.

როგორც ითქვა, არსებულ ლიტერატურას გააჩნია ტენდენცია, რომ ფრანგი რაინდები ანტიოქიელებისა და ედესელების, ან ერთ-ერთი მათგანის ხელისუფალთა მიერ გამოგზავნილად ვივარაუდოთ. მაგრამ ამგვარი ვარაუდი ნახქარევია.

შუა საუკუნეებში სხვადასხვა ხალხები იმდენად იზოლირებულად არ ცხოვრობდნენ, როგორც ხშირად წარმოუდგენიათ. მათ ერთმანეთის შესახებ, ინტერესის შესაბამისი ინფორმაცია გააჩნდათ. ბევრი რამ, რისი წარმოდგენა დღეს გვიჭირს, ძველების მიერ შედარებით იოლად განხორციელებადი იყო. გასაკვირი აღარ უნდა იყოს დიდგორის ბრძოლის დროს ევროპელი მეომრების მოსვლა საქართველოში, მაშინ,

როდესაც გიორგი კედრენეს გადმოცემით, დიდგორის ბრძოლამდე დიდი ხნით ადრე, 1052 წელს, როცა სელჩუკთა სულთანი თოდრულ-ბეგი იბერიაში შეიჭრა და ქვეყანას აოხრებდა, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ იმპერიის დასავლეთიდან სასწრაფოდ დაიბარა „მიხეილ აკოლეთოსი და იბერიაში ვაგზავნა. ეს რომ იქ ჩავიდა, შეკრიბა ხალდიასა, და იბერიაში გაბნეული ფრანგები (ბრანჯები) და ვარანგები და იხსროდა რამენაირად შეეფერებინა სულტანის თავდასხმები“ („სულტანი აიყარა და თავრეზისკენ წავიდა“)¹.

XI ს. ქრონოგრაფოსის, გიორგი კედრენეს (XI ს. ბერძენი ქრონოგრაფოსი) მონათხრობი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ ერთი მაგალითის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ დასავლეთეუროპელებისათვის ჯვაროსნულ ომებამდე და მით უმეტეს დიდგორის ბრძოლამდე საქართველო და ქართველები საკმაოდ ცნობილი იყვნენ და მათთან საკმაოდ მჭიდრო კონტაქტებიც ჰქონდათ. ასე, რომ დიდგორის ბრძოლაში მონაწილე ფრანგი რაინდებიც შეიძლება არავის მიერ სპეციალურად გამოგზავნილი გასამრჯელოს მაძიებელი, მოხეტიალე მეომრები იყვნენ.

იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ქალდიის, ჭანებითა და ლაზებით დასახლებული თემების შესახებ ვრცლად ქვემოთ ვილაპარაკებ. იბერიაში კი კედრენე გულისხმობს ქალდიის მეზობელ ქართულ პროვინციას ტაო-კლარჯეთს.

არც ქართველებისთვის იყო უცხო სხვის ომში დაქირავებულად ყოფნა. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნიკიტა ხონიატე კონსტანტინოპოლში მყოფი დაქირავებული ქართველი მეომრების შესახებ. პირველ შემთხვევაში კეისრის წინააღმდეგ

¹ *გეორგიკა*, V, 81.

ამბოხებულები ქართველებს იყენებენ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, მეორე შემთხვევაში კი, კეისრის სამსახურში არიან ამბოხებულების წინააღმდეგ. ალექსი II კომნენოსს (1180-1183) მისი და მარიამი თავის ქმარ კესაროს რაინართან ერთად აუჯანყდა. „*მან შეაგროვა მძიმე შეიარაღებული იტალიელები და დაიქრავა მამაცი აღმოსავლელი იბერიელები, სავაჭრო დაუაღებებით სატახტო ქალაქში მყოფნი, აგრეთვე მიიმხრო რომაელთა შეიარაღებული ფალანგა*“¹.

იმპერატორ ისაკ II კომნენოსს (1185-1195) აუჯანყდა თავისი მხედართმთავარი ვრანი. ისაკის სიძემ (დის, თეოდორას ქმარი), წარმოშობით იტალიელმა კონრად მონფერატმა „*შეკრიბა ქალაქში მყოფ ლათინთაგან ცხენოსნები დაახლოვებით ორას ორმოცდაათამდე, ყველანი მამაცნი, და ხუთასი ქვეითი ჯარისკაცი. არამცირედნი ჩაეწერნენ ჯარში ისმაელითაგან და აღმოსავლელ იბერიელთაგან, რომლებიც სავაჭროდ იყვნენ გამოვზავნილი*“².

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კონსტანტინოპოლში კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით მყოფი ქართველები, როგორც ჩანს, მზად იყვნენ თუ კი დამჭირავებელი გამოჩნდებოდა, იარაღით მოეპოვებინათ დამატებითი შემოსავალი. ასე, რომ ძნელია მოცემულ კონტექსტში იმის გარკვევა ისინი პროფესიონალი ვაჭრები იყვნენ, მეომრები თუ ერთსა და იმავე დროს ორივე, ალბათ, ვაჭარ-მეომრები, რაც

¹ გეორგიკა. VI, 128.

² გეორგიკა, VI, 129; . . . 2 (1186-1206 .). (1185-1195), - , 1882, 35-37.

ძველად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ვაჭარს თავის თავისა და საქონლის დაცვა უნდა შესძლებოდა.

ფეოდალიზმის ეპოქაში საქართველოშიც რომ იყვნენდნენ დაქირავებულ უცხოელ (როგორც ქრისტიან, ისე არაქრისტიან) მოლაშქრეებს, ჩანს „როქის სპის“ ინსტიტუტის არსებობაში¹.

საიდან გაჩნდა აზრი დიდგორის ომში მონაწილე ფრანგები, რომ ჯვაროსანი რაინდები იყვნენ? შეიძლება ისინი მართლაც ჯვაროსანი რაინდები იყვნენ, მაგრამ ასეთი რამ გოტიეს და მათე ურჰაელს არ უთქვამთ. სავარაუდოა, ფრანგები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მხრიდან მოვიდნენ საქართველოში. რადგან ისინი ცნობილი იყვნენ თავიანთი კარგი შეიარაღებითა და ბრძოლისუნარიანობით, დავით აღმაშენებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა ისინი სხვა დაქირავებულთა გვერდით დაეყენებინა უადრესად მნიშვნელოვან ბრძოლაში.

ზემოთაღნიშნული სრულებითაც არ აყენებს ჩრდილს საქართველო-ჯვაროსნების სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობას.

ვიდრე ამ საკითხზე მსჯელობას გავაგრძელებდე, მანამდე განვიხილოთ ს. მარგიშვილის მიერ მუსლიმთა კოალიციის საქართველოში ლაშქრობის საკითხზე დასკვნის სახით შემოთავაზებული მოსაზრება, რომელიც არსებული წყაროების მონაცემების ადეკვატური არ არის. მკვლევარი წერს: „ბაღდუინი იცავს ილ-ღაზთან დადებული ზავის პირობებს, რაც მის საქართველოსთან მოკავშირეობას გამოორიცხავს. საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არავითარი სამოკავშირეო ურთიერთობები არ არსებობს და შესაბამისად, ქართველი

¹ ჩხატარაიშვილი ქ., *უცხელები XII საუკუნის საქართველოში, 177-182.*

მეფის დასახმარებლად რაიმე სამხედრო ძალის ვაგზავნაზე საუბარიც კი ზედმეტია. იერუსალიმის მეფისათვის ილ-დაზის ლაშქრობა საქართველოში მხოლოდ ხელსაყრელი შემთხვევაა საკუთარი პოლიტიკური მიზნების სარეალიზაციოდ სირიაში და აშკარად ჩანს, რომ საქართველოს საკითხი მას არც აღელვებს და არც აინტერესებს, რაც ასე არ იქნებოდა დავით აღმაშენებელთან მისი მოკავშირეობის შემთხვევაში¹.

არის საშუალება იგივე საკითხი სხვაგვარადაც განვიხილოთ: საქართველოს წინააღმდეგ საომრად მიმავალმა ილ-დაზიმ, მშვიდობიანი ზურგის უზრუნველსაყოფად, აუცილებლად მიიჩნია ბაღდუინ II-სთან მორიგება. მან თავის შვილს, შამს აღ-დაულა სულეიმანს მისწერა, ალეპოში გამგებლად დაენიშნა მაკი იბნ ყურნასი და აუცილებლად დაედო ზავი ბაღდუინთან. სულეიმანმა, მართლაც, ბაღდუინისათვის მისაღები პირობებით, რაც გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებს ითვალისწინებდა, გააფორმა სამშვიდობო ხელშეკრულება. მაგრამ, საერთოდ, სულეიმანი წარუმატებლად მოქმედებდა. ილ-დაზი შვილს რომ ვერ დაეხმარა ამის უმთავრესი მიზეზი საქართველოს პრობლემის იარაღით გადაჭრისათვის მზადება და იგი იყო, რომელსაც იგი ახლა უკვე თავის წინაშე დასახულ სხვა ამოცანებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა². შეიძლება ითქვას, რომ უფლისწულ სულეიმანსა და ბაღდუინს შორის ზავის დადება გათვალისწინებული იყო დავით IV – ბაღდუინ II-ის საიდუმლო შეთანხმებაში. ვფიქრობ, ბაღდუ-

¹ მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 288.

² Cahen C., *La Syrie du Nord a l'Époque des Croisades et la Principauté Franque d'Antioche*, Paris, 1940, 292.

ინმა რომ ილ-ლაზი მოატყუა, ამის შესახებ უკანასკნელმა დიდგორთან გამანადგურებელი მარცხის შემდეგ შეიტყო და შურისძიების გრძნობით შეპყრობილმა ალექო აილო და ჯვაროსნების წინააღმდეგ ომი დაიწყო. ილ-ლაზის მოქმედების გამო ბაღდუინი თურმე განცვიფრებას გამოხატავდა და აცხადებდა, მე ხომ ზავი არ დამირღვევიაო¹. იერუსალიმის მეფე, რა თქმა უნდა, თვალთმაქცობდა.

ვიდრე ილ-ლაზი საქართველოში იმყოფებოდა და, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მისმა ვაჟმა სულეიმანმა მამის მარცხის შესახებ ცნობა მიიღო, სირიაში აჯანყება მოაწყო, ჰალაბიდან ქალაქის გამგებლები განდევნა და დიდი ვნება მიაყენა მოსახლეობას. ქამალ აღ-დინის გადმოცემით, სულეიმანს მამის დავალებით, აჯანყების ინსცენირება უნდა მოეხდინა, მაგრამ ნამდვილი აჯანყება მოაწყო. ილ-ლაზის კი უნდოდა იბნ სადაკისათვის მიცემული პირობის დარღვევის საბაბი ჰქონებოდა, რომლის მიხედვით ილ-ლაზის ქართველებთან ომში დახმარების სანაცვლოდ მისთვის ჰალაბი უნდა გადაეცა. მაგრამ, როგორც აღინიშნა, სულეიმანმა ნამდვილი აჯანყება მოაწყო და მამას წინააღმდეგობას უწევდა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ფრანკებმა, ჰალაბის მახლობლად ზარდანა და სხვა ადგილები დაიკავეს და ჰალაბს მიაღწენ. ამასობაში ბაღდუინმა ჰანასირი აიღო და დაანგრია, მისი ჭიშკარი კი ჰალაბში გადაიტანა. ის ასევე მკაცრად მოეპყრა ან-ნუერის და აღ-ახსას.

¹
 , OC-
kva, 1990, 159.

ბაღდუინი სიღლაში დაბანაკდა, სადაც სულეიმანის კაცი მივიდა და დაზავება შესთავაზა. ბაღდუინმა ზავის სანაცვლოდ გარკვეული მოთხოვნები წამოაყენა. მაგრამ ილ-ლაზის გამორჩენის გამო მოლაპარაკება შეწყდა. სულეიმანმა მამას პატიება სთხოვა. ილ-ლაზიმ შვილის გარდა ყველა სხვა დამნაშავე დასაჯა და 13 ნოემბერს პალატში შევიდა. ამის შემდეგ ის ფრანკებს ერთი წლით დაუზავდა და გადასცა ის რამდენიმე სოფელი, რომლებსაც ისინი აღ-ასარიბსა და ზარდანაში ბატონობის დროს ფლობდნენ¹.

7. ზემოთ მოხმობილი წყაროებისა და გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ საკამათოდ მიმაჩნია ს. მარგიშვილის მიერ გაკეთებული დასკვნები: რადგან 1121 წლის დასაწყისისათვის ილ-ლაზი გამოცხადდა საქართველოს წინააღმდეგ დანიშნული ჯიჰადის ხელმძღვანელად, დასახული ამოცანის შესრულებისათვის აუცილებლად ესაჭიროებოდა ზავი ჯვაროსნებთან, რათა საქართველოში დაშქრობისათვის მომზადებულიყო. იგი იძულებული გახდა ჯვაროსნებთან ტერიტორიულ დათმობებზეც კი წასულიყო და მათ დაუბრუნა ბრძოლებით წართმეული ტერიტორიების ნაწილი და დასდო ზავი. ილ-ლაზის საქართველოში ყოფნის დროს, როგორც ს. მარგიშვილი ფიქრობს, ჯვაროსანთა პოლიტიკური ლიდერი, იერუსალიმის მეფე ბაღდუინ II ცდილობდა დაეცვა ზავის პირობები. იგი მუსლიმებთან სამხედრო კონფლიქტში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოდან დაბრუნებული დამარცხებული ილ-ლაზი თვითონ იწყებს ჯვაროსნების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას².

¹ - - , , 157-158.

² მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 288.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ვერ გავიზიარებ ს. მარგიშვილის ზემოთმოყვანილ მოსაზრებას. ვფიქრობ, სრულიად მისაღებია იმ მკვლევართა აზრი, ვისაც მიაჩნიათ, რომ არსებობდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დავით აღმაშენებელსა და იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-ს შორის (იოანე ბატონიშვილი, შ. მესხია, ქ. ჩხატარაიშვილი, შ. ბადრიძე, რ. მეტრეველი). რა თქმა უნდა, ბალდუინ II იმდენად გულუბრყვილო პოლიტიკოსი არ იყო, რომ მას თავისი უმოქმედობითა და მაყურებლის როლში ყოფნით, ხელი შეეწყო მუსლიმანთა უზარმაზარი ჯარის მიერ საქართველოს დამარცხება-აკლებისათვის. სელჩუკების წარმატება არ შედიოდა მის ინტერესებში. მისთვის სრულიად ნათელი იქნებოდა, ილ-ღაზი როგორი პირობითაც არ უნდა დაზავებოდა ქრისტიანებს, საქართველოდან გამარჯვებით დაბრუნებული ჯიხადის ხელმძღვანელი, ჯვაროსანთა სამფლობელოებს აუცილებლად შეუტევდა. თუმცა, როგორც შემდეგში გამოჩნდა დამარცხებულმა ილ-ღაზიმ ბალდუინის წინააღმდეგ ომი მაინც წამოიწყო, რაც ჩემი ვარაუდით, ბალდუინის დავით აღმაშენებელთან საიდუმლო შეთანხმების და, შეიძლება, ჯვაროსანი რაინდების ქართველთა ჯარში ყოფნის გამო შურისძიებით იყო გამოწვეული.

საქართველო-ჯვაროსნების კავშირის უარყოფა არც იმ არგუმენტით შეიძლება, რომ მათ შორის რელიგიური განსხვავება იყო¹.

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, XI-XII ს. პირველ ნახევარში რომაულ-კათოლიკური და ბერძნულ-მართლმადიდებლურ (კონსტანტინოპოლის) ეკლესიებს შორის დაპირის-

¹ Runciman St., *A History of the Crusades*. V. 2. The Kingdom of Jerusalem and the Frankish East. Cambridge University Press. 1952, 160.

პირებისას, ე. წ. დიდი საეკლესიო განხეთქილების დროს და მის შემდგომაც, XIII საუკუნემდე, საქართველოს ეკლესია ნეიტრალიტეტს იცავდა და ორივე ეკლესიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ამჯერად, საინტერესო პერიოდში, ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის სერიოზული განსხვავება და, მით უმეტეს, დაპირისპირება არ არსებობდა¹. ნათქვამის საილუსტრაციოდ იმის აღნიშვნაც საკმარისი უნდა იყოს, რომ რაინდი ჯვაროსნები კარგ ურთიერთობაში იყვნენ იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან და ქართველ სამღვდელოებასთან. ამ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრებ.

დავით აღმაშენებელს, რომ იერუსალიმის მეფე ბაღდაუინთან (ბაღდაუინ I თუ II ?) კარგი ურთიერთობა ჰქონდა („რადაც საჩუქრებს უგზავნიდა“), ამის შესახებ აღნიშნულია². მაგრამ ცნობილი არ არის რა იგულისხმებოდა საჩუქრებში და არც ის ვიცით ისინი ქართველ მეფეს დიდგორის ბრძოლის წინ ეგზავნებოდა თუ მის შემდეგ. მაგრამ ცხადია, იერუსალიმის პირველი მეფეები ქართველებს კარგი თვალით უყურებდნენ რაც ჯვრის მონასტრისადმი მათ ყურადღებაში გამოიხატა.

საყურადღებოა ისიც, რომ XII საუკუნის ნორმანდიელი ქრონიკტის ორდერიკ ვიტალისის მიხედვით, მეფე დავითი და კილიკიის სომხეთის მთავრის ძმა თოროს I რუბენიდი 1123-1124 წლებში მონაწილეობდნენ მუსულმანთა ტყვეობიდან რამდენიმე

¹ მამისთვალიშვილი ე., *საქართველო-რომის ეკლესიების ურთიერთობა დიდ განხეთქილებამდე (1054 წ.)*. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, X-XI, თბილისი, 2010-2011, 83-89.

² Röhricht R., *Geschichte des Königreichs Jerusalem (1100-1291)*, Innsbruck, 1898, 120, შენ. 3.

ანტიოქიელი რაინდი ჯვაროსანის განთავისუფლებაში. რაინდები ერთ-ერთი სულთნის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. განთავისუფლებული რაინდები დავით მეფესა და თოროსს ანტიოქიაში დაუბრუნებიათ¹. ნორმანდიელი ქრონიკტის ეს ცნობა ზ. ავალიშვილს მცდარად მიაჩნდა², ხოლო შ. მესხიამ და თ. ნატროშვილმა გამოსთქვეს ვარაუდი, რომ ტყვეთა შორის შეიძლება იყო სელჩუკების მიერ 1123 წელს დატყვევებული იერუსალიმის მეფე ბალდუინი, რომელიც ამ დროს უკვე მეორედ აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში³. შ. მესხია აღნიშნავდა: „სწორედ ამ წლებში, რომელზედაც ნორმანდიელი მწერალი მიგვითითებს, არაერთი სახელგანთქმული რაინდი ჩაუვარდათ ტყვედ სელჩუკებს, ხოლო 1123 წ. თვით იერუსალიმის მეფე ბალდუინ II აღმოჩნდა მათს ტყვეობაში. ვინ იცის, იქნებ დავით IV-მ მართლაც მიიღო მონაწილეობა თავისი მოკავშირის, ბალდუინ II-ის და სხვა რაინდების გამოსყიდვასა და განთავისუფლებაში“⁴.

იერუსალიმის მეფე ბალდუინისა და ცნობილი ჯვაროსანი რაინდების დატყვევების შესახებ გადმოცემულია არაბულ, სი-

¹ *The Ecclesiastical Histori of Orderic Vitalis*, Vol. 6, Book 11, New York, 1978, 123.

² ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 107,

³ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, 107.

⁴ მესხია შ., ძველად საკვირველი, თბილისი, 1972, 79; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, თბილისი, 1986, 70. ასეთივე მოსაზრებისაა თ. ნატროშვილი (იხ. მისი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1991, 24-25). იმავე წყაროს ცნობა უეჭველ ფაქტად მიაჩნია ო. კაზარიანს (. . . , (XII-XIII . . .), შენ. 11. ინტერნეტრესურსი – <http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html>).

რიულ, სომხურ და ლათინურ წყაროებში¹, მაგრამ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ამ საყოველთაოდ ცნობილ ეპიზოდში ქართველი მეფე ჩანს მხოლოდ ქრისტიანი ავტორების ოდერიკ ვიტალისის დ შაკ დე ვიტრის ნაშრომებში. იმისათვის რათა განსხვავება და საერთო თვალსაჩინო იყოს, გავეცნოთ ჯერ ერთი-ერთი მუსლიმი ავტორის ცნობებს.

მოვიყვან სირიელი ისტორიკოსის ქამალ ად-დინ იბნ ალ-ადიმის (1192—1262) რამდენიმე ფრაგმენტს ჯვაროსანი ლიდერების დატყვევებისა და მათი განთავისუფლების შესახებ: „*19 საფარის ოთხშაბათს (517 წ. კ.), (1123 წლის 18 აპრილი) ბაღდუინი, ანტიოქიის მმართველი² გაეშურა ნურ ად-დაულ ბალაქ იბნ ბაჰრან იბნ ართუქთან³ საომრად. ალყა შემოარტყა კარკარის ციხეს. ისინი (ბაღდუინი და ნურ ად-დაულ ბალაქი – ე. მ.) სანჯატის ხიდთან შეხედნენ. ნურ ად-დაულ ბალაქმა ის (ბაღდუინი) გაანადგურა და დაატყვევა, მისი ჯარის დიდი ნაწილი და მისი მეთაურები ამოწყვიტა და მისი კარავი გაძარცვა. მან ერთი კვირის ალყის შემდეგ, ფრანკებთან შედარებით მცირე ჯარით დაიპყრო კარკარი. ბაღდუინი ჰარტაბტარის*

¹ ბიბლიოგრაფია იხ. ჯაფარიძე გ., ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთმცოდნეობა, №2, 2013, 210-211.

² შეცდომაა. უნდა იყოს იერუსალიმის მეფე ბაღდუინ II.

³ ბალაქ ლაზი ბაჰრამ იბნ ართუქი იყო ილ-ლაზის ძმის შვილი, სამფლობელოები ჰქონდა მაღათის მახლობლად. -

(ციხეში – ე. მ.) მოათავსა, იქ სადაც უკვე იმყოფებოდნენ ჟოსლენი¹ და გალერანი^{2,3}.

1223 წლის 7 აგვისტოს ბალაქს აცნობეს, რომ ბალდუინი, გალერანი, ჟოსლენი, მისი დისშვილი ტანკრედი, ბალდუინის დისშვილი და სხვა ტყვეები, რომლებიც ჰარტაბტარის ორმოში იმყოფებოდნენ, ციხის მსახურებმა მოლაპარაკების შემდეგ ორმოდან გამოუშვეს. განთავისუფლებულებმა დრო იხელთეს ციხეს დაესხნენ, დაეუფლნენ და ხელთ იგდეს ყველაფერი, რაც ნურ აღ-დაულას ეკუთვნოდა. ეს დიდძალი ქონება იყო. ჟოსლენის უნდოდა სასწრაფოდ გასცლოდნენ იქაურობას, მაგრამ ბალდუინმა დაავალა შეეკრიბა ფრანკების ჯარი და ტყვეები გაენთავისუფლებინა. ვიდრე ჟოსლენი მეფის დავალებას შეასრულებდა, მანამდე ბალაქი მივიდა (1223 წ. 16 სექტემბერი) და ბალდუინის, გალერანის და ბალდუინის დის შვილის გარდა ყველანი ამოწვიტა, ისინი კი, ვინც ცოცხალი დასტოვა ჰარანში გადაგზავნა და სადაც ისინი საპყრობილეში ჩასვეს⁴.

¹ ედესის გრაფი.

² ჟოსლენი იყო ბალდუინის ბიძაშვილი. 1122 წელს ბალაქმა დაამარცხა და დაატყვევა ჟოსლენი, მისი დეიდაშვილი გალერანი და დისშვილი ტანკრედი, ეს უკანასკნელი შემდეგში გამოსყიდული იქნა 1000 დინარად. ტყვეობაში იმყოფებოდა, აგრეთვე 60 ჯვაროსანი მხედარი. ილ-ლაზიმ ჟოსლენსა და გალერანს მოთხოვა მისთვის გადაეცათ მათ ხელში არსებული ციხესიმაგრეები. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ დააკმაყოფილეს ილ-ლაზის მოთხოვნა, ციხეები მაინც დაპყრობილი იქნა.

³ K - - , , 211-212.

⁴ - - , , 212.

1224 წლის გაზაფხულზე ისინი ჰალეების ციხეში გადაიყვანეს¹.

ქოსლენმა შეკრიბა 10 ათასი მხედარი და ქვეითი, მაგრამ ბალაკმა დაამარცხა. მცირე ხნის შემდეგი ბალაკი მოკლეს².

ბალაკის სიკვდილის შემდეგ ტყვეები თიმურ-თაშის (ილ-ღაზის შვილი) ხელში მოხვდნენ. ბაღდუდინსა და თიმურ-თაშს შორის მოლაპარაკება გაიმართა. შუაკაცობდა ემირ აბუ-ღასაკირ სულთან იბნ მუნკიზი. მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. 1124 წ. 19 ივნისს თიმურ-თაშის მეჯლისმა ბაღდუდინს ნდობა გამოუცხადა, მას დაუბრუნეს ბალაკის მიერ წართმეული ციხესიმაგრეები. 1124 წლის 30 აგვისტოს ბაღდუდინმა სრული თავისუფლება მოიპოვა.

ორდერიკ ვიტალისის აღნიშნული ცნობა საფუძვლიანად გამოიკვლია გ. ჯაფარიძემ³. მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ღავით მეფესა და ერაციის სელჩუკთა სულთანს შორის, რომლის ტყვეობაშიც იმყოფებოდნენ ბაღდუდინ II და ჯვაროსნები, ადრე არსებული დაძაბული ურთიერთობის⁴ ნორმალიზება მოხდა 1124 წლისათვის. ეს კი საშუალებას მისცემდა ღავით მეფეს ჩარეულიყო და ეშუამდგომლა ტყვეების გასანთავისუფლებლად⁵. ვფიქრობ, ორდერიკ ვიტალისის მონათხრობის გამოძახილი უნდა იყოს და მას ადასტურებს

¹ K - - , , 218.

² K - - , , 218.

³ ჯაფარიძე გ., *ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ*, 208-220.

⁴ *ქართლის ცხოვრება*, I, 346.

⁵ ჯაფარიძე გ., *ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ*, 218.

აკრის ეპისკოპოსის ჟაკ დე ვიტრი, რომლის მიხედვით, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში (1217-1221), ჯვაროსნების კრიტიკულ მდგომარეობაში ყოფნის დროს, გავრცელდა ხმა აღმოსავლელი პოტენციური მოხალისე მოკავშირის შესახებ, რომელიც ჯვაროსნების დასახმარებლად მოდიოდა. ევროპელი რაინდების ვარაუდით ის ვინც შეიძლებოდა მათთვის დახმარება აღმოეჩინა, უნდა ყოფილიყო იოანე ხუცესი. სწორედ ამგვარი განწყობილება ჩანს ჟაკ დე ვიტრის მიერ 1221 წლის 18 აპრილს პაპ ჰონორიუს III-ისათვის გაგზავნილ წერილში. მან წერილს დაურთო მუსლიმანი თარჯიმნების დახმარებით არაბულიდან ლათინურად თარგმნილი ხელნაწერები. როგორც ჩანს, მან ვერ გაარკვია, რომელ ხელნაწერში გადმოცემული ამბავი რომელ პერიოდსა და კონკრეტულად ვის საქმიანობას ასახავდა.

რიჰარდ ჰენიგმა გამოაქვეყნა ჟაკ დე ვიტრის ზემოაღნიშნული წერილის ფრაგმენტი, საიდანაც ვიგებთ, რომ ტრიპოლის გრაფის მიერ გაგზავნილმა კაცებმა ჟაკ დე ვიტრის დამიეტასთან გადასცეს წერილი. გრაფი აცნობებდა ჯვაროსნების დასახმარებლად წასული დავით მეფის შესახებ. ასეთივე ცნობები მიუტანიათ აღმოსავლეთის ქვეყნების ვაჭრებსაც. მაგრამ მთავარი ავტორები დავით მეფის შესახებ გავრცელებული ხმებისა იყვნენ *„ეგვიპტის სულთნის მიერ დატყვევებული რამდენიმე ჩვენი (ჯვაროსანი – ე. მ.) მემკარე, რომლებიც მან თავის ძმას, დამასკოს (გამგებელ – ე. მ.) კორადინს გაუგზავნა. კორადინმა, დამასკოს გამგებელმა ტყვეები თავის ბატონს, ბაღდადის ხალიფას გაუგზავნა, მან კი ისინი, როგორც ძვირფასი საჩუქარი, მეფე დავითს გაუგზავნა. როცა მეფემ შეიტყო, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, ბრძანა მათთვის*

ბორკილები შეეხსნათ და უკან ანტიოქიაში დაებრუნებინათ¹.

ორდერიკ ვიტალისი და უაკ დე ვიტრი ერთმანეთისაგან ერთი საუკუნით დაშორებულნი, ჩემი აზრით, ერთი ამბის სხვადასხვა ვარიანტს გადმოგვცემენ. ოდერიკ ვიტალისი ამბის თანამედროვე იყო. ამიტომ მისი მონათხრობი მეტ ნდობას იმსახურებს. რაც შეეხება უაკ დე ვიტრის, მან არ იცის მის მიერ მოპოვებული ცნობა რომელ პერიოდს განეკუთვნება. მან იცოდა რა დამიეტასთან, სავარაუდოდ, 1219 წელს, ჯვაროსანთა ბანაკში საქართველოს მეფის ელჩების ორჯერ მისვლისა და მათ მიერ მუსლიმთა წინააღმდეგ დახმარების შეთავაზება, ამის გამო იგი თავს უყრის მისთვის ხელმისაწვდომ სხვადასხვა დროის ცნობებს იოანე-დავით ხუცესისა და საქართველოს მეფე დავითის შესახებ და მათ ერთ მეფედ წარმოაჩენს. სინამდვილეში ის ქართველი მეფე, რომელმაც ჯვაროსნებს დახმარება აღუთქვა იყო გიორგი-ლაშა².

რადგნ უაკ დე ვიტრი ქართველ მეფე გიორგი-ლაშას დავითის სახელით მოიხსენიებს, ამის გამო შეიძლება ითქვას შემდეგი: არსებობს იმავე პერიოდის ერთ-ერთი მუსლიმანი მბრძანებლის (სავარაუდოდ რუმის სულთნის) არაბულენოვანი წერილი, რომელშიც გიორგი-ლაშა დავითად არის მოხსენიებული³, ეს მაფიქრებინებს, რომ მახლობელ აღმოსავლეთში გი-

¹ „...“, III, 27.

² გიორგი-ლაშასა და ჯვაროსნებს შორის ურთიერთობაზე ვრცლად იქნება ქვემოთ.

³ XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ციტულები და სახელოები. ქართულ-სპარსული ეტიულები, III.

ორგი-ლაშას იცნობდნენ მისი სახელგანთქმული პაპისპაპის სახელით. ამ მოსაზრებას ამაგრებს XIV ს. პირველი ნახევრის მოღვაწე დომინიკანელი ვილჰელმ ადამი. იგი წერს: „ამ ქართველებს ჰყავთ მეფე, რომელსაც მუღამ დავითს უწოდებენ“¹.

დასასრულ, როდესაც ვამთავრებ დავით აღმაშენებლის ჯვაროსნებთან ურთიერთობაზე თხრობას აუცილებლად უნდა ითქვას ს. მარგიშვილის მიერ გამოთქმულ ერთ-ერთ, განხილულ თემასთან დაკავშირებულ მოსაზრებაზე, რომელიც ვფიქრობ, სრულიად ეწინააღმდეგება წყაროების ჩვენებებს და აკინებებს დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ჯვაროსნებთან ურთიერთობის შედეგებსა და მნიშვნელობას.

ს. მარგიშვილის აზრით, დავით აღმაშენებლის ჯვაროსნებთან ურთიერთობის ანალიზი „*ადასტურებს არა საქართველოს სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობას ჯვაროსანთა სახელმწიფოებთან, არამედ საქართველოს მჭიდრო რელიგიურ, სავაჭრო და დიპლომატიურ კონტაქტებს სირია-პალესტინასთან, მათ შორის, რასაკვირველია, ჯვაროსნებთანაც. რელიგიური, კომერციული და დიპლომატიური კავშირები თავისთავად არ უზრუნველყოფდნენ პოლიტიკურ სიახლოვესა და მოკავშირეობას. ამ ფაქტორებს შეიძლებოდა ხელი შეეწყო პოლიტიკური თანამშრომლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ ამის პოლი-*

ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაგალითოლდუამ, თბილისი, 1979, 5-6.

¹ *Recueil des Historiens des Croisades. Documents Arméniens*, t. 2. Documents Latins et Frnçais relatifs à L' Arménie, Paris, 1967, 534.

ტიკური მოტივაცია (და პოლიტიკური ნება) იარსებებდა, ასეთი რამ კი დავით აღმაშენებლის ხანაში არ შეიმჩნევა¹.

როგორც ჩანს, მკვლევარი საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის ისეთ მომენტების არსებობაზე მიუთითებს, რომელთა შესახებ ცნობები დღემდე არ არის მიკვლეული, მაგრამ უყურადღებოდ სტოვებს იმას, რის შესახებაც წერილობითი წყაროები გაგვანჩნია.

ა) არავითარი საბუთი არ გაგვანჩნია საქართველოს ჯვაროსნებთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე;

ბ) ს. მარგიშვილი, როდესაც ქართველებისა და ჯვაროსნების მჭიდრო რელიგიურ კონტაქტებს ახსენებს, ჩემი აზრით, იგი მართლმადიდებლობის კათოლიკობისაგან გამოყოფას 1054 წლიდან აითვლის და ამგვარ პირობებში სანიმუშოდ მიიჩნევს ქართველი მართლმადიდებლების კათოლიკე ლათინებთან ურთიერთობას. მაგრამ მკვლევარს მხედველობიდან გამორჩა, რომ მითითებულ წელს გათიშვა მოხდა მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და რომის პაპს შორის. სხვა საპატრიარქოები და მათ შორის ქართულ ეკლესიაც რომთან, ე. ი. დასავლეთის ეკლესიასთან 1054 წლამდე არსებულ ჩვეულებრივ ურთიერთობას აგრძელებდა;

გ) პოლიტიკური და რელიგიური ინტერესების განსხვავებულობის გარდა, ს. მარგიშვილის აზრით, საქართველოსა და ჯვაროსანთა სახელმწიფოებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებისათვის ხელის შემშლელი უნდა ყოფილიყო გეოგრაფიული მდებარეობაც. მართლაც, სახელმწიფოებს შორის დიდი მანძილის არსებობა, ბუნებრივია, გარკვეულ

¹ მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 104.

დაბრკოლებას ქმნიდა, მაგრამ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში მისი გადალახვა მეტ-ნაკლები სირთულით რომ შეიძლებოდა, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემებითაც დასტურდება¹.

საქართველოს ჯვაროსნებთან სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობას, საქართველოს და ჯვაროსანთა სახელმწიფოების ინტერესებისა და პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდგომი მათი ურთიერთობის გაუთვალისწინებლად უარყოფს ო. კაზარიანიც².

ვფიქრობ, დღეისათვის არსებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა და, აგრეთვე, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ძირითადი მომენტები საფუძველს იძლევა ვილაპარაკოთ დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველოს ჯვაროსნების სახელმწიფოებთან ურთიერთობის პოლიტიკურ მოტივაციაზე³.

¹ იხ. ზემოთ, საქართველო-იერუსალიმის დამაკავშირებელი გზები.

² „ (XII-XIII), შენ. 10

<http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html>

³ იხ. წინამდებარე ნაშრომის ბოლოს დართული დასკვნები.

**VII. იერუსალიმის ქართული დიასპორის ურთიერთობა
ჯვაროსნებთან დემეტრე I-სა და
ბიორბი III-ის დროს**

იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ ჯვაროსნებმა ქართველებს არა მხოლოდ შეუნარჩუნეს მათი მონასტრები და სიწმინდეები, არამედ, როგორც ჩანს, ისინი მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, დემეტრე I-ის საქართველოსთან და იერუსალიმელ ქართველ ბერებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. დემეტრეს დროს იერუსალიმის ქართული დიასპორა იმდენად მჭიდრო კავშირში იყო წმ. ქალაქის ლათინელებთან, რომ მათგან გარკვეულ დახმარებასაც იღებდა.

ჯვაროსნების და იერუსალიმის ქართული კოლონიის ურთიერთობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. მას ხშირად იერუსალიმის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა განაპირობებდა. ვითარება რადიკალურად შეიცვალა (გაუარესდა) ბალდუინ III-ის (1143–1162) დროიდან. 1144 წელს მოსულის ამირამ იერუსალიმის სამეფოს წაართვა ედესის საგრაფო, რაც მუსლიმანების ჯვაროსნებზე საერთო შეტევის ნიშანი გახდა.

ჯვაროსნები სულ უფრო მეტ ფულს ხარჯავდნენ თავდაცვის ორგანიზებისათვის და ქვეშევრდომებისაგან გადიდებულ გადასახადებს ითხოვდნენ, რაც ჯვაროსანი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას იწვევდა. მაგრამ, როგორც ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ისტორიული წყარო გვიჩვენებს, XII ს. 80-იან წლებამდე უკმაყოფილება, ზოგადად, ქართველებსა და ევროპელ რაინდ-ჯვაროსნებს შორის არ არსებობდა, უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ, რისი თვალ-

სახინო მაგალითი არის მინაწერები „გოლგოთის სვინაქსარ-ზე“.

მაგრამ განსხვავებული იყო ქართული თემის და იერუსალიმის ურთიერთობა ჯვაროსან ხელისუფლებასთან იმავე საუკუნის 60-70-იან წლებში. მძიმე გადასახადების არსებობის გამო. როგორც მოღწეული მწირი ცნობებიდან ჩანს, ქართველები ისეთ ძალას წარმოადგენდნენ სირია-პალესტინაში, რომ მათ შეეძლოთ სერიოზული გავლენა მოეხდინათ ევროპელებისა და მუსლიმანების სამხედრო დაპირისპირების დროს, ამათუ იმ მხარის სასარგებლოდ და, როგორც გამომჩნდება, მათ სერიოზული როლი შეასრულეს კიდევ იერუსალიმის სამეფოს შემდგომ ბელში.

იერუსალიმელი ქართველი სასულიერო მოღვაწენი კონფესიურთან ერთად პოლიტიკური შემწეობებიც იყვნენ, რაც ინტერნაციონალურ წმინდა ქალაქსაც ახასიათებდა. ამგვარი დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითია ზემოთხსენებული „გოლგოთის სვინაქსარის“ მინაწერი შესრულებული გიორგი დოდოსის მიერ: *„დაიწერა წიგნი ესე წა ქალაქსა იზრუსალიმსა მონასტერსა შინა ჯ̄რისასა¹ ჰელითა უცბად მხხრეკალისა ფრიად უღირსისა ხუცეს მონაზონისა გიორგი დოდისითა.*

¹ ვ. კეკელია ფიქრობს, რომ რადგან სვინაქსარის ტექსტი და მინაწერები ერთი და იგივე ხელითაა შესრულებული, ამდენად ჯვაროსანთა მოსახსენებლების ჩაწერა უნდა მომხდარიყო უფლის საფლავის ტაძარში და არა ჯვრის მონასტერში. *კეკელია ვ., ქართულ სინოდიკონებში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის*, 393. ამ მოსაზრების უარყოფა იხ. *წურწუშია მ., H1661 სვინაქსარის შესახებ*, 401-403.

სრულ იქმნა ჯ წლისა წ თასა მოსახსენებელი ესე წიგნი ბერძენთა ზედა მეფობასა მანოელისსა, ქართლს დიმიტრისსად, ო ზღმს ბულდიონისსად, დასაბამითანნი წელნი იყვნეს ხდნთ და ქორონიკონი ტოვ¹.

ძნელია თქმა იმისა, რამდენად იყვნენ ინფორმირებულნი საქართველოს მეფეები – დემეტრე I და გიორგი III (1156-1184) იერუსალიმსა და სხვა წმინდა ადგილებში მოღვაწე ქართველი ბერების საქმიანობის შესახებ. მაგრამ, რასაც ქართველები სამშობლოში ან მის ფარგლებს გარეთ საქმიანობდნენ იმ მეფესაც მიეწერებოდა ვინც მოცემულ პერიოდში ზეობდა. ასე, რომ „გოლგოთის სვინაქსარი“, რადგან იგი 1155-1188 წლებით თარიღდება, შეიძლება დემეტრე I-სა და გიორგი III-ის მეფობის ხანას მივაკუთვნოთ.

ქართველებისა და ლათინების კონფესიურ ერთიანობაზე მითითებს 1155 წელს გოლგოთაზე გადაწერილ სვინაქსარზე (მას ე. მეტრეველმა „დიდი სვინაქსარი“ უწოდა²) ჯვრის მონასტერში კათოლიკე ტამპლიერთა ორდენის წევრების ოცი მოსახსენებელი მინაწერი შესრულებული 1155-1188 წლებში³.

¹ მეტრეველი ე., *იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა)*. წიგნში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I, თბილისი, 2007, 128.

² სვინაქსარი დაცული იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. იგი საქართველოში ჩამოიტანა ოკრიბელმა მონაზონმა ლავრენტი გოგელაძემ 1812 წელს. იხ. მეტრეველი ე., *იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა)*, 128.

³ მეტრეველი ე., *იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა)*, 135-136, 138; მეტრეველი ე., *ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა*

ასეთივე აღაპები არის საქართველოში გადაწერილი ოთხთავის XII ს. მეორე ნახევრის ხელნაწერშიც, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავთ¹. ეს კი ნიშნავს, რომ ქართველებსა და ლათინებს შორის კონფესიური დაპირისპირება არ არსებობდა როგორც იერუსალიმში ისე სხვაგან.

მოსახსენებლებით. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1976, 255-259. იგივე სტატია ე. მეტრეველის სტატიების კრებულში: *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, ნაკვეთი I, 277-281; მენაბდე ლ., *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II, თბილისი, 1980, 94; თოიძე ზ., *ტამპლიერების ორდენის დამოკიდებულება საქართველოსთან*, თბილისი, 2005, 172; კეკელია ვ., *რამდენიმე შენიშვნა ტამპლიერების მოსახსენებლების შესახებ*, ისტორიანი, თბილისი, 2009, 492-495; წურწუშია მ., *ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში*, ქართველოლოგია, 6, თბილისი 2010, 69-95; ,, (XII-XIII), 2011 (ინტერნეტრესურსი <http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html>); კეკელია ვ., *ქართულ სინოდოკონებში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის*. საისტორიო კრებული, 1, წელიწდუელი, თბილისი, 2011, 390-397; წურწუშია მ., *H1661 სვინაქსარის შესახებ*. საისტორიო კრებული, 1, წელიწდუელი, თბილისი, 2011, 398-408; მამისთვალიშვილი ე., *იერუსალიმის წინდა ჯვრის მონასტერი*. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, 123-128. ზოგადად, ჯვრის მონასტრის შესაწირავების შესახებ, იხ. იქვე, 190-194.

¹ მეტრეველი ე., *ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით*, 256-258.

ქართული და ლათინური ეკლესიების ერთმანეთის მიმარ გაუცხოებაზე (XI ს. მეორე ნახევარი – XII ს. მეორე ნახევარი) სერიოზულ ვარაუდს გამოსთქვამს ტ. მაჭარაშვილი. მისთვის ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენს ფ. ბრუნის მიერ იოვანე ხუცესის და ივანე მხარგრძელის გაიგივება¹. ამ უკანასკნელმა ვითომდაც რომის პაპს გაუგზავნა წერილი და სთხოვა ზუსტი ცნობები კათოლიკური მოძღვრების დოგმების შესახებ. ტ. მაჭარაშვილს ფ. ბრუნის ნათქვამში ყველაფერი მისაღებად მიაჩნია გარდა იმისა, რომ მან (ფ. ბრუნმა) ერთმანეთში აურია დავით აღმაშენებელი და ივანე მხარგრძელი. ქართველი მკვლევრის მიხედვით პაპისათვის თხოვნის გამგზავნი დავით აღმაშენებელი უნდა ყოფილიყო. შემდეგ იგი დაასკვნის: *„მთავარია ის, რომ ზემოაღნიშნულ წერილში პაპს სთხოვდნენ უფრო სრულ ცნობებს კათოლიკური მოძღვრების დოგმებზე. აქედან ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გიორგი მთაწმინდელის დროიდან XII საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართველ საზოგადოებაში ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება ლათინთა სარწმუნოებისადმი, რაც ალბათ კათოლიკობაში ახალი დოგმების გაჩენამ და განსაკუთრებით ქართული და რომაული ეკლესიების იდეოლოგიურმა სიშორემ გამოიწვია“*². ასეთი მიდგომა, რომ რეალობას არ ასახავს, შემდეგში თვალნათლივ გამოჩნდება.

¹ .. - e , 112-159.

² მაჭარაშვილი ტ., ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIV საუკუნეებში), 123.

VIII. ურთიერთობა ჯვაროსნებთან თამარ მეფის დროს

(თამარ მეფის დიპლომატია არჩევანის წინაშე:

ჯვაროსნები თუ ეგვიპტის სასულთნო)

აიუბიანთა დინასტიის დამაარსებელი სულთნის სალაჰ ად-დინის (სალადინი), მიერ ეგვიპტის ძლიერი სახელმწიფოს შექმნის შედეგად, ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში რადიკალურად შეიცვალა. 1171 წელს სალაჰ ად-დინმა (1169-1193) დაამხო ეგვიპტის ფატიმიანთა დინასტიის ხელისუფლება და 1175 წელს თავი სულთნად გამოაცხადა. მისი იმპერია მოიცავდა დღევანდელ ეგვიპტესა და სირიას. სალაჰ ად-დინის მთავარ მიზანს ჯვაროსანთა იერუსალიმის სამეფოსთან ბრძოლა წარმოადგენდა. სალაჰ ად-დინის ბრძოლას ჯვაროსნების წინააღმდეგ ღრმა ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური მიზეზები ჰქონდა. მაგრამ ისევე, როგორც ყოველი ომს, სალადინის მიერ იერუსალიმის სამეფოსთან კონფრონტაციასაც საბაბი სჭირდებოდა. ეს საბაბი იმდენად საინტერესოა და განვიხილავთ კიდევ, რამდენადაც გვაქვს ცნობა, რომ აიუბიანებისა და ჯვაროსნების დაპირისპირებაში და შემდეგში სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის დაპყრობაში ქართველებმაც გარკვეული როლი ითამაშეს.

ბერძენი ისტორიკოსის, მაქსიმე სიმელის ერთი ცნობის რაობის შესახებ

XIX საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის მაქსიმე სიმელის თხზულებაში აღნიშნულია, რომ სალაჰ ად-დინი ვიდრე სირიას, პალესტინას და იერუსალიმს გააერთიანებდა, უკვე კარგ ურთიერთობაში იყო იქ მცხოვრებ ქართველებთან. ერთხელ

როდესაც მომლოცველი მუსლიმანები მექადან ბრუნდებოდნენ, მათ თავს დაესხნენ ლათინები, ზოგი ამოწყვეტეს და ზოგი გაძარცვეს. განრისხებულმა მუსლიმანებმა, სამაგიეროდ, დიდი ვნება მიაყენეს ქრისტიანებს. როდესაც ლათინებმა სხვა დროსაც ჩაიდინეს ამგვარი მოქმედება, დამასკოს ეპირმა, სალაჰ ად-დინმა, შეკრიბა დიდი ლაშქარი, რომელსაც ქართველებიც შეუერთდნენ¹ და ლათინებს შეუტოეს. ერთმანეთთან დაპირისპირებულმა და არაორგანიზებულმა ჯვაროსნებმა მარცხი განიცადეს. 1187 წ. 4 ივლისს სალაჰ ად-დინმა ჰატინთან გაანადგურა იერუსალიმის სამეფოს ჯარები და 2 ოქტომბერს იერუსალიმს დაეუფლა. თითქმის მთელი პალესტინა მის ხელში აღმოჩნდა. ჯვაროსნებს შერჩათ ტრიპოლი, ზღვის სანაპიროზე ქალაქები: ანტიოქია, ტიროსი და ცეზარეა. როგორც მაქსიმე სიმელი გადმოგვცემს, გამარჯვებულებმა დაპყრობილი ქალაქები და იერუსალიმსა და მის მიდამოებში არსებული მონასტრები გაანადგურეს². სალაჰ ად-დინმა წმინდა „ქალაქის ზოგიერთი ადგილი თავის მოკავშირე ქართველებს უბოძა: წმ.

1

XVI-XIX

, . 55, . 2. , 1904, 29. იმას, რაც მაქსიმე სიმელი სირია-პალესტინის ქართველების სალაჰ ად-დინთან კავშირის შესახებ გადმოგვცემს, დიდი სიფრთხილით უნად მოვეკიდლო. თუ მხედველობაში მივიღებთ ქართველ-ბერძენთა ურთიერთობას შუა საუკუნეებში, მაშინ შეიძლება ვიეჭვოთ, რომ საქმე გვაქვს ბერძენი ისტორიკოსის მიერ ისტორიული რეალობის დამახინჯებასთან. მათი ამგვარი მოქმედების მრავალი ფაქტის შესახებ. იხ. *მამისთვალის შვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი.*

2

, 30. მაქსიმე სიმელის ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. ცნობილია, რომ სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის ადების შემდეგ არც ერთი ქრისტიანული ტაძარი არ დაუნგრევიათ, ყველა ისინი, გარდა უფლის საფლავის ტაძრისა, მეჩეთად გადააკეთეს.

გოლგოთა, *წმ. თეკლას მონასტერი*¹, *წინასწარმეტყველის მონასტერი*², *იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი (ამჟამად ფრანგები ფლობენ)*, *წმ. იაკობ მოციქულის – ღვთისმეტყველის ძმის მონასტერი (ამჟამად სომხები ფლობენ)*³, *წმ. ნიკოლოზის მონასტერი*⁴.

ბერძენი ისტორიკოსის ეს მონათხრობი, თუ მას ქართველების შესახებ აღნიშნულს გამოვაკლებთ, ძირითადად, ცნობილია და სინამდვილეს ასახავს. ცნობილია, რომ იერუსალიმელმა ბარონმა რაიმონდ შატილიონმა ორჯერ გაძარცვა სირიიდან ეგვიპტეში მიმავალი მუსლიმთა სავაჭრო ქარავნები, რაც

¹ იხ. მამისთვალისშივილი ე., *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 148.

² მამისთვალისშივილი ე., *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 150-151.

³ მამისთვალისშივილი ე., *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 148-149.

⁴ XV ს. ერთი პილიგრიმი წმ. ნიკოლოზის ტაძარზე ისეთ მინიშნებებს აკეთებს, რაც წმ. ჯვრის მონასტრისათვის იყო დამახასიათებელი. 1465-1466 წლებში ვინმე ვასილი წერდა: „*იბერიელთა მონასტერი წმ. ნიკოლოზისა; აქ მოუჭრიათ ხე ჯვრისათვის. ამ ეკლესიაში წმინდა წამებულის წმ. ბარბარეს ხელია*“.

, . VI, 1884, 9; ფერაძე გრ., *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დადმატებითი შენიშვნები დაურთო გონა ჯაფარიძემ, თბილისი, 1995, 44.

სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის სამეფოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყების მთავარი მიზეზი გახდა¹.

ბერძენი ისტორიკოსის თხზულებაზე დაკვირვებით ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ უკანასკნელი ჯვაროსნების იერუსალიმში მოქმედებით უკმაყოფილო ქართველები კავშირში იყვნენ სალაჰ ად-დინთან და მათ მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშათ მუსლიმების მიერ იერუსალიმის დაპყრობაში 1187 წელს. გაწეული დახმარების სანაცვლოდ, მადლიერმა სალაჰ ად-დინმა წმინდა ქალაქის ზოგიერთი მონასტერი, როგორც აღინიშნა, ქართველებს გადასცა. ჩნდება ეჭვი, რომ მაქსიმე სიმელი XVIII-XIX საუკუნეების იმ ბერძენ ისტორიკოსთა შორისაა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ, წინა საუკუნეებში იერუსალიმში ბერძენთა მეტოქე ქართული კოლონიის ქრისტიანულ სამყაროში კომპრომეტირებით². მაქსიმე სიმელი მიანიშნებს, რომ ზემოჩამოთვლილი ქართული მონასტრები, სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის დაპყრობამდე ბერძენების საკუთრება იყო და ისინი სულთანმა ქართველებს გადასცა.

ბერძენი ისტორიკოსის ცნობა იწვევს რამდენიმე კთხვას. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, შეეძლოთ თუ არა სირია-პალესტინაში მცხოვრებ ქართველებს, საქართველოს სამეფო კართან შეთანხმების გარეშე, სალაჰ

¹ Runciman Steven, *A History of the Crusades*. V. 2. The Kingdom of Jerusalem and the Frankish East, 436-439.

² ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ სავანეებში მოღვაწე ქართველთა დევნა და სახელის გატეხა ბერძენი მართლმადიდებელი სამღვდელოების მიერ, ტრადიციული იყო X საუკუნიდან. ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, II, 170-173.

ად-დინის მიერ დაწვებულ ანტიჯვაროსნულ კამპანიაში მის მხარდასაჭერად ჩაბმულიყვნენ?

**სალაპ ად-დინის მიერ იერუსალიმის
დაპყრობა და მისი გამოცხილი**

სალაპ ად-დინის მიერ იერუსალიმის დაპყრობამ საყოველთაო შეშფოთება გამოიწვია დასავლეთ ევროპაში. ამ ცნობამ შეიწირა პაპი ურბან VIII (1185-1187), მისმა მემკვიდრე გრიგორ VIII-მ 1187 წ. 29 ოქტომბერს ევროპის ქვეყნებში ენციკლიკა დააგზავნა და კათოლიკეებს მოუწოდა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის შესახებ. გრიგორ VIII-მ მხოლოდ ენციკლიკის გამოცემა მოასწრო. იგი ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა და პაპი გახდა კლემენტ III. პაპის მოწოდებას გამოეხმაურნენ საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში, იმ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა აღმოსავლეთთან ვაჭრობამ. დასახელებული სახელმწიფოები, იმავე დროს, ერთმანეთის კონკურენტებიც იყვნენ, რაც უარყოფითად მოქმედებდა ახლო აღმოსავლეთში ომის ორგანიზებულად წარმოებაზე. ლაშქრობაში მონაწილეობის მზადყოფნა გამოსთქვა ინგლისის მეფე ჰენრი II პლანტაგენეტმა (1154-1189). მისი უეცარი სიკვდილის გამო ლაშქრობაში წავიდა მისი მემკვიდრე რიჩარდ ლომგული (აღიარებულია როგორც მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის გამომწვევით და სალაპ ად-დინის ღირსეული მეტოქე). ამ ლაშქრობაში, მონაწილეობდნენ, აგრეთვე, საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტუსი (1180-1223) და „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერატორის“ იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა (1152-1190).

1189 წელს დაწყებულ ლაშქრობაში მეფეებთან ერთად მონაწილეობდნენ დასახელებული ქვეყნების მსხვილი ფეოდალები და რაინდები.

ყველაზე ადრე იერუსალმის გზას დაადგა გერმანელთა ჯარი ფრიდრიხ ბარბაროსას მეთაურობით. მანამდე კი იმპერატორმა დიპლომატიური მოლაპარაკება დაიწყო უნგრეთთან და ბიზანტიასთან, მათ ტერიტორიებზე ჯარის გატარების შესახებ. ბიზანტიელებმა გარკვეული გადასახადი მოითხოვეს. ფრიდრიხმა დაიფიცა, რომ გერმანელები ხიფათს არ შეუქმნიდნენ იმპერიას. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება შედგა, ისაკ II ანგელოსი ყოველგვარ დაბრკოლებებს უქმნიდა ჯვაროსნებს. მის ეჭვებს ბიზანტიის მიმართ გერმანელთა არაკეთილგანწყობაზე აღვივებდა ის გარემოება, რომ ფრიდრიხ I-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის მეტოქესთან ახლო აღმოსავლეთში, იკონიის სასულთნოსთან. იკონიის სულთანი ყილიჩ-არსლანი (1155-1192) საღაბს ად-დინთან მტრობის გამო მზად იყო გერმანელი რაინდები დაუბრკოლებლად გაეტარებინა თავის სამფლობელოებში და მათთან ხელშეკრულებაც დასდო 1189 წელს. იკონიის სულთნისა და „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის ამ შეთანხმების წინააღმდეგ ისაკ II-მ იმავე წელს სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა საღაბ-ად-დინთან.

ანტიბიზანტიური განწყობილება სუფევდა ბულგარელებსა და სერბებში და მოსალოდნელი იყო მათ მხარი დაეჭირათ გერმანელებისათვის. ამას გარდა, კონსტანტინოპოლში ჯვაროსნებს განიხილავდნენ როგორც ბიზანტიელების უფლების შემლახველებად სირია-პალესტინაში, რაც ბიზანტიელებს გერმანელებისადმი კიდევ უფრო მტრულად განაწყობდა.

თრაკიაში უკვე დაწყებული იყო გამოუცხადებელი ომი გერმანულ ჯვაროსნებსა და ბიზანტიელებს შორის. 1189 წლის გვიან შემოდგომაზე ფრიდრიხ I-მა თავის ვაჟს ჰაინრიხს გაუგზავნა ბიზანტიაზე თავდასხმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ჯარის შეკრებას და ჩრდილო იტალიის ქალაქებთან – გენუასთან, ვენეციასთან, პიზასთან და ანკონასთან შეთანხმებით ფლოტის აღჭურვას და შემდეგი წლის გაზაფხულზე კონსტანტინოპოლისათვის ზღვიდან და ხმელეთიდან აღყის შემორტყმას. იმავედროულად, ჰაინრიხს უნდა უზრუნველყო რომის პაპის მხრივ ფართო პროპაგანდის გაჩაღება ბიზანტიის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების შესახებ. ბიზანტია, მათი გაგებით ხელს უშლიდა ურწმუნოთა წინააღმდეგ კათოლიკეების ბრძოლას. მაგრამ ისაკ II-მ თავის სახელმწიფოსთვის საფრთხის არიდება გარკვეული დათმობებით შეძლო. ფრიდრიხ I 1190 წლის მარტში მცირე აზიაში გადავიდა. ყილიჩ-არსლანის მემკვიდრემ სალაჰ ად-დინთან ომის დაწყების შიშით აღარ გააგრძელა ჯვაროსნებთან მოკავშირეობა. იმპერატორმა იკონიის დაპყრობა კი მოასწრო, მაგრამ იმავე წლის 10 ივნისს სელეუკიის მახლობლად, მდინარე სალეფზე გადასვლის დროს დაიხრჩო¹.

რაც შეეხება ფილიპე II-სა და რიჩარდ ლომგულს, დიდი წარმატებები ვერც მათ მოიპოვეს. ფილიპე II თავისი ჯარით საფრანგეთში დაბრუნდა, რიჩარდმა, წარმატებული სამხედრო ოპერაციებით შეძლო სალადინთან სამი წლით დაზავება, რომლის მიხედვით იერუსალიმის სამეფოს ხელში იყო მხოლოდ ზღვის სანაპირო ზონა ტირიდან იაფამდე, იერუსალიმი კი კვლავ სალადინს დარჩა.

1

, 1980, 178-182.

**ვინ იყვნენ ქართული ნარატიული წყაროების „ფრანგები“
და „ალამანები“ და საქართველოს მათთან ურთიერთობის
საკითხისათვის**

ვიდრე სალაჰ ად-დინისა და ქართველების ერთობლივ საბრძოლო მოქმედებასა და მის მნიშვნელობაზე სიტყვას გავაგრძელებ, მანამდე ყოველივე უნდა შევაფასოთ ორი ქართველი მეფის საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით.

სალაჰ ად-დინის მმართველობა (1169-1193), მნიშვნელოვანწილად, ემთხვევა გიორგი III-ის მეფობის ხანას (1156-1184) და თამარის მეფობის პირველ წლებს. გიორგი მეფე, საფიქრალია, აგრძელებდა დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის საგარეო პოლიტიკას და ჯვაროსნებთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, როდესაც გიორგი მეფის საერთაშორისო ავტორიტეტსა და გავლენაზე გადმოგვცემს, აღნიშნავს, რომ „სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და პინდოთანი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგეპტისა და იკონიისანი, ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკვთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმმა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელაპიტელნი და შუამდინარეელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მა შრიყით მალრიბამდე“¹.

¹ ქართლის ცხოვრება, II, 22-23.

პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ თამარის ისტორიკოსი ჩამოთვლილ მბრძანებლებს ყოფს იმის მიხედვით თუ როგორია მათი სტატუსი ქართველ მეფესთან მიმართებაში. მან პირველ ადგილზე დააყენა, ისინი ვინც მისი მეფის თანასწორად მიაჩნდა: ვინც *„სძმობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი“*. თანაც ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბერძნეთის, ინდოელების და ხონელების მეფეები თავიანთი ქვეყნებიდან, ხოლო ალამანების (ეფიქრობ, „ალამანთანის“ შემდეგ სახეები ნიშანი – მიმიე, ზედმეტია) და რომაელების მეფეები იერუსალიმიდან ამყარებდნენ კავშირს გიორგი მეფესთან, უგზავნიდნენ საჩუქრებს და მასთან მჭიდრო კავშირი („სძმობდეს“) ჰქონდათ. შემდეგ კი ისტორიკოსი ჩამოთვლის სხვადასხვა ქვეყნის იმ მუსლიმან სულთნებს, რომლებიც გიორგი მეფის მორჩილებაში იყვნენ („ჰმონებდეს“). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს შუა საუკუნეების ისტორიკოსის მიერ თავისი სასახელო მეფის გავლენისა და ავტორიტეტის გაზვიადებასთან. შორს ვარ იმ აზრისაგან გავიზიარო, რომ გიორგი მესამეს „ჰმონებდეს“ *„სულტანნი ხორასნისა, ბაბილოენისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი... სკვთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმმა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მადრიბამდე“*¹.

¹ შდრ. მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*. ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ, 271, შენ. 17.

დასახელებულ მბრძანებელთაგან, ამჯერად, საინტერესოა ვინ იყვნენ მეფენი „ალამანთანი და პრომთანი“. ამ მეფეების ვინაობის დადგენას გ. ჟორდანიამ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, რომელიც ჯერ ქართულად¹, შემდეგ კი გერმანულად გამოაქვეყნა². ვფიქრობ, მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები კორექტირებას საჭიროებს. გ. ჟორდანიას თქმით, „*კარგადაა გარკვეული, რომ „მეფენი იერუსალიმს ალამანთანი“ იერუსალიმის სამეფოს მბრძანებელნი არიან*“³. მაგრამ არ უთითებს ვინ გაარკვია ეს საინტერესო და პრინციპული საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყოველივე იმის დასამტკიცებლად, რის დამტკიცებას იგი ცდილობს. სტატიის გერმანულ ვერსიაში იმავე ეთნონიმის შესახებ გამოტოვებულია „*კარგადაა გარკვეული*“ და *აღნიშნულია, რომ „იერუსალიმს მეფენი ალამანთანი“ (...) არიან იერუსალიმის ლათინი მეფეები*“⁴.

გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ალამანები ან ალემანები ცხოვრობდნენ დღევანდელ ბადენ-ვიუტენბერგსა და ელზასში, ბავარიის შვაბიაში, შვეიცარიის გერმანულენოვან ნაწილში, ლიხტენშტეინსა და ფორალბერგში, X-XIII შედიოდა შვაბიის ჰოჰენშტაუფენების საჰერცოგო-

¹ ჟორდანია გ., *ვინ იყვნენ „მეფენი პრომთანი“?* „ლიტერატურული საქართველო“, 11 ივნისი, 1976.

² Shordania G., *Über die „Könige der Römer“*, die in der georgischen Geschichtsschreibung erwähnt sind, „Georgica“-„გეორგიკა“, Jena-Tbilisi, 1980, 51-55.

³ ჟორდანია გ., *ვინ იყვნენ „მეფენი პრომთანი“?*

⁴ „Die „Könige der Alemannen zu Jerusalem“ (mepeni ierusalims alaman-tani) sind die lateinischen Könige Jerusalems“, Ibidem, 52.

ში¹. ასე, რომ ისტორიულად „ალამანები“ გერმანული მოდგმის ხალხი იყო. თამარის ისტორიკოსმა კარგად იცოდა ამის შესახებ და იგი ალამანებსა² და რომაელებს (ლათინები/ფრანკები) ერთმანეთისაგან განასხვავებდა, მაგრამ მან იცოდა, რომ იმ ალამან და რომაელ რაინდებს რომლებიც იერუსალიმში ცხოვრობდნენ, საერთო მეფე ჰყავდათ და კავშირი ჰქონდათ საქართველოს მეფესთან. თუ შეიძლება „ალამანთალებში“ გერმანელები ვიგულისხმობთ, როგორც გ. ჟორდანიას სამართლიანად ფიქრობდა, მაშინ მათი მეფეები ვერ იქნებოდნენ იერუსალიმის მეფენი, რადგან იერუსალიმის სამეფოში გერმანელთა წარმომადგენლებს არ უმეფიათ 1228 წლამდე, მანამდე ვიდრე არ გამეფდა კონრად II ჰოჰენშტაუფენი, „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის ფრიდრიხ II-ის ვაჟი. მანამდე იერუსალიმის ყველა მეფე, ეთნიური ფრანგი იყო: გოდფრი ბულონელი (უფლის საფლავის დამცველი – 1099-1100), ბალდუინ I ბულონელი (1100-1118), ბალდუინ II ბულონელი (1118-1131)³, ფულკი ანჟუელი (1131-1143), ბალდუინ III ანჟუელი (1143-1162), ამორი I ანჟუელი (1162-1174), ბალდუინ

¹ Geuenich D., *Geschichte der Alemannen*, 1997, 13 .

² ვფიქრობ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართველი მემატიანე ფრანგული ენისა თუ ფრანგების გავლენით გერმანელებს ალემანებს უწოდებს.

³ შ. ბადრიძე ფიქრობდა, რომ იერუსალიმის პირველი მეფეების „ალამან“ მეფეებად დასახელება ქართველთა შორის დამკვიდრდა იერუსალიმის სამეფოს არსებობის პირველი სამი მეფის გამო, რომლებიც წარმოშობით ლოთარინგიული დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ (ბადრიძე შ., *საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან*, 148), რაც სიმართლეს არ შეეფერება.

IV ანჟუელი (1174-1185), ბაღდუნი V ანჟუელი (1183-1186, ბაღდუნი IV-სთან ერთად), სიბილა ანჟუელი – 1186-1190, გუისთან ერთად), გუი (ლუიზინიანელი – 1186-1190/1192, სიბილასთან ერთად (1190 წლამდე), იზაბელა I ანჟუელი (1190/1192-1205)¹ და ა. შ.

საქართველოს სამეფო კარს იერუსალიმის სამეფოს ფრანგულ დინასტიასთან რომ მისი დაარსების დროიდან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ამაზე მიუთითებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ის ცნობა, რომელშიც გადმოცემულია დავით აღმაშენებლის საერთაშორისო ავტორიტეტსა და გავლენაზე. როგორც მემატინე ამბობს, *დავითის „აზრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ჰელმწიფენი ოსეთისა და ყივზაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი“*². მოყვანილ ამონარიდში დასახელებული ქვეყნების ჩამონათვალი კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სამეფოების მეფეების დავით აღმაშენებლთან ურთიერთობაზე გადმოგვცემს და „ჰელმწიფენი... **ფრანგეთისანი**“ იერუსალიმის მეფეებს გულისხმობს.

შ. ბადრიძემ, ჩანს, გაითვალისწინა „აღამანთანის“ გ. შორდანიასეული ინტერპრეტაცია და მისი მნიშვნელობის გაფართოება სცადა. მისი გაგებით, ტერმინში – „ფრანგი“, თამარის ისტორიკოსი გულისხმობდა როგორც ფრანგებს, ასევე გერმანელებს, იტალიელებს და, საერთოდ, დასავლეთ ევროპელებს. მას მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ „მოფრანგენი“, რომელიც

¹ <http://en.wikipedia.org/wiki/King-of-Jerusalem>

² *ქართლის ცხოვრება*, I, 360.

მართლაც დასავლეთ ევროპელებს აღნიშნავს¹. მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართული საისტორიო თხზულების „კლამანთანი და ჰრომთანი“ ერთობლიობაში „მოფრანგენს“ აღნიშნავს. მაგრამ ეს განმარტება სრულიად არ მიესადაგება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ გადმოცემულს. როგორც ითქვა, მისი ავტორი სრულიად გასაგებად ერთმანეთისაგან განასხვავებს „ჰრომაელებს“ და „კლამანებს“. სავარაუდოა, ქართველი ისტორიკოსი ბიზანტიელთა გავლენით აღემანებად მოიხსენიებს გერმანელებს. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების წინ 1189 წელს, ბიზნტიის კეისარი ისაკ II ანგელოსი იმპერატორ ფრიდრიხ I-ს მოიხსენიებდა როგორც „კლემანიის მეფეს“, რითაც მისადმი დამამცირებელ და მტრულ დამოკიდებულებას გამოხატავდა².

უნდა აღინიშნოს, რომ თამარის ისტორიკოსი გერმანელებსა (კლემანები) და რომაელებს (ამ უკანასკნელში იგი გულისხმობს იმ ევროპელებს, რომლებიც რომის პაპის გავლენას განიცდიდნენ და მათ რომაელებს ეძახის) არა მხოლოდ ერთმანეთისაგან განასხვავებს, მან იცის „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსასა (1152-1190) და პაპ ალექსანდრე III-ს (1159-1181) შორის დაპირისპირების შესახებაც. იგი პაპის მომხრეებს მოიხსენიებს რომაელებად და არა ფრანკებად და ლათინებად, როგორც მათ აღმოსავლეთში იცნობდნენ და ამით კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის „კლამანებსა“ და „ჰრომაელებს“ შორის განსხვავებას. დასავლეთ ევროპელების რომაელებთან ასოცირებას ხელს შე-

¹ ბადრიძე შ., *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.)*, თბილისი, 1984, 144-145.

²

, 180-181.

უწყობდა ის გარემოებაც, რომ მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში ყველასათვის ცნობილი იყო რომის პაპის ინიციატივისა და განსაკუთრებული როლის შესახებ ყველა ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებასა და დაწყების საქმეში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ექნებოდა იმასაც, რომ XII ს. უკანასკნელ მეოთხედში საბოლოოდ აღსდგა პაპის სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო რომი. ქართული სასულიერო მწერლობა ნათელს ხდის, რომ ქართველებისათვის კარგად იყო ცნობილი რომის ისტორიის ის პერიოდი, როდესაც პაპების სახელმწიფოს წარმოშობამდე ეს „მუდმივი“ ქალაქი პაპების სარეზიდენციო იყო და იქ რომაელები ცხოვრობდნენ.

„ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჰელიშურ რედაქციაში (IX ს.) რომი ერთსა და იმავე დროს არის იმპერიისა და პაპის სატახტო: ზაბილონ „მიიწია პრომედ წინაშე მეფისა...“ „მან აუწყა ესე პატრიაქსა პრომისასა და პაპასა...“ „იგი წარვიდა პრომედ...“ „პრომთა და ბერძენთა ზედა იქმნა მეფე მორწმუნე კოსტანტინე¹“. XI საუკუნის მოღვაწის გიორგი ხუცესმონაზონის გაგებით, „პრომნი“ აღნიშნავს ეროვნებას („პრომნი და სომეხნი...“; „ბერძენთა და პრომთასა...“; „ხოლო პრომნი ვმეადითა და ურწყოდთა წირვენ...“; „პრომთა ვინადოთან ერთგვის იცნეს ღმერთი...“ „პრომთა დიდად განიხარნეს...“²).

მრავლის მოქმელია ძველი ქართველი ისტორიკოსის მიერ ხაზგასმა მეფე გიორგი III-ის იერუსალიმელ (პალესტინელ) ჯვაროსნებთან – „რომაელებსა“ და „გერმანელებთან“ ახლო ურთიერთობის არსებობის შესახებ (ისინი ქართველ მეფეს „სძღუნობდეს და სძმობდეს“), რაც კიდევ ერთხელ განმიმ-

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 216, 217, 227.

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 209.

ტიციებს იმ აზრს, რომ ქართულ სახელმწიფოს მუდმივი კავშირი ჰქონდა წმ. მიწის ფრანგ მფლობელებთან და ყოველთვის საქმის კურსში იყვნენ იქ მიმდინარე ამბებისა. მაგრამ ქართველი პოლიტიკოსები, სავარაუდოა, გამორჩეულად ახლოს უნდა ყოფილიყვნენ იმათთან ვისაც „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი რომაელებს ეძახის და არა „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიასთან“. მისთვის გერმანელები „ალამანები“ არიან.

ჩემი მოსაზრების დაცვისათვის (საქართველოს სამეფო კარს რომ იერუსალიმის ფრანგული წარმოშობის სამეფო დინასტიასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა) დიდი მნიშვნელობა აქვს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შედგენილ ტამპლიერთა ორდენის წევრების აღაპებს¹. შ. ბადრიძემ, იმისათვის რათა ქართველებისა და გერმანელების ურთიერთობათა ხანდაზმულობა დაემტკიცებინა, აღაპებში დასახელებულ რაინდთა შორის, ზოგიერთში, სახელის მიხედვით, ეთნიური გერმანელი ამოიცნო², მაშინ, როდესაც ელ. მეტრეველის გამოკვლევით უკვე დადგინილი იყო, რომ აღაპებში მოხსენიებულნი იყვნენ ფრანგები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტამპლიერთა ძღვევამოსილ რაინდულ ორდენში გერმანელები საერთოდ არ იყვნენ. მასში თავდაპირველად გაერთიანდნენ ფრანგები, მოგვიანებით ინგლისელები, გამონაკლისის სახით იყვნენ იტალიელები,

¹ მეტრეველი ელ., *იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერილობის ცდა)*, წიგნში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბილისი, 2007, 135-138. იხ. აქვე, ქვემოთ: „ქართულ-ლათინური ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან“.

² ბადრიძე შ., *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან*, 146.

ესპანელები და ფლამანდიელები¹. გერმანელები გაერთიანებული იყვნენ თავიანთ ორდენში, იმავე იერუსალიმში შექმნილ, ე. წ. გერმანელთა ანუ ტევტონთა ორდენში.

ამგვარად, ჯვრის მონასტრის აღაპები არ შეიცავს ინფორმაციას ქართველთა და გერმანელთა ურთიერთობაზე გიორგი III-ის დროს. მასში აღნიშნულია იერუსალიმში მოღვაწე იმ „ფრანგ“, ანუ ტამპლიერ რაინდებზე, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ იერუსალიმის ქართულ თემთან² და ჯვრის მონასტრის ქართველი ბერების საშუალებით კი საქართველოსთან. აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ იერუსალიმის სამეფოს შექმნის დროიდან, ჯვაროსნები იმ მიზეზების გამო, რომელთა შესახებ თავის ადგილას საკმაოდ ვრცლად ითქვა, ჯვრის მონასტრისადმი კეთილად განწყობილი იყვნენ. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სამეფო კარი იერუსალიმის ამბების შესახებ ინფორმირებული იქნებოდა ქართველი პილიგრიმების მიერ ჩამოტანილი ცნობებითა და წმ. ქალაქიდან გამოგზავნილი წერილებით. საქართველოს ხელისუფლებას ეცოდინებოდა იმ წამყვანი როლის შესახებ, რომელსაც ასრულებდა ფრანგული ეთნიური ელემენტი იერუსალიმის სამეფოში მისი დაარსების დღიდან. იერუსალიმში

¹ (*Pauperurum Commilitonum Christi Templique Sola-
moniaci*) (), [http://army.armor.kiev.ua/hist/-
orden-tamplier.shtml](http://army.armor.kiev.ua/hist/-orden-tamplier.shtml)

² ტამპლიერების ქართველებთან კარგი ურთიერთობა ვერ აიხსნება იმით, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანა იყო და თვითონაც თავის უმთავრეს წმინდანად ღვთისმშობელს მიიჩნევდნენ და ეკლესიების უმრავლესობა მის სახელზე ჰქონდათ აგებული. მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ*, 262, შენ. 2.

ევროპელებიდან სიმრავლით ფრანგები სჭარბობდნენ, რის გამოც იერუსალიმის სამეფოში ყველა ევროპელს ფრანგს უწოდებდნენ.

ევროპელ უფლისწულზე თამარ მეფის დაქორწინების საკითხისათვის

გვაქვს თამარის ისტორიკოსის კიდევ ერთი ცნობა, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ერთ-ერთი ევროპელი ქრისტიანი უფლისწული ცდილობდა თამარ მეფეზე დაქორწინებას, მაგრამ, სხვა მრავალი მეზობელი თუ შორეული ქვეყნის უფლისწულის მსგავსად, მისი კანდიდატურაც უარყოფილი იქნა.

ვაზირთა და დიდებულთა მოთხოვნით რუსუდან დედოფალი, თამარის მამიდა, თავის აღზრდილს სთხოვს: „*უკეთუმცა არა იყო ზენა განგება მისსა მოქმედებასა შინა, ჰხედავს შარავანდელობა თქუენი, თუ რაოდენნი რაოდენგზის მოქმენი, შეიღნი კემწიფეთანი—ბერძენთა და ჰრომთანი, სულტანთა და სკვითთანი, სპარსთა და ოვსთანი, მცდელნი, სამართალთაებრ უკუნარღვევნა არ შემძლეობამან თვნიერ ბრძანებისა საუფლოსა*“¹.

ციტირებულიდან გაუგებარია, როდის მიმართა მამიდამ თამარს, გამეფებამდე თუ გამეფების შემდეგ, ვიდრე გიორგი რუსს შეირთავდა (1185 წ.), თუ იმ დროს, როდესაც იგი განქორწინებულია (1187-1188 წწ), დავით სოსლანი ჯერ მისი ქმარი არ არის? ამის შემდეგ დგება მეორე კითხვა: როდის უნდა ეცადა ევროპელ უფლისწულს თამარზე დაქორწინება, რომელი ქვეყნიდან იყო იგი?

ჩემი აზრით, თამარის ხელის მაძიებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო იერუსალიმის სამეფოს რომელიმე უფლისწული, რადგან გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლები და თამარის

¹ *ქართლის ცხოვრება*, II, 46. მონიშვნა ჩემია.

მეფობის პირველ წლები ემთხვევა ბაღდუინ IV-ის და ბაღდუინ V-ის მეფობას. პირველს შვილი არ ჰყოლებია, მეორე – ბაღდუინ V დე მონფერატი, ბაღდუინ IV-ის დის სიბილას ვაჟი, გამეფდა 1183 წელს 5 წლის ასაკში. იმეფა მხოლოდ ერთი წელი და გარდაიცვალა. სიბილა ანჟუელს (1186-1190) ბაღდუინის მეტი ვაჟი არ ჰყოლებია.

თუ გაზიარებული იქნება თამარის ისტორიკოსის მიერ დასახელებული ევროპელების (რომაელების და ალამანების) ჩემუელი გაგება, მაშინ სერიოზულ მტკიცებას აღარ უნდა საჭიროებდეს, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ „პრომთა“ ხელმწიფის შვილი ვერ იქნებოდა „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ ხელმწიფის ფრიდრიხ I ბარბაროსას ვაჟი, „მამის მოსახელე, ჰერცოგი ფრიდრიხ შვაბელი“, რის დამტკიცებას ცდილობდა გ. ჟორდანია და, მის მიხედვით კი, შ. ბადრიძე და, თითქოს, ეს უნდა მომხდარიყო 1185 წლის დასასრულიდან 1188 წლის დასაწყისამდე¹.

კიდევ უფრო დიდ წინააღმდეგობას წავაწყდებით, თუ თამარის საქმროს კანდიდატად განვიხილავთ ფრიდრიხ I ბარბაროსას რომელიმე ვაჟს. ფრიდრიხს ორი ქორწინებიდან ჰყავდა შვიდი ვაჟი (და არა ხუთი, როგორც გ. ჟორდანია ფიქრობდა): ფრიდრიხ V (1164–1168/1170), შვაბიის ჰერცოგი 1167 წლიდან; ჰეინრიხ VI (1165–1197), წმინდა რომის იმპერიის იმპერატორი (1191–1197); კონრადი (1167–1191), შვაბიის ჰერცოგი (1170–1191) ფრიდრიხ VI-ის სახელით; ოტონ I (დაახლ. 1170–1200), ბურგუნდიის პფალცგრაფი (დაახლ. 1172–1196), როტენ-

¹ ჟორდანია გ., *ვინ იყვნენ „მეფენი პრომთანის“?*; Shordania G., *Über die „Könige der Römer“*, 53; ბადრიძე შ., *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან*, 149-51.

ბურგის ჰერცოგი (1188–1191), შვაბიის ჰერცოგი (1191–1196); რაინალდი (დაახლ. 1173–1178); ვილჰელმი (დაახლ. 1176 – 1178 წ. შემდეგ); ფილიპე (1177–1208), შვაბიის ჰერცოგი (1196–1208), გერმანიის მეფე (1198–1208).

გ. ჟორდანიას ვარაუდით თამარის საქმროდ შეიძლება ყოფილიყო „ბარბაროსას მეორე ვაჟი, მამის მოსახელე ჰერცოგი ფრიდრიხ შვაბელი, რომელიც იმ დროს 19-20 წლის ჭაბუკი, იყო შემკული მხედართმთავრული ნიჭით, თვალსაჩინო მონაწილე ბარბაროსას ჯვაროსნული ღაშქრობისა“¹.

ის გერმანელი უფლისწული, რომელსაც გ. ჟორდანია თამარის სავარაუდო საქმროდ მიიხნევს, იყო არა ფრიდრიხ ბარბაროსას მეორე ვაჟი ფრიდრიხ V შვაბიის ჰერცოგი, არამედ მესამე ვაჟი კონრადი, რომელსაც შემდეგში, გარკვეული მოსაზრებით, ფრიდრიხი დაარქვეს, ისიც შვაბიის ჰერცოგი გახდა და ცნობილია ფრიდრიხ შვაბელის სახელით. იმისათვის, რათა გასაგები გახდეს რამ გამოიწვია ძმების ერთმანეთში აღრევა, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ფრიდრიხ ბარბაროსას მეორე ვაჟი ფრიდრიხი დაიბადა 1164 წლის 6 ივლისს პავიაში, მაშინ როდესაც ფრიდრიხ ბარბაროსა იტალიის ღაშქრობაში იმყოფებოდა. იგი 1165 წელს დანიშნეს ინგლისის მეფე ჰენრი II ასულზე ელენორაზე. 1167 წელს უმემკვიდრეოდ მოკვდა იმპერატორის ბიძაშვილი ფრიდრიხ IV როტენბურგელი. საჰერცოგო გადავიდა ფრიდრიხ ბარბაროსას ხელში, რომელმაც ახალ ჰერცოგად დანიშნა თავისი მცირეწლოვანი შვილი და მემკვიდრე ფრიდრიხი, რომელიც სავარაუდოდ, გარდაიცვალა 1168-1169 წელს. 1170 წელს ჰერცოგის ტიტული გადაეცა

¹ ჟორდანია გ., *ვინ იყვნენ „მეფენი პრომთანო“?*; Shordania G., *Über die „Könige der Römer“*, 53.

ფრიდრიხ ბარბაროსას მესამე ვაჟს კონრადს, რომელმაც მიიღო ახალი სახელი – ფრიდრიხი. ფრიდრიხი დაიბადა 1167 წლის 16 აპრილს იტალიაში. 1188 წლის 27 მარტს მან პირობა დადო მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ. 1189 წელს იგი მამასთან ერთად წავიდა ლაშქრობაში. გზად, უნგრეთში დაინიშნა უნგრეთის მეფე ბელა მესამის ასულზე, კონსტანციაზე. მამის, ბარბაროსას დაღუპვის შემდეგ, ფრიდრიხმა ხელში აიღო გერმანიის არმიის მეთაურობა. ჯვაროსნების დიდმა ნაწილმა მიატოვა იგი და სამშობლოში დაბრუნდა. ფრიდრიხმა მაინც გააგრძელა გზა იერუსალიმისაკენ, მიუხედავად მალარიისა, რომელმაც უფრო შეამცირა მისი ჯარი. 1190 წლის 20 იანვარს ფრიდრიხიც მალარიით გარდაიცვალა ალყაშემორტყმულ აკოსთან, სადაც დაიკადა კიდევ.

მაშასადამე, კონრადი, იგივე ფრიდრიხ შვაბელი, დაიბადა 1167 წელს და 1184 წელს ის იქნებოდა 17 წლის, 1160 წელს დაბადებული თამარი კი 24 წლის.

მგონია, თუ „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ კარმა ბაგრატიონთა სამეფო გვართან დანათესავება პოლიტიკური მოსაზრებით გადაწყვიტა, ყველაზე მისაღებად უნდა ჩაითვალოს ის პერიოდი, როდესაც ფრიდრიხ ბარბაროსასა და ბიზანტიის იმპერატორს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია და ფრიდრიხი მოკავშირეებს ეძებს ბიზანტიის წინააღმდეგ, ე. ი. 1189 წელს. ამ დროს კი, თამარ მეფეზე ასაკით უმცროსი ფრიდრიხ შვაბელი დანიშნულია უნგრეთის მეფის ასულზე, თამარი კი, მეორედ დაქორწინებული და არ შეიძლებოდა რუსუდან დედოფალს თამარისათვის მიემართა იმ სიტყვებით, რომელთა შესახებაც გადმოგვცემს მისი ისტორიკოსი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ **ფრიად საეჭვოდ მიმაჩნია**

ბაგრატიონთა და ჰოჰენშტაუფენების დანათესაების შესაძლებლობა¹.

¹ გაოცებასა და კითხვებს იწვევს ლ. ტუხაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ბაგრატიონთა და ჰოჰენშტაუფენების ურთიერთობის პერსპექტივებსა და დანათესაების შესახებ. ლ. ტუხაშვილი წერს: „ქართველმა დიპლომატებმა აღუთქვეს (?) ჯვაროსნებს, რომ მათი პალესტინისაკენ დაძვრისთანავე დუყოვნებლივ შეაკავებდნენ მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებს. როგორც ჩანს (?), ჯვაროსნებმა უფრო მტკიცე გარანტიები მოსთხოვეს საქართველოს. კერძოდ წამოიჭრა საკითხი დინასტიური ქორწინების თაობაზე. გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა სთავაზობდა მეფე თამარს თავის ერთ-ერთ ვაჟს. საქართველოში ამ წინადადებას უყურადღებოდ არ შეხვედრიან (?). ამ წინადადებაში ბევრი ხედავდა (?) ბიზანტიის მმართველი დინასტიის საწინააღმდეგოდ ბაგრატიონებისა და გერმანიის საიმპერატორო გვარის შტაუფენების დამოყვრებას. ეს კავშირი გასდებდა მტკიცე ხიდს საქართველო-გერმანიას შორის, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა გავლენის სფეროების გაყოფა მცირე აზიაში (?)... საქართველოს სამეფო კარმა ორგზის განიხილა ეს საკითხი (?)... შტაუფენების წინადადება ქორწინების შესახებ უარყოფილ იქნა (?), მაგრამ დაიღო პოლიტიკური კავშირი საქართველო-გერმანიას შორის (?), რაც გამოჩნდა (?) IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს“. ტუხაშვილი ლ., ნარკვევები საქართველოს დიპლომატიის ისტორიიდან, 222-223. ამონარიდში ყველა კითხვის ნიშანი დასმულია ჩემ მიერ.

„გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის და საქართველოს მეფის პოლიტიკური კონტაქტის შესაძლებლობა

შეიძლება სრულიად სხვაგვარ კონტექსტში განვიხილოთ „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის და საქართველოს მეფის პოლიტიკური კონტაქტის შესაძლებლობა იმავე პერიოდში, როდესაც მათი ბიზანტიასთან დაპირისპირების ფონზე, ორი სახელმწიფოს ინტერესების თანხვედრა ხდება მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ. „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია“-ბიზანტიის დაპირისპირების უმთავრეს მიზეზებზე ზემოთ უკვე ითქვა, რაც შეეხება საქართველო-ბიზანტიის დაპირისპირების მიზეზებს, მათ შესახებ ქვემოთ, ტრაპოზონის იმპერიის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ვიტყვი.

მხედველობაში თუ მივიღებთ ორ იმპერიას შორის დაპირისპირებას, მაშინ სრულიად ნორმალური გამოჩნდება მათ მიერ მოკავშირეების მოძიების მცდელობა და დიპლომატიური ხასიათის მოქმედებები. ფრიდრიხ I-მა, როგორც ჩანს განიზრახა ბიზანტია მტრების რკალში მოექცია. ის ცდილობდა მისთვის დაეპირისპირებინა ჩრდილოეთიდან უნგრეთი, ბულგარეთი და სერბეთი, აღმოსავლეთიდან იკონიის სასულთნო, ზღვიდან ჩრდილო იტალიის ქალაქების ფლოტი. ფრიდრიხ ბარბაროსა, ეს გამოცდილ პოლიტიკოსი, რომელმაც ბიზანტიის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის სირთულის ყველა ნიუანსი შეისწავლა, აუცილებლად ყურადღებას მიაპყრობდა საქართველოს, როგორც ანტიბიზანტიური ძალას და მის გამოყენებას შეეცდებოდა კიდევ.

არსებული მოსაზრების მიხედვით ფრიდრიხ I ბარბაროსას საქართველოსთან პოლიტიკური კავშირის დამყარების მცდელობაზე უნდა მიგვანიშნებდეს XII საუკუნის მეორე ნახევრის ქრონისტის, ავსტრიელი ანსბერტუსის ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველად, მაგრამ

არასრულად შემოიტანა გ. ჟორდანიამ¹. კერძოდ, მემატიანე გადმოგვცემს, რომ 1189 წლის აგვისტოს დასასრულს ფრიდრიხ ბარბაროსამ აიღო ფილიპოპოლისი (პლოვდივი) და მის თემში არსებული სკრიპენციონის ციხე, ანუ პეტრიწონი, რომლის ზევით არსებობდა პეტრიწონის მონასტერი. ფრიდრიხ ბარბაროსას მისმა მარშალმა მიუყვანა მონასტრის იბერიელი წინამძღვარი, რომელსაც იმპერატორი კარგა ხანს ესაუბრა². გ. ჟორდანიას და შ. ბადრიძის აზრით, გერმანელი იმპერატორისა და ქართველი ბერის საუბარი უნდა ყოფილიყო გერმანელთა და ქართველთა ერთობლივ მტრულ მოქმედებაზე ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ, რაც მე გადაჭარბებულად მიმაჩნია. ძნელად დასაჯერებელია, რომ მონასტერში შემთხვევით აღმოჩენილ ქართველ ბერთან საუბრისას იმპერატორს თავის ანტიბიზანტიურ გეგმებზე ესაუბრა. უფრო სავარაუდოა, რომ ფრიდრიხ ბარბაროსას საქართველოზე თავისი მწირ ცოდნის შევსება

¹ Shordania G., Über die „Könige der Römer“, 53.

² სრული ამონარიდი ანსბერტუსის ქრონიკიდან: „Marschallus nihinminus imperatoris Henricus de Challintin, vir strenuus in hello, impiger vero in otio, castellum munitissimum ac famosum Scrihention dictum, super quod et claustum monachorum erat situm, civibus ad deditionem inopinatam coactis dominio imperatoriae majestatis subjecit, custodiam militarem in eò collocavit. Abbatem praelerea coenobii ejusdem ex Hybernia ortum ad imperatorem adduxit, quem deinceps dominus imperator familiariter apud se et in spatio cum honorius studuit tractare“. Ystoria de Expeditione Friderici Imperatoris edita a quodan Aüstriensi clerico, qui eidem interfüit Ansbertüs. Herausgegeben von der Historischen Commision der Kaiserlichen Akademie der WissenSchaften in Wien. Erste Abteilung. Scriptoros. V Band. Codex Strahoviensis.—Todtenbüch der Geistlichkeit der Römischen Brüder. Wien. Aus der Kaiserlich–Königlichen Hof–Unu Staatsdruckerei, 1863, 33-34.

სურდა. ის პირველ რიგში დაინტერესდებოდა იმ საქართველოს სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით, რომელსაც ბიზანტიასთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა.

„ფიცის წიგნი“, როგორც საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის შესწავლის წყარო

დავუბრუნდეთ მაქსიმე სიმელის იმ გადმოცემას იერუსალიმის აღებაზე და მისი აღების დროს პალესტინელი ქართველების და სალაჰ ად-დინის ურთიერთობაზე რომ გვამცნობს.

ჯვაროსანი მეფის ბალდუინ IV-ის დროს დაზარალებული იერუსალიმელი ქართველები სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ სერიოზულად ცდილობდნენ თავიანთი შელახული პოზიციების აღდგენას, მაგრამ რამდენად შესძლეს ამის მიღწევა, ერთჯეროვანი პასუხი არ არსებობს. ცნობილია, რომ თამარ მეფემ განიზრახა დაკავშირებოდა სალაჰ ად-დინს. ეგვიპტის სულთანთან საქართველოს მეფის სერიოზულ შეთანხმებაზე თითქოს უნდა მიგვანიშნებდეს ერთი დოკუმენტი – თამარ მეფის „ფიცის წიგნი“:

„აფხაზთა ფიცი (ფიცის წიგნი) – ემად ად-დინ ისპაჰანელის ენშადან, – რომელიც სალაჰ ად-დინს გაეგზავნა.

სახელით მამისა და ძისა და სულის წმიდისა უფლისა ერთადერთისა. ესაა პირობა, რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიძლევი. მე, რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული, ვამბობ უფლის არსითა და პიროვნებით, იმ უფლისა, რომელიც სამი სახისაა: მამა, ძე და სული წმინდა: ვფიცავ იმ საათს, რომელმაც ღვთაებრივი სიტყვა ადამიანობას დაუკავშირა; ვფიცავ იმ თვისებას, რომელიც მარიამმა ტანად იღო; ვფიცავ იმ ტანს, რომელიც (...) თვისების მიმღრები გახდა; ვფიცავ მესიას და მის სიტყვას აკვანში; ვფიცავ მარიამს და მის მარხულობას

იმ ალტქმის შედეგად (მიხედვით); ვფიცავ უბიწოებასა და კდემას მარიამისას; ვფიცავ „სახარებას“, „დაბადებასა“ და „ფსალმუნს“, რომელნიც უფლის სიტყვანია მესიაზე, მოსესა და დავითზე (მშვიდობა მათ!) გარდამოსული; ვფიცავ ქრისტიანთა მოციქულთ და რწეულ კრებულს; ვფიცავ ჯვარცმას და ღვთა-ებრივისა და ადამიანურის კავშირს, რომ ამ დღიდან და ამ სა-ათიდან, რომელიც არის (დღით) ხუთშაბათი, ამა წლის ჯომდა აღ-იოლას თვის თექვსმეტი, მავან მავანის ძესთან კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები, მისი მოყვარის მოყვარე ვიქნები და მტრის მტერი ვიქნები, სანამდის ცოცხალი ვარ. და არასოდეს მავანი ქალაქისა და ველაიეთის და მისი ციხეების (აღებას) არ განვიზრახავ და არ ვინებებ არც აშკა-რად და არც ფარულად და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორ-ჩილო მისი ხალხი და ლაშქარი. და თუ იმას გადავედი, რაც ვთქვი, ქრისტიანობა იუდეველთ რჯულზე გამეცვალოს, ქრისტი-ანობა დამეგმოს, მესიის მიმდევართა ღემი დამეგმოს და „სახა-რებაზე“, „დაბადებასა“ და „ფსალმუნზე“, რომელნიც უფლის სიტყვანია, მეთქვას, ზღაპარია და მოჭორილი – მეთქი! თუ ამის საწინააღმდეგო გავაკეთო, ქრისტეს ჯვარი ფეხით გამეთელოს! მაღალმა უფალმამც ინებოს!“

„ფიცის წიგნი“, მისმა მთარგმნელმა და გამომქვეყნებელმა ჯ. გიუნაშვილმა, სავარაუდოდ, 1185 წლის 15 აგვისტოთი ან 1190 წლის 21 ივნისით დაათარიდა¹.

ბუნებრივია, „ფიცის წიგნმა“ თამარის ეპოქის ისტორიით და-ინტერესებული მკვლევრების ყურადღება მიიპყრო.

¹ გიუნაშვილი ჯ., *აბუ ბაქრ იბნ აღ-ზაქი ყუნავი, „მწერალთა ბაღნარძ“, ტექსტი დაადგინა და კომენტარები დაურთო მ. იუნესიმ, თაგრიზი, 1970, „მაცნე“ (იაეხის), №2, 1975, 164-165.*

მ. თოდუამ უპირატესობა მიანიჭა პირველ თარიღს (1185 წ.)¹. მან ივარაუდა, რომ რადგან არ ჩანს ვის მიმართავს თამარი, ამდენად „ფიცის წიგნი“ უნდა იყოს საქართველოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის აღრე დაღებული ხელშეკრულების განახლება. სალაჰ ად-დინს აინტერესებდა, ახლად გამეფებული თამარი დაიცავდა თუ არა თავის წინამორბედის მიერ აიუბიანებთან დაღებულ ხელშეკრულებას და ჯვაროსნებთან კონფლიქტის შემთხვევაში არ გამოვიდოდა მის წინააღმდეგ.

„ფიცის წიგნი“ მ. თოდუას იმის მაჩვენებლად მიაჩნდა, რომ საქართველოს სამეფო კარმა პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო და სალაჰ ად-დინის მოთხოვნა დააკმაყოფილა: თამარმა სწორად ჩათვალა მორიდებოდა აიუბიანთა სახელმწიფოსთან ურთიერთობის გამწვავებას და იერუსალიმის სამეფოზე შეტევის სამზადისში მყოფ სალაჰ ად-დინის წინააღმდეგ არ გამოსულიყო და ჯვაროსნებს არ დახმარებოდა².

ნ. შენგელიამ ივარაუდა, რომ საქართველოს მეფე რომელიმე სახელმწიფოს მეთაურისადმი სდებს ფიცს და ის შეიძლება იყოს მცირე აზიის სელჩუკი სულთანი ყილიჩ არსლან II (1155-1192), რომელთანაც არც თამარს და არც გიორგი III-ს კონფლიქტი არ ჰქონია. თამარი „ფიცის წიგნს“ უგზავნის აიუბიანთა დინასტიის სულთნის სალაჰ ად-დინის მეშვეობით, რო-

¹ თოდუა მ., *XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები*. წიგნში: ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, თბილისი, 1979, 82.

² თოდუა მ., *XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები*, 82.

მელსაც დასახელებულ სელჩუკ სულთანთან ყოველთვის ახლო ურთიერთობა ჰქონდა¹.

„ფიცის წიგნის“ დაწერის დროდ 1185 წელი გაიზიარა, აგრეთვე გ. ჯაფარიძემ, რადგან ამ წელს სალადინი ახლოს იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებთან და ცდილობდა შაჰ-არმენტა სახელმწიფოს დაკავებას, რომელზე პრეტენზიას, მკვლევარის ვარაუდით, საქართველოს მეფეც აცხადებდა. საქართველოს მიმართ თავისი დამოკიდებულება სალაჰ ად-დინმა გამოსატა აბასიანი ხალიფასადმი გაგზავნილ წერილში. იგი ბრალს დებს მავსილის ათაბაგს, რომელიც უკანონოდ დაეუფლა ქ. ჰალაბს და ამით ხელი შეუშალა მას ურწმუნოების, მათ შორის ქართველების, წინააღმდეგ ბრძოლაში.

სალაჰ ად-დინის გეგმა ითვალისწინებდა ვრცელი ისლამური სახელმწიფოს შექმნას ესპანეთიდან კავკასიამდე. გ. ჯაფარიძე კვლავ ვარაუდობს, რომ როდესაც სალაჰ ად-დინმა 1185 წელს ელჩები გაგზავნა შაჰ-არმენ ბეგ-თიმურთან და დაავალა დაედო ხელშეკრულება, რომლის პირობები *„ჩაწერილი უნდა ყოფილიყო“*; *„ანალოგიური დავალებით სალაჰ ად-დინმა საქართველოს სამეფო კარზეც მიაგლინა ელჩები. ის მოითხოვდა, რომ თამარი არ ჩარეულიყო ხლათისა და საერთოდ, შაჰ-არმენტა სახელმწიფოს საქმეებში. ამდენად, თამარის „ფიცის წიგნში“ მითითებული „მავანი ქალაქისა და ვილაიეთის“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ხლათი და მისი ქვეყანა, რომელიც სალაჰ ად-დინს უკვე თავისად ეგულებოდა, ხოლო „მავანი მავანის ქეში“ ხლათის მფლობელი, რომელსაც უნდა ელიარებიან სალაჰ ად-*

¹ შენგელია ნ., *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში*. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 320.

დინის უზენაესობა. მაშასადამე, თამარ მეფე ფიცით ჰპირდებოდა სალაჰ ად-დინს, რომ საქართველო არ დაესხმოდა თავს ხლათს, რომელიც უნდა შესულიყო აიუბიანთა გავლენის სფეროში¹.

თამარ მეფის მიერ სალაჰ ად-დინისათვის მიცემული „ფიცის წიგნი“, რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა ქართული ჯარის მიერ უშუალოდ ეგვიპტისათვის ხიფათის აცილებას, როგორც ლ. ტუხაშვილი ფიქრობს². ორი ქვეყანა ერთანეთისაგან იმდენად დაშორებული იყო, რომ საქართველოს ამისი განხორციელების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნდა. სალაჰ ად-დინი ქართული სახელმწიფოსაგან იმ მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულების საზღვრების ხელუხლებლობის დაცვას მოითხოვდა, რომლებიც საქართველოს ემოზობებოდა და ეგვიპტის სულთანის გავლენის ქვეშ იყო. ამდენად გ. ჯაფარიძის ვარაუდი უფრო დასაბუთებულად და მისღებად მიმართია. სავარაუდოა, რომ სალაჰ ად-დინმაც, თავის მხრივ, გარკვეული დაპირებები მისცა თამარ მეფეს. ქართულ მხარესაც, თავის მხრივ, რაღაც მოთხოვნები ექნებოდა, რომელიც ეგვიპტის სულთანს სისრულეში უნდა მოეყვანა, რათა „ფიცის წიგნით“ გათვალისწინებული პირობები დაცული ყოფილიყო. ყველაზე მეტად საფიქრალია, რომ ქართველების მოთხოვნები იერუსალიმში არსებულ ქართულ სიწმინდეების დაცვას შეეხებოდა.

¹ ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 30-132.

² ტუხაშვილი ლ., *ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან*, წ. I, ბაგრატ III-დან გიორგი ბრწყინვალემდე, თბილისი, 1994, 204.

„ვიცის წიგნი“ თუ 1185 წელს იქნა გაცემული, და თანაც იმ პირობებით, რომელიც სალაჰ ად-დინს დააკმაყოფილებდა, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა მოპყრობოდა იერუსალიმის ქართულ თემს სულთანი ისე, როგორც მოეპყრო ორი წლის შემდეგ, 1187 წელს, როდესაც წმ. ქალაქს დაეუფლა. რატომ მოახდინა ქართული მონასტრების კონფისკაცია? აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართული თემის შევიწროება ჯვაროსნებს უკვე დაწყებული ჰქონდათ იერუსალიმში მათი ბატონობის ბოლო პერიოდში, როგორც აღნიშნული იყო ჯვაროსანი ხელისუფლების მიერ იერუსალიმში საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრებაზე საუბრისას. იქნებ, იერუსალიმის მეფის მიერ იქაურ ქართველებთან ურთიერთობის გაუარესება, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ კურსში მომხდარი ცვლილებით იყო განპირობებული?

თავისი საგარეო პოლიტიკა დავით აღმაშენებელმა კრიტიკულად შეაფასა „გალობანი სინანულისანის“ მეექვსე გალობაში: *„სოლომონისაჲ წურბლისა მსგავსად ვერ მადარი სხვათა სოფლისა კიდეთა ვეძებ დაპყრობლად, და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ... ბოროტად გარდავხედ საზღვართა და შევპრთე სახლი სახლსა და აგარაკი – აგარაკსა და უუძღუერესთა მივჭხეჭე ნაწილი მათი. და ვიდუწიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა“.*

დავით აღმაშენებლის დროინდელი საგარეო პოლიტიკური კურსი თამარ მეფის დროს შეიცვალა იმდენად, რამდენადაც შეიცვალა საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა. დავითის დროს ქართულ სახელმწიფოს ერთდროულად უხდებოდა თავდაცვითი და შეტევითი ომების წარმოება თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ და ეს წარმატებული ბრძოლა ქვეყნის კონსოლიდაციისათვის აუცილებელი პირობა იყო. XII ს. ბოლო

ათწლედსა და XIII ს. პირველ ათწლედში მუსლიმანებს თვითონ უხდენოდათ კავკასიის ამ ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოსაგან თავდაცვა. საქართველოს ხელისუფლებისათვის ჯვაროსნებმა დროებით დაკარგეს ის მნიშვნელობა, რაც მათ იმავე საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონდათ.

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკურ კურსში თამარ მეფის მიერ შეტანილი სერიოზული ცვლილება მხედველობიდან არ გამორჩენია თამარის ისტორიკოსს, ბასილი ეზოსმოდვარს. იგი, მართალია, არ ასახელებს არც დავით აღმაშენებელს და არც მის „გალობანი სინანულისას“, მაგრამ მისი საგარეო პოლიტიკის შეფასებისა და თამარის საგარეო პოლიტიკურ კურსთან შედარებისას ეყრდნობა დიდი მეფე დავითის გამონათქვამს, როგორც ამას მკითხველი ადვილად შეამჩნევს. თამარის ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ თამარმა *„ურჩნი თვისნი დაამდაბლნა და მოყუარენი აღამაღლნა. არა იღუწიდა უმეზობლობას, არცა „შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თვისი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰკონონ და მიმხუეჭუელად, ვინათვან სამართალმანცა ზენამან უბჭო მართალსა. არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროს-და სცკდა მაშინებელთაგან, და მათ საშინელ ყოფდა მტერთა ზედა. შორს ვანიოტა წურბლის მსგავსი ვერ-მაძღრისობა, ვინ არა გესლოვან ყო ნაყოფი, არცა ბუგრიან ნაშრომ“*¹. მაშასადამე, თამარის საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო მორჩილი მეზობელი ქვეყნებისადმი ისეთი მოპყრობა, რომ მათ, გამონაკლისის გარდა, უნარჩუნებდა დამოუკიდებლობას, ტერიტორიული დანაკარგის გარეშე, ყმადნაფიცობის პირობით. „ერთი სიტყვით, თამარის

¹ *ქართლის ცხოვრება* II, 148.

დროს შემუშავებულა საშინაო „პოლიტიკური წონასწორობის“ შესაბამისი საგარეო (სამეზობლო) პოლიტიკის კურსი... დავითის საგარეო პოლიტიკა „წურული ერის“, წვრილ აზნაურ-მოღაშ-ქრეთა მეფის პოლიტიკაა, თამარის საგარეო პოლიტიკა გამარ-ჯვებულ დიდებულთა მეფის პოლიტიკაა“¹. საქართველოს შეცვ-ლილი საგარეო პოლიტიკური კურსის კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ მაქსიმე სიმელის გადმოცემა სირია-პალესტინელი ქართველების საღაპ ად-დინთან კავშირის შესახებ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას, ბუნებრივია, უნდა გაეადვილებინა მუსლიმანურ ქვეყნებთან და, კერძოდ, ეგვიპტესთან დაკავშირება, რომელიც ახლოაღმოსავ-ლეთის ქვეყნებში ლიდერობდა. საღაპ ად-დინი, „ფიცის წიგნის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართული სახელმწიფოსაგან მხო-ლოდ მუსლიმანური ქვეყნების მიმართ შემწყნარებლობასა და ნეიტრალიტეტს მოითხოვდა.

ეფიქრობ, თამარის დიპლომატები ისარგებლებდნენ საღაპ ად-დინის განწყობილებით და იერუსალიმში ქართული ეკლე-სიის აღრინდელი სტატუსის აღდგენას მოითხოვდნენ. „ფიცის წიგნის“ საბოლოო ვარიანტის შემუშავებას, საფიქრალია, წინ უძღოდა დიპლომატიური მოლაპარაკება აიუბიანთა სახელმწი-ფოსთან. ის, რაც მ. იუნესიმ გამოაქვეყნა, ზემოთ რომ გავე-ცანით, უნდა იყოს საღაპ ად-დინის მიერ საქართველოში გაგ-ზანული „ფიცის წიგნის“ თარგი (ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთგულებისა და თანადგომის წერილი ასეთი მიკიბ-მოკიბვით, ბუნდოვანი ფრაზებით შეედგინათ), რომელიც 1190 წლის 21 ივ-

¹ ბერძენიშვილი ნ., *კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთო-ბაში*. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, 42.

ნისს გაეგზავნა თამარ მეფეს. როგორც აღინიშნა, ის იყო თარგი, რომლის მიხედვითაც უნდა დაწერილიყო ის „ფიცის წიგნი“, რომელიც აიუბიანთა მბრძანებელს დაუბრუნდებოდა და მისი გათვალისწინებით გაიმართებოდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობა. ამგვარი პროცედურა არსებობდა სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნების დიპლომატიურ პრაქტიკაში და, ვფიქრობ, სალაჰ ად-დინმაც საქართველოსთან მიმართებაში, ამგვარი მეტოდი გამოიყენა. თუ შემდგომ მოვლენებს გავეთვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება, რომ საინტერესო დოკუმენტმა შედეგი გამოიღო. „ფიცის წიგნი“ ჩამოყალიბებული იყო სალაჰ ად-დინისათვის მისაღები, მაგრამ ჩვენთვის უცნობი იმ ფორმითა და შინაარსით, რომელიც ქართველმა ელჩმა სალაჰ ად-დინს მიართვა ქ. რამალაში 1192 წ. 1 სექტემბერს.

სალაჰ ად-დინის ისტორიკოსი ბეჰა ად-დინ შადდადი გადმოგვცემს, რომ სულთნის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ, ქართველთა ელჩი სულთანს პალესტინის ქ. რამალაში ეახლა და წერილი გადასცა (ეს უნდა ყოფილიყო ე. წ. თამარის „ფიცის წიგნი“ სრულყოფილი სახით). იმავე დროს, ელჩმა თავისი მეფის სახელით, დიდძალი თანხა (200 000 დინარი) შესთავაზა ჰატინთან ბრძოლაში (1187 წ. 4 ივლისი) დატყვევებული წმ. ჯვრის გამოსახსნელად. მეორე ისტორიკოსის, იმად ად-დინ აღ-ისფაჰანის გადმოცემით, *„ეს ის ჯვარია, რომლის წინაშეც ყველა ქრისტიანი მუხლს იყრის სალოცავად. მიხნეულია, რომ ის დამზადებულია იმ ხისაგან, რომელზეც გააკრეს მათი სათაყვანებელი ღმერთი ო მათ თვალში ამ ჯვრის [მტრის მიერ] ხელში*

ჩავლება უფრო მძიმეა, ვიდრე მათი მეფისა, რადგანაც მისი შეცვლა არაფრით არ შეიძლება“¹.

ქართველი ელჩი, აგრეთვე, „შეეხო საკითხს მათი (ქართველების-ალ-ქურჯ) მონასტრებისა (ალ-დიდართ) და [საქველმოქმედო] ნაგებობების (იმართ) შესახებ, რომლებიც მათ აქვთ იერუსალიმში და იჩივლეს (ქართველებმა) იმის თაობაზე, რომ ისინი წართვეს მათ და ითხოვეს გულმოწყალება სულთნისა... რათა დაებრუნებინათ ისინი მათი (ქართველების) წარმომადგენლებისათვის (ნუვეაბ)“².

სალაჰ ად-დინმა წმ. ჯვრის დაბრუნებაზე, შეთავაზებული დიდი თანხის მიუხედავად, ქართველ ელჩს უარი უთხრა, ისევე, როგორც მის წინამორბედ ინგლისისა და ბიზანტიის ელჩებს³.

ხემათგანხილული ცნობები საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ქართველები ითხოვდნენ თავიანთი მონასტრებისა და მათი ქონების დაბრუნებას, იერუსალიმში ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ არ ჩანს, რომ მათ წარმატებას მიაღწიეს, რომ სალაჰ ად-დინმა მათი თხოვნა შეისმინა და მან ქართველებს დაუბრუნა იოანე ღვთისმეტყველის, წმ. ნიკოლოზის და წმ. იაკობის მონასტრები, რასაც მაქსიმე სიმედი

¹ Sivan F., *L'Islam et la Croisade. Ideologie et propaganda dans les réactions Musulmanes aux Croisades*, Paris, 1968, 114. ციტირებულია, ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, თბილისი, 1995, 135.

² ფერაძე გრ., *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, გ. ჯაფარიძის შენიშვნა, 32, შენ. 25.

³ ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 135-136

გვამცნობს¹. უპრიანია ვთქვათ, რომ მონასტრების საბოლოოდ დაბრუნება მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის დროს მოხდა.

ეგვიპტესთან დიპლომატიურ ურთიერთობაში წარუმატებლობას არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოეხდინა საქართველოს მიერ ამ ქვეყნის მიმართ შემდგომში გატარებულ პოლიტიკაზე. ამიტომ უსაფუძვლოდ ოპტიმისტურად მეჩვენება იმის განცხადება, რომ *„სანამ მეფე თამარს მტკიცედ ეპყრა საჭე ხელში, მას არ შეუცვლია აღებული ეგვიპტური კურსი“*². მაგრამ აუცილებლად დგება კითხვა: როდიდან ეპყრა თამარ მეფეს მტკიცედ ქვეყნის მმართველობის საჭე? როგორც ზემოთ უკვე ითქვა, XII ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ვნებათღელვა დაცხრა და 1203 წლამდე თითქმის მთლიანად წყდება ცნობები საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ.

ამ დროიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის პრიორიტეტული უნდა გამხდარიყო მესამე და მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობებს შორის აქტიურად მოქმედი ევროპის სახელმწიფოებსა და ბიზანტიის იმპერიას შორის სულ უფრო მზარდი დაპირისპირებისათვის თვალის დევნება და, შეძლებისდაგვარად მასში მონაწილეობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას თავისი პრეტენზიები ჰქონდა ბიზანტიის იმპერიის მიმართ. საქართველო ამ დროს უკვე აღარ არის ჯვაროსნების ბუნებრივი მოკავშირე. იგი დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშეა, რომელიც აკვირდება საერთაშორისო

1

² ტუხაშვილი ლ., *ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან*, I, 208.

ვითარებას, მეზობელი ქვეყნების მოქმედებას და თავისი ინტერესების განხორციელებისათვის ემზადება.

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა
სალაჰ ად-დინის გარდაცვალების შემდეგ

სალაჰ ად-დინი გარდაიცვალა 1193 წ. 4 მარტს. სულთანმა, როგორც ითქვა, ანგარიში არ გაუწია თამარ მეფის თხოვნას და მის ინტერესს იერუსალიმში არსებული ქართული სიწმინდეების მიმართ და, ბუნებრივია, „ფიცის წიგნმა“, ქართული მხარის გაგებით, იურიდიული ძალა დაკარგა. ესეც რომ არ ყოფილიყო, დოკუმენტი უძალო იქნებოდა იმის გამოც, რომ სალაჰ ად-დინის მემკვიდრეებს შორის დაიწყო დაპირისპირება, რომელიც 1200 წლამდე გაგრძელდა და ალ-ადილის გამეფებით (1200-1218) დასრულდა. განვლილი შვიდი წლის განმავლობაში აიუბიანთა იმპერია დაიშალა.

მხოლოდ სულთანმა ალ-ადილმა გამოეზავნა საქართველოში თავისი ელჩი ყადი მუჰი ად-დინ ‘ას-რუნი, მაგრამ მისი ელჩობის მიზნებსა და შედეგებზე არაფერია ცნობილი. გ. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ „ალ-ადილის დესპანი საქართველოში ჩავიდა იმ დროს, როცა ჩრდილოეთ სომხეთში დიდი წარმატებებისა და ბასიანში რუქნ ად-დინზე გამარჯვების შემდეგ საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო პრესტიჟი კიდევ უფრო გაიზარდა. გაჩნდა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ საქართველოს სამხედრო ძალებს დაეღაშქრათ არეზის მარჯვენა ნაპირი – შაჰ-არმენთა სამფლობელოები“¹. ასეთი მოსაზრება, მისაღებია, მაგრამ ნაწილობრივ.

¹ ჯაფარიძე გ., *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 140.

აიუბიანებისათვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი უნდა ყოფილიყო ის სამზადისი მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, რომელიც თავდაპირველად გამოცხადებული იყო ეგვიპტის წინააღმდეგ. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზანტიაც ჯვაროსნებს დახმარებას ჰპირდება ეგვიპტის წინააღმდეგ ომში. სულთნისათვის ცნობილი იქნებოდა საქართველო-ბიზანტიის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ და თავისი ელჩის საშუალებით შეეცდებოდა თამარ მეფის კარის პოზიციის გარკვევას და მის დაყოლიებას ბიზანტიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაზე. სავარაუდოა, ეგვიპტესთან შეთანხმებამ და ჯვაროსნებთან სავარაუდო ურთიერთობამ განაპირობა 1204 წლის გაზაფხულზე საქართველოს ბიზანტიის წინააღმდეგ ომის დაწყება, რაც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით დასრულდა.

რაც შეეხება მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას და მის შემდგომ პერიოდს, გიორგი ლაშას და რუსუდანის მეფობის დროს, საქართველოს სამეფო კარი ეგვიპტის მიმართ დაუფარავი მტრული პოლიტიკის გატარებას ცდილობს, თუმცა პრაქტიკულ შედეგს ვერ აღწევს (ამაზე ქვემოთ).

IX. საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება¹

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხი დიდი ხანია ისტორიკოსთა ყურადღებას იპყრობს². იგი, ერთი შეხედვით, მოულოდნელად, უმტკივნეულოდ და ბურუსით მოცულ ვითარებაში, ბიზანტიის იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთ პერიფერიაზე, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე წარმოიშვა. თანადროული წერილობითი წყაროებიც, რომლებიც უშუალოდ ამ პროცესს ასახავს (ერთი ქართული და ერთიც ბერძნული) უაღრესად მწირია და მრავალმხრივი ინტერპრეტაციისა და ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა.

ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბებაში თამარის დროინდელმა საქართველომ გადამწყვეტი როლი ითამაშა. იმპერიის

¹ ჩემს მიზანს წარმოადგენს გავარკვიო თუ რამდენად შეიძლება ბოლა საქართველოს მეფისა და ჯვაროსანთა მეთაურების ერთმანეთთან შეთანხმების შედეგი ყოფილიყო (სხვა ხელსაყრელ პირობებთან ერთად) ბიზანტიის იმპერიის განადგურება და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება.

² ტრაპიზონის სახელმწიფოს დაარსების საკითხს მრავალი, სხვადასხვა მეცნიერული ღირებულების გამოკვლევა მიეძღვნა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე. ზოგიერთ მათგანზე წიგნში განხილულ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით საუბარი მექნება ქვემოთ. მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს რუსი ისტორიკოსის ს. პ. კარპოვის წვლილი. მან გამოაქვეყნა სქელტანიანი (665 გვ.) მონოგრაფია (- , - , 2007), რომელიც წინამდებარე ნარკვევში მრავალჯერაა დამოწმებული.

წარმოშობის ისტორია იკვლია მრავალმა ქართველმა და უცხოელმა მეკვლევარმა და საყურადღებო მოსაზრებებიც გამოითქვა, მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და საკმაოდ შესწავლილ საკითხში, მაინც რჩება ზოგიერთი ბუნდოვანი მომენტი.

წინამდებარე ნარკვევში წარმოდგენილი იქნება ზოგიერთი მოკრძალებული მოსაზრება და ვარაუდი საქართველოს მონაწილეობის ხარისხსა და როლზე, მსოფლიო ისტორიის ორ მნიშვნელოვან ეპიზოდში. როგორც დღეისათვის მიღებულია:

1. 1204 წლის 12-13 აპრილს ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინოპოლი.

2. 1204 წლის 23 აპრილს ალექსი და დავით კომნენოსებმა, ქართველთა ლაშქრით დაიპყრეს ქალდეა და საფუძველი ჩაუყარეს ტრაპიზონის იმპერიას. ვფიქრობ, გადახედვას მოითხოვს ეს კანასკნელი თარიღი. ამავე დროს ვცადოთ გავარკვიოთ არსებობდა თუ არა ამ ორ მოვლენას შორის ორგანული, უფრო ზუსტად, მეორის პირველთან კავშირი.

ვერობის სახელმწიფოების როლი ბიზანტიის იმპერიის კატასტროფაში

ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერია IV ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერების მსხვერპლი შეიქმნა. ლაშქრობის თავდაპირველი მიზანი ეგვიპტის დაპყრობა, შემდეგ კი, წმინდა მიწის განთავისუფლება იყო. ლაშქრობის მიმართულების შეცვლა და მისი ბიზანტიის წინააღმდეგ წარმართვა დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ერთმანეთში გადაიჯაჭვა ვენეციის რესპუბლიკის, რომის პაპის, გერმანელი ფეოდალებისა და საქართველოს სამეფო კარის ინტერესები. ყოველივე ანტიბიზანტიური

ძალის მაპროვოცირებელი, თვით ბიზანტიის სახელმწიფოში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარება იყო.

ვენეციის რესპუბლიკას და ბიზანტიის იმპერიას შორის ეკონომიკური ხასიათის დაპირისპირებამ თავი იჩინა ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებამდე. ლევანტის ვაჭრობაში პირველობისათვის ისინი ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ. ვენეციელი ვაჭრები ბიზანტიელებს ავიწროებდნენ ბიზანტიის ზღვისპირა ქალაქებშიც კი.

ვენეციის აყვავება იწყება ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს, როდესაც ევროპელ რაინდებს ამ ქალაქის გემებზე, საბრძოლო იარაღებსა და სხვა სახის საქონელზე დიდი მოთხოვნა ჰქონდათ. ვენეცია თავისი გემებით ჯვაროსნების აღმოსავლეთში გადაყვანის სანაცვლოდ, დაპყრობილ ტერიტორიებზე ფართო სავაჭრო პრივილეგიებს იღებდა. იტალიის ქალაქების და, მათ შორის, ვენეციის ლევანტში ვაჭრობას ბიზანტიის იმპერია აფერხებდა. იქ მის პრივილეგიებს განსაკუთრებით XII საუკუნიდან შეეკვეცა მოქმედების სფერო. ბიზანტიის იმპერატორმა მანუილ I-მა (1143-1180), ვენეციელი ვაჭრების გავლენის შესუსტების მიზნით, კავშირი დაამყარა გენუელებთან (1169 წ.) და პიზელებთან (1170 წ.) და მათ მნიშვნელოვანი სავაჭრო პრივილეგიები მიანიჭა. ვენეციელები თავიანთ პოზიციებს უბრძოლველად არ თმობდნენ.

შავი ზღვის ნაპირების „ათვისებას“ გენუელებმა და ვენეციელებმა ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ XII საუკუნეში¹, მაგ-

¹ ბიზანტიის, ვენეციისა და გენუის სავაჭრო ინტერესებსა და ურთიერთ კონკურენციის შესახებ იხ. Zwiédinek-Südenhorst H. v., *Venedig als Weltmacht und Weltstadt*. Biefeld und Leipzig, 1839; Primaudaie E. de la, *Études sur le commerce du moyen âge. Histoire du commerce de la*

რამ მაშინ ბიზანტიელი ვაჭრები თვითონაც ძლიერ იყო დაინტერესებულნი შავი ზღვის ქვეყნებთან ვაჭრობით ვერ უძლებდნენ თავისუფალ კონკურენციას. ბიზანტიის მთავრობა იტალიელებს შავსა და აზოვის ზღვებში ნაოსნობას უკრძალავდა. ვენეციელებს ბიზანტიის პრობლემის თავიანთ სასარგებლოდ გადაჭრის კარგი პირობები შეექმნათ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს.

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი, ისევე როგორც წინა სამისა, რომის პაპი იყო. პაპმა ინოკენტი III-მ (1198-1215), თავისი დროის გამომჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, 1198

Mer Noire et les colonies genoises de la Krimée, Paris, 1848. Dal Lago G. B., *Sulle Repubblica di Venezia coll'Oriente*, Feltre, 1872; *Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dalla origini fi no al di nostri*. Commentari storici, dell avvocato Michele Giusaeppe Canale, v. II, Genova, 1855; Miklosich et Müller, *Acta et diplomata graeca medii evi*, II, Vien, 1865; Heyd W., *Geschichte des Levantehandels im Mittelalter*, II B., Stuttgart, 1879;

„ . . . I, . . . , 1876; . . . XIV . . . , I, . . . , 1947;

. . . , 13, . . . , 1936;

(V . . . _ XV . . .), . . . , 1954; კასრაძე ტ., *რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში*. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1947; ქებულაძე რ., *ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, თბილისი, 1966.

წელს ევროპის წამყვანი კათოლიკური სახელმწიფოების მეთაურებს წმინდა მიწის დასაცავად მოწოდებები დაუგზავნა. იმავე დროს პაპმა მიზანში ამოიღო ბიზანტია. მან იმპერატორ ალექსი III-ს (1195-1205) გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში ბიზანტიასაც მიეღო მონაწილეობა. ინოკენტი III კიცხავდა იმპერატორს, იმის გამო, რომ იგი წმინდა მიწას დახმარებას არ უწევდა. ეს ბრალდება პაპს ბიზანტიის წინააღმდეგ შემდგომი მოქმედებისათვის სჭირდებოდა. ინოკენტი III ალექსი III-ს სთავაზობდა საეკლესიო უნიას, რაც პაპს ბიზანტიის მართლმადიდებლურ ეკლესიაზე ძალაუფლების გავრცელების საშუალებას მისცემდა.

ალექსი III-მ პაპს შემხვედრი ბრალდებები წაუყენა, რის გამო მათ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა.

დათქმული იყო, რომ ჯვაროსნები, 1199 წლის მარტში, შეიკრიბებოდნენ სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში. მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ 1200 წლის ზაფხულში დაიწყო. უმთავრეს პრობლემად რჩებოდა ლაშქრობისათვის აუცილებელი თანხების მოძიება. 1201 წელს, ვენეციაში, როგორც ევროპის მდიდარ სახელმწიფოში, ჯვაროსანთა წარმომადგენლები ჩავიდნენ და რესპუბლიკის გემებით მცირე აზიაში ჯვაროსნების გადაყვანის ხელშეკრულება გააფორმეს.

თავდაპირველად, განზრახული იყო ეგვიპტის დაპყრობა, რის შემდეგ გაადვილდებოდა წმინდა მიწის განთავისუფლება. მაგრამ ჯვაროსანთა ამგვარი გეგმა ვენეციელების ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ვენეციას ეგვიპტესთან მოწესრიგებული კომერციული ურთიერთობა ჰქონდა. უფრო მეტიც, ვენეციელი ვაჭრები სულთნის ჯარს იარაღით ამარაგებდნენ. ასე, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ ჯვაროსნებისათვის მხარდაჭერა ვენეციელების ინტერესებში არ შედიოდა. არც ხელსაყრელი მომ-

ენტის ხელიდან გაშვება შეიძლებოდა. ვენეციის დოჟმა ენრიკო დანდოლომ ჯვაროსნები აიძულა კონსტანტინოპოლზე გავლით მცირე აზიაში გადასულიყვნენ.

ინოკენტი III ხვდებოდა ვენეციელების განზრახვას და ჯვაროსნებს ზოგადად მოუწოდა, ქრისტიანების წინააღმდეგ იარაღი არ წარემართათ. თუმცა პაპისა და ვენეციელების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა: ორივეს ბიზანტიის დამორჩილება სურდა.

იმავე დროს თავი იჩინა პოლიტიკურმა წინააღმდეგობამ გერმანიისა და ბიზანტიის იმპერიებს შორის. გერმანიის ანტიბიზანტიური პოლიტიკის გამგრძელებელი იყო ფილიპე შვაბელი (1198-1208). ბიზანტია, მისი შინაგანი არამყარი პოლიტიკური ცხოვრების გამო, გერმანიაში ადვილად დასაპყრობ სახელმწიფოდ მიაჩნდათ. ბიზანტიის პოლიტიკური არამდგრადობის მაჩვენებელი იყო უკანასკნელი სასახლის გადატრიალება. ისაკ II ანგელოსი მისმა ძმამ ალექსი III-მ ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავა. ფილიპე შვაბელს ცოლად ჰყავდა ისაკის ასული ირინე. მან საპყრობილეში გამოკეტილ სიმამრთან კავშირი დაამყარა და ჯვაროსნების თავისი მიზნებისათვის გამოყენებას ცდილობდა. იგი ბიზანტიაში ხელისუფლების დასაპყრობად ემზადებოდა.

საფრანგეთის მეფე ფილიპე მეორესაც საფუძველი ჰქონდა პრეტენზია განეცხადებინა ბიზანტიის ტახტზე. მისი და ბიზანტიის კეისარ ალექსი II კომნენოსზე (1180-1183) იყო გათხოვილი.

როდესაც პაპმა ალექსი მესამისაგან ვერავითარ დათმობას ვერ მიადწია, ჯვაროსანთა მეთაურს ბონიფაციუს მონფერატელს საიდუმლოდ შეუთანხმდა. 1202 წლის დასაწყისში მოხდა შეთანხმება პაპსა და ისაკ II ანგელოსის ვაჟს ალექსის შორისაც. ამით დასრულდა ბიზანტიის წინააღმდეგ შეთქმულების ჩამო-

ყალიბება. დადგამოქმედებაზე გადასვლის დრო. შეთქმულებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვენეციამ. ამ ქალაქში თანდათანობით თავი მოიყარა ფრანგების, გერმანელებისა და იტალიელების რაზმებმა. ისინი განათავსეს კუნძულ ლიდოზე, სადაც, ფაქტიურად, ვენეციელთა ტყვეობაში აღმოჩნდნენ. რადგან მათ რესპუბლიკისათვის დაპირებული თანხის გადახდა არ შეეძლოთ, ვენეციელებმა ჯვაროსნებს, თავიანთი სავაჭრო კონკურენტის, დაღმაცის ქალაქ ზარას დაპყრობა მოსთხოვეს. ეს ქალაქი უნგრეთის მეფე იმრეს (1196-1205) ეკუთვნოდა. 1202 წ. 24 ნოემბერს ჯვაროსნებმა ზარა აიღეს და სასტიკად აიკლეს. ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა კონსტანტინოპოლის საკითხი: ჯვაროსნებმა განიზრახეს „სამართლიანობის“ აღდგენისათვის ტახტზე აეყვანათ უფლისწული ალექსი, რომელმაც მათ დიდი დაპირებები აღუთქვა.

1203 წლის 5 ივლისს ვენეციელთა ფლოტი ოქროს რქის ყურეში შევიდა. იმპერატორი დარწმუნდა, რომ ქალაქს ვერ დაიცავდა და გაიქცა. 18 ივლისს ბრმა ისაკ ანგელოსი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს და ტახტზე აღადგინეს. 1 აგვისტოს იმპერატორის თანამმართველად გამოცხადდა უფლისწული ალექსი IV-ის სახელით. მან დაიყოლია მამა დაემტკიცებინა მის მიერ ქ. ზარასთან ჯვაროსნებთან აღებული ვალდებულებები, მაგრამ მოხერხდა მხოლოდ ნახევარი თანხის გადახდა. კონსტანტინოპოლის გარეუბანში დაბანაკებული ჯვაროსნები ვერ ითმენდნენ დანარჩენი თანხის დაგვიანებას. იმავე დროს ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების უკმაყოფილება იზრდებოდა, როგორც მომხდურთა მოქმედებით, ისე იმპერატორების უნიათობით. მათ ისაკ II და ალექსი IV დაამხეს და გაამეფეს ალექსი III-ის სიძე ალექსი V დუკა, ზედმეტ სახელად მურზუფლი (1204). მაგრამ ამ უკანასკნელმაც ვერ შესძლო ვერც

ხალხის გულის მოგება და ვერც ჯვაროსნებთან ურთიერთობის მოწესრიგება.

ის, რაც ბიზანტიის შიგნით და მის ირგვლივ ხდებოდა, აუცილებლად იქნებოდა თამარ მეფის ძლიერი სახელმწიფოს მხედველობის არეში და ვითარებისათვის თვალყურის მიდევნების მიზნით, საჭირო ინფორმაციასაც მოიპოვებდა. საქართველოს ხელისუფლების ინფორმატორები მრავლად იქნებოდნენ დამხობილი კომუნოსების მომხრეთა სახით, როგორც ბიზანტიაში, საერთოდ, ისე კონსტანტინოპოლში და ანგელოსების სამეფო კარზე¹. სავარაუდოა, ქართული მხარე გარკვეულ ინფორმაციას იღებდა ჯვაროსანთა ბანაკიდან და მათი ანტიბიზანტიური გეგმების შესახებაც იცოდნენ. ზემოაღნიშნულ ვარაუდებს წარმოშობს ერთსა და იმავე დროს მომხდარი ორი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტი, რომელთაგან ერთის შემოქმედნი იყვნენ საქართველოს მეფე და მისი კარის მოხელენი, მეორისა კი, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერები.

ხელსაყრელი ვითარება პონტოში საქართველოს ინტერვენციისათვის

ზემოაღწერილი საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე უნდა განვიხილოთ საქართველოს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკა

¹ XI საუკუნიდან კონსტანტინოპოლში მრავალი ქართველი ცხოვრობდა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გოზალიშვილი გ., *კომუნოსთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის*, „მნათობი“, 8, თბილისი, 1972, 126-127; კოპალიანი ვ., *საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე*, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968, 114.

და დიპლომატია, რომლის მოქმედების შედეგი, წინასწარ შეიძლება ითქვას, იყო **ნაწილობრივი (არაპირდაპირი) წვლილი ბიზანტიის იმპერიის დამსობაში და სრული ძალისხმევა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში.**

ა) 1204 წლის მარტში ჯვაროსანთა მეთაურებმა ხელი მოაწერეს ბიზანტიის იმპერიის გაყოფის შეთანხმებას¹, რომლისგანაც სრულიად განსხვავებულია შეთანხმების ის პირობები, რომლის შესახებ გადმოგვცემს ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიტა ხონიატე: „*როდესაც იმათ [ჯვაროსნებმა] დაიწყეს წილის ერა ქალაქებისა და ქვეყნების გასანაწილებლად, უნდა გენახათ და გაგიკვირდებოდათ ამ ბისტგადაკრულ კაცთა შეუდარებელი უგუნურება, უფრო შესაფერისად რომ ვთქვათ, სიგიჟე. თითქოს უკვე მეფეთა-მეფეები გამხდარიყვნენ და მთელი დედამიწა ხელში ჰქონდათ, რომაელთა სამფლობელოების აღმწერლები დანიშნეს იმ სურვილით, რათა წინასწარ სცოდნოდათ რა ყოველწლიური გადასახადები შემოუვიდოდათ, და ამრიგად შემდეგ იხინი ერთმანეთში წილისყრით, ხოლო სხვა ტომებსა და მეფეებთან არსებული მოხარკე სამფლობელოები და საჯელოები მაშინვე გაინაწილეს; ასეთ ბედში მოხვდნენ: მდიდარი და ნილოსის გასწვრივ მდებარე ალექსანდრია და ლიბია, ლიბიიდან ნუმიდიამდე და ლადირთამდე გადაჭიმული მხარეები, პართები, სპარსელები, შემდეგ აღმოსავლელი იბერებო² და ასირიის ქვეყანა,*

¹ . . . , 244.

² ნიკიტა ხონიატე ერთმანეთისაგან განასხვავებს პირენიის და კავკასიის იბერებს. აღმოსავლეთის იბერებში იგი უნდა გულისხმობდეს ქაღლის თემში მხოვრებ ლაზურ-ჭანურ მოსახლეობას.

პირკანელები და რაც კი აღმოსავლეთით უდიდესი მდინარეების წყლებით არის შემოსაზღვრული“¹.

საინტერესოა, რომ ჯვაროსანთა მიერ შედგენილ ბიზანტიის ტერიტორიების დანაწილების გეგმაში², ტრა-

¹ ნიკიტა ხონიატეს ზემომოყვანილი ამონარიდის კომენტირებისას, ს. ყაუხნიშვილი იმოწმებს ნ. სოკოლოვის ნაშრომს, რომელშიც ნათქვამია, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსის გადმოცემაში ჯვაროსნების მიერ განაწილებული დასახელებული ტერიტორიების შესახებ, არც ერთი სიტყვა არ შეეყვება სიმართლეს. (-

1963, 397). ნიკიტა ხონიატე, „ისტორია“. გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხნიშვილმა, 6, თბილისი, 1966, 137-138.

² როგორც აღინიშნა, კონსტანტინოპოლის აღებადღე დასავლეთეუროპელ რაინდებსა და ვენეციელებს შორის შეთანხმებული იქნა ბიზანტიის იმპერიის დანაწილების გეგმა. მის მიხედვით, კონსტანტინოპოლისა და სხვა დაპყრობილი ბიზანტიის ტერიტორიების 3/8 გადაეცემოდათ ვენეციელებს. არჩეული იმპერატორის ხელისუფლება გაერცვლდებოდა სატახტო ქალაქისა და ბიზანტიის ტერიტორიის 1/4-ზე. გეგმით გათვალისწინებული იყო იმპერატორის, პატრიარქის არჩევის, ლენების განაწილების და სხვ. წესები. Thomas G., Tafel G., *Urkunden zur älteren Handels- und Staatsgeschichte der Republik Venedig mit besonderer Beziehung auf Byzanz und die Levante*. 1. Theil (814-1205), Wien 1856, 445-452.

ქალაქის ალყა გაგრძელდა 1203 წ. ივნისიდან 1204 წ. 12 აპრილამდე. კონსტანტინოპოლის დაცემა და ლათინთა იმპერიის პირველი წლები აღწერილი აქვთ თანამედროვე ავტორებს – ბერძენ ნიკიტა ხონიატს (-

პიზონის ხსენება არ არის. შეიძლება ვიფიქროთ, ტრაპიზონი იმიტომ არ შეიტანეს ბიზანტიის პროვინციების სიაში, რომ იგი კომნენოსებს, თამარის კარის მხარდაჭერით, უკვე დაპყრობილი ჰქონდათ (ზუსტად არ არის ცნობილი გეგმის მიღების დრო. სავარაუდოა, იგი შეთანხმებული იყო 1204 წლის ზაფხულში, როდესაც ტრაპიზონის იმპერია უკვე არსებობდა). ასევე განაწილების გარეშე დარჩა საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიები ყირიმში – ხერსონესი და ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთში, ზღვის სანაპიროზე მდებარე ზოგიერთი ადგილები. ეს ის ადგილებია, რომლებიც XII საუკუნის 90-იან წლებში იმპერატორის კონტროლის ქვეშ უკვე აღარ იყო და ტრაპიზონს ექვემდებარებოდა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ისინი იმპერიის დანაწილების ხელშეკრულების დოკუმენტში არ შეიტანეს. მაგრამ ცნობილი არ არის როდიდან დაექვემდებარა ყირიმის დასახელებული ტერიტორიები ტრაპიზონს. ამგვარად, როდესაც ალექსი კომნენოსმა ტრაპიზონის იმპერია დაარსა (1204-1118), მან მემკვიდრეობით მიიღო აღნიშნული ტერიტორიები ყირიმში¹. ზემოაღნიშნული და კიდევ სხვა გარემოებათა გამო,

) და ფრანგებს – ჟოფრუა დე ვილარდუენს (Villehardouin, *La Conquête de Constantinople*, ed. E. Faral, vol. II, Paris, 1939, 232-251) და რობერტ დე კლერს (პიკარდიელი რაინდი, თავის ძმასთან ერთად მონაწილეობდა მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობაში და კონსტანტინოპოლის აღებაში. Robert de Clary, *La prise de Constantinople*, ed. Hopf Ch., *Chroniques gréco-romaines inédites ou peu connues*, Berlin, 1873, 1-85). იხ. აგრეთვე, . . . , 343-253.

¹ Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*. *Speculum. A Journal of Medieval Studies*, XI, January, 1936, №1, 20-21.

რომლებზეც ქვემოთ ითქმევა, **ახალდაარსებული ტრაპიზონის იმპერიის მიმართ მის მეზობლებს პრეტენზიები არ ჰქონდათ.** განსხვავებულ მდგომარეობას ვხედავთ ალექსის ძმის, დავითის მიერ 1204 წლის მეორე ნახევარსა და 1205 წელს ტრაპიზონის დასავლეთით დაპყრობილ ტერიტორიებზე, რომლებიც შეტანილი იყო ბიზანტიის დანაწილების გეგმაში¹.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხზე მსჯელობისას პრინციპულ მნიშვნელობა აქვს გაირკვეს საქართველოს ხელი-სუფლების მოქმედების შემდეგი ასპექტები:

ა) მან ჯვაროსნებისაგან დამოუკიდებლად დაგეგმა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ომის დაწყება;

ბ) მან ხელსაყრელად ჩათვალა ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლზე შეტევა და ბიზანტიის იმპერიისათვის შექმნილი სახიფათო ვითარება;

გ) მან ჯვაროსნებთან შეთანხმებით დაიწყო იმპერიის წინააღმდეგ მოქმედება.

აღნიშნული საკითხების გარკვევამდე წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთობლიობაში თუ ცალცალკე, საქართველოს საშუალებას მისცემდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე, მონათესავე კომუნოსების დინასტიის გამეფებით, ბუფერული სახელმწიფო ჩამოეყალიბებინა. ყოველ შემთხვევაში, ჩანაფიქრი თავიდან ასეთი უნდა ყოფილიყო.

¹ Tafel G. L. Fr., Thomas G. M., *Urkunden zur älteren Handels-und Staatsgeschichte der Republik Venedig*, Teil I (814-1205), Amsterdam, 1964, 576; თვარაძე ალ., *საქართველო და კავკასია ევროპულ წაყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე*, თბილისი, 2004, 126.

დ) ვიღრე აღნიშნულ საკითხებს შევეხებოდეთ, მანამდე უნდა გაირკვეს, რატომ მოხდა ტრაპიზონის იმპერიის წარმოშობა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მოულოდნელად, სწრაფად და ადგილობრივი მოსახლეობისგან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი მომენტის შესახებ არავითარი ცნობა არ გაგვანჩნია.

იმ ტერიტორიის ძირითად მოსახლეობას, სადაც ტრაპიზონის იმპერია ჩამოყალიბდა, ისევე, როგორც ბიზანტიურ პერიოდში, შეადგენდნენ ბერძნები, ქართველური მოდგმის ტომები და სომხები. ბერძნული ეთნოსი განსაზღვრავდა რეგიონის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას. ესენი იყვნენ პონტოელი ბერძნები, რომლებიც ლაპარაკობდნენ განსაკუთრებულ ძველ დიალექტზე, იმპერიის ქალაქებში კი ცხოვრობდნენ კონსტანტინოპოლიდან, ანატოლიის ქალაქებიდან, ეგეიდის კუნძულებიდან, ყირიმიდან და ბალკანეთიდან გამოსული ბერძნები. მაგრამ მათი რიცხვი მცირე იყო¹.

პონტოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ლაზები. მათი განსაკუთრებით მჭიდროდ განსახლების ადგილები იყო სურმენე, რიზე, ლაზიკა და ქერიანა².

ქალდია იყო იმპერიის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. იგი უძველესი დროიდან ქართველური – მეგრულ-ჭანური ტომებით იყო დასახლებული. აქვე ცხოვრობდნენ სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული ბერძნები და სომხები. თემს სახელი მიღებული უნდა ჰქონებოდა ქართველური ტომის – ქალდების

1 . . . , 112.

2 . . . (1204-1261), -

, 2001, 53.

სახელწოდებიდან¹. ქაღლები ჭანების ტომობრივ გაერთიანებაში შემაჯავალი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტომი იყო². ქაღლეაში მდებარეობდა ქალაქი ტრაპიზონი. მატიანე ქართლისა გადმოგვცემს, რომ ბასილ II კეისარი (976-1025) სამხრეთ საქართველოს მოღსრების შემდეგ „წარვიდა და დაიზამთრა ქუეყანასა ხაღდისასა, მახლობლად ქალაქისა ტრაპიზონთასა“³; იმავე კეისრის სამხრეთ საქართველოში მოქმედების აღწერის შემდეგ სუმბატ დავითისძეც აღნიშნავს: „წარვიდა და დაიზამთრა ხაღდისასა, ქალაქსა ტრაპიზონთასა“⁴. ქაღლის საზღვრები ივ. ჯავახიშვილის მიხედვით იყო: ჩრდილოეთით კლარჯეთი, აღმოსავლეთით – ტაო, ბასიანი და სპერი⁵.

ლაზები ადგენდნენ საკუთარ სამხედრო რაზმებს და დიდ როლს თამაშობდნენ, როგორც იმპერიის დაცვის, ისე სამოქალაქო ომების დროს. შუა საუკუნეებში მიმდინარეობდა ლაზების შერწყმა პონტოს ჭანებთან, რომლებიც მაცუკსა და ქაღლეაში სახლობდნენ⁶.

¹ ლორთქიფანიძე ო., *ქაღლის თემი*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, №7, თბილისი, 1955, 105-107.

² ნოდია ი., *ქაღლის თემის საზღვართა დადგენისათვის*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XLVI, № 3, 1967, 793-796.

³ *ქართლის ცხოვრება*, I, 285.

⁴ *ქართლის ცხოვრება*, I, 383.

⁵ ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, II, თბილისი, 1983, 68.

⁶

ტერიტორია, სადაც წარმოიშვა ტრაპიზონის იმპერია, ეირიმში არსებული სამფლობელოების გამოკლებით, იყო ქართველური ტომის ლაზებ-ჭანების განსახლების ადგილი¹. VIII-XVI საუკუნეებში სხვადასხვაენოვან წერილობით წყაროებში ლაზეთის სახელწოდებაა ჭანეთ-ლაზეთი და ქაღდია. ამათგან ჭანეთი არის ზოგადი სახელწოდება მთელი სამხრეთ კოლხეთის, ლაზია კი, მისი აღმოსავლეთი ნაწილისა (რიზეს მხარე), ქაღდია – ცენტრალური ნაწილისა (ტრაპიზონის მხარე), პონტო კი – დასავლეთი ნაწილი.

როგორც ე. ჟორდანიას აღნიშნავს, XIII-XV საუკუნეებში პონტოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ეთნიკური ქართველები, უფრო ზუსტად დასავლურ-ქართული ტომების შთამომავალნი. ისინი წარმოადგენდნენ ერთიან ეთნოკულტურულ ელემენტს და განსახლებულნი იყვნენ, როგორც რეგიონის სანაპიროზე, ასევე მთიან ნაწილში. მკვლევრის აზრით, აღნიშნულის დამადასტურებელია ადგილობრივი მოსახლეობის ენა და მხარის ტოპონიმია. ამასთან ერთად სასოფლო ადგილებში, ქალაქებისგან განსხვავებით, ქართველები შეადგენდნენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ ზღვის სანაპიროს ქართველური მოსახლეობა აღინიშნება ტერმინით „ლაზები“, ხოლო მთიანი ოლქებისა კი, ტერმინით „ჭანები“. ამავე დროს ნათელია, რომ ტერმინი „ლაზი“ აღნიშნავდა ტრაპიზონის იმპერიის აღმოსავლეთი რაიონე-

¹ ჯავახიშვილი ივ., *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული*, თბილისი, 1919, 46.

ბის მოსახლეობას, ტერმინი „ჭანები“ კი, დასავლეთის რაიონების მოსახლეობას¹.

ბასილი ეზოსმოდვრისა და მიქელ პანარეტოსის მიხედვით ჭანეთი და სპერი ახალდაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა². XV ს. დასაწყისშიც კი, როგორც კასტილიელი მოგზაურ-დიპლომატი რუი გონსალეს დე კლავიხოს ერთი ცნობიდან ჩანს, საქართველოს ისტორიული უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი – სპერი და მისი მიდამოები ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. საყურადღებო კი ის არის, რომ იმ დროისათვის, იგი ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული³. ასეთივე დემოგრაფიულ მდგომარეობას აჩვენებს ტრაპიზონის ვილაიეთის დაახლოებით 1486 წლის დავთარი. მასში აღნიშნული ანთროპონიმების ანალიზით ირკვევა, რომ იმავე საუკუნის ბოლოსათვის რეგიონის, კერძოდ კი, მაცუკოს სოფლის მოსახ-

¹ <http://www.dissercat.com/content/kartvelskoe-naselenie-ponta-v-xiii-xv-vv#ixzz2FJePg00> იხ. აგრეთვე, უორდანია ერ., *ქართველური ანთროპონიმები ტრაპეზუნტულ წყაროებში*. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV. კრებული ეძღვნება პროფ. კარლო კუციას დაბადებიდან 70 წლსთავს, თბილისი, 2005, 217-220.

² *ქართლის ცხოვრება*, II, 142; მიქელ პანარეტოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა“ აღექსანდრე გამყრელიძის გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბილისი, 1960, 16.

³ მამისთვალიშვილი ე., – *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ*. ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1992, 32.

ლეობის დემოგრაფიული სურათი თითქმის არ შეცვლილა¹. „*მოსახლეობის სწორედ ეს ნაწილი წარმართავდა ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებას, დღიდან მისი წარმოქმნისა, – იყო რა იგივე მოსახლეობა თვით იმპერიის წარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი*“².

კომნენოსების ტრაპიზონის იმპერიაში მშვიდობიანი დამკვიდრების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა ქალდეას თემის³ თავისებურ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაში უნდა ვეძიოთ, რაც საუკუნეების განმავლობაში სეპარატისტულ ტენდენციებს განაპირობებდა. უნდა აღინიშნოს ქ. ტრაპიზონის გამორჩეულად გაბატონებული მდგომარეობა პონტოს ოლქში. მაგრამ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ის საგადასახადო ტვირთი იყო, რომელსაც კონსტანტინოპოლის სასარგებლოდ იხდიდა. ტრაპიზონი ამ ტვირთისაგან განთავისუფლებისაკენ მისიწრაფოდა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დაინტერესებულნი იყვნენ ადგილობრივი ფეოდალები. მათი უკმაყოფილების

¹ ჟორდანია ერ., *ქართველური ანთროპონომები ტრაპეზუნტულ წყაროებში*, 219.

² გოზალიშვილი გ., *ჯვაროსანთა IV ლაშქრობა და ბიზანტია*, თსუ შრომები, 87, თბილისი, 1960, 273; მისივე: *კომნენოსთა დინასტიის ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის*, მნათობი თბილისი, 1972, №8, 123; ბატიაშვილი ზ., *ტრაპიზონის იმპერიის დაარსება*, 88-91.

³ თემი – სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი ბიზანტიისა (VII–XII სს.) და ნიკეის (XIII ს.) იმპერიებში. თემის სათავეში იდგა სტრატეგი, რომელსაც იმპერატორის მოთხოვნისთანავე გამოჰყავდა ადგილობრივი სტრატეგები – ჯარისკაცები.

მთავარი მიზეზი იყო ის, რომ არ იყვნენ წარმოდგენილი ბიზანტიის ელიტაში, არ ჰქონდათ შემოსავლიანი ადგილები უმაღლეს ადმინისტრაციაში. ისინი, არსებობისათვის ძირითად რესურსებს საკუთარი მამულების ექსპლოატაციით იპოვებდნენ, მიისწრაფოდნენ ადგილზე პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ და ატარებდნენ იმპერიის დეცენტრალიზაციის ტენდენციებს.

პონტოს გლეხობა ვერ გრძნობდა თავს უშიშრად სელჩუკების ხშირი თავდასხმების გამო და მზად იყო მხარი დაეჭირა იმ ძალისათვის, რომელიც მას დაიცავდა. XI ს. დასასრულსა და XII ს. პირველ ნახევარში, ამგვარ ძალას წარმოადგენდნენ ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც შემოკრებილნი იყვნენ გავრების სახლის ირგვლივ¹.

ბაგრატიონთა და კომნენოსების დინასტიების ნათესაობის პოლიტიკური მნიშვნელობა

ალექსი კომნენოსის ტრაპიზონის იმპერიაში გამეფებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ სამეფო დინასტიის (კომნენოსების) ქართველ ბაგრატიონებთან ნათესაობამ.

ისააკ II ანგელოსის თანამზრახველებმა 1185 წელს იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი მოკლეს, მისი შვილი მანუელი კი დააბრმავეს. კეისრის შვილიშვილები, მანუელის ვაჟები – ალექსი და დავითი საიდუმლოდ წაიყვანეს საქართველოში და მეფის კარზე იზრდებოდნენ. ასეთი ვარაუდი პირველად გამოთქვა და ბაგრატიონებისა და კომნენოსების ნათესაობის დადგე-

1

, 1982, . 19, 54-55.

ნაც სცადა ა. ა. კუნიკმა¹. მის ნაშრომში განსაკუთრებით არის გამოკვეთილი საქართველოს როლი ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში, რაც გაზიარებული იქნა მრავალი უცხოელი და ქართველი მეცნიერის მიერ.

ორ სამეფო დინასტიას შორის ნათესაობა დაიწყო დავით აღმაშენებლის დროიდან, როდესაც მისი ასული კატა საბერძნეთის კეისრის ალექსი კომნენოსის (1071-1118) ვაჟზე გაათხოვეს². კეისრისა და საქართველოს მეფის ნათესაური და პოლიტიკური კავშირის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, ერთ დროს მოქვის მონასტერში მოხატული ფრესკა, რომელიც საკუთარი თვალთ იხილა და მასზე გაკეთებული წარწერა (არაა ცნობილი წარწერა ორენოვანი – ქართული და ბერძნული იყო, თუ ერთენოვანი) წაიკითხა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოს II-მ (1669-1707). წარწერა ამცნობდა: „ეს მოხატა მხატვარმა იმპერატორ ალექსი კომნენოსისა და აფხაზეთის დიდი მეფის დავითის დროს“³.

¹ . A,

1204 o .

, . II, . 5, 1854, 723, 725, 788. თამარ მეფისა და კომნენოსების ნათესაობის შესახებ იხ. ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი*, თბილისი, 1989, 87-91.

² *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 334, 366.

³ მამისთვალისშვილი ე., *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.)*, თბილისი, 2008, 179. დიდი ხანია ნახატი და წარწერა აღარ არსებობს. 1841 წელს მოქვის ტაძარი დაათვალიერა მ. სელეზნიოვმა. იმ დროს ტაძრის მოხატულობა

მას ამოძრავებდა ანგელოსების მიმართ მტრული განწყობილება¹.

ისეთ ძლიერი ფეოდალურ სახელმწიფოს, როგორც თამარის დროინდელი საქართველო იყო, კომუნოსების სამეფო დინასტიის წარმომადგენლების მეფის კარის სიახლოვეს ყოლა და მათი მოხერხებულად მანიპულირება, მნიშვნელოვან წარმატებას უქადდა საგარეო პოლიტიკაში. ბიზანტიის ტახტზე დაბრუნების მსურველი კომუნოსების საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება შეიძლებოდა. მაგრამ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია იმის სათქმელად, რომ „ქართველთა მეფე მომხრე იქნებოდა ბიზანტიის იმპერატორად ალექსი კომნენოსი გამხდარიყო“².

ხ. ბატიაშვილს მიაჩნია, რომ არსებულ ფაქტობრივ (?) მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვარაუდი, რომ თამარ მეფეს ჰქონდა პროგრამა მაქსიმუმი და პროგრამა მინიმუმი. პროგრამა მაქსიმუმი იყო საიმპერატორო ტახტზე კომუნოსების აღდგენა, ხოლო პროგრამა მინიმუმი ითავალისწინებდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ისეთი სახელმწიფოს წარმოქმნა, რომელიც საქართველოს გავლენის ქვეშ იქნებოდა და სამხრეთიდან სელჩუკებისაგან დაცავდა საქართველოს საზღვრებს. „*მაგრამ, ცხა-*

¹ Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 9-12, 17-18.

² ბერაძე ირ., *ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის, თბილისი, 1971, 18.*

ღია ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღება თავდაყირა დააყენებდა ქართველთა გეგმებს⁴.

საქართველოს სამეფო კარს რომ კომუნოსების დინასტიის ბიზანტიის საიმპერიო ტახტზე აღდგენა სურდა, ასეთი მოსახრება ზ. ბატიაშვილზე ადრე გამოსთქვა ს. მარგიშვილმა². ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდგომი მოვლენების განვითარებაში, ქართველი პოლიტიკოსების ამგვარ განზრახულობას ვერ დავინახავთ. ამ საკითხზე კიდევ შევჩერდები.

**პონტოს მოსახლეობის ეთნიური ვითარების
მნიშვნელობა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში**

ლაშქრობის იმ მიმართულებით განვითარებას, რომელზეც ვრცლად ქვემოთ ითქმევა, სავარაუდოა, განაპირობებდა მისი შედარებით იოლად განხორციელების იმედი, პირველ რიგში კი, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მხარდაჭერა.

კომუნოსებისადმი ღლიალური ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ სეპარატისტულად იყო განწყობილი, ქართულ ჯარს არ აღიქვამდა დამპყრობლად. სელჩუკების მხრიდან მუდმივი აგრესიის საშიშროების პირობებში, ქართული ჯარი (თუნდაც შეზღუდული კონტიგენტი), შეიძლებოდა მთავარი გარანტი ყოფილიყო ტრაპიზონის იმპერიის არსებობისათვის³.

¹ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი) ზ., *ტრაპიზონის იმპერიის დაარსება*, 84-85.

² მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 274.

³ . . . (1204-1215), 15;

. . . , 95.

ამასთან ერთად, *შექმნილ ვითარებაში, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიმზიდველი და ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო თავიანთი და სამეფო დინასტიისთვის მონათესავე, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი, ქართული სახელმწიფოს სამხედრო ძალაზე დამყარებული კომუნოსების მხარდაჭერა და საკუთარი დამოუკიდებელი სამეფოს შექმნა*. როგორ მოიაზრებოდა XV ს. ბიზანტიაში ტრაპიზონის სახელმწიფოს დაარსება და რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოიშვა იგი, ამის შესახებ საინტერესო ცნობა დაგვიტოვა XV ს. ბიზანტიელმა ისტორიკოსმა ლაონიკე ხალკოკონდილემ. ისტორიკოსის მონათხრობი სგაცნობა გასაგებს ხდის, როგორი განწყობილებით შეხვდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა ძმებს – კომუნოსებსა და ქართულ ჯარს. ლაონიკე ხალკოკონდილე წერს: „ამბობენ, რომ *კოლხეთის მეფეები წინათ იყვნენ ბიზანტიონის მეფეები, კომუნოსთა ოჯახიდან*, ხოლო ესენი რომ გადმოვარდნენ სამეფო ტახტიდან, კეისრის შვილი ისაკი, მის შემდეგ რაც მოიკლა მისი მამა ხალხის მიერ მისი ზიზღის გამო მის მიმართ, გაემართა კოლხეთის ქვეყანაში და ტრაპიზონში. ის რომ იქ ჩავიდა, ადგილობრივმა ხალხმა დააყენა ის კოლხეთის მთავრად და ამგვარად *სამეფო ტახტი გადაიტანა კოლხეთის ტრაპიზონში*. და ამ დროიდან ვიდრე ჩვენ დრომდე მეფობენ ისინი, ტომით ელინნი და ზნეჩვეულებებისა და ამა-სთანავე ელინური ენის შემნარჩუნებელნი“¹.

¹ გეორგიკა. *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, 8. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1970, 93.

ამგვარად, პონტოში გამოკვეთილად ჩანდა იმპერიის დეცენტრალიზაციის მომხრე ძალები, რომლებიც ხელსაყრელ პირობებში აქტიურ მოქმედებაზე გადავიდოდნენ. *სავარაუდოა, ქაღდვას თემის ცენტრალური ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან საქართველოს ხელისუფლების კონტაქტები, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთი რაიონების ლაზურ-ჭანურ მოსახლეობასთან. საქართველოს აგენტები მოხერხებულად გამოიყენებდნენ იქ არსებულ დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და მეფეს თავისი მფარველობის ქვეშ მყოფი კომნენოსების ტრაპიზონში მშვიდობიანი გამეფება არ გაუძნელდებოდა. უდავოა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაზე გავლენა მოახდინა ძმების კომნენოსების მეფურმა წარმომოხამაც. ამიტომაც არ არსებობს რაიმე ცნობა ადგილობრივი მოსახლეობის ქართველთა ჯარისადმი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. კომნენოსების შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებაში მთავარი როლი ითამაშა თამარის წარმატებულმა პოლიტიკამ. ამიტომ იმპერიის დაარსების პირველ ხანებში ალექსის რამდენადაც მაღალი წარმომობისა არ უნდა ყოფილიყო, თამარ მეფის ვასალობა უნდა ეღიარებინა. ყოველივე ზემოაღნიშნული იქნებოდა იმის მიზეზი, რომ როგორც ბესარიონ ნიკეელი (XV ს. ბიზანტიელი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე) და კრიტობული, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წერდნენ, კომნენოსებისათვის ხელისუფლების გადაცემა პონტოში, მოხდა მშვიდობიანად¹.*

1

შავი ზღვის სამხრეთში საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ჩარევისათვის მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, ის ეკონომიკური ინტერესები, რომელიც, როგორც მ. გაბაშვილის გამოკვლევებით ნათელი ხდება, ტრაპიზონის იმპერიის წარმოშობამდე დიდი ხნის წინათ, X საუკუნიდან არსებობდა. ტრაპიზონზე, როგორც შავი ზღვის მნიშვნელოვან სავაჭრო ნავსადგურზე გავლენის გავრცელებით თამარის სახელმწიფო დაინტერესებული იქნებოდა და კომუნოსების იქ გამეფებით წარმატებას მოიპოვებდა. ამ ამოცანის რეალიზებისათვის ხელსაყრელი ვითარება XIII ს. დასაწყისში შეიქმნა¹.

¹ გაბაშვილი მ., *ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან (კირმანული)*, კრებული, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, I, თბილისი, 1991, 219-230; მისივე, *ტრაპიზონი ქართული წყაროების მიხედვით*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, სერია, აღმოსავლეთმცოდნეობა თბილისი, 1998, №327, 141-154; მისივე, *ტრაპიზონის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობანი X-XII საუკუნეებში*. ოთარ ცქიტიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, აღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი, ტ. III, 2002, 238-286; მისივე, *თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან*, ვაღერიან გაბაშვილი 90, თბილისი, 2003, 163-187; მისივე, *თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით („ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“)*. ვაღერიან გაბაშვილი 90, თბილისი, 2003, 188-209; მისივე, *ილხანები, მათი მემკვიდრეები და თავრიზ-ტრაპიზონის გზა (XIII-XV სს.)*, აღმოსავლეთი და კავკასია, №2, თბილისი, 2004, 45-55; მისივე, *საქართველოს სახელმწიფო სამონეტო პოლიტიკის ისტორიიდან (XIII-XIV სს.)*. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV. კრებული ეძღვნება პროფ. კარლო კუციას დაბადებიდან 70 წლსთავს, თბილისი, 2005, 163-209; მისივე, *ტრაპიზონის იმპერიის*

ინტერვენცია პონტოში

ძმები კომნენოსობის ბიზანტიის ტერიტორიაზე საქართველოს ჯარით შეჭრის საბაზი, ბასილი ეზოსმოდვარის მიხედვით, გახდა კეისრის მიერ ქართველი ბერების გაძარცვა კონსტანტინოპოლში. მაგრამ თამარ მეფის კარის მიერ ბიზანტიის ტერიტორიაზე ორგანიზებული აგრესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებსა და ბიზანტიის საშინაო ვითარებას. ვფიქრობ, გადამწყვეტი იყო ეს უკანასკნელი მომენტი.

XII საუკუნის მეორე ნახევარი ბიზანტიის იმპერიის დაქვეითების პერიოდია. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1185 წლიდან ანდრონიკე კომნენოსის მოკვლის შემდეგ. ხელისუფლების არამდგრადობით იყო გამოწვეული კარის გადატრიალებები. 1195 წელს ისაკ II ტახტიდან ჩამოაგდო მისივე ძმამ ალექსი მესამემ. ისაკის ვაჟის, ალექსი IV (ანგელოსის) მოკვლის შემდეგ ალექსი V მურზუფლა გააფრთხილებით ებრძოდა კონსტანტინეპოლის წინ მდგარ ჯვაროსნებს. *მაშინ, როდესაც კონსტანტინეპოლის დაცემის ბედი ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, ქართული ჯარი შეიჭრა პათაგონიისა და პონტოს ბიზანტიურ ტერიტორიებში და დაიკავა.* კომნენოსების და საქართველოს მომხრე ძალებმა გამოაცხადეს

დაარსების წინაპირობები. დაეით კურაპალატი. თამარ გამსახურდია 70. საიუბილეო კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი, თბილისი, 2007, 117-149.

კომუნოსების ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, რომელიც ქართველების სამხედრო ძალას ეყრდნობოდა¹.

პირველმა, ვინც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საქმეში თამარ მეფის საქართველოს მონაწილეობის ისტორია სერიოზულად გამოიკვლია და სამეცნიერო მიმოქცევაში მნიშვნელოვანი წყაროებიც შემოიტანა, იყო ცნობი-

¹ ინტერნეტში განთავსებულ სტატიაში („ -) “ – ავტორი მითითებული არ არის), ძლიერ განსხვავებულად არის გადმოცემული ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. ჩანს, რომ ავტორი დგას იმ ისტორიკოსთა პოზიციაზე, რომლებიც არ იზიარებენ საქართველოს გადამწყვეტ როლს ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში. პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ Fallmerayer Jakob-Philip, *Geschichte des Kaisertums von Trapezunt*, München, 1827; Finlay G., *The History of Greece from its Conquest by the Crusaders to its Conquest by the Turks and of the Empire of Trebizond 1204-1461*, Edinburgh, London, 1851; Finlay G., *A History of Greece from its Conquest by the Romans to the Present Time*. B. C. 146-to A.D. 1864, Oxford, 1877, t. IV, 307-308; Fischer W., *Trapezunt und seine Bedeutung in der Geschichte*. Zeitschrift für allgemeine Geschichte. 1886, Bd. 3, 25-26; ფალმერაიერსა და ფინლეის ნაშრომების კრიტიკა გვერდების მითითების გარეშე. იხ.: ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან*, 63-66. არიან შემდეგი დროის მთელი რიგი ისტორიკოსები, რომლებიც ფალმერაიერისა და ფინლეის პოზიციაზე დგანან: ო. ლამსიდისი, დ. ნიკოლი, მ. კურშანსკისი, ე. ბრაიერი, ე. ჟანსანი და სხვები. ბოლოს დასახელებულ ისტორიკოსთა მოსაზრებათა შეფასება იხ.

.. (1204-1215), 9-10; .
.. , 95. გასათვალისწინებელია, რომ ყველა ისტორიკოსისათვის ამოსავალი არის XII-XIII საუკუნის ორი მემკვიდრის ქართული და ბერძნული ცნობა.

ლი ქართველი ისტორიკოსი ზ. ავალიშვილი¹. იგი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ისტორიის შესწავლას აუცილებლად მიიხ-
ნევდა, რადგან ეს ისტორიული ფაქტი „ცხადყოფს საქართვე-
ლოს პოლიტიკას მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან
ხანაში – ბიზანტიის პირველი დანგრევის დროს, ლათინთაგან
რომ დაინგრა – და აგრეთვე საქმის ვითარებას საქართველოს
ზემოაღწერილი პოლიტიკური ფრონტის უკიდურეს მარჯვენა
ფრთაზე, ესე იგი, შავი ზღვის ნაპირზე“².

კომუნოსების მიერ ქართულ შეიარაღებულ ძალებზე
დაყრდნობით ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის აღმოსავლეთი
ნაწილის (იგი ძველად ცნობილი იყო ქაღდიის თემის სახელით
და ეჭირა პონტოს სანაპიროს ვიწრო ზოლი) დაპყრობის
შესახებ, გვაქვს ქართული და ბიზანტიური წყაროები.

ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ქართული ჯარის
შეჭრის მიზეზის, მისი იქ მოქმედებისა და სამხედრო კამპანიის
შედეგის შესახებ, გადმოცემული აქვს თამარ მეფის ისტორი-
კოსს ბასილი ეზოსმოდვარს: „მოიწიეს ოდესმე ჩვეულები-
საებრ ქველის-მოქმედებათათჳს ამისა მონაზონნი შავისა მთისა,
ანტიოქით და კკპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და
მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარა თამარ ჩვეულებისაებრ ვითარ
ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშენა, მერმე მისცნა ყო-
ველთა დიადდი, და აღაუხნა ყოველთა საკმრითა, უკანასკნელ
მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თვთ მათთვის
და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. წარვიდეს მონაზონნი

¹ ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარ-
კვევი, 52-94.

² ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარ-
კვევი, 53-54.

იგი და მიიწინეს რა კონსტანტინეპოლელ, ესმა მეფესა ბერძენთასა აღექსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თვსსა ისაკს თუაღნი დასწუნა და მეფობა წარუღო... იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარუღო მათ მონაზონთა. ცან რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვინა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი¹, და წარუღეს ღაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი აღვიღნი ფებლადონისა და პონტოსანი, და **მისცა ნათესავსა თვსსა აღექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი**². ქართველი მემატიანის ეს ცნობა,

¹ თამარ მეფის დროს საქართველო შეტევით ბრძოლებს აწარმოებდა სხვადასხვა მიმართულებით. თავდაპირველად ლაშქრობას იწყებდა აგრესიის ობიექტის მეზობელი ქართული მხარე, რომელშიც ძირითადად ჩაბმულნი იყვნენ ადგილობრივი დიდებულები. „ყოველი საქართველოს“ ლაშქარი ომში ებმებოდა მხოლოდ აუცილებელ ეტაპზე. ტუხაშვილი ლ., *ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან*, I, 168.

² აღექსი III-ისათვის უცხო რომ არ იყო მგზავრების ძარცვა, ამის შესახებ საინტერესო ცნობა დაგვიტოვა ნიკიტა ხონიატემ: „მავრამ, აი, რა საქმე ჩაიღინა თვითონ მეფემ. ექვსი ტრიერი ჩააბარა ერთ კაცს... და ვავზავნა იგი ევქსინის პონტოში თითქოს იმ მიზნით, რომ დაეძებნა ტვირთი ერთი ხომალდისა, რომელიც მოდიოდა ფაზისიდან ბიზანტიონში და კერასუნტის მახლობლად დაიშხვრა, ნამდვილად კი უნდოდა თავს დასხმოდა სატვირთო ხომალდებს, რომლებიც ქალაქ ამინსოში მისცურავდნენ და მათი ტვირთი დაეტაცნა. მეფის განკარგულებით მან გასცურა ევქსინის

მცირე კორექტივით, გაზიარებულია საკითხით დაინტერესებული მრავალი ისტორიკოსის მიერ. ქართველი ისტორიკოსებიდან ზ. ავალიშვილი იყო, რომელიც ბასილის ცნობას განსაკუთრებული კრიტიკით მიუღდა.

საკითხისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავს ბიზანტიელი ისტორიკოსის, მიქაელ პანარეტოსის (XIV ს. მეორე ნახევარი – XV ს. დასაწყისი) თხზულება: „*მოვიდა დიდი*

*პონტოში და არც ერთი ხომალდი არ დაინდო, ყველა ხომალდები გაძარცვა, რომლებიც კი ბიზანტიონში მიდიოდნენ, საქონლით დატვირთულები, და ისინიც, რომლებსაც ჩაებარებინათ თავისი საქონელი და სხვა საქონელი ჩაებარებინათ და უკან ბრუნდებოდნენ... ზოგიერთი გაჭრები მახვილით გაასამართლა და ქვესკნელში გაისტუმრა, და მათი ქონება მითვისა, სხვები კიდევ როდინის ქვაზე უფრო ტიტვლები გაისტუმრა“ (ნიციტა ხონიატე, „ისტორია“, 132-133). ვერ გავიზიარებ ა. თვარაძის მტკიცებას, რომლის მიხედვითაც ხონიატეს ნაშრომიდან ციტირებული ფრაგმენტი ადასტურებს თამარის ისტორიკოსის ცნობას, იმპერატორის მიერ ქართველი ბერების გაძარცვას რომ ასახავს. თითქოს ისინი რომელიღაც გაძარცვულ ხომალდზე იქნებოდნენ (თვარაძე ა., *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე*, 128). თამარის ისტორიკოსის მიხედვით, ქართველები კონსტანტინოპოლში გაძარცვეს, ხონიატე კი გადმოგვცემს გაჭრების ზღვაში გაძარცვაზე, როდესაც ისინი ამინსოსკენ (სამსუნი) მიცურავდნენ.*

როგორც თამარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე იმპერატორმა ალექსიმ. ბასილის პათოსი იმაზე მეტყველებს, რომ ღმერთი ბოროტებას არავის აპატიებს (ბასილი ეზოსმოძღვარი, 142-143).

კომნენოსის უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში, მე-7 ინდიქტიონის 6712 (1204 წელს - ე. მ.). იმეფა 18 წელიწადს, გარდაიცვალა ორმოცი წლისა, 6730 წელს (1222 წ.), 1 თებერვალს, მართლმადიდებლების დღესასწაულის კვირას¹.

¹ მიქაელ პანარეტოსი, *ტრაპიზონის ქრონიკა*. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 33, თბილისი, 1960, 165-166. შედარებისათვის მოვიყვან ა. ხახანაშვილის მიერ ბერძნულიდან რუსულად თარგმნილ ამონარდს „ტრაპიზონის ქრინიკიდან“. „*ქართული ისტორიის ძეგლები*“ (1204 წ.). - „*ქართული ისტორიის ძეგლები*“, ტ. 1, ნაკვეთი 1, -
a , VII . 6712 (1204 . X.) 22 ,
18 , 1
6730 (1222), “ ,
, 1905, 20. ა. ხახანაშვილის ეს ნაშრომი უარყოფითად შეაფასა კარპოვმა. „*ქართული ისტორიის ძეგლები*“, 19, მაგრამ დადებითი შეფასება მისცა ს. ყაუხჩიშვილისა და ალ. გამყრელიძის თარგმანებს.
ი. ფ. ფალმერაიერი პანარეტოსის მიერ დასახელებულ ალექსი კომნენოსის მამილა თამარში კომნენოსების სხვა რომელიღაც

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართველი და ბერძენი მემკვიდრეები სხვადასხვა ალექსიზე გადმოგვცემენ¹, რაც, ჩემი აზრით, სიმართლეს არ შეეფერება. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბასილის მიხედვით ალექსი ანდრონიკეს შვილია, პანარეტოსი კი სამართლიანად მას ანდრონიკეს შვილიშვილად ასახელებს. მაგრამ კონტექსტის მიხედვით ორივე ავტორი ერთსა და იმავე პიროვნებას, ანდრონიკეს შვილიშვილს, გულისხმობს.

ბასილი ეზოსმოდგარი კომნენოსების ჯარში მხოლოდ ქართველი (იმერელი) მეომრების ყოფნას აღნიშნავს. იგი ჩამოთვლილი ქალაქების დაპყრობას ალექსი კომნენოსს მიაწერს, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია ქართული ჯარით. იმავე დროს იგი ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს ძმების – ალექსი და დავითი კომნენოსების მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. ბასილი ეზოსმოდგარის თანამედროვე ნიკიტა ხონიატე კი, ლაპარაკობს ალექსი კომნენოსის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერიის შემდგომ პერიოდზე, როდესაც იგი უკვე იმპერატორად არის გამოცხადებული. ნიკიტა ხონიატე ყურადღებას ამახვილებს დავითის მიერ პაფლაგონიასა და პონტოს ჰერაკლიაში შეგროვილ ჯარზე, რომელშიც ივერიელთა მხოლოდ დაქირავებული რაზმი იყო. მასზე დაყრდნობით დავითმა დაიპყრო საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ლიმინიდან ჰერაკლიამდე.

ამ ორი წყაროდან რომელს მივანიჭოთ უპირატესობა, რომელი უფრო სანდოა? ამის გარკვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა

ქართველ ნათესავს ხედავდა. Fallmerayer, *Geschichte des Kaisertums von Trapezunt*, 48, 59.

¹ ბატიაშვილი, *ტრაპიზონის იმპერიის დაარსება*, 98-99.

აქვს მიქაელ პანარეტოსის „ქრონიკას“, რომელშიც სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ალექსი კომნენოსმა „გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის გულმოდგინებითა და დვაწ-ლით“, ე. ი. მისი ჯარის ძირითადი კონტიგენტი შედგებოდა ქართველებისაგან, აღჭურვილი და მომარაგებული თამარ მეფის მიერ. ეს იყო ის ძალა, რომლითაც ალექსიმ დაარსა ტრაპიზონის იმპერია¹. უცხოელთაგან პირველი იყო ა. ა. კუნიკი, რომე-

¹ არსებობს საყურადღებო მინიშნება, რომ ლაშქრობაში იმე-რლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სხვა მხარეების რაზმებიც. ამ მხრივ საყურადღებო მაგალითია ბორჯომის რაი-ონის ცნობილი ტაძრის, ტიმოთესუბნის (კიმოთესუბანი, ბორჯო-მიდან 17 კმ) ერთ-ერთ წარწერაში, რომელსაც მოხსენიებულია XII-XIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე შალვა თორელ-ახალციხელი, რომელსაც მიეწერება მონასტრის გაფარ-თობა, დიდი ტაძრის აგება და მოხატვა (*ქართული საბჭოთა ენ-ციკლოპედია*, 9, თბილისი, 1985, 719). ცნობილი ხელოვნებათმცოდ-ნე დ. პ. გორდევნი ტაძრის დასავლეთის კედელზე მოთავსებული წმ. მეომრის ვეგენი ტრაპიზონელის (ტრაპიზონის მფარველის) გამოსახულების შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წმინდანის კულტი მხოლოდ ტრაპიზონისათვის იყო მნიშ-ვნელოვანი და იგი შესრულებული უნდა იყოს საქართველო-ტრა-პიზონის ყველაზე ინტენსიური ურთიერთობის დროს, 1204-1230-იან წლებში, უფრო ზუსტად კი, თამარის მეფობის უკანასკნელ ან გიორგი-ლაშას მეფობის პირველ წლებში. წმ. ვეგენი ტაძარში გა-მოსახეს ძმები შალვა და ივანე ახალციხელების ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში მონაწილეობის აღსანიშნავად.

.. , საბჭოთა ხელოვნება, თბილისი, 1940, 48-49;

ლიც პანარეტოსისა და ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობების შედარების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძმები კომუნოსების მიერ მოწყობილი ლაშქრობის ინიციატორი იყო თამარ მეფე, რომ მას სურდა ბოსფორსა და მცირე აზიაში შეექმნა ისეთი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელიც სელჩუკების წინააღმდეგ იბრძოლებდა¹. **რაც შეეხება ალექსის ძმის დავითის ბრძოლებს პაფლაგონიასა და პონტოს ჰერაკლიაში, იგი სცილდებოდა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს და მასში ქართველები შეიარაღებული ძალით აღარ მონაწილეობდნენ².**

122, 242.

¹

, 1980, 121-1204, 723.

² მ. გაბაშვილი ბასილი ეზოსმოძღვარის ნათქვამზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ „თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისთანავე მიიერთა პაფლაგონია და შავი ზღვის ტერიტორიები, მათ შორის ისინიც, რასაც ქართული წყარო არ აზუსტებს და რომელსაც უკვე ბიზანტიური წყაროები აკონკრეტებენ. ბიზანტიური წყაროებივე (ნიკიტა ხონიატე, გიორგი აკროპოლიტე...) საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ პაფლაგონია და შავი ზღვის ზოგიერთი ტერიტორია თამარმა მაშინვე დაკარგა. იმავე წყაროების თანახმად, ამ ტერიტორიებისათვის უკვე დავით კომუნოსის იბრძვის“ (გაბაშვილი მ., თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, 166). არც ერთი წყარო არ აღნიშნავს თამარ მეფის მიერ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე რომელიმე ტერიტორიის დაპყრობას და საქართველოსათვის შეერთებას, თუნდაც მცირე ხნით. გიორგი აკროპოლიტეს (XIII ს. ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი) ცნობას, ჩემი აზრით სწორი განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. (გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების

დავითის დასაყრდენი იყო ბერძენ-ქართველი მეომრები-საგან შემდგარი ჯარი, რომელშიც ქართველები დაქირავებულნი იყვნენ.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კომნენოსების ჯარი ბიზანტიისაკენ დაიდრა ორი მიმართულებით: ტრაპიზონ-სინოპის სახმელეთო გზით და საზღვაო გზით – პაფლაგონია-ბითონიის მიმართულებით¹. ჯარის ის ნაწილი, რომელსაც დავით კომნენოსი მეთაურობდა, საზღვაო გზით მივიდა პაფლაგონიამდე. ფლოტი გავიდა იმერეთიდან და კერასუნტის, კოტირასა და ამასტრის გავლით მივიდა პაფლაგონიამდე². ს. მარგიშვილის აზრით, რადგან საქართველოს სამეფოს სამხედრო-სატრანსპორტო ფლოტი არ გააჩნდა, „*დესანტირების ერთადერთი შესაძლებლობა იყო ფლოტის დაქირავება გენუელებისაგან*“³. გენუ-

ცნობები საქართველოს შესახებ“, VII, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1967, 45-46, შენ. 2).

¹ . . . (1204-1261), 77-78;

მარგიშვილი ს., *ლეგენდები და მითები დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 109.

² Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 20; Bryer An., *David Komnenos and Saint Eleutherios. Archeion Pontou*, 1988-1989, v. 29, 179-180; მარგიშვილი ს., *ლეგენდები და მითები დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 109; ბატიაშვილი, *ტრაპიზონის იმპერიის დაარსება*, 99.

³ მარგიშვილი ს., *ლეგენდები და მითები დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 279-280. დადგენილია, რომ შავი ზღვის სანაპიროს ქართული მოსახლეობა, განსაკუთრებით ლაზები, უხსოვარი დროდან ცნობილი მეზღვაურები იყვნენ. უფრო მეტიც, XI საუკუ-

ელებს, გარდა კომერციული ინტერესისა, ამოძრავებდათ ვენეციელებთან კონკურენციაც შავ ზღვაზე ჰეგემონობისათვის. ამის შემდეგ მკვლევარი ლაპარაკობს გენუელების შორს მიმავალ გეგმებზე, მაგრამ მისი არგუმენტები არ ასახავს ისტორიულ რეალობას. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ბიზანტიის იმპერატორები იტალიელების ხომალდებს უკრძალავდნენ შავ ზღვაში ცურვას, მანამდე ვიდრე ლათინებმა კონსტანტინოპოლი არ დაიპყრეს. ხოლო გენუა-ვენეციის დაპირისპირება შავი ზღვის სანაპიროებზე პირველობისათვის იწყება იმ დროიდან, როდესაც მონღოლების დაპყრობებმა სავაჭრო-საქარავნო გზების ჩრდილოეთით გადანაცვლება გამოიწვია და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთმა სანაპირომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ისიც ცნობილია, რომ საქართველოში, საინტერესო პერიოდში, ზღვაოსნობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული და საკუთარი ფლოტიც გააჩნდა¹. მაგრამ ეს სრულებით არ წარმოადგენდა აუცილებელ პირობას, რომ ჯარი მთლიანად, ან თუნდაც მისი ნაწილი, დანიშნულების ადგილამდე გემებით გადაეყვანათ. ქართველი მემბტიანე (სხვა წყარო, ქართული ჯარის მიერ ბიზანტიის საზღვრის გადაკვეთის ადგილსა და მიმართულებას რომ აღნიშნავდეს, არ გაგვანჩნია) სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ქართულმა ჯარმა ხოფასთან გადაკვეთა ლაზიკის საზღვარი და დაიწყო მოძრაობა დასავლეთის მიმართულებით. ისიც საინტერესოა და უნდა აღინიშნოს, რომ თბილისიდან ტრა-

ნეში შავი ზღვა „ლაზთა ზღვათაც“ კი იწოდებოდა. გაბაშვილი მ., *ტრაპიზონის დაარსების წინაპირობები. დავით კურაპალატი*, 122.

¹ კუტალეიშვილი ზ., *ნაოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)*, თბილისი, 1987, 231.

პიზონამდე სახმელეთო გზით მისვლას მხოლოდ რვა დღე სჭირდებოდა¹.

ბასილი ეზოსმოდგარი და მიქაელ პანარეტოსი, საზგასმით აღნიშნავენ თამარ მეფის დამსახურებას ალექსი კომნენოსის გამეფებასა და ბიზანტიის იმპერიის დაარსებაში. როგორც ერთ-ერთ ანონიმური ქრონიკაშია ნათქვამი, თამარის წყალობით ტრაპიზონის მფლობელმა დამოუკიდებელი სამფლობელო მიიღო და განაგებდა მტრებისაგან შეწუხების გარეშე². თამარის ისტორიკოსი ცდილობს თავისი მეფის პოლიტიკა გაგვაცნოს, როგორც მიზეზშედგობრივი. კარის ისტორიკოსის მიზანია, თავისი მეფე წარმოაჩინოს სამართლიანობის დამცველად. მისმა მეფემ ერთდროულად ორო კეთილშობილური საქციელი ჩაიდინა: ქართველ ბერებს იმპერატორისაგან მიყენებული ზარალი გადაჭარბებით აუნაზღაურა და საქართველოში შემოხვეწილ ალექსი კომნენოსს ნაწილობრივ (ტერიტორიული თვალსაზრისით) აღუდგინა დაკარგული ტახტი და სამფლობელოები.

ქართველი მემატინანის პოზიციასზე დგას მიქაელ პანარეტოსი. იგი ცდილობს ობიექტურად გადმოგვცეს ალექსი კომნენოსის მიერ ტრაპიზონის დაპყრობისას საქართველოს მეფის „გულმოდგინება და დვაწლი“, თუმცა იმაზე დუმს რამაც განაპირობა ბაგრატიონთა და კომნენოსების მიერ დაწყებული სამხედრო აქცია³.

¹ Tomaschek W., *Zur historischen Topographie von Kleinasien im Mittelalter*. Sitzungberichte der K. Akademie der Wissenschaften in Wien, Philos.-hist. Classe, CXXIV, 1891, 81.

² Brosset M. F., *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle*, Saint Petersburg, 1849, I-ère partie, 478.

³ ლ. ტუხაშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია საქართველომ შავი ზღვისპირეთში მოაწყო ორი სამხედრო აქცია.

ბუნებრივია, დგება კითხვა, შეეძლო კი იმ მცირე ჯარს („მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი“), გაეკონტროლებინა მთელი ის ტერიტორია, სადაც წარმოიშვა ტრაპიზონის იმპერია და შემდეგ დავით კომნენოსიც აწარმოებდა ბრძოლებს? ლაშქრობის მოწყობა ისეთი მცირე ძალით, რომელზეც ქართული ნარატიული წყარო გადმოგვცემს, ალ. გამყრელიძეს და ივ. ლოლაშვილს შეუძლებლად მიაჩნდათ¹. ამ კითხვაზე, ჩემი აზრით, თითქმის ამომწურავი პასუხი გასცა ს. პ. კარპოვმა მ. ბროსეს ნაშრომზე

პირველად თამარ მეფემ ქართველ ბერების გაპარცვისათვის დასაჯა ალექსი III ანგარი და ლაზია დაიკავა. მეორედ კი, ჯვაროსნების კონსტანტინოპოლზე დარტყმების პარალელურად სცადა დაეკავებინა მთელი მცირე აზია და შეექმნა ახალი ტიპის ბიზანტია. ტუნაშვილი ლ, *ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან*, 177-178. ეს ვარაუდი უკვე მტკიცებულების ფორმით გაიმეორა მ. სტეფანაძემ. მისი აზრით, თამარის ისტორიკოსი და მიქელ პანარეტოსი ორი სხვადასხვა ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობენ. პირველი მოაწყო საქართველოს სამეფომ 1202-1203 წლებში და დაპყრობილი მიწები შემოიერთა. მეორე ლაშქრობა ძმებმა კომნენოსებმა მოაწყვეს ქართული ძალით და ტრაპიზონის იმპერიის გამოცხადებით დასრულდა. მ. სტეფანაძე იმავე მოსაზრებას იმეორებს შემდეგშიც, მაგრამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. სტეფანაძე მ., *ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებისათვის*. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 7, თბილისი, 2000, 161-162, 165.

¹ ლოლაშვილი ი., *შავთელი*, თბილისი, 1964, 112-113; გამყრელიძე ა., *ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის დაარსების ზოგირთი საკითხი*, წერილები, თბილისი, 1982, 260.

დაყრდნობით¹. მის მიხედვით, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ 1203-1204 წლებში საქართველო ებრძოდა რუმის სასულთნოს, აზერბაიჯანისა და ირანის ათაბეგებს. თამარის ჯარი შეტევით ბრძოლებს აწარმოებდა არარატის დაბლობზე. საქართველომ შეძლო სელჩუკებისათვის გამანადგურებელი მარცხი მიყენებინა ბასიანის (1202 წ.) ბრძოლაში. დასახელებული ომების წარმოება ითხოვდა სახელმწიფოს მთელი რესურსების მობილიზაციას და კომენოსების საჭიროებისათვის დიდი არმიის გამოყოფისათვის საშუალებას არ იძლეოდა. მაგრამ იყო კი საჭირო დიდი სამხედრო ძალა? კითხულობს ს. პ. კარპოვი და თითონვე პასუხობს: ბასიანის ბრძოლის შემდეგ რუმის სასულთნო დაუსტებელი იყო და იგი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მისი სამფლობელოების ჩრდილოეთით მდებარე იმ ტერიტორიებზე, იქ სადაც ტრაპიზონის იმპერია წარმოიშვა, ქართულ ძალაზე დაყრდნობილი კომენოსების მოქმედებას. 1204 წლისათვის თავისი მრავალრიცხოვანი ინფორმატორების საშუალებით თამარ მეფე კარგად ერკვეოდა ბიზანტიის მდგომარეობაში ზოგადად და, კონკრეტულად, ქალდეას პროვინციაში არსებულ ვითარებაში, რომლის იმპერიისაგან მოკვეთა ჰქონდა განზრახული².

ნიკიტა ხონიატე ქართველთა წელილს კომენოსების ტრაპიზონში გამეფებაში დაკნინებულად წარმოგვიდგენს. ქართველების მონაწილეობას მხოლოდ დაქირავებული რაზმის სახით განსაზღვრავს.

¹ Brosset M. F., *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle*, 464-465.

² . . .
14.

(1204-1215),

რადგან ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის მკვლევრები მის დაარსებაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობას, ძირითადად, ბასილი ეზოსმოდვრის, ნიკიტა ხონიატეს და მიქაელ პანარეტოსის ცნობებზე დაყრდნობით განიხილავენ, ჩვენც მათ მიყვებით.

ფრიად მნიშვნელოვანია, დასახელებულ წყაროებზე დაყრდნობით ა. ა. ვასილიევის გამოთქმული მოსაზრებანი, რომლითაც კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა ა. ა. კუნიკის ვარაუდები საქართველოს როლის შესახებ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში. ა. ა. ვასილიევმა პირველმა მოუყარა თავი მისი დროისათვის ცნობილ თითქმის ყველა მასალას¹.

საქართველოს ლაშქრის მიერ ხუფათთან საზღვრის გადალახვით, რადგან ეს უკანასკნელი ქალდიის თემის შემადგენლობაში იყო და იმავე დროს ბიზანტია – საქართველოს საზღვარს წარმოადგენდა², ფაქტიურად, ომის გამოცხადების გა-

¹ Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 5-29.

² *ცხოვრება და მოქალაქობა დმურთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩვენისა სერაპიონისი*. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963, 344.

როგორც ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი თავისი თხზულების *De administrando imperio*-ს 42-ე თავში აღნიშნავს, „*ეგრეთწოდებული ხალდია და მისი დედაქალაქი, რომელსაც ტრაპეზუნტი ეწოდება, ელინთა ახალშენები არიან...*“ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, 300). იმავე ავტორის ცნობით, „*ხალდეამ თავის სახელი მიი-*

რეშე დაიწყო აგრესია მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ა. ა. ვასილიევი ვარაუდობდა, რომ იმერეთიდან ჯარი ტრაპიზონისაკენ უნდა წასულიყო გარინ-თეოდოსიოპოლი-არზრუმის გზით, მაშინ როდესაც არც ერთი წყარო ამგვარ მარშრუტზე არ მიუთითებს¹, ქართველი მემატიანე კი ზუსტად აღნიშნავს იმ დასახლებულ პუნქტს (ხუფათი), სადაც კომნენოსები ქართული ჯარით შეიჭრნენ იმპერიის საზღვრებში.

სავარაუდოა, ლაშქრობა დაიწყო მცირე ხნით ადრე, ვიდრე ვენეციელების ფლოტი ოქროს ყურეში შევიდოდა და კონსტანტინოპოლს დაემუქრებოდა. ქართულ მხარეს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყება გათვლილი უნდა ჰქონოდა ალექსი III (1195-1203) ანგარის მთელი ყურადღების დასავლეთისკენ გადატანაზე, საიდანაც ჯვაროსნები ემუქრებოდნენ. ბიზანტიისადმი შექმნილი ხიფათის პირობებში საიმპერატორი კარი ჯეროვან ყურადღებას ვეღარ მიაქცევდა დედაქალაქიდან დიდად დაშორებულ ქალდეას თემში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს. იმპერიაში არსებული ვითარება ქართული სამეფო კარისათვის

ლო სპარსთა (მიერ) მიცემული სახელწოდებისაგან და მათი პირვანდელი სამშობლოსაგან ხალდიისაგან, საიდანაც იხინი ხალდეველებად იწოდებიან. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვ. II, 301.

ქალდიის თემის შემადგენლობაში ხუფათის გარდა შედიოდა: კელძენე, აკამპსისი, ისპირი და მერღულის ტურმები. ნოდია ი., *ქალდიის თემის საზღვართა დადგენისათვის*, 795.

¹ Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 9-12, 17-18. გარინი ყარსია, ხოლო თეოდოსიოპოლისი კი, არზრუმი.

ცნობილი უნდა გამხდარიყო 1203 წლის ივლისში¹, როდესაც ვენეციელებმა ოქროს ყურეში ფლოტი შეიყვანეს და დედაქალაქს დაემუქრნენ. ამ დროიდან საბოლოოდ გადაწყდებოდა და დაიწყებოდა კიდევ სამხედრო კამპანიისათვის მზადება. მოვლენების ამგვარ განვითარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს ფრიად საყურადღებო ერთი ცნობა, რომელიც ქართველმა მემატრიანემ შემოგვინახა. **სერიზულ ჩაფიქრებასა და ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა ბასილი ეზოსმოძღვარის ის ფრაზა, რომელშიც აღნიშნულია ჯვაროსნების კონს-**

¹ ქართველთა ლაშქრობის დაწყებას კონსტანტინოპოლის მიმართულებით, ასევე 1203 წლის ზაფხულში ვარაუდობდა თ. ჟორდანიას (ჟორდანიას თ., *ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა. შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ*, I, ტფილისი, 1892, 291). ყურადღებას იპყრობს ს. მარგიშვილის, ჩემი აზრით, გაუმართლებელი კატეგორიულობა ქართველთა ლაშქრობის დაწყების დროის შესახებ. იგი წერს: „ვერც საქართველოს სამეფო კარი და ვერც ძმები კომნენოსები ვერ ისარგებლებდნენ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ლაშქრობის დაწყებისას მათ ეს ფაქტი არ ეცოდინებოდათ. ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს 1204 წლის 12-13 აპრილს..., ხოლო ქართულ-ბერძნულმა (გაურკვეველია, საიდან გაჩნდა ბერძნული ჯარი ქართული ჯარის გვერდით – ე. მ.) არმიათმ ტრაპიზონი დაიკავა იმავე წლის 23-25 აპრილს, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც ჯვაროსნები იწყებდნენ კონსტანტინოპოლის შტურმს, ქართულ-ბერძნული არმია აღექვისა და დავითის მეთაურობით, უკვე მოძრაობდა ბიზანტიის ტერიტორიაზე“. მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 274.

ტანტინოპოლზე პირველი შეტევის დაწყების დრო. ლათინებს (ვენეციელებს) შეტევა დაუწყიათ მას შემდეგ, როდესაც გაუგიათ, რომ იმპერიას აღმოსავლეთიდან თავს დაესხნენ და კონსტანტინოპოლი ამ მხრიდან დახმარებას ვეღარ მიიღებდა. ბასილი წერს: „ხოლო ესმა ესე (ქართველთა ჯარის შეჭრა ქალდიას თემში - ე. მ.) ფრანგთა, რამეთუ მოეღო¹ ბერძენთა შეწვენა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუდეს სამეფო ქალაქი². ეს წინადადება მოსდევს იმავე მემბტიანის გადმოცემას ქართული ჯარის მიერ სამხრეთ შავი ზღვისპირეთის დალაშქრებასა და ალექსი კომნენოსის ტრაპიზონში გამეფებას. მაშასადამე, ქართველი მემბტიანის მიხედვით, ამ ლაშქრობას ის შედეგი გამოუღია, რომ ქართველთა ჯარის მიერ დაპყრობილი ტერიტორიიდან კონსტანტინოპოლმა დახმარება ვეღარ მიიღო და ამან მოუტანა ჯვაროსნებს წარმატება. **ბასილი ეზოსმოდღვარის ცნობას**

¹ არასწორად გაიგო ბასილის ზმნა „მოეღო“ ტ. მაჭარაშვილმა და ფიქრობს, რომ მასში იგულისხმება ბიზანტიელების პოტენციური მოკავშირე აღმოსავლეთიდან – საქართველო, საიდანაც დახმარება ვეღარ მიიღო. მაჭარაშვილი ტ. *ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIV საუკუნეებში)*, 92. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ახლოაღმოსავლური პოლიტიკას, ვეჭვობ, ბიზანტიის მთავრობას XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოდან დახმარების მიღების იმედი ჰქონებოდა. დავით კომნენოსი რომ კონსტანტინოპოლში ჯვაროსნების მოკავშირეობას ეძებდა, სავარაუდოა, ესეც საქართველოს მიერ კონსტანტინოპოლის დაცემაძღვე გატარებული ანტიბიზანტიური პოლიტიკის შედეგი იყო.

² *ქართლის ცხოვრება*, II, 142.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რადგან მისი გაზიარების შემთხვევაში, ტრაპიზონის ადების დროდ საყოველთაოდ მიღებული 1204 წლის 23 აპრილი საეჭვო ხდება. იგი გამოთვლილია თითქმის ორი საუკუნით დაშორებული ბიზანტიელი ისტორიკოსის, მიქაელ პანარეტოსის თხზულებაში მოცემული თარიღის მიხედვით, რომელსაც ზემოთ უკვე გავეცანით. საყურადღებოა, აგრეთვე, ქართველი მემბტიანის ინფორმირებულობა ბიზანტიის საწინააღმდეგო კოალიციაში გაერთიანებული ძალების შესახებ. მან იცოდა ჯვაროსნულ კოალიციაში ვენეციის სახელმწიფოს წამყვანი როლის შესახებ¹. ამიტომ მიაწერს მას „სამეუფო ქალა-

¹ ქართველების სამხრეთ შავი ზღვისპირეთში წარმატებული საქმიანობა რომ ხელს უწყობდა დასავლეთევროპელი ჯვაროსნების ინტერესების განხორციელებას მცირე აზიაში, თ. ჟორდანიამ შემდგენაირად შეაფასა: „როგორც როკ-ედლინის დამარცხებით ისარგებლეს ფრანგებმა, ისრე აქაც თამარის ჯარისგან ბერძნების დამარცხება ჩინებულად გამოიყენეს: შევიდენ კონსტანტინე-ქალაქში და დაიჭირეს 12 აპრილს იმავე 1204 წ. ამაზე თამარი შეწუხდა, მაგრამ გვიანდა იყო“ (ჟორდანიას თ., *ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა. შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწესილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ*, I, 291). როგორც ჩანს თ. ჟორდანიას წყაროების უქონლობის მიუხედავად, ცდილობდა 1200-იანი წლების დასაწყისში ქართველთა წარმატებები ევროპელებისთვისაც სასიკეთო შედეგით ეხვენებინა, მაგრამ რაც შეეხება ტრაპიზონის იმპერიის პონტოში წარმატებას, აქ კი ისეთ დასკვნებს აკეთებს, რომლებსაც რეალობასთან კავშირი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულმა მხედრობამ ვრცელი მანძილი, ათას კილომეტრზე მეტი, ხოფადან ჰერაკლიამდე, ისე გაიარა, რომ სერიოზულ წინააღმდეგობას არსად

ქის“ დაპყრობას. ვფიქრობ, გადასახედია ზ. ავალიშვილის მოსაზრება, რომელიც, ევროპელთა გამოკვლევების გავლენით, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველი მემკვიდრე არასწორად გადმოსცემდა მოვლენების თანმიმდევრობას, რომ „ლათინთა „გამოსვლა“ შედეგი კი არ იყო ლაზიის და სხვა ქვეყანათა ქართველთა მიერ დაჭერის, როგორც ამას თამარის პანეგირისტი მოგვითხრობს, პირიქით, იმ ადგილთა დაპყრობა „ივერთა“ დახმარებით და ტრაპიზონის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება უეჭველად ერთი შედეგთაგანი იყო ლათინთა გამარჯვებისა, მათ მიერ კონსტანტინოპოლის ახალი საკეისროს დაარსებისა და ბიზანტიის იმპერიის დაშლისა“⁴.

რადგან ვიცით კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის ადების თარიღები (1204 წლის 12 და 23 აპრილი) და ამ ორ თარიღს შორის განსხვავება მხოლოდ 10-11 დღეა, ა. ა. ვასილიევმა გამოსთქვა ეჭვი, რომ ამ მცირე დროში კონსტანტინოპოლის დაცემის ამბავი საქართველომდე ვერ მიაღწევდა², ვერ მოხერხდებოდა ჯარის შეკრება და ტრაპიზონამდე რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლა. მაშასადამე, უფრო მისაღებია ბასიანის წარმატებული ომის შემდეგ, რომელსაც დიდი გავლენა უნდა მოეხდინა

შეხვედრია და, რა თქმა უნდა, არც ბერძნები დაუმარცხებია. მეორეც, თამარის იმ პერიოდის საგარეო პოლიტიკას თუ გადავხედავთ, დავით კომნენოსის მოქმედებით, შეიძლება მეფე მართლაც უკმაყოფილო იყო, მაგრამ ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, წყაროებში არ ჩანს.

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი*, 59-60.

² Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, . 20.

სეპარატისტულად განწყობილი ქალდეას თემის მოსახლეობის ყველა ფენაზე, დაიწყებოდა საქართველოს წარმომადგენლების დიპლომატიური ურთიერთობა მის ლიდერებთან. საქართველოს სამეფო კარისათვის სამხედრო მოქმედების დაწყებისათვის ბიძგის მიმცემი უნდა გამხდარიყო 1203 წელს ჯვაროსნების მიერ ზარას ალების შემდეგ კონსტანტინოპოლის გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა.

ქართულმა ლაშქარმა პირველად დაიპყრო ლაზია (ჭანეთი), შემდეგ აიღო ტრაპიზონი და ჰერაკლიამდე მიაღწია. ბასილი ეზოსმოდვრს თუ დაეუფერებთ, გამოდის, რომ ქართველთა ჯარს დაუპყრია საკმაოდ ვრცელი ტერიტორია – ლაზია, ფაბლალონი (პაფლაგონია) და პონტო. ამგვარად, საქართველოს სამეფოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ტრაპიზონის იმპერიასთან, დაიდო ლაზიის აღმოსავლეთით ხუფათთან (ხოფა).

ქართული ჯარი ბრძოლის გარეშე შევიდა ტრაპიზონში (1204 წ. 23 აპრილი), ქალაქის გამგებელმა (დეუკა) ნიკიფორე პალეოლოგმა, კონსტანტინოპოლის მთავრობის წარმომადგენელმა, რომელიც მოსახლეობაში ავტორიტეტით არ სარგებლობდა¹, ქალაქის ციხე ალექსის უბრძოლველად ჩააბარა². ალექსი კომნენოსი 25 აპრილს გამოცხადდა „რომეების იმპერატორად“, კონსტანტინოპოლი კი ჯვაროსნებს 12 აპრილს (ზოგი ცნობით 13 აპრილს) უკვე აღებული ჰქონდათ. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ქართულ ჯარს უკან მოეტოვებინა ჯერ კიდევ დაუპყრობელი ტრაპიზონი და ლაშქრობა კონსტანტინოპოლის მიმართულებით გაეგრძელებინა, შემდეგ მობრუნებულიყო და ტრაპიზონი

1

, 2003, 31.

² ბატიაშვილი ზ., *ტრაპიზონის იმპერიის დაარსება*, 101.

აელო და ჩაეტარებინა ალექსის კურთხევის ცერემონიალი. ვფიქრობ, დასავლეთისაკენ შეტევის გაგრძელებისას ქართველებმა და ძმებმა კომნენოსებმა უკვე იცოდნენ რა ხდებოდა კონსტანტინოპოლში და, ნიკიტა ხონიატეს გადმოცემით, მხოლოდ დავითმა გააგრძელა წინსვლა. ამის შემდეგ (ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით) კომნენოსებმა *დაიპყრეს „ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონისა და პონტოსანი“*¹. რადგან ცნობილი წყაროები არავითარ ცნობას არ გვაწვდიან დასახელებული ქალაქების დაპყრობისათვის სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ, ამდენად ქართულ წყაროს უნდა დაეუჯეროთ, რომ ლაშქრობა შეწყდა ჰერაკლიას ადებით. მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ძმების წვლილი ამ ლაშქრობაში. ნიკიტა ხონიატი ტრაპიზონის ადების შემდგომ სამხედრო წარმატებებს, სამართლიანად მიაწერს დავით კომნენოსს. უფრო მეტიც, იმავე ისტორიკოსის თქმით, დავითს ნიკომედიის დაუფლებაც სურდა, მაგრამ ნიკეის იმპერატორის თეოდორე I ლასკარისის (1204-1221) წინააღმდეგობას წააწყდა. პონტოს ჰერაკლია დროებით გადაიქცა ტრაპიზონის იმპერიის უკიდურეს დასავლეთ სამფლობელოდ.

მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს ზემოთგაცნობილი წერილობით წყაროების გარდა სხვა რაიმე ცნობა, მაინც უნდა აღინიშნოს ქართული წყაროს ტენდენცია, რომელიც გამსჭვალულია ეპოქისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი ღირებულებე-

¹ დავით კომნენოსს პონტოში მომხრენი ეყოლებოდა, რადგან მისი პაპა ამდრონიკე კეისრის ტახტის დაკავებამდე პონტოს გამგებელი იყო. Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 5.

ბის პატივისცემითა და საქართველოს მეფე თამარის სამართლიანობის დემონსტრირების დიდი სურვილით.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება

კომნენოსების სახელმწიფოს დაარსება იყო საქართველოს აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში გაბატონებისათვის ბრძოლის მხოლოდ ეპიზოდი, გიორგი III-ის პოლიტიკის გაგრძელება, რომლის სამხედრო ძალა აღწევდა არზრუმამდე და ტრაპიზონამდეც კი. ცხადი იყო, რომ შავი ზღვისპირეთის ბელს წყვეტდნენ ახალგაზრდა კომნენოსების სახელმწიფოზე უფრო ძლიერი სახელმწიფოები.

ნიკიტა ხონიატე გადმოგვცემს როგორ მიმდინარეობდა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ იმპერიის დანაწევრება, როგორ იქმნებოდა სხვადასხვა დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები და ასეთ ვითარებაში როგორ გრძელდებოდა კავშირი ლათინთა იმპერიის ხელისუფლებასა და დავით კომნენოსს შორის. „*იმ ანდრონიკის, რომელიც დესპოტურად მეფობდა რომაელებზე, ვაჟის, მანუილის შეილებიდან, დავითი ფლობდა პონტოს პერაკლიასა და მთელ პაფლაგონიას, ალექსი კი ცალკე ხელმწიფის სახით განაგებდა ოლქს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ქალაქები: ინეი, სინოპი და ტრაპიზონი*“⁴. როდესაც ძმები თავისი თავის იმედად

¹ Никита Хониат, *О событиях по взятии Константинополя.*

(- , 1862), -
, . 2, 412. გეორგიკის მეექვსე ტომში მოთავსებულ ნიკიტა ხონიატეს „ისტორიის“ ქართულ თარგმანში დავით კომნე-

დარჩნენ, წარუმატებლობას განიცდიდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის მამაც დავით კომნენოსზე, რომელსაც ნიკეის იმპერატორთან, თეოდორე ლასკარისთან, უხდებოდა დაპირისპირება. „თეოდორე ლასკარისმა, შეპყარა ჯარი დავით პონტოელის წინააღმდეგ, დავითს წაართვა ქ. პლუსიადა. „ლასკარისი პერაკლიასაც აიღებდა და იქიდან საბოლოოდ გააძევებდა დავითს, რომ საკონებელში არ ჩაეგდო ცნობას ლათინების თავდასხმის შესახებ, რომლებთანაც დავითმა დაამყარა კავშირი ნიკომედიის წინააღმდეგ დახმარების შესახებ... დიდიხნის და მძიმე მერყეობის შემდეგ, მან [ლასკარისმა] გადაწყვიტა, რომ ნაკლებად სარისკო და უფრო სასარგებლო იქნებოდა დავითის მოკავშირეზე თავდასხმა...“¹ ლასკარისი მართლაც ასე მოიქცა, მაგრამ ლათინებმა თავი აარიდეს მასთან დაპირისპირებას და კონსტანტინოპოლში დაბრუნდნენ. ხიფათს გადარჩენილი დავითი მტკიცედ დამკვიდრდა პერაკლიაში. მან ლათინებს მადლობის ნიშნად რამდენიმე ხომალდით ხორბალი და სხვა საკვები გაუზიარა და განმეორებით ითხოვა მხარდაჭერა და ლასკარისთან დადებულ ხელშეკრულებებში იგი თავიანთ ქვეშევრდომად გამოეცხადებინათ. ლათინები დათანხმდნენ მის წინადადებას. ამგვარი მხარდაჭერითა და მათი დამხმარე ჯარით გათამამებული დავითი თავს დაესხა ლასკარისის სამფლობელოებს და აიკლო. მაგრამ ლასკარისმა საბოლოოდ შესძლო ლათინების დამარცხება².

ნოსის თეოდორე ლასკარისთან ბრძოლისა და ლათინებთან კავშირის დამყარების მინშენელოვანი მომენტები გამოტოვებულია, ამიტომ ვუთითებ ხონიატეს ნაშრომის რუსულ გამოცემას.

¹ Никита Хониат, *О событиях по взятии Константинополя*, 2, 414

² Никита Хониат, *О событиях по взятии Константинополя*, 2, 414-415.

ზღვის სამხრეთი სანაპიროს, იმ ტერიტორიის ანექსია, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია? ვფიქრობ,

ა) სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ თამარის საქართველოს შესწევდა ძალა მოეხდინა შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს ანექსია, მაგრამ ეს იქნებოდა ბიზანტიის მიმართ მაშინდელი დასავლეთ ევროპის პოლიტიკური აქცენტების უგულებელყოფა. მართალია მოხდა ბიზანტიის დანაწილება, მაგრამ არც ერთ იმ სახელმწიფოს, რომელიც მონაწილეობდა ბიზანტიის იმპერიის მოსპობაში, ოფიციალურად არ მოუხდენია იმპერიის რომელიმე ნაწილის ანექსია. წარმოიშვა რამდენიმე „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო;

ბ) სავარაუდოა, საქართველო, ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიების დანაწილებასთან დაკავშირებით, იზიარებდა რაღაც საერთაშორისო შეთანხმებას, რომლის შესახებ რაიმე ცნობას ჩვენამდე არ მოუღწევია¹;

გ) ესეც რომ არ ყოფილიყო, თამარ მეფის სხვაგვარი გადაწყვეტილება, მის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპს შეეწინააღმდეგებოდა;

დ) მისთვის მისაღები იყო, არა დაპყრობილი ტერიტორიის ანექსია, არამედ ახლად ჩამოყალიბებული იმპერიის ვასალობა-ქვეშევრდომობა. სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არ გავგანხნია საქართველო-ტრაპიზონის იმპერიის ურთიერთობის შესახებ ამ უკანასკნელის დაარსების შემდგომ პირველ ათწლეულში.

ქართველი მემატიანის მიხედვით, თამარ მეფის „ჰუმანური“ საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი იყო მეზობლებთან კეთილი ურთიერთობა და უსამართლოდ დანაგრულებსადმი

¹ თვარაძე ა., *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 127.

დახმარება. მისი ამგვარი საქმიანობა სწვდებოდა მეზობელ ქვეყნებსა და იქ უსამართლოდ დასჯილ ადამიანებს: „და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდ თვისად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქლაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“¹.

ძნელია იმის დაჯერება, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს ასე გულუბრყვილოდ სწამდა ის, რასაც თავის თხზულებაში თანამედროვეთა და შემდგომი თაობებისათვის წერდა, თითქოს ქართული სახელმწიფოს მიერ მეზობელთან ომის დაწყების მიზეზი მხოლოდ ის ჰუმანიური მოტივები იყო, რომელთა შესახებაც გადმოგვცემს, რომ მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის მიზნით დაიცვა გაძარცვული ბერების ინტერესები და მხოლოდ ასევე უსამართლოდ დაჩაგრული და კონსტანტინოპოლიდან გაძევებული ალექსი კომნენოსის უფლების დასაცავად მოწყვიტა იმპერიას ის ტერიტორიები, რომლებსაც იგი ასახელებს. ბასილი ეზოსმოძღვარმა, ბუნებრივია, კარგად იცოდა სამეფო კარის იმპერიული ამბიციების, იმ საუკუნოვანი პოლიტიკური წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც საქართველოსა და ბიზანტიას შორის არსებობდა. თამარ მეფემ საკუთარ თავზე განიცადა ბიზანტიის ანგელოსთა დინასტიის „სიკეთე“, მაშინ, როდესაც საქართველოდან გაძევებული გიორგი რუსი თავისი

¹ ქართლის ცხოვრება, II, 147.

„კანონიერი“ ხელისუფლების აღდგენას კეისრის მხარდაჭერით ცდილობდა; თამარ მეფე უკმაყოფილო იქნებოდა ანგელოსების მიერ ბაგრატიონთა მონათესავე კომნენოსების დინასტიის დამხობით; ანგელოსების დინასტიისადმი თამარის უკმაყოფილების გამოძვლავნებას უკანასკნელი ბიძგი მისცა კეისრის მიერ ქართველი ბერების გაძარცვამ. დაღვა ანგარიშსწორების დრო და საქართველოს მეფე ისე მოიქცა დასუსტებული მეზობლის მიმართ, როგორც მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობებს შეეფერებოდა.

ს. მარგიშვილი ედავება ფ. უსპენსკის, თითქოს მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებით ისარგებლეს კომნენოსებმა და ქართველების დახმარებით დაარსეს ტრაპიზონის იმპერია, თითქოს ეს არასწორი მოსაზრება ქართველმა ისტორიკოსებმაც გაიზიარეს. ასეთ ისტორიკოსებად იგი ასახელებს ნ. შენგელიას და ნ. ასათიანს, რომელთა ნაშრომებიდან ციტირებასაც ახდენს. ნ. შენგელია წერს: „*საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანი მომენტი იყო ისიც, რომ XII ს. უკანასკნელ ათწლეულსა და XIII ს. დასაწყისში ბიზანტიის იმპერიაში დაძაბული კლასობრივი და პოლიტიკური ბრძოლები მიმდინარეობდა და მწიფდებოდა პირობები ტრაპიზონის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოყოფისათვის. საამისო ხელსაყრელი მომენტი 1204 წელს დაღვა, როდესაც ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებით ბოლო მოეღო ბიზანტიის იმპერიის ერთიანობას. საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა ბიზანტიაში შექმნილი მეტად მძიმე მდგომარეობით, ქართველთა ლაშქარი შავი ზღვის სამხრეთ ტერიტორიებს შეუსია და ადვილად დაიპყრო. დაპყრობილ ტერიტორიაზე საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ შექმნა ცალკე სახელმწიფო*

„ქართველი ოფიციალური ისტორიკოსი“, რომელსაც ფ. უსპენსკი იმოწმებს, არის ბასილი ეზოსმოდვარი. ფ. უსპენსკი უკრიტიკოდ იღებს ქართველი მემატინის გადმოცემას და აღნიშნავს, რომ ბიზანტიის საშინაო საქმეებში ჩარევის საბაბი გახდა ბიზანტიის კეისრის მიერ თამარ მეფისაგან დასაჩუქრებული შავი მთის, ანტიოქიის, კვიპროსის და სხვა წმინდა ადგილების ბერების კონსტანტინოპოლში გაძარცვა. ბასილის დახასიათებით, „ესე ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო, და შეუტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათვის საძაგელ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარუღო მათ მონაზონთა“¹.

წყაროებისა და ვითარების ანალიზი არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ „თამარი და კომნენოსები, რომელთაც დაიწვეს თავისი გრანდიოზული გეგმის რეალიზაცია (კონსტანტინოპოლის დაპყრობა – ე. მ.) ბიზანტიაში კონსტანტინოპოლის დაცემამდე არსებული ვითარების გათვალისწინებით, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ აღმოჩნდნენ სრულიად მოულოდნელ, განსხვავებულ სიტუაციაში, რომლის დროსაც იმპერიის შიდაპოლიტიკური ძალები სავსებით სხვაგვარად აღმოჩნდნენ დანაწილებულნი ვიდრე ეს მანამდის იყო. ამ ცვლილებებისა და მის შედეგად ძალთა ახალი დანაწილების ელვისებურად განვითარებული პროცესებისთვის კი არც თამარი და არც კომნენოსები მზად არ აღმოჩნდნენ. თამარის თავდაპირველი გეგმა, აშკარად ეყრდნობოდა იმ მძლავრ ანტიჯვაროსნულ განწყობას, რაც იმ დროისათვის სუფევდა ბიზანტიის

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 142.

იმპერიაში და რომელსაც კონსტანტინოპოლის დაცემამდე არ ჰყავდა ღირსეული ლიდერი“¹.

ვფიქრობ, *თამარის კარმა თავისი საგარეო პოლიტიკის შესაბამისად, როგორც ბასიანის ბრძოლის შემდეგ (1202 წ.) საქართველოსა და რუმის სასულთნოს შორის არზრუმისა და არზინჯანის საამიროები გადააქცია ბუფერულ ზონებად, ასევე სურდა ტრაპიზონის იმპერია გადაექცია ბუფერულ ზონად ნიკეის იმპერიასთან.* ეს იყო თამარ მეფის გეგმა და იგი შეასრულა ისე, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა.

წყაროების ცნობები ნათელ ხდის, რომ საქართველოს სამეფო კარის გეგმაში შედიოდა ტრაპიზონის იმპერიის მხოლოდ იმ ტერიტორიაზე ჩამოყალიბება, რომელზეც გამეფდა ალექსი კომნენოსი. დავითის მიერ წამოწყებული სამხედრო ოპერაციები დასავლეთისაკენ, აღნიშნულ გეგმას სცილდებოდა და, სავარაუდოა, ამიტომაც არ ჩანს თამარის აქტიურობა დავით კომნენოსის დასახმარებლად, რასაც იგი საჭიროებდა ახლად (თითქმის ტრაპიზონის იმპერიის პარალელურად) ჩამოყალიბებულ იკონიის იმპერიასთან ბრძოლაში. უფრო მეტიც, მას არ ეხმარებოდა ძმა ალექსიც, რომელიც, სავარაუდოა, მოქმედებდა თამარის გეგმის მიხედვით. შეიძლება ნაწილობრივ დავითანხმობით ზ. ავალიშვილის მოსაზრებას რომ: „*დავით კომნენის 1204 წლის ასეთი სწრაფი იერიში და ბოსფორისაკენ გაქანება – ბერძნული ინტერესებით ასახსნელია და არა ქართული*

¹ მარგიშვილი ს., *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 275.

განზრახვით ანუ კარნახით¹. ნაწილობრივ იმიტომ ვამბობ, რომ დავით კომნენოსის შეტევა ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთით მდებარე ტერიტორიების დასაპყრობად ნამდვილად არ თავსდებოდა საქართველოს სახელმწიფოს გეგმაში, მაგრამ იგი ასევე არ თავსდებოდა საერთო ბერძენთა განმათავისუფლებელ და ბიზანტიის აღდგენის გეგმაში. ამ დროისათვის ბერძნული ინტერესების განმახორციელებლად აღიარებულია თეოდორე ლასკარისი.

ბასილი ეზოსმოდვრის თანამედროვე და ამბის მხილველი, იკონიის იმპერიის პირველი იმპერატორის თეოდორე ლასკარისის პანეგირისტი, ბერძენი ისტორიკოსი ნიკიტა ხონიატე, ვრცლად და სრულიად განსხვავებულად, გადმოგვცემს დავით კომნენოსის საქმიანობას, ალექსის ტრაპიზონში გაიმპერატორების შემდეგ. მან ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეკრიბა ჯარი პაფლაგონიასა და პონტოს ჰერაკლიაში, დაიქირავა მდინარე ფაზისის ნაპირებზე მცხოვრები იბერიელების რაზმი და ცდილობდა თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა სხვადასხვა ქალაქები და სოფლები, აცხადებდა რა თავის ნამდვილ ძმას, ალექსის ხელმწიფედ, თავის თავს კი იოანე ნათლისმცემელად და მქადაგებელად, მაშინ როდესაც ალექსიმ პირობა დადო, რომ არასოდეს გავიდოდა ტრაპიზონის ოლქიდან, დავითმა ნიკომედიის დაპყრობაც კი განიზრახა. ლასკარისმა გაიმარჯვა. მან დავითი აიძულა პონტოს ჰერაკლიის იქით აღარ წასულიყო.

თეოდორე ლასკარისისათვის მიუღებელი იყო დავით კომნენოსის პრეტენზიები ზღვის სანაპიროზე არსებული მნიშვნელო-

¹ ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი*, გვ. 70.

ვანი სავაჭრო ქალაქების ხელში ჩასაგდებად, რითაც ილახებოდა იკონიის სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ინტერესები. უფრო მეტიც, დავითი დაუკავშირდა კონსტანტინოპოლის ბაზაზე ჩამოყალიბებულ ლათინთა იმპერიას, რომელიც ბერძნებში აღიქმებოდა, როგორც მტრული სახელმწიფო. ამგვარი კავშირის გამო დავითი იკონიისათვის კიდევ უფრო სახიფათო გახდა

ლასკარისმა დავითს წაართვა ქალაქი პლუსიანა და განზრახული ჰქონდა ჰერაკლიის აღება, მაგრამ გაიგო დავითის დასახმარებლად წამოსული ლათინების ქალაქ ნიკომედიაზე თავდასხმის შესახებ, მიატოვა ჰერაკლია და დავითის მოკავშირეების წინააღმდეგ გაეშურა. ლათინებმა ვერ გაბედეს ლასკარისთან შებმა და ნიკომედიიდან უკან გაბრუნდნენ. ამის შემდეგ დავითი გამაგრდა ჰერაკლიაში. იმის გამო, რომ ლათინებმა საფრთხეს გადაარჩინეს, მადლობის ნიშნად დავითმა მათ რამდენიმე გემით პური და ღორი გაუგზავნა და თხოვა, ლასკარისთან საზავო შეთანხმებაში დავითი და მისი სამფლობელოები ჩაერთოთ, როგორც თავიანთი ქვეშევრდომები. დავითის თხოვნა ლათინებმა შეიწყნარეს. მოკავშირისაგან ჯარით დახმარების იმედით გათამამებულმა დავითმა, აიკლო ლასკარისის სამფლობელოები და რამდენიმე ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა. ლასკარისმა დავითთან გაგზავნილი ლათინები სასტიკად დაამარცხა¹.

არ გამოვრიცხავ, რომ ქართველი პოლიტიკოსები ახალდაარსებულ იმპერიას დიპლომატიურ დახმარებას უწევდნენ და დავით კომნენოსის ლათინთა იმპერიასთან დაკავშირება მათი

¹ Никита Хониат, *О событиях по взятии Константинополя*, 395, 415-417.

მოღვაწეობის შედეგი იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამაზე შორს ვერ წავიდოდა. ფართო მასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში ჩაბმა, რომლის წარმოშობის საბაბს დავით კომუნოსი მეზობლებთან თავისი ურთიერთობით სისტემატურად ქმნიდა, საქართველოსაგან სერიზული სამხედრო ძალის გამოყენებას მოითხოვდა. ეს კი გამოიწვედა სხვა, მისთვის უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის საგარეო ღონისძიებისაგან ყურადღების ჩამოცილებას, რაზეც ხელისუფლება ვერ წავიდოდა¹.

XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საბოლოოდ მიღწეული იქნა საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი საზრუნავი – შემოერთებინა დიდი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ისეთი ქალაქები, როგორც იყო ანისი (1200 წ.), ბიჯნისი (1201 წ.), დვინი (1203 წ.), შარვანის სავაჭრო ქალაქები, თავის კონტროლს დაუქვემდებარა ამიერკავკასიის სავაჭრო-საქარაუნო გზები, ჩამოაყალიბა ვასალური სახელმწიფო ტრაპიზონის იმპერიის სახით. მაგრამ ახალგაზრდა კომუნოსების პოლიტიკური ამბიციები მიუღებელი იყო საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისათვის. თამარ მეფეს ტრაპიზონის იმპერიის გაფართოების გეგმა არ გააჩნდა.

¹ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა და დავით კომუნოსის საქმიანობის შეფასება იხ. ვაბაშვილი მ., *თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან*, 166-183.

X. ბიოგრაფიულ-საქართველოლოგიური ურთიერთობა ჯვაროსნებთან

საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პირდაპირი ურთიერთობის ამსახველი ცნობები მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობამდე თითქმის არ გვაქვს. თუმცა ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის შეხების წერტილები დროდადრო მაინც არსებობდა, უპირველესყოვლისა, ისევ წმინდა მიწაზე. ევროპელებს არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდათ ქართველების აქტიურობა ქრისტიანული სიწმინდეების მუსლიმანთა ხელიდან გამოსხნისათვის იმავე რეგიონში, თუნდაც სალაჰ ად-დინის დროს, როდესაც თამარ მეფე მიზანმიმართულ პოლიტიკას ახორციელებდა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ლაშა გიორგის მემატეანის ნათქვამში (თამარმა „საბერძნეთისა მთაწმიდისა, იერუსალიმისა და შავ-მთისა საყდარნი და ეკლესიანი, რომელნიმე დარღვეულნი აღაშენნა, რომელნიმე მათითა საფასითა დაიკვნა ხარკისაგან უცხოთესლთასა“¹), ზოგადად გადმოცემულია საქართველოს მეფის ზრუნვა ქვეყნის გარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებზე. დარღვეული და უცხოთა ხელში მოხვედრილი ტაძრების აღდგენასა და დახსნაში იერუსალიმის სავანეები უნდა ვიგულისხმოთ, რაც, ალბათ, სალადინის სიკვდილის შემდეგ, სულთნების – ალ-აზიზის (1193-1198), ალ-მანსურისა (1198–1200) და ალ-ადილის (1200–1218) დროს მოხდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თამარის თანამოდგაწის, გამოჩენილი ნიკოლაოზ გულაბერიძის დაბრუნება იერუსალიმში და მისი გარდაცვალება 1210 წლის ახლო ხანებში ჯვრის მონასტერში².

¹ ქართლის ცხოვრება, I, 368.

² ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შეიდ ტომად, I, 716.

იერუსალიმში ქართველთა გავლენა და ევროპის ქვეყნებისათვის საქართველოს სამხედრო ძალის მნიშვნელობა ნათლად გამოჩნდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. აქვე ჩანს, გიორგი-ლამას მიერ თავისი დედის, თამარ მეფის საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელება: იგი ცდილობს ჯვაროსნებთან დაახლოებას და მათთან ერთად მუსლიმანთა წინააღმდეგ საერთო ფრონტით გამოსვლას, რაც აისახა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დოკუმენტურ და საისტორიო ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობა მიზნად ისახავდა მეოთხე ლაშქრობის (1202-1204) თავდაპირველი გეგმის განხორციელებას, რაც ეგვიპტეში შეჭრას და იქიდან იერუსალიმზე გალაშქრებას გულისხმობდა. მაგრამ მეოთხე ლაშქრობა ბიზანტიის იმპერიის მოსპობით და ე. წ. ლათინთა იმპერიის (1204-1261) დაარსებით დასრულდა.

ამჯერად, ჯვაროსნები მართლაც სირიიდან ეგვიპტეში შეიჭრნენ და 1218 წ. 30 მაისს ალყა შემოარტყეს დამიეტას. ალყა წყლიწადნახევარს გაგრძელდა, სულთანმა ალ-ქამილმა (1218-1238) ჯვაროსნებს შესთავაზა დამიეტასთვის თავი დაენებებინათ და სანაცვლოდ იერუსალიმს დაუთმობდა. ჯვაროსნებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს. პალესტინის, ტრანსიორდანიის, ცენტრალური სირიის და დამასკოს გამგებელმა ალ-მალიქ ალ-მუაზზამ იერუსალიმის გალაგნის დანგრევა ბრძანა. მისი აზრით, ჯვაროსნები იერუსალიმში თუ შევიდოდნენ და იქ გამაგრდებოდნენ, მაშინ ისინი სირიის დაპყრობასაც შეძლებდნენ. 1219 წ. 19 მარტს აიუბიანებმა სალადინის მიერ გამაგრებული იერუსალიმის გალაგნისა და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების ნგრევა

დაიწყეს. ქალაქის გარშემო არსებული თხრილი ნანგრევებით ამოავსეს და თავდაცვის ყოველგვარი საშუალება მოსპეს¹.

იერუსალიმის საფორტიფიკაციო ნაგებობების დანგრევის მიზანშეწონილობას, როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეები ჰყავდა. იერუსალიმელი ქართველები თავიდანვე ამ იდეის განხორციელების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მომხდარმა ფაქტმა მათი გულისწყრომა გამოიწვია. დაუცველ იერუსალიმში მათი სიცოცხლე და ქონება (ალბათ, მხოლოდ მონასტრები და მათი ქონება არ უნდა ვიგულისხმობთ) დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ისინი დამასკოს გამგებელს დაემუქრნენ, როგორც ამას გვამცნობს თანამედროვე აკრის არქივისეპიკოპოსი ჟაკ დე ვიტრი თავის „იერუსალიმის ისტორიაში“. ის იქვე იძლევა ქართველების დახასიათებას, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქართველების მდგომარეობასა და პოლიტიკურ გავლენაზე წმინდა მიწაზე XIII ს. პირველ მეოთხედში. *„...უფლის საფლავთან მოსალოცად მომავალნი (ქართველები – ე. მ.) წმინდა ქალაქში დროშა გაშლილნი შემოდიან და ხარკს არავის უხდიან. სარკინოზები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგანაც შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარკინოზებზე... ქართველები ძალზე აღშფოთდნენ და დაემუქრნენ დამასკოს გამგებელ კორადინს, რადგანაც მან არად ჩაავდომ მათი სურვილი და იერუსალიმის კედლების დანგრევა ინება იმ დროს,*

¹ ჯაფარიძე გ., „აჯა'იბ ად-დუნია“ აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ერთი ეპიზოდის შესახებ, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 6, თბილისი, 1999, 130-131.

როდესაც ლათინებს დამიეტასთვის ალყა პქონდათ შემორტყმული...⁴.

ჟაკ დე ვიტრის თხზულებიდან ამონარიდის ბოლო ფრაზას თუ გავიზიარებთ, მაშინ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვინ იყვნენ ის ქართველები, რომლებსაც იმდენი ძალა შესწევდათ, დამასკოს გამგებლისათვის დამუქრება გაეხდათ? როგორც ზემოთ ითქვა, მაშინ დამასკოს გამგებელი, საკმაოდ ძლიერი აღ-მაღიქ აღ-მუზხამი იყო, რომელსაც ჟაკ დე ვიტრი კორადინს უწოდებს. იერუსალიმელი ქართველები მხოლოდ ქართული მონასტრების ბერმონაზვნები არ უნდა ყოფილიყვნენ. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ აკრის არქიეპისკოპოსი აუცილებლად აღნიშნავდა. ის ქართველთა მასაში სასულიერო პირების გარდა, კომერციითა და სამხედრო საქმით დაკავებულ (დაქირავებულ) ქართველებსაც უნდა გულისხმობდეს. მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ ის ადამიანებიც, რომლებსაც მუდმივად საქმის კურსში ჰყავდათ საქართველოს სამეფო კარი იერუსალიმსა და, საერთოდ, პალესტინაში მიმდინარე ამბების შესახებ. რა თქმა უნდა, იერუსალიმელი ქართველების მუქარა შემაგრებული უნდა ყოფილიყო მეფე გიორგი-ლაშას პოზიციითა და გავლენით. მას ჯეროვან ანგარიშს უწევდნენ როგორც მუსლიმი ისე ქრისტიანი პოლიტიკური მესვეურნი მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. ამის გამო ქართველი მეფისა და მისი სახელმწიფოსადმი ინტერესი ევროპაშიც იზრდებოდა. არ შეიძლებოდა იმ ამბავს, რომელზეც ქვე-

⁴ Jacques de Vitry, *History of the Jerusalem*. Traduit from the Original Latin by A. Stewart. Palestinwe Pilgrims Text Society, XI, London, 1896, 83-84. ციტირებულია: ფერაძე გრ., *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, 30. იხ. იქვე, გ. ჯაფარიძის შენ. 21.

მთ მთქმევა მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება არ მოეხდინა იერუსალიმით და იქ არსებული სარკლესიო და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ ევროპელებზე.

იერუსალიმის გალაგნის დანგრევა იმდენად უარყოფითი ფაქტი იყო ამ ქალაქის ცხოვრებაში, რომ იგი თანამედროვეების მიერ გაიგივებული იქნა მთელი ქალაქის დანგრევასთან, რასაც, მართლაც, სერიოზული სავალალო შედეგი მოჰყვა. ლათინების თავდასხმის საშიშროების გამო, გალაგანმორღვეული ქალაქის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. მუსლიმებმა, ვინც გაქცევა ვერ შეძლეს, მეჩეთებს შეაფარეს თავი. ქალაქში დატოვილი მთელი ქონება გაიძარცვა.

საქართველო – აიუბიანთა ეგვიპტის ურთიერთობის და იერუსალიმის ქართული სახელმწიფოს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის (1217-1221) დროინდელ ამბებში მონაწილეობის ამ ეპიზოდზე საინტერესო ცნობა შემოგვინახა „სამყაროს საკვირველებანის“ უცნობმა ავტორმა. თხზულება დაწერილია XIII ს. 20-იან წლებში სპარსულ ენაზე.

ანონიმი ავტორი გადმოგვცემს: *„606 წლის შაბანს (1219 წ. 12.X-9.XI-ე.მ.), როდესაც ურწმუნოთა (ქაფირ) ხელთ ვიყავი, მელიქ აშრაფ ბ. ადილის მოციქული (რასულ) მოვიდა აბხაზის მეფესთან (მელიქ აბხაზ) და ფრანკთა (ფრანგ) გამოსვლის (ხორუჯ) ამბავს ყვებოდა. მისგან მოვისმინე, რომ ამბობდა: „ქალაქი კუდსი (იერუსალიმი–ე. მ.) დავანგრეთ და [გალაგნის] მთელი კედლები თხრილში (ხანდაკ) ჩავეარეთ. მეჩეთი აკსა, კოშკი დაუდ წინასწარმეტყველისა – მშვიდობა მასზე! – და კუმამა დავტოვეთ [ხელუხლებლად] იმ მიზეზით, რომ ფრანკთა გამოსვლამ შეგვაფიქრინა. ჩვენ ათი ათასი კაცი გვჭირდებოდა იმ ქალაქის დასაცავად და თუკი ლაშქარს იქ დავტოვებდით,*

მათთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეეძლებოდათ. ახლა კი გავიგეთ, რომ კუდსის დანგრევის გამო ნანობენ¹.

სამწუხაროდ, ანონიმი ავტორი ასე მოკლედ გადმოგვცემს საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის უაღრესად საინტერესო ეპიზოდზე. ალბათ, ეგვიპტის ელჩი იმისთვის არ მოვიდოდა საქართველოში, რომ მხოლოდ ის ეთქვა ქართველი პოლიტიკოსებისათვის, რაც მათთვის ისედაც ცნობილი იყო. მაგრამ მისი მონათხრობის განხილვისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ ის (ანონიმი ავტორი), ვინც ეგვიპტის ელჩის შესახებ გვიყვება, ტყვედ იყო საქართველოში და მას, ბენებრივია, მწირი ინფორმაცია გააჩნდა.

ელჩის ვიზიტის მიზანი უფრო ის უნდა ყოფილიყო, რომ ეგვიპტის მთავრობას იერუსალიმში დაზარალებული ქართველების პირადი და სამონასტრო ქონების კომპენსაციით შეეწყობინა ის სამხედრო აქცია, რომლის განხორციელებასაც გიორგი-ლაშა გეგმავდა და ამის გამო გარკვეული მოლაპარაკებაც ჰქონდა რომის პაპ ჰონორიუს III-სთან. რუსუდანის მიერ რომში გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „*ღამიეტში მეოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი რჩევა და ბრძანება, რომე ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად, ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში*“². ასეთივე, ჯვაროსნებისადმი დახმარების და წმინდა ადგილების მუსლიმთა ბატონობისაგან განთავისუფლების დიდი სურვილით, არის განმსჭვალული რუსუდანის მხედართმთავრის ივანე მხარგრძელის წერილიც. მასში ნათქვა-

¹ ჯაფარიძე გ., „*აჭა'იბ ად-დუნდა*“, 129.

² თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი, 1902, 7.

მია იმ უმთავრეს მიზეზზეც, რამაც შეუშალა ხელი გიორგი-ლაშას განზრახვის შესრულებაში¹.

პაპმა ინოკენტი III-მ ჯერ კიდევ 1211 წელს, პალესტინაში ჯვაროსნების გაჭირვების ქაშის, გიორგი-ლაშას სთხოვა დახმარებოდა იერუსალიმის ლათინთა მეფეს². სავარაუდოა, რომის პაპის ეპისტოლე ქართველი მეფისათვის გადაეცა მისიონერ იაკობ დე რუასანოს, დომინიკანელ ბერს, რომელიც 1211 წელს საქართველოში იმყოფებოდა³.

არსებობს ცნობა, რომ გიორგი-ლაშამ რომის პაპის, ინოკენტი III-ის ეპისტოლე მიიღო 1213 წელსაც, რომელიც თავდაპირველად გაიგზავნა ანტიოქიაში, რათა იქაურ ქართველებს ეპისტოლე ადრესატამდე მიეტანათ⁴. მასში იყო ქართველი მეფისადმი თხოვნა, დახმარებოდა ჯვაროსნებს⁵. მიჭირს გადაჭრით ვთქვა სხვადასხვა ავტორი, რომ 1211 და 1213 წლების ქვეშ გვაწვდის

¹ ტაბალუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 178-179; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 8-9.

² Michelant H., Raynaud G.. *Itinéraires en Jerusalem rediges en française*. Geneve, 1882. Societ de l'Orient Latin, 47; Richard J., *La Papauté et les Missions d'Orient ou Moyn Age (XIIIe-XVe siecle)*, Ecole française de Romne, 1977, 53.

³ *Annales Minorum seu trium ordinum a S. Francisco institutorum*. Auctore A. R. P. Luca Waddingo Hiberno. Tomus II. (1221-1237). Editio tertia. Ad Claras Aquas (Qvaracchi), 1931, 358-359.

⁴ Halfter P., *Von den Kreuzfahrerstaaten in das Konigreich Georgien. Le Museon. Revue D'Etudes Orientales*, 2008, T. 121, Fasc. 3-4, 1834, 18-34.

⁵ *Patrologie Cursus Completus. Series Latina*. Ed. Jaques-Paul Migne. Vols CCXXVI. Col. 433. დამოწმებულია: Michelant H. et Raynaud G., *Itinéraires a Jerusalem*, Genova, 1882, 47.

თითქმის ერთი და იგივე შინაარსის წერილებით პაპის მიმართ-
ვაზე საქართველოს მეფისადმი, ისინი სხვადასხვა თუ ერთი და
იგივე წერილია. გიორგი-ლაშას პაპის თხოვნის შემდეგ უნდა
გასჩენოდა აზრი მოეწყო სამხედრო რეიდი წმინდა მიწაზე და
იმავე დროს აღესრულებინა თავისი მეფე-დედის სურვილი მისი
ნეშტის იერუსალიმში დაკრძალვის შესახებ.

რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში მეფე რუსუდანი
თავისი ძმის განუხორციელებელი სურვილის, იერუსალიმის
წმინდა ადგილების განთავისუფლებაში მონაწილეობის მიღების
შესახებ, ერთგული გვეკვლინება და მზადყოფნას გამოხატავს
თავისი ჯარი, ივანე მხარგრძელის მეთაურობით, ფრიდრიხ II
შტაუფენის ჯარს შეუერთოს.

დავუბრუნდეთ იერუსალიმის დამცველი კედლის დანგრე-
ვასთან დაკავშირებით წმინდა ქალაქში მცხოვრები ქართველე-
ბისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ გამომუდგანებულ
რეა-ქციას. სავარაუდოა, დამასკოს გამგებლის მოქმედება ანტი-
ქართულ ღონისძიებად ჩათვალოს საქართველოში და მუქარის
წარმოშობის მიზეზი ეს უნდა ყოფილიყო. საქართველოს
სამეფო კარის და იერუსალიმის ქართველი მოსახლეობის უკმა-
ყოფილება იმდენად სერიოზული იყო, რომ ეგვიპტის სულთანმა
აღ-მალიქმა გიორგი-ლაშას ელჩი გაუგზავნა და მომხდარის გა-
მო სინანული გამოსთქვა.

იერუსალიმის მუსლიმი გამგებლის მოქმედებით, რაც გამო-
იხატა წმ. ქალაქის დამცველი კედლის განადგურებაში, უკმაყო-
ფილო მეფე გიორგი-ლაშამ დამიეტასთან მღვარ ევროპელ ჯვა-
როსნების მეთაურს პაპის ლეგატ პელაგიუსს სამხედრო ძალით
დახმარება შესთავაზა. ქართველი მეფის წერილი, დაწერილი
უნდა იყოს არაუადრეს 1219 წლისა, რადგან საპასუხო წერილი-
დან ჩანს, რომ დამიეტა ჯვაროსნებს უკვე დაპყრობილი ჰქონ-

დათ. პელაგიუსს წერილი გადასცა საქართველოს მეფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა – ბერმა, რომელმაც სიტყვიერადაც მოუთხრო ქართული სახელმწიფოს სიმდიდრესა და სიძლიერეზე. ქართველი მეომრების სიმამაცესა და მუსლიმანების წნააღმდეგ ბრძოლაზე. ბერს ისიც უთქვამს, რომ ჯვაროსნებისადმი დახმარებასთან ერთად გიორგი-ლამას განზრახული ჰქონდა თავისი დედის, თამარ მეფის ანდერძის სისრულეში მოყვანა, რაც ითვალისწინებდა მისი ნეშტის იერუსალიმში გადასვენებას და იქ დაკრძალვას.

უკ დე ვიტრის გადმოცემით ქართველი ბერის მონათხრობმა დიდად გაახარა კარდინალი და ჯვაროსანთა სხვა მეთაურები. პელაგიუსმა, იმავე ბერის ხელით მეფე გიორგი-ლამას დაუყოვნებლივ გაუგზავნა წერილი. კარდინალი მეფეს უწონებდა განზრახვას ჯვაროსნებისათვის შეიარაღებული ძალით დახმარების შესახებ:

„მისი უწმინდესობა პაპის ლევატი პელაგიუსი, საქართველოს ბრწყინვალე მეფე გიორგის.

ფრიად გავიხარეთ თქვენი წერილითა და ჩვენდამი ჩვენი დედა რომის ეკლესიისადმი ერთგულებით, რომლის წიადში იმყოფებიან ყველა ქრისტიანები. გვახარებს თქვენი თავდადება ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მოძღვრებისადმი, რომელსაც იცავთ თქვენს ირგვლივ მყოფი უწმინდური მუჰამედის მსახურთაგან, ანათებთ მსგავსად სინათლის წყველიადში და შროშანისა ეკლებში. დიდი იყო ჩვენი სიხარული, როცა შევიტყვეთ თქვენი გადაწყვეტილება ლაშქრობაში წასვლის შესახებ წმინდა ადგილების გასანთავისუფლებლად, იმ ადგილებისა, სადაც ჩვენმა უფალმა და მეუფემ იესო ქრისტემ გამოუთქმელ სიყვარულში მიიღო სიკვდილი ჯვარზე მოყვასის ხსნისა და სამარადისო ცხოვრებისათვის. საქებურია თქვენი აღთქმა: მოწონებას იმსა-

ხურებს თქვენი განზრახვა აღასრულოთ თქვენი ნეტარხსენებულის დედის ანდერძი¹. აღიჭურვეთ სარაციონების წინააღმდეგ და შეაიარაღეთ თქვენი ლაშქარი, რათა ღვთის წყალობით შეძლოთ რომის ეკლესიის მიერ დალოცვილებმა მტრის დამარცხება სამღრთო ომში და უფლის საფლავის განთავისუფლება. ჩვენ უკვე მივაცენეთ წარმართებს ზარალი, შემოეუარეთ ზურვიდან და, დავიკავეთ მათი მნიშვნელოვანი სიმაგრე და ქალაქი დამიეტა... ახლა ვემზადებით ახალი ლაშქრობისათვის, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ სარაციონები. იხარეთ ჯარის შეყრა და პირდაპირ გაემართეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ, **ისარგებლეთ ჩვენი ახალი შეტევით და დაიპყართ პალესტინის ქალაქები**. ღმერთის სახელით ვისურვებთ სიმტკიცესა და სიმამაცეს, რათა შეძლოთ, თქვენი საქებური დაპირებების თანახმად ღირსეულად ემსახუროთ ქრისტეს. თუ თქვენ და თქვენი გოლიათები გულიანად მოემზადებით ამ წმინდა საქმისათვის, ამისათვის ჩვენი ღმერთისაგან მიიღებთ უდიდეს საჩუქარს. თქვენს დიდებულებს ვაცნობებთ, რომ ვინც თვითონ მიიღებს მონაწილეობას ამ უროულეს საქმეში, ან თავის მაგიერ გააგზავნის ვინმეს, ან შეეწევა ფულით ან იარაღით, მათ ყველას ეუბოძებთ ჩვენს სამოციქულო შეწყალებასა და ცოდვების მიტევებას, რადგან ისინი გულწრფელად მოინანიებენ და ეზიარებიან მათში. ამჯერად წაუკითხეთ მათ ყველას თქვენს ქვეშევრდო-

¹ რამდენად რეალურად არსებობდა თამარ მეფის ანდერძი და რამდენად შეიძლებოდა დე-ბუას და პელაგიუსის წერილებში გაბეჭდილი სურვილის განხორციელება, მისი იერუსალიმში დაკრძალვის შესახებ, იხ.: მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი – თამარ მეფის საბოლოო განსასვენებელი?!, მისივე, *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი*, 219-244.

მებს, რომლებსაც თქვენი საშუალებით ვუვ ზავნით ღოცვას და აღუუთქვამთ ჩვენს მფარველობას...“¹

კარდინალ პელაგიუსის წერილმა, როგორც ჩანს, იმდენად სერიოზული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ხელისუფლებაზე, რომ დამიეტას კვლავ ეწვივნენ გიორგი-ლაშას ელჩები და მოლაპარაკება გამართეს კარდინალთან და ჯვაროსანთა სხვა მეთაურებთან. როგორც დიპლომატიური მოლაპარაკების მონაწილე კარდინალი ოლივერ პადერბონელი გადმოგვცემს, კარდინალმა პელაგიუსმა პაპის სახელით სთხოვა ქართველ ელჩებს საქართველოს მეფე ჯარით დახმარებოდა ჯვაროსნებს. ელჩებს, თავის მხრივ გიორგი-ლაშას სახელით გამოუხატავთ მზადყოფნა ჯვაროსნებს დახმარებოდნენ სირიაში².

დღეისათვის ცნობილი წერილობითი წყაროები არ იძლევა საშუალებას ვილაპარაკოთ რამდენად შეეძლოთ ქართველებს შეიარაღებული ძალით დახმარებოდნენ ჯვაროსნებს. ორი სხვადასხვა წყაროს მიხედვით გასაგები ხდება, რომ გიორგი-ლაშას სერიოზული განზრახვა ჰქონდა თავისი ხელისუფლების გააღწევის ქვეშ არსებული ტერიტორიიდან პირდაპირი სამხედრო მოქმედება დაეწყო ჯვაროსანთა მოქმედების პარალელურად, თუ ისინი დაპირებისამებრ განაახლებდნენ შეტევას სარაცინებზე.

¹ *Jacobi de Vitriaco Historia Hierosolymitana // Gesta Dei per Francos, sive, Orientalium expeditionum et regni Francorum Hierosolomitani historia /* ed. J. Bongars. - Hannoveriae, 1611. - T. 1. ციტირებულია: ..

(XII-XIII .). <http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html>

² Oliver of Paderborn. *Historia Damiatina. Die Schriften des kölnner Domscholasters, späteren Bischofs von Paderbon und Kardinal-Bischofs von S. Sabina Oliverus.* Ed. O. Hoogeweg, Tübingen, 1894, 232.

იმავე დროს მეფემ პელაგიუსის თხოვნაში ქართული მხარის მიერ პალესტინის ქალაქების დასაპყრობად სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ, კორექტივი შეიტანა და თანხმობა განაცხადა დახმარებოდა ჯვაროსნებს სირიაში.

ვფიქრობ, ქართველმა ელჩმა ჯვაროსანთა ლიდერებს კონკრეტული გეგმაც წარუდგინა, თუ რატომ იყო მათთვის მოხერხებული სირიაში შეჭრა. სავარაუდოა, ქართველებს უნდოდათ დახმარებოდნენ ანტიოქიის სამთავროს, რომელიც ტერიტორიულად შედარებით ახლო იყო ქართული სახელმწიფოს სამხრეთ საზღვართან. იმავე დროს შეიძლებოდა ქართული სამეფო კარიისათვის საინტერესო მდიდარ ხლათის სასულთნოზე გავლენის გავრცელებაც, რომელიც ჰარანისა და ალ-ჯაზირას გამგებლის ალ-მალიქ ალ-აშრაფ მუსას მფლობელობაში იყო. დამიეტაში მყოფ ჯვაროსნებს ქართველები მდგომარეობას იმითიც უმსუბუქებდნენ, რომ მათი ხლათზე ზეწოლის გამო ალ-აშრაფმა 1221 წლამდე ვერ შეძლო ალ-ქამილისათვის ქმედითი დახმარება გაეწია ეგვიპტეში¹.

ქართული სამეფო კარის განზრახვა, გაეგზავნა ჯარი იერუსალიმის წმინდა ადგილების დასაცავად, ცნობილი იყო მუსლიმი მბრძანებლებისათვისაც. მით უმეტეს, რომ დამიეტას ალების შემდეგ (1219 წ. ნოემბერი) ამ ქალაქში გიორგი ლაშას ელჩები მივიდნენ და შეხვდნენ პაპის წარმომადგენელს კარდინალ პელაგიუსს. „*ქართველები განუმტკიცებენ ჯვაროსნებს გამარჯვების რწმენას. ამ გამარჯვების შესახებ ძლიერი ხმები შორეულ ხალხებშიც კი გავრცელდა. სარკინოზები შიშით აღი-*

1

, 2002, 147.

გხნენ, ხოლო ქრისტიანები – აღუწერელი სიხარულით“ – ნათქვამია „საეკლესიო ანალებში“ 1219 წლის ამბებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც: „იმ დროს, როდესაც დამასკოს მთავარმა ქალაქ დამიეტას ალყა შემოარტყა, მასთან ქართველები მივიდნენ, რათა საღვთო ომში მონაწილეობა მიეღოთ, ომში, რომელშიც ქრისტიანთა დიდი ნაწილი იყო ჩაბმული“. ქართველების ამგვარი აქტიურობის გამო, „სარკინოზები შეშინდნენ. ქრისტიანების ძლიერებაში ყველა დარწმუნდა. ქართველებმა სულიერად იმდენად გაამხნვეეს ჯვაროსნები, რომ მათ დამასკოც კი გაათავისუფლეს“⁴.

ჯვაროსნების მიერ დამიეტას აღებისადმი ქართველთა ემოციას განსხვავებულად გადმოგვცემს ვინსენ დე ბოვე: „დამიეტას აღებამ ისინი (ქართველები – ე. მ.) აღაფრთოვანა და გააოცა. ამ ქალაქის აღების შესახებ მთელს ქვეყანაში გავარდნილმა ხმამ ქართველებს უბიძგა, ქრისტიანთა ბანაკში გაეგზავნათ წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: „ამ მოვლენამ მათი ხალხი აღავსო გულისტკივილით, ან კიდევ უფრო მეტად, სასიკეთო სირცხვილით. როდესაც მათმა მეფემ მოუხმო მთავრებს, ხალხმა გადაწყვიტა და დაიფიცა, ალყა შემოეორტყათ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქისათვის, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ქართველებისათვის სამარცხვინო იყო იმის ხილვა, თუ როგორ გადმოლახეს ფრანგებმა საშიშროებით აღსავსე უკიდევანო ზღვა, მოვიდნენ ქვეყნის დასალიერიდან და ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს ეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი, როდესაც თვითონ, ვისთვისაც უფრო ადვილი იქნებოდა

⁴ ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 75.

სპარსელებთან შებრძოლება, იარაღით აღჭურვილნი არ იპყრობდნენ დამასკს ან რომელიმე სხვა ცნობილ ადგილს¹.

შეიძლება ჯვაროსნებთან დაკავშირებული ქართველების როლს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ზოგიერთ წარმატებაში ევროპელი ავტორები აზვიადებდნენ, მაგრამ მაინც საინტერესოა იმ მასალების გაცნობა, რომლებშიც ჩანს თანამედროვე ევროპელების შეხედულება ქართველების შესახებ. თურმე „ქართველები ჯვაროსნებს ეპისტოლეებით მოუწოდებდნენ ბრძოლებისაკენ, აღაფრთოვანებდნენ მათს საბრძოლო სულისკვეთებას და აგულიანებდნენ, გაემრავლებინათ გამარჯვებები. ამასთანავე მიუთითებდნენ, რომ მათთვის სირცხვილი იქნება, თუ არ გადაწვავენ დამასკოს, არ დაიმორჩილებენ უწმინდურ ცრუმორწმუნეთა სხვა მთავარ ადგილებს და იარაღით არ შეებრძოლებიან ურწმუნოებს, როგორც ამას ადრე აპირებდნენ მეომრები“².

როგორც ვინმე ვოლტერანო წერდა, ჯვაროსნების მიერ დამასკოს აღებით გამოწვეული აღფრთოვანებით ქართველებს გადაუწყვეტიათ თვითონაც შეეციათ მუსლიმანებისათვის³. ევროპელ ისტორიკოსს მხედველობაში უნდა ჰქონდეს გიორგი ლაშას მიერ 1219 წელს წამოწყებული ლაშქრობა ნახჭევანის, ხლათისა და კარნუქალაქის წინააღმდეგ, რომელიც წარმატებით დაას-

¹ თამარაშვილი მ., *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, 473.

² ტაბალუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 75.

³ ტაბალუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 75.

რულა¹, რაც ჯვაროსნების მიერ, დამიეტის აღებასთან ერთად, აღქმული იქნა ქრისტიანთა საერთო წარმატებად.

ხმა ქართველების განზრახვის შესახებ დახმარებოდნენ ჯვაროსნებს, როგორც იმავე პერიოდის ევროპული საისტორიო ლიტერატურიდან ჩანს, ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც. ლათინურენოვანი ავტორისა და მოგზაურის, ამბების მოწმის პადერბორნის წმ. საბინას კარდინალ-ეპისკოპოსის, ოლივერუსის მიხედვით, საქართველოს მეფემ მსურვალე სურვილი გამოსთქვა ჯვაროსნებს დახმარებოდა ფრანკთა სირიაში². „იმ ერმა³ [ქართველებმა], მეტად აღშფოთებულმა და განრისხებულმა [წმინდა მიწასა და ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებით], გადაწყვიტა და დაიფიცა, მას შემდეგ, რაც მათმა მეფემ დიდებულები შეეკარა, დაეპყროთ სარკნოზების რომელიმე განთქმული ქალაქი, და აგრეთვე თქვეს, რომ მათთვის სირცხვილია [იმის ყურება], თუ როგორ მოვიდნენ ფრანკები დიდი და საშიშროებით სავსე ზღვის გავლით ზღვისგადაღმა მხარიდან, დედამიწის უკიდურეს განაპირას მდებარე ქვეყნებიდან და აიღეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი [დამიეტა] ხანგრძლივი ალყის შემდეგ, როდესაც

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 341.

² *Die Sriften des K Iner Domscholasters, späteren Bischofs von Paderbron und Kardinal-Bischofs von S. Sabina Oliverus*. Herausgegeben von Dr. Yoogoweg, Tübingen, 1894, 232-233.

³ ოლივარიუსს მხედველობაში ჰყავს ქართველები, რომელთა მეფემ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კარდინალ პელაგიუსს თავისი წარმომადგენლის ხელით წერილი გაუგზავნა და მზადყოფნა გამოაცხადა დახმარებოდა დამიეტასთვის მებრძოლ ჯვაროსან რაინდებს,

თვითონ, ვისთვისაც გაცდილებით ადვილია ურწმუნოებთან ბრძოლა, არ იპყრობდნენ დამასკოს ან სხვა რომელიმე განთქმულ ქალაქს⁴.

¹ თვარაძე აღ., *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 143.

XI. რუსუდანის საქართველოს ურთიერთობა რომთან

მესუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წარუმატებლად დამთავრების შემდეგ იყო მცდელობა ახალი ლაშქრობის მომზადებისათვის. რომის პაპის ჰონორიუს III-ის (1216-1227) მოწოდებით გიორგი-ლამამ განიზრახა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსანთა იმ ლაშქრობაში, რომელიც უნდა მოწყობილიყო უნგრეთის მეფე ანდრაშ II-ის (1205-1235) მეთაურობით. მაგრამ მალე ქართველი მეფის გეგმები სრულიად შეიცვალა: ის მონღოლების წინააღმდეგ საბრძოლველად მუსლიმ მბრძანებლებთან ერთად კოალიციის შექმნას ცდილობდა, რაც განუხორციელებელი დარჩა. რუსუდანი 1223 წელს პაპ ჰონორიუს III-ს წერდა: *„დამიეტში მყოფი შენი ელჩისაგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მიხი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ, თუ თქვენც გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათართა ცოში შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვსი ათასი კაცი ამოგვიწყვიტა. ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან ისინი ქრისტიანები გვევონა“¹*. მეფე გიორგი-ლამა მალე გარდაიცვალა. უნგრეთის საგარეო გართულებების შედეგად ჯვაროსნული ლაშქრობაც ჩაიშალა.

იერუსალიმის მეფე იოანე დე ბრიენმა (1210-1225) დასავლეთ ევროპას მიაშურა, რათა ხელმწიფეებისათვის წმ. მიწაზე შექმნილი ვითარება გაეცნო და დახმარება ეთხოვა. უპირველეს ყოვლისა, მან პაპ ჰონორიუს III-ს მოუთხრო იმ საბედისწერო როლის შესახებ, რომელიც ითამაშა პაპის ლეგატმა პელაგიუსმა ეგვიპტეში ბრძოლების დროს. იოანე ბრიენმა პაპისაგან

¹ თამარაშვილი მ., *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, 7.

მიიღო პირობა, რომ შემდგომში ჯვაროსნული ლაშქრობების მეთაური იქნებოდა იერუსალიმის მეფე და მასვე მიეკუთვნებოდა დაპყრობილი მიწები. ჰონორიუს III-მ ბრიენს ჩააგონა თავისი ქალიშვილი და მემკვიდრე იზაბელა იმპერატორ ფრიდრიხ II-ისათვის მიეთხოვებინა, რაც იერუსალიმის სამეფოს წმინდა რომის იმპერიის მხარდაჭერით უზრუნველყოფდა. იმპერატორის სიმამრობის პერსპექტივამ ბრიენი დიდად აღაფრთოვანა.

ფრიდრიხსაც მოეწონა პაპის გეგმა, რომელშიც დაინახა თავის მამის, კონრად VI-ის პროგრამის ერთი დაკვრით განხორციელების შესაძლებლობა – შეერთებინა ლათინური აღმოსავლეთი გერმანიის იმპერიასთან.

პოლიტიკური ნიშნობის წარმატებით გახარებულმა იმპერატორმა 1223 წელს ყველას აცნობა, რომ ჯვარი მიიღო და ლაშქრობის დაწყების დროდ 1225 წელი დანიშნა¹.

მეფე რუსუდანმა და მისმა მხედართმთავარმა რომში გაგზავნეს ანისის ეპისკოპოსი დავითი და მოიბოდიშეს, რომ 1221 წელს ვერ შესძლეს პელაგიუსის მოწოდებისამებრ თავიანთი ჯარით ჯვაროსნებისათვის მხარი დაეჭირათ. ელჩმა ისიც განაცხადა, რომ საქართველოში იციან იმპერატორის სამზადისზე ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის შესახებ და როცა იმპერატორი აცნობებს წმინდა მიწაზე თავისი გამგზავრების შესახებ, მთელი ქართველი დიდკაცობა მხედართმთავრის მეთაურობით წავა სალაშქროდ. პაპმა წერილითვე უპასუხა, რომ იმპერატორი მალე გაემშურება წმინდა მიწაზე. პაპმა ქართველ ჯვა-

¹ Grousset G., *Histoire de Croisades et du royaume franc de Jerusalem*, III, Paris, 1936, 272.

როსნებს უწყალობა ყველა ის პრივილეგია, რომელიც მიიღეს ლათინებმა¹.

ახალგამეფებულმა რუსუდანმა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის შენარჩუნებისათვის, ძმის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება განიზრახა. ამიტომაც მან პაპს მიმართა: „დიდად გავიხარეთ, როდესაც შევიტყეთ, რომ შენი ბრძანებით იმპერატორს მართებს, წმინდა ადგილების დასახსნელად ახლა სირიაში გადავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედართმთავარს ივანეს, მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმინდა საფლავის გასანთავისუფლებლად. ჩამოვლენ იმ ადგილას, სადაც მას უბრძანებთ ჩასვლას“².

საქართველოს ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი პაპს თავისი წერილით დამატებით აცნობებდა, რომ „როგორც მე, აგრეთვე ჩვენის ქვეყნის ყველა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან. ამისათვის ვევედრებით და ვსთხოვთ თქვენს უწმინდესობას, რათა მოგვწეროთ და გვიბოძოთ თქვენი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მყოფ ქრისტიანებს. ამ წერილის მომტანს, ჩვენს საყვარელ დავითს³, ანის ეპისკოპოსს, ისე

¹ Pressuti, *Regesta Honorii papae III*, I, LV. დამოწმებული ქ. რიშარის ნაშრომის მიხედვით.

² ტაბაღუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, თბილისი, 1984, 177; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 8.

³ რუსუდანის მიერ რომში გაგზავნილი ელჩი დავითი სომეხი ქალკედონიტი ეპისკოპოსი იყო. ..

(XII-XIII .). ეს საინტერესოა, იმდენათ, რამდენადაც საქართველოს სამეფო კარი სომეხ ქალკედონიტ ანუ მართლმადიდებელ

ერწმუნეთ ყველაფერში, ვითომც ჩვენის პირისგან გსმენოდესთ“¹.

საყურადღებოა, ივანე მხარგრძელის მიერ პაპთან წერილის გაგზავნა რუსუდან მეფის წერილთან ერთად. დგება კითხვა: რა მოსაზრებით უნდა მომხდარიყო ამგვარი პარალელიზმი, მაშინ, როდესაც წერილები თავისი შინაარსით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. მსგავსი ფაქტი (მეფისა და მისი მთავარსარდლის მიერ წერილების ცალ-ცალკე გაგზავნა ერთი და იმავე ადრესატისადმი ერთსა და იმავე დროს), რამდენადაც მახსოვს, ერთიანი საქართველოს მონარქიის პირობებში მეორე არ გაგვაჩნია. შეიძლება ვარაუდი, რომ ეს შემთხვევა არ უნდა იყოს რუსუდანის ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელი. მგონია, მეფე და მისი სპასალარი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მათ უნდოდათ დაერწმუნებინათ ევროპულ ჯვაროსანთა მეთაურები, რომლებიც სირია-პალესტინაში ყოველთვის თავიანთი ვასალების ჯარებით იბრძოდნენ, და მათთვის გასაგები გაეხადათ, რომ საქართველოს მეფე სერიოზულად ემზადებოდა ახლო აღმოსავლეთში სამხედრო კამპანიის დასაწყებად და მასთან ერთად მზად იყვნენ მისი ვასალებიც – მხედართმთავარი და სხვა დიდებულები. თუ ჩემი ვარაუდი სიმართლესთან ახლოა და რუსუდანისა და ივანე მხარგრძელის წერილები არ გვიჩვენებს „ივანე ათაბაგის წრეგადასულ ძალაზე რუსუდანის სუსტი მმარ-

სასულიერო პირებს პერიოდულად იყენებდა თავის დიპლომატიურ სამსახურში.

¹ ტაბაღუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 177; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 9.

*თველობის დროს*¹, ეს კიდევ ერთი მაგალითი იქნება იმისა, რომ ქართველებისათვის უცხო არ იყო ევროპული სამყარო, კერძოდ, იცნობდნენ ევროპელი ჯვაროსნების ჯარის სტრუქტურას და მის იერარქიას. ივანე მხარგრძელი, მეფე რუსუდანის ვასალი და იმავე დროს მეფის სხვა ვასალების მეთაური, მზად არის „არჩეული“ მეფის ბრძანება შესარულოს. სპასალარის წერილში ქართველი მეფის არჩევაზე ყურადღების გამახვილებაც მინიშნებაა ევროპის ქვეყნებში ვასალების მონაწილეობაზე ახალი მეფის ხელდასხმაში, ჩანს, საქართველოს სამეფო კარის სურვილი ხაზი გაესვას ევროპულ – იერუსალიმის სამეფოს და ქართული ფეოდალური კონსტიტუციების მსგავსებას, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

ჟ. რიშარი წყაროზე მითითების გარეშე აღნიშნავს: *„ქართველებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ ლათინებთან სირიაში უფლის საფლავის საკათედრო ტაძრის მღვდლებისა და ბერების შუამავლობით“*.

პაპმა დაუყოვნებლივ (1224 წ. 12 მაისს) უპასუხა რუსუდანსა და ივანე მხარგრძელს. მეფისა და მისი მხედართმთავრის მიერ გაგზავნილი წერილების მიზანი იყო რომსა და დასავლეთის ჯვაროსნულად განწყობილი ქვეყნების მეთაურებისათვის ეცნობებინათ თავიანთი მზდყოფნის შესახებ, აქტიურად მიიღებდნენ მონაწილეობას მომზადების სტადიაში არსებულ მორიგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. პაპი რუსუდან მეფეს სწერდა: *„ხოლო რაც შეეხება იმას, რომ შენ გსურს შეიტყო ქრისტეს მიერ საყვარელი შეილის, რომაელთა ბრწყინვალე... იმპერატორის, სიცილიის მეფის, ჩვენი ფრიდრიხის სალაშქროდ წასვლის დრო,*

¹ თვარაძე აღ., *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 131.

გეთავაზობ რა შენს დახმარებას და მონაწილეობას წმ. მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ვაქებთ უფლის მიერ შენს მისწრაფებას, ამ წერილით მოვახსენებთ, რომ იმპერატორს განზრახული აქვს მიიღოს მონაწილეობა ურწმუნოთა ხელიდან წმ. მიწების განთავისუფლებაში დიდშეგნირებით და დიდსულღონებით წმ. იოანეს დღესასწაულიდან ერთი წლის შემდეგ, დიდძალი მორწმუნეებით და მთელი აღჭურვილობით, ქრისტეს შემწეობით, ისე როგორც ეს შეეფერება იმპერატორის დიდებულებას.

შემდეგ მიუვითითებთ შენს უბრწყინვალესობას და მოუწოდებთ მას უფლის მიერ, რათა შენი საქებარი დაპირებისა, ეცადო და ისე მოამზადო შენი ლაშქარი, რომ შესძლო შენი დიდებულებისათვის ღირსეული სამსახური გაუწიო უფალ იესო ქრისტეს.

რათა შენ და შენი ქვეშევრდომები უფრო მეტი გულმოდგინებით და უფრო მეტი ღვთისმოსაობით ემზადებოდეთ ესოდენ წმინდა საქმისათვის, რითაც დიდ სამსახურს გაუწევთ უფალს, შენს ერთგულებას ვაუწყებთ, რომ ვინც ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს: ან თვითონ წავა თავის ხარჯზე, ან თუ თვითონ ვერ წავა, მაგრამ შესაძლებლობის მიხედვით, თავის ხარჯზე შემცველად ადამიანს გაეზავნის, ასევე ისიც, ვინც სხვის ხარჯზე პირადად მიიღებს მონაწილეობას – ყველა ისინი მიიღებენ მოციქულებრივ შენდობას ყველა ცოდვის მიტევებით, რასაც ისინი ჭეშმარიტად მოინანიებენ აღსარების თქმის დროს.

ასეთივე შენდობას დაიმსახურებენ ლაშქრობის სხვა მონაწილეებიც მათი წვლილისა და მისწრაფების მიხედვით, რომელთაც ისინი გამოიხევენ, დაეხმარებიან რა წმ. მიწას თავიანთი ქონებით ან ზემოაღნიშნული მოქმედებით. ამ იმდენად დიდ ინდულგენციას, რომელიც დამტკიცებულია წმინდა და

მსოფლიო ეკლესიის კრების მიერ, ჩვენ ვუბოძებთ ყველა ქრისტიანს, ხოლო განსაკუთრებით შენ და შენი სამეფოსა და მმართველობის ქვეშ მყოფ ყველა ქვეშევრდომ ქრისტიანს.

შენ გაეცი განკარგულება, გამოუცხადონ ამ წერილის შინაარსი შენს ქვეშევრდომ ქრისტიანებს, რომლებსაც ჩვენ შენი თხოვნით ვუბოძებთ მოციქულებრივ ღოცვა-კურთხევას. გაპირდებით რა შენც და მათაც, ყველა შესაფერის შემთხვევაში, სამოციქულო საყდრის კეთილგანწყობილებას და მოწყალებას.

დაწერილია ლატერანში მაისის დღეებში, ჩვენი პაპობის მერვე წელს⁴.

როგორც აღინიშნა, პაპმა იმავე დროს წერილით, მოკლედ უპასუხა მხედართმთავარ ივანე მხარგრძელს: „ამასთან დაკავშირებით ვაცნობებთ შენს დიდსულოვნებას იმის შესახებ, რაც შენ გაიგე ქრისტეს მიერ დამსახურებულ შეილზე, ჩვენს უავგუსტოეს ფრიდრიხზე, რომის ბრწყინვალე იმპერატორისა და სიცილიის მეფეზე, წმ. მიწებთან დაკავშირებით, ჰემშარიტებას წარმოადგენს.

იმპერატორს განზრახული აქვს, შეუდგეს წმ. მიწების განთავისუფლებას თავისი ჩვეულების მიხედვით, დიდმშენიერებით და დიდსულოვნებით².

1223 წელს ვერონის საეკლესიო კრებამ გერმანიის იმპერატორსა და სიცილიის მეფეს ფრიდრიხ II-ს (1212-1250) წმინდა

¹ ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, თბილისი, 1984, 180-182; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე, 476-477.

² ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, 183-184; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე, 477-478.

მიწაზე ლაშქრობისათვის დასაწყებად 1225 წლის ივნისი დაუდგინა. პაპის წერილების მიღების შემდეგ, საგულისხმოა, საქართველოში სერიოზულ მზადებას შეუდგნენ, რათა იმპერატორს ამოსდგომოდნენ მხარში და თავიანთი წვლილი შეეტანათ წმინდა მიწის განთავისუფლების საქმეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს XIII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინის ერთი ცნობა, რომელშიც ქართველების ჯვაროსნებისადმი დახმარების განზრახვაზე და მათ მიერ, ამ მხრივ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები უნდა იყოს აღნიშნული. ჩანს, საქართველოს მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში იცოდნენ ქართველების მიერ დაგეგმილ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისათვის მზადების შესახებ, რომლის მიზანი თავრიზისა და ბაღდადის დაპყრობა იყო. ჯუვეინი გადმოგვცემს: *„უგვანო და ურწმუნო ქართველებმა განიმტკიცეს ხარბი სურვილი ვილაიეთის დასაკუთრებისა¹, რათა პირველ რიგში სულთანს განედევნათ და თავრიზის მხარე დაეპყროთ, შემდეგ ბაღდადს წასულიყვნენ, კათალიკოსი დაესვათ ხალიფას ადგილზე, მეჩეთები ეკლესიებით და ჭეშმარიტება სიცრუით შეეცვალათ. ამ პატივმოყვარე სურვილისა და ამპარტავანი უგუნურების გამო, თავისი ხალხის სიმამაცისა და ბასრი შუბებისა და მახვილების იმედით ჯარი შეკრიბეს, ოცდაათ ათასზე მეტი კაცი გაამზადეს და დაიძრნენ²“*. ჯუვეინის მიხედვით ეს ის ქართ-

¹ იგულისხმება ირანი და აზერბაიჯანი, რომლის გამგებელი იყო ათაბეგი უზბეგი (1210-1225).

² ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმიღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი, 1974, 28-29.

ველთა ჯარი იყო, რომელიც ჯალალ ად-დინმა სომხეთში, გარნისთან დაამარცხა 1225 წელს.

ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობის სხვა ვერსიის მიხედვით, ფრიდრიხ II-ის გეგმები შეიცვალა. ის იერუსალიმის მეფის, იოანეს მემკვიდრე იოლანტაზე დაქორწინდა და ჰონორიუს III-ს დაპირდა, რომ აუცილებლად მოაწყოდა ჯვაროსნულ ლაშქრობას პალესტინაში არაუგვიანეს 1227 წლის აგვისტოსი. ამ წლის მარტში გარდაიცვალა პაპი ჰონორიუსი და ტახტი დაიკავა გრიგორი IX-მ (1227-1241). ფრიდრიხი მართლაც წავიდა დაპირებულ ლაშქრობაში, მაგრამ მალე უკან დაბრუნდა ავადმყოფობის მიზეზით. მისი ჯარი გაიფანტა. პაპსა და იმპერატორს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

პაპსა და იმპერატორს შორის განხეთქილების გამო იყო, რომ გრიგორი IX-მ შემდგომში ქართველებს აღარ მოუწოდა იმპერატორთან ერთად გაელაშქრათ პალესტინაში, შეიძლება მიმართა, მაგრამ ასეთი საბუთი ცნობილი არ არის. ესეც რომ არ ყოფილიყო საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ დახმარებას მაინც ვერ მიიღებდა.

1225-1230 წლებში საქართველომ ჯალალ ად-დინის გამანადგურებელი შემოსევები განიცადა, 30-იან წლებში იგი მონღოლებმა დაიპყრეს. გასაჭირში ჩავარდნილმა მეფე რუსუდანმა, რატკმა უნდა, დახმარებისათვის პირველ რიგში მიმართა იმათ, ვისადმი დახმარებისათვის მზადყოფნას ყოველთვის გამოხატავდა თვითონ და მისი წინაპრებიც. რუსუდანმა, როგორც ჩანს პაპს წერილი გაუგზავნა თავისი და უფლისწული დავითის (შემდგომში დავით VII ნარინი) სახელით. მეფისა და უფლისწულის წერილის შინაარსს ვიკებთ პაპ გრეგორი IX-ის საპასუხო წერილიდან, რომელიც დათარიღებულია 1240 წლის 13 იანვრით. პაპი დახმარების სანაცვლოდ ადრესატებს დასავლეთის ქრისტი-

ანების გასაჭირზე მოუთხრობს: „ამრიგად, ჩემო შვილნო ნუ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის მხედრობა არ მოვა ხსენებული თათრების წინააღმდეგ თქვენს დასახმარებლად, ვინაიდან ამისი საშუალება არ მოგვცეს ბიწიერმა სარკინოზებმა, რომლებიც ჩვენს და თქვენს შორის იმყოფებიან და რომელთა განდევნასაც ვცდილობთ ხსენებული სირიიდან. ამასთანავე ტერიტორიული სივრცე, რომელიც ჩვენს შორისაა, რომელმაც ჩვენამდე ძლივს გამოატარა თქვენი ამბები, საშუალებას არ გვაძლევს, თქვენს დასახმარებლად მოვიდეთ, რამდენადაც მთელი ძალებით ვცდილობთ დავიცვათ ქრისტიანული სარწმუნოება იტალიასა და ხსენებულ ქვეყნებში – სირიასა და ესპანეთში“¹. სამხედრო დახმარებაზე უარის თქმის შემდეგ, პაპი მეფე რუსუდანს უწონებს საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების სურვილს, რაც ივ. ჯავახიშვილის აზრით რუსუდანმა პაპს მისი გულის მოგების მიზნით შესთავაზა. „როგორ პქონდა საქართველოს მეფეს ეს შეერთება წარმოდგენილი და ვის მიერ იყო ეს აზრი ნაკარნახევი, არა ჩანს, იქნება იმიტომ, რომ რუსუდანის ეპისტოლის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, რომის პაპს კი ეს სურვილი ისე გაუგია, ან მხოლოდ ისე უნდოდა წარმოდგინა, რომ ეკლესიათა შეერთების მაგიერ რომის პაპის უზენაესობა ცნობილი ყოფილიყო, ხოლო ქართული ეკლესიის მღვდელმთავარს მეორეხარისხოვანი ადგილი მიჰკუთნებოდა“². რა თქმა უნდა, საქართველოს სამეფო კარი,

¹ ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 189; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 15.

² ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, 110.

როდესაც პაპს ეკლესიათა შეერთებას სთავაზობდა, ამ ნაბიჯს „უფრო პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი“¹, მასში სამხედრო ძალების გაერთიანებას და მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლის ტვირთის შემსუბუქების შანსს უფრო ხედავდა.

ძნელია დაჯერება იმისა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ვიდრე, რომელიმე სახელმწიფოს დახმარების თხოვნით მიმართავდნენ, მანამდე არ ეფიქრათ და არ აეწონ-დაეწონათ, პრაქტიკულად რამდენად შესაძლებელი იყო დახმარებისა მიღება იმისგან ვისაც ასეთი თხოვნით მიმართავდნენ. მთავარი მეორე მხარისგან მზადყოფნა იყო. რა თქმა უნდა, უცნაურად ჟღერს პაპის არგუმენტი შორი მანძილის გამო საქართველოსათვის დახმარების გაწევის შეუძლებლობის შესახებ, მაშინ, როდესაც, ამაზე ადრე იგივე მანძილით დაშორებისა და დაბრკოლებების არსებობის პირობებში იგივე პაპი ქართველებს დახმარებას სთხოვდა. რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რაზეც პაპი თავის წერილში საერთოდ არაფერს ამბობს: სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლამ პაპსა და იმპერატორს შორის აპოგეას მიაღწია XIII ს. 30-იან წლებში. ერთი პირობა ფრიდრიხმა პაპი რომიდანაც კი გააძევა, სამაგიეროდ პაპმა იმპერატორი ეკლესიიდან განკვეთა 1239 წელს.

მაშინაც კი, როდესაც საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშ იყო, ევროპაში, განსაკუთრებით რომში, მის მიმართ ინტერესი, როგორც საქრისტიანოსათვის დასაყრდენი ძალისადმი, მაინც არსებობდა. ახლო აღმოსავლეთში, საქართველოსა და მონღოლთა იმპერიაში ნამყოფი მისიონერებისა და მოგზაურების საშუალებით ევროპაში, კერძოდ, პაპის სახელმწიფოში, იცოდ-

¹ ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, 1966, 111.

ნენ ქართველების მონაწილეობაზე მონღოლთა იმ დაპყრობით ლაშქრობებში, რომლებიც იერუსალიმისა და ეგვიპტის ეწყო-ბოდა¹.

საქართველოსადმი პაპის სახელმწიფოს ყურადღების და მუდ-მივი ურთიერთობის შენარჩუნების სურვილით (სხვა მიზეზებთან ერთობლიობაში) უნდა აიხსნას 1233 წელს ფრანცისკანელების და 1240 წელს დომინიკანელთა მისიონების დაარსება.

¹ 50-იანი წლების დასასრულიდან ქართველები მონაწილეობენ მონღოლთა ლაშქრობებში მამლუქთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ილხანთა პირველი ლაშქრობა მესოპოტამიასა და სირია-პალესტინაში დაიწყო 1259 წელს და მათთან არის დავით ულუ თავისი მხედრობით. მონღოლ-ქართველთა ლაშქარმა 1260 წ. სექტემბერში სასტიკი მარცხი განიცადა.

ქართველები ასევე მონაწილეობდნენ მონღოლებისა და მამლუქების ომში 1277 წელს, როდესაც სულთან ბაიბარსი (ალ-ზახირ რუკნ ად-დინ ბაიბარს I, ეგვიპტის სულთანი – 1260-1277) რუმის სასულთნოში შეიჭრა. მონღოლებმა ეს ომიც წააგეს.

1281 წლის 30 ოქტომბერს პომისის ხეობაში მომხდარ ბრძოლაში, რომელშიც 5 ათასი ქართველიც მონაწილეობდა, კვლავ მამლუქებმა გაიმარჯვეს. საქართველოს მეფე დემეტრე II (1271-1289) სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

XII. საქართველო-რომის ურთიერთობა მონღოლთა ბატონობის დროს

მ. თამარაშვილმა წამოაყენა თეზა: „რადგან ხელთ არ გვაქვს უფრო ცხადი საბუთი, რომელსაც შეეძლოს გარდაწვევით გვიჩვენოს რომისა და საქართველოს სარწმუნოებრივის ერთობის გამძლეობა თუ ამ დროს და თუ ამის შემდეგს წლებში, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ერთობა მტკიცედ დაცულა, ვიდრე 1230 წლამდე, ხოლო ამ ხანების შემდგომ მომხდარა განცალკევება, მაგრამ რომელ წელში, ანუ რა შემთხვევაში, ეს ჯერ არ სჩანს“¹. ამ „გაუგებრობის“ ასახსნელად უნდა ითქვას შემდეგი: მონღოლები პირველად გამოჩნდნენ დასავლეთის ქრისტიანების ხედვის არეში 1221-1222 წლებში, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. მათი გამოჩენა ევროპაში აღქმული იქნა სიხარულითა და იმედით, რადგან ისინი მიიჩნიეს ქრისტიანებად, რომლებსაც მეთაურობდა ლეგენდარული იოანე ხუცესი. ქრისტიანი მეფეები მასში ხედავდნენ მოკავშირეს იმ სარაცნების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც წმინდა მიწისათვის ებრძოდნენ. შექმნილი ვითარება, როგორც პაპის კურიაში ფიქრობდნენ, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სხვა გეგმების განსახორციელებლად. პაპმა გრეგორი IX-მ ჯვაროსნულ ლაშქრობებს მიმართულემა შეუცვალა და ჩრდილოეთისკენ, კერძოდ, რუსეთისაკენ (ფსკოვისა და ნოვგოროდის რესპუბლიკები) წარმართა.

მაგრამ, როდესაც მონღოლებმა დაიპყრეს ქრისტიანული ქვეყნები – რუსეთი, საქართველო და სომხეთი, ამის შემდეგ საბო-

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 15.

ლოდ გაიფანტა ევროპელთა იმედები აღმოსავლეთიდან მოვლენილ „მხსნელთა“ მიმართ.

ეგვიპტესა და ირანის ილხანთა სახელმწიფოს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა სირია-პალესტინისათვის. პალესტინის განთავისუფლება ეგვიპტის ბატონობისაგან ევროპელი კათოლიკების ოცნებაც იყო. ამდენად, მონღოლების ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლა უკანასკნელს დაასუსტებდა. მონღოლების და კათოლიკეთა ეგვიპტის წინააღმდეგ ცალცალკე შემუშავებულ გეგმებში გარკვეული როლი მინდობილი ჰქონდა საქართველოს. ორივესთვის ცნობილი იყო ქართველების დიდი ინტერესი პალესტინის სიწმინდეების განთავისუფლებისადმი. როგორც ირკვევა, მონღოლებმა იცოდნენ, რომ რომი დაინტერესებული იყო ქართველთა შეიარაღებული ძალის გამოყენებით იერუსალიმის გასანთავისუფლებლად. თავის მხრივ რომშიც ცნობილი იყო, რომ საქართველოში მონღოლები ბატონობდნენ, მაგრამ მას მაინც შენარჩუნებული ჰქონდა დამოუკიდებლობის სიმბოლოები, უპირველესყოფლისა, სამეფო ხელისუფლება. ქართველი მეფეები თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ მონღოლთა დაპყრობით ომებში. სავარაუდოა, რომ პაპის კურიაში ისიც იცოდნენ ქართველ მეფეებს გარკვეული გავლენა რომ ჰქონდათ ილხანთა კარზე, ითვალისწინებდნენ, აგრეთვე, ქართველთა დიდ ინტერესს პალესტინის სიწმინდეებისადმი და ამიტომ პაპმა ნიკოლოზ IV-მ (1288-1292) საქართველოს მეფეებს დავით VI ნარინს და დემეტრე II-ს (უკვე დაღუპულს) 1291 წელს დახმარება სთხოვა წმინდა მიწის დასახსნელად. პაპი თავის წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „... მუდამ მზრუნველნი ქრისტიანების საკეთილდღეოდ, დიდად ვნატრობთ და ვცდილობთ ღვთის შემწეობით, წმიდა ადგილების ხელმეორედ დახსნას... ამიტომ იესო ქრისტეს სახელით და მისი პატივისცემისათვის შევაგუ-

ლიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელ შვილსა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განემზადოთ მთელის თქვენის სამეფოთი და ქვეშევრდომებით და, ესრეთ თქვენის ცდით და ეგრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით, კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე ღვთის სადიდებლად, ყველა ქრისტიანების სასიქადულოდ და თქვენ საუკუნო გასაბედნიერებლად...⁴. რა თქმა უნდა, ადრესატები ვერ გამოეხმაურებოდნენ პაპის მოწოდებას. დემეტრე II 1289 წელს უკვე მოკლული იყო, ხოლო დავით ნარინს მონღოლებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და ეგვიპტის სულთანთან მოკავშირეობას ცდილობდა. მაგრამ, ამჯერად, მიზანშეწონილად მიმაჩნია პაპის წერილისადმი ყურადღების მიქცევა სხვა კუთხით.

რომის პაპის მიერ 1291 წელს საქართველოში გამოგზავნილ წერილს წინ უსწრებდა ირანის მონღოლი გამგებლის არღუნხანის (1284-1291) მიერ 1289-1290 წლებში გაგზავნილი ელჩობა, რომელსაც პაპი და ევროპის სახელმწიფოები ეგვიპტის წინააღმდეგ უნდა დაერაზმა ახალი ჯვაროსნულ ლაშქრობისათვის და გამარჯვების შემთხვევაში, საფრანგეთის მეფეს იერუსალიმის გადაცემას ჰპირდებოდა². ფილიპე IV ლამაზს ისიც მოახსენეს,

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 21.

² კიკნაძე ვ., *ახალი შტრიხები საქართველოსა და ეროპის ურთიერთობის ისტორიიდან XIII-XIV საუკუნეებში*. II საერთაშორისო სიმპოზიუმი – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. კრებულში: სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი. ლიტერატურა, კულტურა, ცნობიერება (მასალები), თბილისი, 2009, 60.

რომ არღუნის ჯარში იქნებოდა ორი ქართველი მეფე 20 ათასი და მეტი ცხენოსნით. ქართველ მეფეებში იგულისხმებიან ქართლის მეფე ვახტანგ II (1289-1292) და დასავლეთ საქართველოს მეფე დავით VII ნარინი¹.

არანაკლები მნიშვნელობის ცნობად უნდა ჩაითვალოს არღუნ-ხანის მიერ პაპთან გაგზავნილი ელჩებიდან ორი რომ ქართველი იყო. ვ. კიკნაძის ვარაუდით, ისინი იყვნენ აბულეთისძეთა გვარიდან, რომლებსაც პაპის კარზე კათოლიკობა მიუღიათ და სახელებიც შეუცვლიათ: ძაგანი – ანდრე, ხოლო გიორგი – დომინიკე გამხდარა². რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი რომში სარწმუნოებას იცვლიან, სავარაუდოა, პაპის მოთხოვნით.

შემთხვევითი არ უნდა იყოს არღუნის მიერ პაპთან და ქრისტიანულ ევროპაში გაგზავნილ ელჩობაში დიპლომატიური ურთიერთობის გამოცდილების მქონე ქართველების ჩართვა. დიპლომატიურ მისიაში ქრისტიანების ჩართვას, თანაც აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნიდან – საქართველოდან, ევროპაში მეტი ნდობით მოეკიდებოდნენ.

დავუბრუნდეთ პაპ ნიკოლოზ IV-ის მიერ ქართველი მეფეებისათვის გაგზავნილ წერილს. მასში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ სამხედრო დახმარების მოხონეული პაპი ქართველებს კათოლიკობის აღიარებას და ეკლესიების შეერთებას არ სთხოვს. აქვე ერთიც უნდა ითქვას: მ. თამარაშვილი, თავის შე-

¹ კიკნაძე ვ., *ახალი შტრიხები საქართველოსა და ეროპის ურთიერთობის ისტორიიდან XIII-XIV საუკუნეებში*, 61.

² კიკნაძე ვ., *ახალი შტრიხები საქართველოსა და ეროპის ურთიერთობის ისტორიიდან XIII-XIV საუკუნეებში*, 62.

სანიშნავ წიგნში გამოქვეყნებული დოკუმენტების არსის საპირისპიროდ ამტკიცებდა, რომ „*მეცამეტე საუკუნეში ისევ ყოფილა ერთობა ლათინთა და ქართველთა შორის*“⁴, რაც, როგორც ვნახეთ, სიმართლეს არ შეეფერება. ვფიქრობ, პაპებმა უკეთესად იცოდნენ არსებობდა თუ არა ერთობა ამ ორ ეკლესიას შორის. მათი ეპისტოლეები ხომ ორ ეკლესიას შორის განხეთქილების აღმოფხვრას ისახავდა მიზნად.

ის ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელში მონაწილეობასაც რომი ქართველ მეფეებს სთხოვდა, ვერ განხორციელდა. იმის გარდა, რომ საფრანგეთის და ინგლისის მეფეებმა მხარი არ დაუჭირეს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის იდეას, ერთმანეთის მიყოლებით, ჯერ არღუნი (1291 წ.), შემდეგ კი პაპი ნიკოლოზ IV (1292 წ.) გარდაიცვალა.

1299-1313 წლებში მონღოლებმა სამჯერ გაილაშქრეს ეგვიპტის წინააღმდეგ, სამივე ლაშქრობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მეფე ვახტანგ III (1298/1299 და 1302-1308) და სამცხის ათაბაგი ბექა ჯაყელი (1285-1306). პირველი ლაშქრობა წარმატებით დაიწყო და ქართველები მონღოლებთან ერთად, მცირე ხნით, იერუსალიმს დაეუფლნენ. ასეთ მდგომარეობას ქართველები, ალბათ, წმ. ქალაქში თავიანთი უფლებების აღსადგენად გამოიყენებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ ცნობას არ მოუღწევია. საბოლოოდ ეს ლაშქრობა, ისევე როგორც შემდგომი ორიც, წარუმატებლად დასრულდა. იერუსალიმი მამლუქებს დარჩათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეგვიპტის მამლუქი სულთნები, რომელთა ხელისუფლება სირია-პალესტინაზეც ვრცელდებოდა, ქართველების მიმართ გარკვეულ პოლიტი-

⁴ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 23.

კას შემუშავებდნენ, რომელშიც კორექტივები შეჰქონდათ სიტუაციების მიხედვით: ურთიერთობის გამწვავება ხდებოდა საომარი ოპერაციების დროს, ხოლო ომებს შორის მშვიდობიანობისას ურთიერთობის დარეგულირებას შეეცდებოდა როგორც ერთი ისე მეორე მხარე.

მართალია, ქართველები იღსანთა ლაშქრობებში, ძირითადად იძულებით მონაწილეობდნენ, მაგრამ როდესაც ისინი მამლუქთა ეგვიპტის წინააღმდეგ საომრად მონღოლებთან ერთად მიდიოდნენ, ამ დროს „*მათი ბრძოლა საკუთარი ინტერესებიდანაც გამომდინარეობდა. საქმე ისაა, რომ ქართველები ცდილობდნენ მამლუქი სულთნების მიერ მიტაცებული პალესტინის წმინდა ადგილების, კერძოდ კი ჯვრის მონასტრის დაბრუნებას და იქ თავიანთი კანონიერი უფლებების აღდგენას, მაგრამ ამისათვის საკუთარი ძალა არ ჰყოფნიდათ. ამიტომაც ისინი გამოდიოდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ მებრძოლ ირანელ მონღოლებთან ერთად საღლაშქროდ და ამით, თუ ერთი მხრივ იღსანის ბრძანებას ასრულებდნენ, მეორეს მხრივ, თავის საქმესაც აკეთებდნენ*“⁴.

⁴ სილაგაძე ბ., *მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის*. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, თბილისი, 1968, 92.

XIII. ქართულ–ლათინური ეკლესიების ურთიერთობა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს

შეთანხმებული ურთიერთობა (XII-XIII საუკუნის პირველ მეოთხედი)

ქართველების ჯვაროსნებთან ურთიერთობაზე საუბრისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ: 1. ქართული სახელმწიფოს ურთიერთობა ჯვაროსნების სახელმწიფოსთან; 2. იერუსალიმის ქართული სახელმწიფოსი და პალესტინა-სირიაში მცხოვრები ქართველების ურთიერთობა იერუსალიმის სამეფოსა და ჯვაროსანთა ცალკეულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან; 3. ქართული და ლათინური ეკლესიების ურთიერთობა.

მემატიანის ნათქვამი („სპანი ახალი დავითისანი წყობათა დავითისათა იერუსალიმს ერთობდეს“) ერთჯერად მოქმედებას არ გულისხმობს. დასაშვებია, საქართველოდან რაზმები დავით აღმაშენებელთან შეთანხმებით, ან მისი ნებართვის გარეშე სარწმუნოებისადმი ერთგულების ან გასამრჯელოსათვის, პერიოდულად მიეშურებოდნენ იერუსალიმს, მაგრამ საკითხავია, რომელი გზითა და საშუალებით შეიძლებოდა ამგვარი მოქმედების განხორციელება. ჩემი ვარაუდით, რომელიც ზემოაღნიშნულ არგუმენტებს ემყარება, ქართველები არა მხოლოდ წმინდა ქალაქის აღებაში დაეხმარნენ ჯვაროსნებს, არამედ მის შენარჩუნებასა და, საერთოდ, იერუსალიმის სამეფოს დაცვაშიც. ვფიქრობ, ჯვაროსნებს იერუსალიმის აღებისათვის ბრძოლებში განსაკუთრებულად ღირებული დახმარება იერუსალიმში მცხოვრებმა ქართველებმა აღმოუჩინეს, არა მხოლოდ როგორც ქრისტიანებმა ქრისტიანებს, არამედ როგორც წმ. ქალაქის მოქალაქეებმა, რომლებიც მუსლიმთა ხელიდან მის განთავისუფლებაში

თავიანთი ინტერესების განხორციელების საშუალებას ხედავდნენ. ამ გარემოებას და საქართველოს ხელისუფლების მოქმედებას, ზოგადად, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ ჯვაროსნებმა ქართველებს ამ ქალაქში მათი სავანეები შეუნარჩუნეს და ყურადღებასაც არ აკლებდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება ქართველთა იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი მათი დამოკიდებულება. ქართველები რომ იერუსალიმის გარდა სხვაგანაც ეხმარებოდნენ ჯვაროსან რაინდებს, ფრანკებს, ამის საინტერესო ცნობა შემოგვინახა მათე ურჰაელმა. მის მიხედვით, შავ მთაზე მოღვაწე ქართველი ბერები¹, ანტიოქიის ალყის დროს (1098 წ.) მოშიშშილე ჯვაროსნებს სურსათს უზაზავნიდნენ².

¹ სხვადასხვა მონაცემებით ქართველებს შავ მთაზე 13 ეკლესია-მონასტერი ჰქონდათ: სვიმეონწმიდა, რომანწმიდა, კალიპოსი, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი, ბარლაამწმიდა, პროკოპიწმიდა, თორნე, ალექსანდრიის, თომას მონასტერი, გიორგის მონასტერი, მინაწმიდა. მენაბდე ლ., *ძველი ქართული მწერლობის კერები*, II, 161-162. დასახელებული მონასტრების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შავ მთაზე ქართველ სასულიერო პირთა საკმაოდ დიდი რაოდენობა უნდა ყოფილიყო.

² *The Chronicle of Matthew of Edessa*. Translated by A.E. Dostourian. Armenia and the Crusades. Tenth to Twelfth Centuries. Lanham, 1993, 167. ქართველი ბერების ჯვაროსნებისადმი დახმარების შესახებ გამოტოვლია ქართულად გამოქვეყნებულ მათე ურჰაელის ცნობებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სომეხი ისტორიკოსის თხზულებას კარგად იცნობს ო. კაზარიანი და თავის ნაშრომებში ხშირად უთითებს კიდევ, მაგრამ ქართველების ჯვაროსნებთან ურთიერთობისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში მკითხველს რატომღაც

ზემოთ უკვე ითქვა ათონელი ქართველი ბერების რომის ეკლესიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე X საუკუნეში. ამგვარად, დროის მიხედვით, *ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ფრაგმენტული ხასიათის ცნობები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებამდე და მის დროსაც, საქართველოს პოლიტიკოსთა და იერარქებისათვის დასავლეთთან ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საიმედო საშუაშაველო პუნქტები სირია-პალესტინის ქართული საგანეები იყო. ეს გარემოება იმის ვარუდის დაშვების უფლებასაც გვაძლევს, რომ ქართველებსა და ლათინებს შორის მუდმივი კონტაქტები არსებობდა*

საქართველოს ბრძოლამ მუსლიმთა წინააღმდეგ, მისმა ურთიერთობამ ჯვაროსნებთან, ცხადია, გარკვეული გავლენა მოახდინა წმ. ქალაქში და, საერთოდ, პალესტინაში ქართული ეკლესიამონასტრების მდგომარეობაზე. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ლათინების მიერ დაარსებულმა საპატრიარქომ იერუსალიმის სამეფოში მართლმადიდებელთა ტაძრების უმრავლესობა დაიქვემდებარა. მანამდე ლათინებს მხოლოდ ერთი ტაძარი და მასთან არსებული საავადმყოფო და ბიბლიოთეკა ჰქონდათ. ზოგიერთი წყაროს ცნობით გამარჯვებულმა ლათინებმა მართლმადიდებლებს ჩამოართვეს ყველა მნიშვნელოვანი ეკლესიამონასტერი, დაუტოვეს მხოლოდ ნაკლებმნიშვნელოვანი ტაძრები და ზოგიერ-

მიუთითებს ლათინი ქრონიკების ნაშრომებზე და აღნიშნავს, რომ მათ ქრონიკებში არაფერია ქართველების ჯვაროსნებისადმი დახმარების შესახებ. .. (XII-XIII .). =

<http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html>.

თი მონასტერი, რომლებიც, ძირითადად, ძნელად მისასვლელ, ქვიან იუდას უდაბნოში მდებარეობდა. იერუსალიმის მახლობლად ქართველებს ჯვრის მონასტერი დაუტოვეს, ხოლო ბერძნებს წმ. მელანიას მონასტერი და წმ. საბას მეტოქი¹.

უფრო დამაჯერებლად მოჩანს იმ წყაროების ცნობები (თუნდაც ლათინთა საპატრიარქოს ქართული მონასტრებისადმი მოპყრობის მაგალითზე), რომლებიც გადმოგვცემენ, რომ, როდესაც ჯვაროსნებმა სირია-პალესტინის სიწმინდენი კათოლიკურ ეკლესიას დაუმორჩილეს, მოსალოდნელი იყო, რომ ისინი აღმოსავლეთის ეკლესიას აიძულებდნენ დამორჩილებოდა მათს წესრიგსა და დოქტრინებს. სინამდვილეში ლათინების ტოლერანტობამ განაცვიფრა აღმოსავლეთის მოსახლეობაც კი. მათ სრულად შეინარჩუნეს თავიანთი ეკლესია და მისი ქონება სირიაში².

1

, I, - , 1903, 223-225.

² ლათინების მიმართ არც თუ კეთილად განწყობილი მათე ჰაელი იძულებული იყო მათი აღმოსავლეთის ეკლესიის მიმართ კარგი მოპყრობა ღვთიურ სასწაულთან დაეკავშირებინა. იგი ამტკიცებდა, რომ როდესაც ფრანკებმა თავდაპირველად დიდად შეავიწროეს აღმოსავლელი ქრისტიანები და ხელყვეს სომხური, ბერძნული, სირიული და ქართული მონასტრები, მოხდა სასწაული: 1101 წლის წმინდა შაბათს მორწმუნენი „წმინდა ცეცხლს“ ელოდნენ, მაგრამ იგი არ გადმოვიდა და უფლის საფლავის კანდელები არ აინთო. ცეცხლი მხოლოდ მას შემდეგ გადმოვიდა, როდესაც ფრანკებმა აღიარეს თავიანთი შეცდომა და მეფე ბალდუინის კაპელანმა ფულკერ შარტრელმა ფიცი დასდო, რომ მართლმადიდებელთა ტაძრებს თავისუფალებას მიანიჭებდნენ. *The Chronicle of*

Matthew of Edessa, 178-179; Grousset G., Histoire de Croisades et du royaume franc de J rusalem, I, Paris, 1934, 312.

სხვათა შორის, აღდგომის აღნიშვნის თარიღი ყოველთვის სადაო იყო სხვადასხვა კონფესიებს შორის, რასაც იწვევდა გამოთვლის სხვადასხვა მეთოდი. ამის შესახებ ისევ მათე ურჰაელი გადმოგვცემს. როგორც ჩანს ეს გაუგებრობა დაპირისპირებას იწვევდა ქართველებსა და სომხებს შორისაც. ერთი ასეთ კონფლიქტის მაგალითი 1197 წლისათვის მოყვანილი აქვს პილიგრიმ ბარ ჰებრაკუსს და ამ კონფლიქტის სისტემატურობას გვიჩვენებს. პილიგრიმი ერთ რომელიღაც განუსაზღვრელ გეოგრაფიულ ადგილზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიაზე“ ქართველებმა დაინახეს, რომ სომხები, ქართველებისაგან განსხვავებით, აღდგომას ზეიმობდნენ მეორე დღეს (სავარაუდოა, რომ აღდგომა დაემთხვა ებრაელთა პასექს და სომხებმა განიზრახეს ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული შემდეგი დღისათვის გადაეტანათ. აღდგომის აღნიშვნის დღისადმი ამგვარ მიდგომას დიდი ხნის ისტორია აქვს და იგი სათავეს იღებს მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ცნობილ კანონისტებთან, როგორიცაა იოანე ზონარა, თეოდორე ბალსამონი და მათე ვლასტარი. ამ საინტერესო საკითხს სპეციალური სტატია მიუძღვნა მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორმა დიმიტრი ოგიცკომ, რომლიდან ამონარიდიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ნათლიაში“, 2014. 04., №2, 41).

აღშფოთებულმა ქართველებმა, როგორც ბარ ჰებრაკუსი ამბობს, დაუფიქრებლად წაუკიდეს ცეცხლი მათ ეკლესიას, რამაც სომხებში დიდი მღელვარება გამოიწვია და მათი 40 000 შეიარაღებული კაცი გამოვიდა. სომეხ-ქართველთა ომის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, როდესაც ქართველებმა სომხებს მიყენებული ზარალი აუნაზღაურეს. Bar Hebraeus, *Chroni-*

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის მომხდარმა კონფლიქტმა (1054 წ.) უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა ქართული ეკლესიასთან და აღმოსავლეთის საპატრიარქოებთან რომის ურთიერთობაზე.

სავარაუდოა, რომ ა. პოპოვის ნაშრომში დასახელებული მონასტრები პირველწყაროში აღნიშნული არის, როგორც იერუსალიმის უმთავრესი მართლმადიდებლური თემების მონასტრები, მათ უკან კი იგულისხმება სხვა ქართული და ბერძნული მონასტრებიც. ამის თქმა შეიძლება თუნდაც ქართველთა მაგალითზე, რომლებსაც ამ დროს ეკუთვნოდათ ჯვრის და იბერთა ანუ იოანე მახარებლის მონასტრები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველებს იერუსალიმში დედათა მონასტერიც ჰქონდათ. ქართველი ბერები იმყოფებოდნენ გეთსიმანიაში, ზეთისხილის მთაზე და წმ. საბას მონასტერში. როგორც ცნობილი წყაროებიდან ჩანს, ბერძნული და ქართული მონასტრები იერუსალიმში, ერთნაირად დაფასებული და პატივმიღებული იყო ლათინი და მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და მომლოცველ-

con Ecclesiasticum (wie Anm. 3), Bd. 11, Paris u. Leuvcll 1874, 599-.604. დამოწმებულია: Pahlitzsch J., Weltecke D., *Konflikte zwischen den nicht-lateinischen Kirchen im Königreich Jerusalem. Graeci und Suriani im Palästina der Kreuzfahrerzeit: Beiträge und Quellen zur Geschichte des griechisch-orthodoxen Patriarchats von Jerusalem im 12. und 13. Jahrhundert*, Berliner Historische Studien 33, Ordensstudien 15 (Berlin, 2001). კონფლიქტი, რა თქმა უნდა, იერუსალიმში მოხდა, მაგრამ კონკრეტულად სად არ ჩანს. სავარაუდოა დაპირისპირება მოხდა იერუსალიმის ქრისტიანული და სომხური კვარტალების გამყოფი საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე. სომხებს საკუთარი კვარტალი ჰქონდათ და დღესაც აქვთ, მაშინ როდესაც ქართველები საერთო ქრისტიანულ კვარტალში ცხოვრობდნენ.

ბის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნის მომხდარია საეკლესიო განხეთქილება. ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებლის უახლოესმა თანამოღვაწეებმა, ქართლის კათალიკოსმა იოანე საფარელმა და მეფის მოძღვარმა არსენ იყალთოელმა, ჯვაროსნების მიერ წმ. ქალაქის დაპატრონების შემდეგ, მცირე ხანში, 1103-1105 წლებში, საკმაოდ დაზიანებული იერუსალიმის ჯვრის მონასტერი აღადგინეს, რაც ევროპელი ქრისტიანების ქართველებისა და მათი მონასტრისადმი გამომუდგანებული კეთილი ნებით უნდა აიხსნას.

მონასტერში სარესტავრაციო სამუშაოების წარმატებით ჩატარებასა და დასრულებაში დიდი დამსახურებისათვის, იოანე და არსენი გამოსახულნი ყოფილან ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდილო კედელზე. ტიმოთე გაბაშვილის იერუსალიმში ყოფნის დროს, დასახელებული მოღვაწეების ფრესკები ჯერ კიდევ არსებობდა და ისინი მოგზაურსა და მეცნიერს საკუთარი თვალით უნახავს¹. დღეისათვის პორტრეტები აღარ არსებობს.

ტაძარში გამოსახული პიროვნებების ვინაობის შესახებ განსხვავებული აზრი ჰქონდა პ. ინგოროყვას. იგი ფიქრობდა, რომ ტიმოთე გაბაშვილმა ერთმანეთში აურია არსენ იყალთოელი და არსენ ბერი. ჯვრის მონასტერში გამოსახული უნდა ყოფილიყო არსენ ბერი². პ. ინგოროყვა ვარაუდობდა, აგრეთვე, რომ იქვე

¹ ტიმოთე გაბაშვილი, *მიმოსლვა*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, 82.

² ინგოროყვა პ., *თხზულებათა კრებული შვიდ ტომად*, I, თბილისი, 1963, 807. ეს მოსაზრება არ გაიზიარა კ. კეკელიძემ, რომელსაც მიაჩნდა, რომ არსენ იყალთოელი და არსენ ბერი სხვა-

უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის ფრესკაც, იქ სადაც ჩრდილოეთის კედლის მხატვრობის კომპოზიციაში, ყველაზე საპატიო ადგილი ცარიელი იყო¹.

ქართული მონასტრები, რომ ლათინთა საპატრიარქოს ემორჩილებოდა. ამის დამამტკიცებელი უნდა იყოს დავით აღმაშენებლის „ქვრივის“ შესვლა ქართულ დედათა იმ მონასტერში, რომელიც ლათინთა საპატრიარქოს ემორჩილებოდა. დედოფალ-ყოფილმა ეს ნაბიჯი გადადგა იერუსალიმის პატრიარქის, გიბელინის შუამდგომლობით².

იმ გარემოებას, რომ ქართული მონასტრები ლათინთა საპატრიარქოს კანონიკურად დაემორჩილა, ამას გავლენა არ მოუხდენია მათს თვითმყოფადობაზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ჯერ კიდევ არ შეიმჩნეოდა. ამ ერთიანობის აღქმას XIII ს. პირველი ნახევრის ჩათვლით ვხედავთ ლათინი პოლიტიკური მოღვაწეების, მოგზაურების, პილიგრიმების ნაშრომებში. ქართულ-ლათინური ეკლესიების ერთობაზე მინიშნებები ან პირდაპირ აღნიშვნა არის XII საუკუნის სასულიერო მოღვაწეების ანსელუსის და გოტიეს ჩანაწერებში, მხოლოდ ერთი დაკვირვებული ანონიმი იმავე საუკუნის დასასრულს შენიშნავს, რომ ქართველები „*ეკქარისტისათვის იყენებენ ფერმენტირებულ (ვა-*

დასხვა მოღვაწენი იყვნენ. კეკელიძე კ., *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, 69.

¹ ინგოროყვა პ., *თხზულებათა კრებული შვიდ ტომად*, I, 807.

² ავალიშვილი ზ., *ჯვაროსანთა დროიდან*, თბილისი, 1989. 18. ანსელუსის ცნობაზე ვრცლად ზემოთ უკვე ითქვა.

ლივებულ – ე. მ.) პურს და საერთოდ ყველა საკითხში ბერძნებს გადავენ¹.

XII აუკუნის ფრანგი ჯვაროსანი რაინდი ბეზანსონის არქივისკოპოსის, ამად დე ტრემლესათვის გაგზავნილ წერილში, როდესაც მხოლოდ ქართველთა ქრისტიანობაზე აღნიშნავს, ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ რომის ეკლესიასა და ქართულ ეკლესიას შორის განსხვავებას ვერ ხედავს. ასევე უნდა გავიგოთ XIII ს. 10-იან წლებში ჟაკ დე ვიტრის მიერ ქართველების, როგორც „ქრისტიანი ხალხის“ აღნიშვნა. იმავე საუკუნის 20-იან წლებში „დუნსტაპლის მონასტრის ანალებში“ ქართველები უკვე კათოლიკებად მოიხსენებიან; ალბერისის მიხედვით, ქართველები „ძლიერი კათოლიკენი“ არიან; 1220-1221 წლებში გერმანელი ოლივერიუსი ჯერ კიდევ ვერ ამჩნევს ქართველების ბერძნული მართლმადიდებლობისაკენ გადახრას².

¹ თვარაძე აღ., *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 139. ჟამისწირვის რიტუალში ცვლილება მომხდარა 1214 წელს, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ პაპზე დაქვემდებარებულმა ათონის მთის ივირონის მონასტრის ბერებმა ჟამისწირვაში უმარილო პურის ხმარება დაიწყეს, რის გამოც ბერძნებმა მათთან კავშირი გაწყვიტეს. Pitra J. B., *Analecta sacra et classica spicilegio solesmensi parata*, Paris, 1891, 245-250. დამოწმებულია: თარხნიშვილი მ., *წერილები*, თბილისი, 1994, 43. ის, რაც ანონიმმა ათონელი ქართველების შესახებ ცნობა დაგვიტოვა, უნდა ვივარაუდოთ, შეეხებოდა ლათინთა სახელმწიფოში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, რომლებიც ლათინთა საპატრიარქოს ემორჩილებოდნენ და არა, საერთოდ, ქართულ ეკლესიას.

² თვარაძე აღ., *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში*, 139, 141, 142, 143.

პლანო კარპინისა და ბენედიქტუს პოლონუსის აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის დროს (1245-1250) ქართველები „ღვთისმსახურებას ბერძნული წესის მიხედვით ასრულებენ“. იმავე საუკუნის შუა ხანებში ვინცენც დე ბოვეს მიხედვითაც ქართველები ბერძნულ წესს იცავენ; 1245 წელს „სამყაროს ხატი“ აღნიშნავდა, რომ ქართველებს „აქეთ იგივე კანონები და ენა, რაც ბერძნებს“¹.

ქართველების გაგებით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესია რომ მთლიანობაში აღიქმებოდა (XI ს. მეორე ნახევარი - XIII ს.) ერთი შეხედვით ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ქართულ საეკლესიო დოკუმენტებში ხუთი პატრიარქის (რომის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის) ერთად მოხსენიება², რასაც დაბეჯითებით

¹ თვარაძე აღ., *საქართველო დაკავკასია ვეროპულ წყაროებში*, 146-148.

² ასეა აღნიშნული საქრისტიანოს ერთობა 1058 წელს ბაგრატ IV-ის მიერ შიო მღვიმისათვის მიცემულ გუჯარში: „აწ ვინც ვინ რამანც გუარმან კაცმან რასცა ჟამსა ვითა მათსა დაწერილს სწერია უ: ჟ (უქციოს) დაშალოს დაწერილი... კრულადმცა არიან დაუსაბამოს სულის სიტყოითა (სიც) ათორმეტთა წთა მოციქულთა მადლითა ექვსთა კრებათა მადლითა ხუთთა პატრიაქტთა (sic) ჯვართთა. უორდანიას თ., ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა. შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. უორდანიას მიერ, I, 204; თამარ მეფის მიერ გელათის მონასტრისათვის მიცემული სიგელის (1189 წ.) დასასრულს ვკითხულობთ: „ვინ და რამანცა გუარმან კაცმან რასცა ჟამსა, რაისცა მიზეზის მოდაბითა, კვლ ყოს შლად და ქცევად ამას ბრძანებასა და ვაგებულსა, კრულმცა არს პირველად დაუსაბამოისა ღთისა პირითა, ათ-ორმეტთა მოციქულთა ჯუართთა, შეიღთა

ამტკიცებდა მ. თამარაშვილი¹. უნდა შევნიშნო, რომ აღნიშნული პერიოდის დოკუმენტებში მართლაც ხუთი პატრიარქის სახელით მუქარაა დამნაშავის მიმართ, მაგრამ ამის შემდეგაც გვხვდება სხვადასხვა საუკუნეების დოკუმენტები, რომლებშიც აპელირება ხდება ხან ხუთ და ხან ოთხ პატრიარქზე². უკანასკნელ შემთხვევაში გამოტოვებულია რომის პატრიარქი – პაპი.

კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა კათოლიკე ეკლესიისა (მადლითა) შენ ღვთივ აღმართებულის სუეტისა ცხოველის მადლითა, ყოველთა პატრიარქთა ჯუართა...“ უორდანიას თ., *ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა. შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. უორდანიას მიერ*, II, 75; ხუთი პატრიარქის ჯვრით ემუქრება ქართლის ერისთავთერისთავი გრიგოლ სურამელი მას ვინც მის მიერ გაცემულ (უთარილო) სიგელს შეცვლის ან დაამახინჯებს. უორდანიას თ., *ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა. შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. უორდანიას მიერ*, II, 100-101); ასევეა 1259 წლის რკონის (იქვე, 140, 142) და 1250-1260 წწ. შიომღვიმის სიგელებში (იქვე, 152); 1281-1282 წლების დაწერილი ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის არვანბეგ საბოსძისადმი. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984, 178.

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 5-6.

² **ხუთი პატრიარქია XIV საუკუნის** რამდენიმე დოკუმენტში: გიორგი VII-ის 1393 წ. 3. ივლისის სიგელში სვეტიცხოვლისადმი. *ქართული ისტორიული საბუთები. XIV-XV საუკუნეები*. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბილისი, 2013, 63; 1398 წ. 6 ივლისის დაწერილი

(თბილისის) ამირათ ამირა ლომი სუნდულისძისა სვეტიცხოველისადმი. *ქართული ისტორიული საბუთები*. XIV-XV საუკუნეები, 66; **XV ს.**: 1405 წ. 13 აპრილის დაწერილი ხიმშია ამილახორისა სვეტიცხოველისადმი. *ქართული ისტორიული საბუთები*. XIV-XV საუკუნეები, 91; 1454 წ. დავით IV კათალიკოზის (1443/47-1459) კულისის გამოსაღების წიგნში შეკულუხე ჯვარის მსახლობელთადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, **195**; 1467 წ. კათალიკოს აბრამ აბლაკის შეწირულობის წიგნში მცხეთის მეტეხთა ღმრთისმშობლისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 213; 1470 წ. წყალობის წიგნი დავით კათალიკოზისა მახარებელ მაღალაძისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 216; 1562 წ. წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა გედეონ მაღალაშვილისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 271; 1582 წ. შეწირულობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა დავით გარეჯისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 346; 1686 წ. წყალობის წიგნი კათალიკოზ ნიკოლოზ ამილახვარისა რევაზ მაღალაძისადმი *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 588.

ოთხი პატრიარქის სახელით ხუთი პატრიარქის პარალელურად დამნაშავესადმი მუქარას ვხვდებით **XVI ს.** მეორე ნახევრიდან სხვადასხვა დოკუმენტში. ესენია: 1559 წ. შეწირულობის წიგნი ნიკორწმინდელ დავით საყვარელიძისა ნიკორწმინდისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 263; 1569 წ. შეწირულობის წიგნი ხოფელ ნიკოლოზ წულუკიძისა ხოფისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 275; **XVI ს.** ბოლო. შეწირულობის სიგელი დორთეოზ კათალიკოზისა იტრიის ეკლესიისადმი *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 357. **XVII ს.**: 1616-1621 წწ. საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი. *ქართული სამართლის ძეგლები*,

ის, რომ შუა საუკუნეების მთელ პერიოდში ქართულ საეკლესიო დოკუმენტებში ვხვდებით ხუთი პატრიარქის, მათ შორის რომის პაპის მოხსენიებასაც, არ „არის ერთგვარი დიპლომატიური ლაფსუსი, რომელიც ინერციით გადადიოდა საუკუნიდან საუკუნეში, საბუთიდან საბუთში, ჩანს, დოკუმენტის შემდგენლები არ ცვლიან ძველ ტრაფარეტს და ინერციით გადაჰქონდათ“¹. თუ დავაკვირდებით საქართველო-რომის ურთიერთობას შუასაუკუნეებში, ვერსად, ვერც ერთი პერიოდიდან ვერ დავიმოწმებთ ვერც ერთ დოკუმენტს, რომელშიც რომის პაპისადმი იქნება

III, 478; 1656 წ. შეწირულობის წიგნი გაბრიელ ცაგერლის ცაგერის ტაძრისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 518; **XVII ს.**: 1656 წ. შეწირულების წიგნი გაბრიელ ცაგერლისა ხვამლის ეკლესიისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 520; 1682 წ. შეწირულების წიგნი კათალიკოს დავით ნემსაძისა ბიჭვინტისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 583; 1691 წ. წყალობის წიგნი გენათელ მარკოზისა დეკანოზ სვიმონისადმი. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 599.

ყოველთა პატრიარქთა ანუ ხუთივე პატრიარქის სახელით გენათელი ზაქარია ქვარიანი თავის გელათისადმი შეწირულების წიგნში 1644 წელს სწევლის მას ვინც მის მიერ გაცემულ „სიველს შლად, ქცევად და არა ვათავებად ჰელყოს“. *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 511.

¹ ჯავახიშვილი მ., *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV სს-ში*, 46. XIII ს. 30-იანი წლების შემდეგ ხუთი პატრიარქის მხსენიება „ერთგვარ დიპლომატიურ ლაფსუსად მიაჩნია ტ. მაჭარაშვილსაც. იხ. მისი, *ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIV საუკუნეებში)*, 132.

უპატივისცემო მიმართვა-მოსხენიება ან კათოლიკური ეკლესიის დოგმების და რიტუალის გაკიცხვა¹. ეს არ არის არც დიპლომატიური ლაფსუსი და არც ინერცია. *ეს არის კარგად მოფიქრებული შორსმჭვრეტელური პოლიტიკა და დიპლომატია. ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგათ იცოდნენ, რომ რომთან ურთიერთობის გაფუჭება იქნებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მისასვლელი გზების მოჭრა, დასავლეთიდან დახმარების მიღების იმედის ჩაქრობა. საქართველოს საერო და საეკლესიო საჭეთმპყრობელნი ამ გარემოების გათვალისწინებით, იმავე დროს მტკიცედ იცავდნენ თავიანთ მართლმადიდებლობას და ეკლესიის დამოუკიდებლობას.*

იერუსალიმელი ქართველი სასულიერო მოღვაწენი კონფესიურთან ერთად პოლიტიკური შემწყნარებლებიც იყვნენ, რაც ინტერნაციონალური წმინდა ქალაქს და ქართველებსაც ახასიათ-

¹ ქართველების რომის ეკლესიისადმი დელიკატური დამოკიდებულება ცნობილი იყო რომში. მოვიყვან ერთ მაგალითს: პაპი პავლე III 1545 წელს ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს სწერდა: „ბევრი სარწმუნო მოხსენებიდგან შევიტყეთ, რომ თუმცა ძლიერ შორსა ხართ (სავარაუდოა პაპი მხოლოდ გეოგრაფიულ სიშორეს არ გულისხმობს. მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს სიშორე ეკლესიურადაც – ე. მ.), მაგრამ რომის ეკლესიას სიყვარულით პატივს სცემთ და გულმხურვალედ აღიარებთ მას ყველა ეკლესიების თავად, ეგრეთვე ქრისტეს ნაცვლად და მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს მოსაყდრედ გვცნობთ თუ ჩვენ და თუ რომის ეკლესიის სხვა ჩვენ წინამოსაყდრე მწყემსებს“. თამარაშვილი მ., *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, 71. ასეთივე დამოკიდებულებას იჩენდნენ რომის პაპები საქართველოსა და ქართული ეკლესიის მიმართ.

ებდა. ამგვარი დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითია ზემოთ დამოწმებული „გოლგოთის სვინაქსარის“ მინაწერი შესრულებული გიორგი დოდოსის მიერ.

ამგვარად, ჯვაროსნების მიერ ანტიქიისა და იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ იქ არსებულ ქართულ მონასტრებს ფუნქციონირება არ შეუწყვეტიათ და მათ პატივს სცემდნენ, როგორც მართლმადიდებლები, ისე ლათინები, თუმცა ქართული ეკლესიის უფლებები, როგორც აღინიშნა, გარკვეული გაგებით, მაინც შეილახა, რადგან ისინი იერუსალიმისა და ანტიოქიის ლათინთა საპატრიარქოებს დაუმორჩილეს¹.

ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის, არა მხოლოდ წმ. მიწაზე, არამედ საქართველოშიც კარგი ურთიერთობის მაჩვენებელია, იერუსალიმის ლათინურ საპატრიარქოს მიერ, ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც მრავალი მამულის ფლობა. ამ უაღრესად საინტერესო საკითხზე მოკლედ, მაგრამ სრულიად გასაგებად გვამცნობს XIII საუკუნის ფლამანდელი მოგზაური ვილემ რუბრუკისი რომელმაც საფრანგეთის მეფის, ლუი IX-ის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის რანგში იმოგზაურა მონღოლთა იმპერიის სატახტოში – ყარაყორუმში. უკან დაბრუნებისას მან გაიარა სამხრეთ კავკასია და მცირე აზია. მისი მოგზაურობის ანგარიშში არის ერთი ცნობა ამჯერად საინტერესო საკითხზე: „ამავე ქალაქ ნაქსუსში² მე ძმა ბერნარდ კატალანი ვნახე, დომინიკანელთა ორდენიდან, მას საქართველოში ეცხოვრა წმინდა საფლავის წინამძღვართან ერთად, წმინდა საფლავს

1 2002, 154-155.

² ნაქსუსი – ნახჭევანი

კი იქ დიდი მამული აქვს¹. ვილემ რუბრუკისის ნათქვამი, რომ სიმართლეს შეეფერება, ჩანს ცნობილი ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის ჟ. რიშარის ნაშრომიდან, რომელშიც მოყვანილი აქვს ერთი ცნობა ამოღებული ა. ქოლერის ნაშრომიდან². მასში აღნიშნულია, რომ იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძრის საეკლესიო წიგნში სხვა ქვეყნებში არსებულ მამულთა სიაში შეტანილი იყო საქართველოში არსებული ასი მამულიც. ამ ტაძრის კათოლიკე მღვდლები XIII საუკუნეში თავიანთ წარმომადგენელს აგზავნიდნენ საქართველოში მათი კუთვნილი მამულებიდან შემოსავლის ასაკრებად³.

¹ გულიელმო რუბრუკისი, *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში*. თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1942, ნაკვ. V, 173.

² Kohler A., *Un rituel et un breviaire du Saint-Sepulcre de Jerusalem, XII-XIII siecle*. Melanges pour Servir a l'histoire de l'Orient Latin, II, Paris, 1965, 40-75.

³ „...“, 124. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ცნობილი ქართული და უცხოური დოკუმენტური და ნარატიული წყაროებით რომელიმე საპატრიარქოს მიერ საქართველოში მამულების ფლობა XVI საუკუნეზე ადრე დოკუმენტურად არ დასტურდება. ამ პერიოდიდან გვაქვს ცნობები საქართველოში მამულების ფლობაზე მხოლოდ იერუსალიმის ორთოდოქსული საპატრიარქოს მიერ. მასში აისახა იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს მიერ საქართველოში არსებული თავიანთი მამულებიდან შემოსავლისა და მოწყალების იერუსალიმში წადება. იხ. ხუციშვილი ნ., *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში*, თბილისი, 2006; მამისთვალისვილი ე., *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ის-*

შეიძლება გავიხსენოთ დოკუმენტური წყაროებით დაუდასტურებელი ის ისტორიული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ის მამულები, რომლებსაც იერუსალიმის საპატრიარქო საქართველოში ფლობდა გვიან შუა საუკუნეებში, თავდაპირველად ანტიოქიის საპატრიარქოს კუთვნილება იყო. გასარკვევია, აღნიშნული მამულები, ლათინების იერუსალიმში გაბატონებამდეც ჰქონდა საპატრიარქოს თუ ლათინებს უბოძა საქართველოს ხელი-სუფლებამ და ეკლესიამ და შემდეგში იერუსალიმის ორთოდოქსალური საპატრიარქოს საკუთრებაში გადავიდა?

ურთიერთობა საქართველოსა და იერუსალიმის სამეფოს შორის თუ ისეთი იყო დავით აღმაშენებლის დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მაშინ იერუსალიმის ლათინთა საპატრიარქოს მამულები საქართველოში უნდა მიეღო ამ დიდებული მეფის დროს¹.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ (1187) 1191 წელს ლათინი პატრიარქის კათედრა იერუსალიმიდან აკრაში გადაიტანეს. მაგრამ ლათინი მღვდლები თავიანთ პოზიციებს კვლავ ინარჩუნებდნენ უფლის საფლავის ტაძარში მთელი XIII საუკუნის განმავლობაში და ისინი აკონტროლებდნენ 100 მამულს საქართველოში.

ტორიიდან (XVI-XVII სს.) თბილისი, 2008, 37-62; მამისთვალიშვილი ე., *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი*, 184-199.

¹ იერუსალიმის პირველი ლათინი პატრიარქი იყო არნულფი (1099, 1112-1118), შემდეგ დაგობერტ პიზანელი (1099-1102, 1102-1107), ერემარი (1102), გიბელინ არლეელი (1107-1112), გერმონ პიქვინელი (1119-1128) და ა. შ. 1191 წლამდე.

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ქართული სახელმწიფოს და იერუსალიმის ქართველთა კოლონიის ჯვაროსანთა ხელისუფლებასა და საპატრიარქოსთან კარგი ურთიერთობის მაჩვენებელი, სხვა ზემოაღნიშნულ მომენტებთან ერთად, იყო XII ს. დასაწყისში წმ. ჯვრის მონასტრის აღდგენა¹.

საეკლესიო ურთიერთობა ორივე მხარისათვის მისაღებ ფორმებში რომ გრძელდებოდა ამაზე მეტყველებს პაპის ლეგატის, პელაგიუსის მიერ საქართველოს მეფე გიორგი-ლაშასათვის გაგზავნილი წერილი. წერილი განმსჭვალულია საქართველოს და რომის ეკლესიის ერთიანობის სულისკვეთებით. ეპისტოლედან ვიგებთ, რომ გიორგი-ლაშას ჯვაროსნებისათვის დახმარება შეუთავაზებია მაშინ, როდესაც მათ განსაკუთრებით ესაჭიროებოდა დახმარება, როდესაც ისინი ჩრდილო ეგვიპტის უმნიშვნელოვანეს ქალაქ დამიეტას დაპყრობას ლამობდნენ. პაპის ლეგატი ქართველ მეფეს პასუხობს: *„ვრთად გავიხარეთ თქვენი წერილითა და ჩვენდამი ჩვენი დედა რომის ეკლესიისადმი ერთგულებით, რომლის წილში იმყოფებიან ყველა ქრისტიანები. გვახარებს თქვენი თავდადება ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მოძღვრებისადმი, რომელსაც იცავთ თქვენს ირგვლივ მყოფი*

1 *1102-1103*
 , . 9. 1885, 283. ინტერნეტრესურსი:
http://www.vostlit.info/Texts/rus17/Daniil_igumen/text1.phtml?id=10314;
 ,
 , 1995, 32. ინტერნეტრესურსი http://www.vostlit.info/Texts/rus17/Daniil_igumen/text1.phtml?id=10314; მამისთვალის შვილი
ე., *იერუსალიმის წინდა ჯვრის მონასტერი*, 123-125.

უწმინდური მუკამელის მსახურთაგან, ანათებთ მსგავსად სინათლისა წყვდიადში და შროშანი ეკლებში¹.

შეგადართო პელაგიუსის მიერ გიორგი-ლაშასადმი გამოთქმული ზემოთ ციტირებულში ეპითეტები პაპის, ჰონორიუს III-ის მიერ მეფე რუსუდანისა და საქართველოს ამირსპასალარის ივანე მხარგმელისადმი საპასუხო ეპისტოლეში გამოთქმული ეპითეტები (1224 წ.): „თუმცა ჩვენ ხორციელად თქვენგან შორს ვიმყოფებით, მაგრამ სულიერად თქვენთან ვართ. შენ და შენი სამეფოს სხვა ქრისტიანებს გულითადი თვალთ გიყურებთ და გეიყვარხართ რწმენისათვის, რომელიც თქვენ უფალ იესო ქრისტესადმი გაქვთ. მის მიმართ თქვენი რწმენა მით უფრო მისაღებია, რამდენადაც თქვენ ამ რწმენას იცავთ ურჯულო ხალხის გარემოცვაში. ამ ურჯულო ხალხთა შორის თქვენ ანათებთ, როგორც ლამპარი სიბნელეში და იტანჯებით ისე, როგორც შროშანი ეკლებში, რისთვისაც დაჯილდოვებული იქნებით, მიაღწევთ რა სასურველ მიზანს². როგორც ჩანს, რომის ეკლესიას შემუშავებული ჰქონდა უცხოელებთან, ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებასთან, მიმოწერისას მიმართვის სტანდარტი, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ პელაგიუსის წერილის ტექსტი შეთანხმებული იყო პაპის კანცელარიასთან.

¹ *Jacobi de Vitriaco Historia Hierosolymitana, Gesta Dei per Francos, sive, Orientalium expeditionum et regni Francorum Hierosolomitani historia*, ed. J. Bongars, Hannoviae, 1611, t. 1. ციტირებულია: „ -

(XII-XIII .). [http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.-](http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.-html)

[html](#)

² ტაბალუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 180; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 10.

საქართველოს და რომის ეკლესიებს შორის ურთიერთობაში პრობლემები რომ არ არსებობდა, ნათლად ჩანს გიორგი-ლაშას გარდაცვალების შემდგომ ახლო პერიოდში საქართველო-რომს შორის მიმოწერაში.

რუსუდან მეფე 1223 წელს პაპ ჰონორიუს მესამისათვის გაგზავნილ სიგელში აცნობებს თავისი ძმის, გიორგი-ლაშას გარდაცვალების ამბავს და ითხოვს პაპმა დალოცოს საქართველოს ახალი მეფე და მისი ყველა ქვეშევრდომი ქრისტიანი. წერილის დასასრულს მეფე პაპს სთხოვს: „თქვენთა წმიდა ლოცვათა შინა მოგვიხსენიეთ“-ო¹.

მ. თამარაშვილი იხილავდა რა დასახელებულ წერილს, ფიქრობდა, რომ საქართველოს ეკლესიასა და რომის პაპს შორის მჭიდრო კავშირისა და ერთობის არსებობის მაჩვენებელი იყო ის, რომ საქართველოს მეფე მზადყოფნას გამოსთქვამდა პაპის მოწოდებისთანავე დახმარებოდა დასავლეთის ქრისტიანებს პალესტინაში ღაშქრობის დროს (იგივე განწყობა გამოსტყვივის ივანე მხარგრძელის წერილშიც)². ვფიქრობ, ეს ის არგუმენტი

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 7-8.

² თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 8-9; ტაბაღუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 180-182. ივანე მხარგრძელი პაპს სწერდა: „ამასთან ვთხოვთ თქვენს უწმინდესობას, გამოგზავნოთ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის თქვენი ლოცვა-კურთხევა, რათა თქვენი ლოცვა-კურთხევით და უფლის მადლით ჩვენ შევძლოთ, რწმენით ვემზადოთ უფლის სადიდებლად ბრძოლისათვის“. ტაბაღუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 179; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 9.

არ არის მხოლოდ, რომლითაც დამტკიცდება ორ ეკლესიას შორის უნრდილო ურთიერთობის არსებობა. ქართველები ყოველთვის, ორ ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობის დონის მიუხედავად, მონაწილეობის მიღების მზადყოფნას აცხადებდნენ წმინდა მიწის გასანთავისუფლებლად ომში. ასეთი განწყობილება კარგად ჩანს შემდგომ საუკუნეებში თვით მ. თამარაშვილის მიერ მოძიებულ და გამოქვეყნებულ დოკუმენტებშიც. .

პაპმა ჰონორიუს III-მ, თავის მხრივ, ქართველ მეფესა და მის მხედართმთავარს 1224 წელს დაუდასტურა ქართველებისა და მათი ეკლესიისადმი რომის ეკლესიის კეთილგანწყობა. პაპი ივანე მხარგრძელს სწერდა: „მზად ვართ, რაც კი საჭირო იქნება, აღმოგიჩინოთ სამოციქულო ტახტისათვის შესაფერისი კეთილგანწყობილება და სიკეთე არა მარტო შენ, არამედ შენს ხალხს“¹.

¹ ტაბალუა ი., *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, I, 184; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 12. აქამომდე განხილული დოკუმენტური და ნარატიული წყაროები სრულიად ნათელს ხდის, რომ დიდი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, რაც უპირატესად რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიების დაპირისპირებაში გამოიხატა, XIII ს. 30-იან წლებამდე ქართული ეკლესია რომთან კარგ ურთიერთობაში იყო და არ გვაქვს საფუძველი მ. თამარაშვილის საპირისპიროდ ვთქვათ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია რომის კათოლიკურ ეკლესიას განხეთქილებისთანავე (1054 წ.) გაეთიშა. ჯავახიშვილი მ., *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV სს-ში*, 105.

ქართული-ლათინური ეკლესიების შეერთების ცდები

პაპ გრეგორი IX-ის (1227-1241) მიერ 1233 წელს რუსუდან მეფისათვის გაგზავნილი ეპისტოლედან ირკვევა, რომ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობაში ბზარი განჩენილა. ეპისტოლეში კონკრეტულად არ ჩანს რა გახდა ორ ეკლესიას შორის წინააღმდეგობის მიზეზი. სავარაუდოა, იგი დაკავშირებული იყო დოგმატურ საკითხებთან, რომლებიც წინათ თითქოს შეუმჩნეველი იყო. მას შემდეგ კი, რაც ევროპელი ჯვაროსნების მნიშვნელობა წმინდა მიწაზე შესუსტდა და პაპმა უარი შეუთვალა საქართველოს სამეფო კარს სამხედრო დახმარებაზე, დღის წესრიგში დადგა რწმენის საკითხში განსხვავებების წინა პლანზე წამოწევა. სავარაუდოა, ქართულმა მხარემ კიდევ დაიწყო ამ გეგმის განხორციელება და რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში ქართველების რწმენისა და ეკლესიისა სიმტკიცეზე წამოიწყო საუბარი. რწმენის ყოველმა ნიუანსმა ორ ეკლესიას შორის ურთიერთობაში სერიოზული მნიშვნელობა შეიძინა. ეს უნდა მომხდარიყო 1224-1233 წლებს შორის პერიოდში. სავარაუდოა, საქართველოს ეკლესიას მანამდეც ჰქონდა რომის ეკლესიის მიმართ გარკვეული პრეტენზია, მაგრამ მასზე ხმამაღლა არ ლაპარაკობდა, ყოველ შემთხვევაში პაპები ამაზე არ მიუთითებდნენ. ახლა კი რას ვიგებთ: აღნიშნული წლების შუალედში საქართველოში მოსულან რომის მიერ გამოგზავნილი მინორიტების ორდენის მისიონერი მღვდელ-მონაზვნები. პაპი კმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ მისიონერები საქართველოში კარგად მიიღეს.

მ. თამარაშვილს ბევრი უძებნია საქართველოში მინორიტების მოსვლის მიზეზის გასარკვევი წერილობითი ცნობები, მაგრამ

ვერაფრისთვის მიუგნია და მხოლოდ ვარაუდი გამოსთქვა, რომ მინორიტები საქართველოში უნდა მოსულიყვნენ 1230 წლის შემდგომ¹.

მ. თამარაშვილი მაინც იმედს იტოვებდა, რომ ქართულ-რომაული ეკლესიის ერთობა შეიძლება საბოლოოდ არ იყო შეწყვეტილი და მისიონერები არა ქართველების, არამედ ურწმუნოებისა და მწვალებლების მოსაქცევად ჩამოვიდნენ². ნაწილობრივ, შეიძლება, ეს ასეც იყო, მაგრამ პაპის ეპისტოლეში აღარ არის ორი ეკლესიის ერთობის ხაზგასმულად აღნიშვნა. პაპი ქართველ სატემპერობელს მხოლოდ სთხოვს, რომ მორჩილი ძმა იაკობ და რუსანი და მინორიტთა ორდენის სხვა ბერები მიიღოს კეთილგანწყობით³. მაგრამ პაპი რომ მისიონერებს ქართველების „სწორ“ გზაზე დასაყენებლად აგზავნიდა, ნათლად გამოჩნდება ქვემოთ.

შეიძლება ვარაუდი, რომ პაპის მიერ საქართველოში მისინერების გამოგზავნა და მათი საქმიანობა საქართველოს საერო და საეკლესიო ხელისუფლების მიერ აღქმული იქნა, როგორც რომის საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა და ეს გახდა უკანასკნელთა მიერ უკმაყოფილობის დაუფარავად გამოხატვის მიზეზი, რასაც მოჰყვა პაპის რეაქცია ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით.

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 12-13.

² თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 13.

³ ტაბაღუა ი., *საქართველო ვეროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)*, 185; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 12.

როგორც ჩანს, დამოწმებულ წერილს წინ უძღვოდა რამდენიმე თუ არა ერთი წერილი მაინც, რომელიც რუსუდანს პონტიფიკისათვის გაუგზავნია ამ უკანასკნელის მიერ გამოთქმული პრეტენზიების საპასუხოდ¹. რუსუდანი პაპის ყურადღებას მიაპყრობს ქართული ეკლესიის დასაბამიდანვე სიწმინდესა და მღვრადობაზე, რაზეც პაპი პასუხობს: „*გვიხარია თქვენს გამო შეიღებო! დიდად ნასიამოვნები და გახარებული ვართ, რომ თქვენი მადლით ღმერთის სიტყვა გიღიარებიათ და თქვენს საშფლობელოებში, როგორც თქვენ იწერებით, ეკლესიის დაბადების დღიდან სარწმუნოება მტკიცედ და შეურყევლად შევინახავთ, რომ ღვთის სიტყვა გიცვნიათ და სარწმუნოება თქვენს ქვეყანაში ეკლესიის დაფუძნებდგანვე შეურყევლად დარჩენილა, როგორათაც თქვენვე გვაუწყებთ წერილით*“².

პაპის პასუხიდან ჩანს, რომ რუსუდან მეფეს გარკვეული პირობით გამოუთქვამს მზადყოფნა ქართული ეკლესიის რომთან

¹ პაპის, გრეგორიუს IX-ის (1227-1241) წაქეზებით ტევტონთა ორდენმა დაიწყო „წარმართი“ ფსკოვისა და ნოვგოროდის წინააღმდეგ ომი მათში კათოლიციზმის დანერგვის მიზნით, ებრძოდა იმპერატორ ფრიდრიხ II-ს, მან გააძლიერა პაპ ინოკენტი III-ის მიერ დაარსებული ინკვიზიცია ერეტიკოსების გასანადგურებლად. ასეთი პაპი, ბუნებრივია, ეჭვის თვალით შეხედავდა ქართულ დამოუკიდებელ ეკლესიას.

² თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 14. რამდენადაც მ. თამარაშვილის და ი. ტაბაღუას მიერ გამოქვეყნებული წერილები შინაარსობრივად ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება და, ამჯერად, განსახილველ საკითხს მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული მეტად წაადგება, ამიტომ ვსარგებლობ ამ უკანასკნელის პუბლიკაციით. თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 14-17.

შეერთების შესახებ. ვიდრე იმაზე ვიტყვი თუ რა პირობას უყენებდა მეფე პაპს, მანამდე გავეცნოთ იმას თუ როგორ ესმოდათ ორი ეკლესიის შეერთება საქართველოსა და რომში.

პაპი რუსულანისადმი პასუხში აღნიშნავს: „*უკეთუ აქამდე თქვენი ცხოვრების სისრულეს რამე აკლდა, აწ ეს თქვენი შეერთება სრულაჰყოფს მას და მასთანვე აგვირგვინებს ჩვენს სიხარულსაც, რომლის მიზეზი თქვენ ხართ*“. პაპი შემდეგ ეკლესიის ერთიანობის მნიშვნელობაზე ღაპარაკობს: „*ამიტომ საყვარელნო შეიღნო, – მიმართავს პაპი ქართველებს, – საჭიროა ქრისტეს მონაცვალე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე, რომის პაპი სცნოთ თქვენ და ყველა თქვენმა ქვეშევრდომთა, როგორც მამა და ჩვენი სარწმუნოების მწყემსი. შეუერთდით მას და რომის ეკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ, დაემორჩილებით მას ყველაფერში, რაცკი შეეხება თქვენის სულის ცხოვრებას. ამის მეტს თქვენგან არაფერს ვითხოვთ... ვინც ამ მხრივ ჩვენი ურბი იქნება, ის სწორედ კეთილი სული არ უნდა იყოს*“¹. ლ. პატარიძეს, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა XIII ს. პირველ ნახევარში რომის პაპების ლტოლვა თავისი უფლებების მთელ ქრისტიანულ სამყაროში გავრცელების შესახებ და მოხმობილ ამონარიდის განხილვისას აღნიშნავდა: „*საქართველოს პოლიტიკური წრეების ნება თუ თანხმობა, დამორჩილებოდა რომის ეკლესიას ანუ მიეღო საეკლესიო უნიის პირობები, იყო პასუხი ამ ახალ საერთაშორისო ვითარებაზე*“².

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 16-17.

² პატარიძე ლ., *1054 წლის განხეთქილება და საქართველო*, №1 (2), თბილისი, 2005, 31.

მართალია, პაპი გრეგორი IX ქართველებს ჯარით ვერ შეეწია მონღოლებისაგან თავის დასაცავად, მაგრამ რუსუდან მეფეს აცნობებდა შემდეგს: „ვგ ზავნით თქვენთან მოქალაქეთა წესის ძმათა... რომელნიც ძლიერნი არიან სიტყვითა და საქმით, რომელთა შორის ბრწყინავს კეთილი ცხოვრება და მოძღვრება, რადგან რასაც სხვას სიტყვით ასწავლიან, მას ჯერ თვით საქმით ასრულებენ. მაშ მიიღეთ ისინი სახიერებით, როგორც ქრისტეს მიერ მოვლინებულნი და გულმოდგინებით ისმინეთ ყოველი მათი მოძღვრება“¹. ამონარიდი სრულიად ნათელს ხდის პაპი ვის „სწორ“ გზაზე დაყენებისათვის აგზავნიდა მისიონერებს საქართველოში. ვფიქრობ, მ. თამარაშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდისათვის, თითქოს პაპი მისიონერებს ქართველებისათვის კი არ აგზავნიდა არამედ წარმართებისა და მწვალებლების მოსაქცევად, ადგილი აღარ რჩება.

რა თქმა უნდა, რადგან რუსუდან მეფემ მინორიტები კარგად მიიღო, როგორც ამის შესახებ მინორიტ იაკობ როგსანელს პაპისათვის მოუხსენებია, ამის შემდეგ დომინიკანელმა მონაზვნებმა თბილისში 1240 წელს თავიანთი მონასტერი დაარსეს. როგორც ჩანს, საქართველოს სატახტოში ლათინთა სხვა ორდენის მისიონერებიც მოღვაწეობდნენ. ამგვარი მდგომარეობა, ბუნებრივია, არ უნდა იყოს რომისა და საქართველოს ეკლესიების კვლავ შეერთების მანქნებელი, როგორც მ. თამარაშვილი ფიქრობდა². XIII-XIX ს. პირველ ნახევრამდე კათოლიკე მისიონე-

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 17.

² თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 17.

რები თითქმის ყოველთვის იმყოფებოდნენ საქართველოში და უმეტესწილად შეუფერხებლად მოღვაწეობდნენ, მაგრამ ორი ეკლესიის შეერთება ვერასოდეს მოხერხდა.

ახლა ვნახოთ როგორ აისახა პაპის წერილში საქართველოსა და რომის პოლიტიკური ვითარება. ჩანს, რომ რუსუდან მეფეს საეკლესიო საკითხებზე ყურადღება გაუმახვილებია იმ კონტექსტში, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა შერყეულია საშიში და დაუნდობელი მტრის – მონღოლთა მიერ და ქართველ მეფეს აუცილებლად მიაჩნდა დასაველეთის ქრისტიანული ქვეყნების დახმარება პაპის მეთაურობით ამ უძველესი და წმინდა ქრისტიანული ქვეყნის, საქართველოს გადასარჩენად. სავარაუდოა, რუსუდანმა რამდენჯერმე შეაწუხა რომი ამგვარი თხოვნით. ამიტომ პასუხობს პაპი რუსუდანს შემდეგი სიტყვებით: *„ჯერ არს, რომ თქვენც ჩვენ შეგვიპრალოთ, რადგან სარწმუნოების მტერი ჩვენც ძლიერ გვედევნის. გარდა ამისა რომ სარკინოხები ისპანიასა და სირიაში სდევნიან კათოლიკე სარწმუნოებას, ზოგიერთნი ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომილნი წინ აღვიდგნენ, რაც კი შეეძლოთ დაუწყეს ღვთის ეკლესიას დევნა, უნდათ ახალი მწვალებლობის დამყარება და ცდილობენ მოსპონ ჭეშმარიტი სარწმუნოება... აწ სავარდენო შეილნო ნულარ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის მხედრობა არ მოდის თქვენ შესაწევნელად თათრების წინააღმდეგ“*. უფრო მეტიც, როგორც პაპი მსჯელობს, დასაველეთის ქრისტიანებს, რომლებიც სირია-პალესტინაში იმყოფებიან და იბრძვიან, რომლებსაც ერთ დროს ქართველები დიდ დახმარებას ჰპირდებოდნენ, ვერ წამოვლენ საქართველოსკენ, რადგან ებრძვიან მუსლიმანებს, რომლებიც არ მისცემენ გზას თქვენი ქვეყნისკენო. *„რაკი სხვაფრივ ვერ შეგძელით თქვენი შეწევნა, ამიტომ ვინებეთ ამ წერილის გამოგ ზაენა, რათა ამითი კარვად სცნოთ ჩვენი*

*თქვენდამი სიყვარული, რომელიც ვერ გამოვიცხადეთ თქვენ მიერ ნათხოვნი შემწეობის მოცემით*¹.

ძნელია პაპის ეპისტოლეს მიხედვით გადაჭრით რაიმეს თქმა საქართველო-რომის ურთიერთობაში ახალი, პრინციპულად განსხვავებული ეტაპის დაწყების მიზეზზე. რას უნდა მიეცა ბიძგი ქართული ეკლესიისა და პოლიტიკოსების მიერ ლათინებისაგან განსხვავებული პოზიციის გამომჟღავნებისათვის? ვფიქრობ, ამ დროიდან იწყება ქართული ეკლესიის მიერ დოგმატური და კანონიკური გადახრა ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიისაკენ, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო პოლიტიკური მოტივებით.

მონღოლთა დაპყრობებით გამოწვეული საშიშროებისაგან ყველა ქრისტიანის დახსნის მიზნით, პაპმა ინოკენტი IV-მ (1243-1254) აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანების გასაერთიანებლად 1245 წლის ივნისში ლიონში შეკრიბა XIII მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს იერარქებიც მიიწვია. პაპის წერილებიდან ჩანს, იგი როგორ სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში მოღვაწე მისიონერების საქმიანობას კათოლიციზმის გავრცელებასა და ქართული ეკლესიის ლათინთა ეკლესიასთან შეერთების საქმეში.

ინოკენტი IV რომ დიდი ხნის წინათ ემზადებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გამაერთიანებელი მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევისათვის, კარგად ჩანს მის მიერ მეფე რუსუდანისა და უფლისწულ დავითისათვის გაგზავნილ ზემოთციტირებულ წერილში.

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 15.

1289 წელს პაპმა ნიკოლოზ IV-მ საქართველოს მეფეებს, დავით ნარინსა და დემეტრე II-ს, აგრეთვე საქართველოს პატრიარქს კვლავ გაუგზავნა წერილი. პაპი მეფე დემეტრეს მიმართავს: „*დაიცავით მორწმუნებით ქრისტეს სჯული, გულმხურვალეობით და მართლმკევეთელობით განაგრძოთ ეკლესიის ერთობა*“¹. ვრცელია კათალიკოს აბრაჰამ I-სათვის (1282-1310) პაპის გაგზავნილი წერილი, რომელშიც პაპი მოუწოდებს: „*სძლიეთ ყოველ სიძნელესა, რაც კი მასთან (რომის ეკლესიასთან – ე. მ.) შეერთების დროს გამოვიხნდესთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლივ მომართეთ მხნელ მოუახლოვდით და ეცადეთ სხვების მოზიდვასაც... მაშინ პატივით მიიღეთ ეს სასარგებლო რჩევა და უსმინეთ ქრისტეს მონაცვლეს (პაპს – ე. მ.)*“².

განხილული მასალები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართველი პოლიტიკოსების რომთან ურთიერთობას პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავდა, რასაც ზოგიერთი მკვლევარი სკეპტიკურად აფასებს³. ქართული მხარე, პოლიტიკური მოსაზრებით მზად იყო ელიარებინა რომის პაპის ტრადიციული, სქიზმამდელი ავტორიტეტი (საქართველოში ასევე პატივს მიაგებდნენ

¹ თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 19.

² თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 20.

³ ლ. პატარიძის აზრით, „ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქამ თუმცა დაახლოვა საქართველოსა და ქრისტიანული დასავლეთის ინტერესები, მაგრამ პოლიტიკურ მოკავშირეობამდე საქმე არ მისულა“. *პატარიძე ლ., 1054 წლის განხეთქილება და საქართველო. დიალოგი*, 29.

სხვა საპატრიარქოების მეთაურებს), ეს მისთვის სადაო არ იყო. „მაგრამ ერთია ტრადიციით მიმდინარე აღიარება რომის ეპისკოპოსისა და, როგორც პირველისა თანასწორთა შორის, სხვა არის მისდამი დაქვემდებარება. ისტორიულად და ტრადიციულად, ავტოკეფალური პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესია ბიზანტიის იმპერიის აპოკეის ხანაში არც იმპერიის ცენტრს, კონსტანტინოპოლის ეკლესიას და, მით უმეტეს, არც სხვა რომელიმე საპატრიარქოს არ დაქვემდებარებია“¹.

მინდოდა განხილულ პერიოდში მეჩვენებინა ის დიპლომატიური მოქმედებანი, რომელსაც რომი ქართული ეკლესიის დამორჩილებისა და შეერთებისათვის ეწეოდა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, თორემ შემდეგი საუკუნეები მთლიანად გაჯერებულია რომის ამ მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვით.

¹ კიკნაძე ზ., *ქართველი მეფეები და პატრიარქები რომთან ურთიერთობაში*, „დიალოგი“ , №1 (2), თბილისი, 2005, 41

დასკვნები

საქართველო-რომის ურთიერთობის პირველი პერიოდი (IV-XI სს.)

1. საქართველო-რომის ურთიერთობის პირველი პერიოდის ამსახველი წერილობითი წყაროები გვიჩვენებს, რომ ქართული ეკლესია დაარსებიდანვე იბრძოდა თვითდამკვიდრებისათვის, ცდილობდა წარმოეჩინა და დაეცვა თავისი ერთგულება და სიწმინდე ქრისტიანული იდეალებისა და საეკლესიო რიტუალისადმი;

2. სურდა ყოფილიყო ობიექტური შემფასებელი აღმოსავლეთის ეკლესიებში არსებული ვითარებისა და ეჩვენებინა თავისი უპირატესობა ბიზანტიის იმპერიის სხვა ეკლესიების მიმართ;

3. საეკლესიო განხეთქილების შემდეგ XII-XIII არ ჩანს ქართული ეკლესიის აღმოსავლური მართლმადიდებლობისაგან განდგომის სურვილი;

4. არ ჩანს, რომ ქართული ეკლესია აღიარებდა რომის ეკლესიაში დამკვიდრებულ filioque-ს, რომის პაპის ღვთის მოადგილეობას დედამიწაზე და მის უცოდველობას, ან იმას, რომ ქართული ეკლესია რომის ეკლესიისადმი მორჩილებას და პაპის უპირატესობას აღიარებდა;

5. ქართული ეკლესია ხაზს უსვამდა თავის დამოუკიდებლობას, რასაც, პირველ რიგში, რომისა და ბიზანტიის ეკლესიებში არსებული ვითარების ობიექტური შეფასებით გამოხატავდა.

იოანე ხუცესის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში

1. იოანე ხუცესის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა XII-XIII საუკუნეთა კავკასიაში, შუა აზიასა და მახლობელი აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური და რელიგიური ვითარ-

რების ამსახველი წყაროებისადმი XX საუკუნის ისტორიკოსების არაკრიტიკული მიდგომის შედეგად.

2. ვინც ამტკიცებს, რომ ნაშრომში მოყვანილ ლეგენდებში პირდაპირ ან ირიბად აისახა საქართველოს და მისი გამოჩენილი მეფეების – დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული მომენტები, ნიშნავს საქართველოს ჯვაროსნებთან ხანგრძლივი და საინტერესო ურთიერთობის უგულვებელყოფას. ზოგიერთი გამოკვლევის პათოსი ისეთია, თითქოს ჯვაროსნებს და მათი სახით ევროპელებს საქართველო სადღაც შუა აზიის თვალუწვდენელ სტეპებში ან ინდოსტანის ნახევარუნძულზე ეგულვოდათ, წარმოდგენა არ ჰქონდათ მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რელიგიასა და საბრძოლო შემართებაზე.

3. ზემოთმოხმობილი წერილებიდან, ვფიქრობ ყურადღებას იმსახურებს ჰონორიუს III-ის მიერ საფრანგეთის არქივისკოპოსებისათვის გაგზავნილი წერილი, რომელიც თითქმის მთლიანად მონღოლების დასავლეთისაკენ ღაშქრობას ასახავს. ეს წერილი, ჩემი აზრით, ნათელს ხდის, რომ ევროპელ ჯვაროსნებს და რომის პაპებს არაფერი ეშლებოდათ და ისინი ქართველებსა და მონღოლებს ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ.

4. იოანე-დავითის ლეგენდა, რომ საყოველთაოდ გავრცელებული იყო და მის შესახებ საქართველოშიც იცოდნენ, ჩანს რუსუდან მეფის მიერ რომის პაპთან გაგზავნილ სიგელში, დაათარიღებულია 1223 წლით.

5. უადრესად საინტერესოა უამთაადმწერელის გადმოცემა მონღოლების რელიგიური რწმენის შესახებ, რომელიც ქართველების და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანთა დაბნეულობას ნათელს ჰყენს. ის, რასაც უამთაადმწერელი მონღოლების რწმენაზე გადმოგვცემს მხოლოდ ქართველთა დაკვირვების

შედგად არ უნდა შექმნილიყო. დაახლოებით, ასე ფიქრობდნენ თურქ-სელჩუკების თავდასხმებით გაწამებული ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხები და აღმოსავლეთიდან წამოსულ ახალ ძალაში თავიანთი მსხნელი ეგულებოდათ.

საქართველოს შემონახვებზე დედოფალი იერუსალიმში

1. საქართველოს შემონახვებზე დედოფალი იერუსალიმში რომ იმყოფებოდა XII ს. პირველ ნახევარში, ამის შესახებ უადრესად საინტერესო ცნობა დაგვიტოვა იერუსალიმში მოღვაწე ფრანგმა სასულიერო პირმა, მეფესალმუნემ და უფლის საფლავის პრესვიტერმა ანსელუსმა.

2. ანსელუსის მიერ გადმოცემული ამბავი შემონახვებზე საქართველოს დედოფლის იერუსალიმში მოღვაწეობის პერიოდი უნდა შემოიფარგლოს 1107-1125 და შემდგომი წლებით;

3. „ქერივი“ დედოფალი იერუსალიმში ჩავიდა 1107-1112 წლებში იერუსალიმის ლათინი პატრიარქის გიბელინის (1107-1112) ზეობის პერიოდში და მისი დედათა მონასტერში შესვლა და იღუმენად დანიშვნა, სავარაუდოა მოხდა იმავე წლებში;

4. „ქერივი“ ვერ იქნებოდა შეთქმულებაში მხილებული და დასჯილი დემეტრე I-ის ნახევარი ძმის ცვატას დედა გურანდუხტი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. საეჭვოა, რომ ის იერუსალიმში გაეშვათ და გაეტანებინათ დავით აღმაშენებლის ნაქონი ჯვარცმის ჯვრის ნაწილებისაგან დამზადებული ჯვარი;

5. მეფესთან გაყრილ ნადედოფლარს მხოლოდ დავითის გარდაცვალების შემდეგ (1125 წ.) შეეძლო თავი გამოეცხადებინა ქერივად.

6. ანსელუსი 1125 წლის შემდეგ უნდა გასცნობოდა უკვე დაქვრივებულ დედოფალს, მისგან შეეძინა ჯვარი და მის მიერ დედოფლის სიქვრივის აღნიშვნა ამ დროიდან არის საგულისხმო;

7. იერუსალიმში შემონახვნიებული დედოფალყოფილი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის პირველი ცოლი, რომელსაც გაეყარა 1104 ან მახლობელ წლებში.

დავით IV-ს რომ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან ამაზე მეტყველებს:

1. შავ მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების ჯვაროსნებისადმი დახმარება ანტიოქიის დაპყრობისათვის ბრძოლის დროს (1098 წ.);

2. „ისტორია და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობა, რომელშიც, ვფიქრობ, გადმოცემულია ქართველების ჯვაროსნებისადმი დახმარებაზე იერუსალიმის დაპყრობის დროს (1099 წ.);

3. ქართველებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ ლათინებთან სირიაში უფლის საფლავის საკათედრო ტაძრის ლათინი მღვდლებისა და ქართველი ბერების შუამავლობით;

4. იერუსალიმის ლათინთა საპატრიარქო საქართველოში ფლობდა 100 მამულს, საიდანაც შემოსავალს იღებდა, ალბათ, 1100 წლიდან, ლათინთა საპატრიარქოს დაარსების დროიდან;

5. ჯვაროსნების ქართველებისადმი კარგი დამოკიდებულების მანიჭებელია ჯვრის მონასტრის რესტავრაცია XII ს. პირველ ათწლეულში;

6. საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედება მუსლიმანების წინააღმდეგ ჯვაროსნების იმავე მუსლიმებთან ბრძოლის სინქრონულად;

7. დიდგორის ბრძოლაში ფრანგი რაინდების მონაწილეობა ქართველთა მხარეს, თუნდაც დაქირავებულთა სახით, პირდაპირ თუ ირიბად მაინც მიგვანიშნებს დავით აღმაშენებლის ჯვაროსნულ მოძრაობასთან კავშირზე;

8. სირია-პალესტინაში შეჭირვებული ჯვაროსნების გადასარჩენად მთავარი დარტყმა საქართველოს უნდა აეღო თავის თავზე და ჯვაროსანთა სახელმწიფოები გადაერჩინა. სავარაუდოა, მოკავშირეთა ჩანაფიქრით, დავით მეფეს კოალიციის წარები საქართველოში უნდა შემოეტყუებინა და გაენადგურებინა, სატყუარა კი, თბილისის საამირო უნდა ყოფილიყო. დიდგორის ომში დავით მეფის გამარჯვებამ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა და გაუხანგრძლივა არსებობა ჯვაროსანთა სახელმწიფოებს.

9. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორდერიკ ვიტალისის ცნობა დატყვევებული ჯვაროსნების განთავისუფლების საქმეში დავით IV-ის მონაწილეობის შესახებ.

10. ყოველივე ზემოთ ჩამოხამოყალიბებული არგუმენტების გათვალისწინებით, ვფიქრობ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს ჯვაროსანებთან საკმაოდ მაღალი დონის სამხედრო-პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა.

ურთიერთობა ჯვაროსნებთან თამარის დროს

ბერძენი ისტორიკოსის, მაქსიმე სიმელის ერთი ცნობის შესახებ

1. არ გვაქვს რაიმე სარწმუნო ცნობა, რომ თამარის მეფობის პირველ წლებში (1184-1187), სირია-პალესტინაში მცხოვრები საქართველოს მეფის ქვეშევრდომები ახდილად დაპირისპირებოდნენ ჯვაროსან ევროპელებს, მიუხედავად იმისა, რომ ბაღდადის მეოთხის დროს (1173-1185), როგორც ითქვა, მათ სერიოზული ზა-

რალი განიცადეს. კერძოდ, 1177-1178 წლებში ბაღდუინმა ჯვრის მონასტერს ჩამოართვა ვენახის ნაწილი, რასაც გვაცნობებს იოანე ფოკა, კრეტელი ხუცესი, რომელმაც 1185 წელს იერუსალიმი მოინახულა. თუნდაც ეს ერთი ცნობილი ფაქტი ჯვაროსანი მეფის მიერ ქართველებისათვის უძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იერუსალიმის ქართულმა ძმობამ და, არა მხოლოდ მათ, ხელისუფლებისაგან სხვა შევიწროება და ზარალიც განიცადეს.

2. ალბათ, გაზვიადებულია, ის, რასაც მაქსიმე სიმელი გვამცნობს სირია-პალესტინაში მცხოვრები ქართველების სალაჰ ად-დინთან კავშირსა და მათ ერთობლივ სამხედრო მოქმედებაზე იერუსალიმის დაპყრობისათვის. შეიძლება დავუშვათ, რომ სირია-პალესტინის ქართული დიასპორის გარკვეული ნაწილი დამოუკიდებლად, საქართველოს მეფესთან შეუთანხმებლად მოქმედებდა, რაც სულთნის დიპლომატიის წარმატების შედეგი უნდა ყოფილიყო. როგორც ქვემოთ გამოჩნდება სალაჰ ად-დინს ქართული სახელმწიფოს მიმართ განსხვავებული პოლიტიკა ჰქონდა. ახალგაშენებული თამარის მმართველობის პირველი წლები შიდაპოლიტიკური კრიზისით ხასიათდება. ამგვარ ვითარებაში სირია-პალესტინის ქართველთა დიასპორას, ბუნებრივია, თავისი ეკლესიის და ეკონომიკური ინტერესები საქართველოს სამეფო კარისაგან დამოუკიდებელი მოქმედებისაკენ უბიძგებდა.

3. შეიძლება დავუშვათ, რომ ბერძენი ისტორიკოსის მონათხრობი საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების სწრაფ ცვლილებებზე მიგვანიშნებს: ერთი მხრივ, ეგვიპტესთან დაახლოების მცდელობა – თამარის „ფიცის წიგნი“ (1185 ან 1190 წლები), რასაც ეგვიპტის მოკავშირეთა წინააღმდეგ საქართველოს გამოსვლას გამორიცხავდა და მეორე მხრივ, საქართველოს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ჯვაროსნებთან კავშირში

გამოსვლა და 1203-1204 წლებში ტრაპიზონის იმპერის დაარსება უნდა გამოერიცხა.

ვინ იყვნენ ქართული ნარატიული წყაროების „ფრანგები“ და „ალამგანები“ და საქართველოს მათთან ურთიერთობის საკითხისათვის

1. იერუსალიმის სამეფოს შექმნის დროიდან, ჯვაროსნები კეთილად განწყობილნი იყვნენ იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრისადმი.

2. ჯვრის მონასტრის ალაპები არ შეიცავს ინფორმაციას ქართველთა და გერმანელთა ურთიერთობაზე გიორგი III-ის დროს. მასში აღნიშნულია იერუსალიმში მოღვაწე იმ „ფრანგ“, ანუ ტამპლიერ რაინდებზე, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ იერუსალიმის ქართულ თემთან და ჯვრის მონასტრის ქართველი ბერების საშუალებით კი საქართველოსთან.

3. საქართველოს ხელისუფლებას ეცოდინებოდა იმ წამყვანი როლის შესახებ, რომელსაც ასრულებდა ფრანგული ეთნიური ელემენტი იერუსალიმის სამეფოში მისი დაარსების დღიდან.

თამარ მეფის ევროპელ უფლისწულზე დაქორწინების საკითხისათვის

1. თამარ მეფის ისტორიკოსის მიხედვით, თამარის ხელის მოსოვნელთა შორის „რომაელთა“ უფლისწულიც ყოფილა, მაგრამ არ ჩანს, როდის მოხდა ეს საინტერესო ამბავი: თამარის პირველად გათხოვებამდე, თუ იმ დროს, როდესაც იგი გიორგი რუსთან გაყრილია. არც ის ჩანს უფლისწული რომელი ქვეყნიდან იყო.

2. არსებული მოსაზრების მიხედვით საიმპერიო კარმა ბაგრატიონთა სამეფო გვართან დანათესავება პოლიტიკური მოსაზრებით გადაწყვიტა ფრიდრიხ შვაბელი დაექორწინებინა თა-

მარ მეფეზე. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ გერმანელთა ასეთი განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის, ერთი შეხედვით, ყველაზე მისაღები პეროდი უნდა ყოფილიყო მაშინ, როდესაც ფრიდრიხ ბარბაროსასა და ბიზანტიის იმპერატორს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია და ფრიდრიხი მოკავშირეებს ეძებს ბიზანტიის წინააღმდეგ, ე. ი. 1189 წელს.

3. ამ დროს თამარ მეფეზე ასაკით უმცროსი ფრიდრიხ შვაბელი დანიშნულია უნგრეთის მეფის ასულზე, თამარი კი, მეორედ დაქორწინებული და არ შეიძლებოდა თამარის მამიდას, რუსუდან დედოფალს თამარისათვის მიემართა იმ სიტყვებით, რომელთა შესახებაც გადმოგვცემს მისი ისტორიკოსი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ფრიად საეჭვოდ მენვენება ბაგრატიონთა და ჰოჰენშტაუფენების სამეფო დინასტიების დანათესავების შესაძლებლობა.

4. ჯვრის მონასტრის ალაპები არ შეიცავს ინფორმაციას ქართველთა და გერმანელთა ურთიერთობაზე გიორგი III-ის დროს. მასში აღნიშნულია იერუსალიმში მოღვაწე იმ „ფრანგ“, ანუ ტამპლიერ რაინდებზე, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ იერუსალიმის ქართულ თემთან და ჯვრის მონასტრის ქართველი ბერების საშუალებით კი საქართველოსთან.

5. საქართველოს ხელისუფლებას ეცოდინებოდა იმ წამყვანი როლის შესახებ, რომელსაც ასრულებდა ფრანგული ეთნიური ელემენტი იერუსალიმის სამეფოში მისი დაარსების დღიდან.

„გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის და საქართველოს მეფის პოლიტიკური კონტაქტის შესაძლებლობის შესახებ

სიმართლეს არ შეეფერება მოსაზრება, რომ თითქოს ფრიდრიხ I ბარბაროსას საქართველოსთან პოლიტიკური კავშირის დამყარების მცდელობაზე უნდა მიგვანიშნებდეს XII საუკუნის

მეორე ნახევრის ქრონისტის, ავსტრიელი ანსპერტუსის ერთი საყურადღებო ცნობა. მის მიხედვით, ფრიდრიხ ბარბაროსას მისმა მარშალმა მიუყვანა პეტრიწონის მონასტრის იბერიელი წინამძღვარი, რომელსაც იმპერატორი კარგა ხანს ესაუბრა;

თითქოს გერმანელი იმპერატორისა და ქართველი ბერის საუბარი უნდა ყოფილიყო გერმანელთა და ქართველთა ერთობლივ მტრულ მოქმედებაზე ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ, რაც მე გადაჭარბებულად მიმაჩნია. ძნელი დასაჯერებელია, რომ შემთხვევით მონასტერში აღმოჩენილ ქართველ ბერთან საუბრისას იმპერატორს თავის ანტიბიზანტიურ გეგმებზე ესაუბრა. უფრო სავარაუდოა, რომ ფრიდრიხ ბარბაროსას საქართველოზე თავისი მწირ ცოდნის შევსება სურდა. ის პირველ რიგში დაინტერესდებოდა იმ საქართველოს სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით, რომელსაც ბიზანტიასთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა.

„ფიცის წიგნი“, როგორც საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის შესწავლის წყარო

1. არსებული მოსაზრებით ეგვიპტის სულთანსა და საქართველოს მეფეს შორის შეთანხმებაზე უნდა მიგვანიშნებდეს ე. წ. თამარ მეფის „ფიცის წიგნი“, რომელიც შედგენილი უნდა იყოს, სავარაუდოდ, 1185 წლის 15 აგვისტოს ან 1190 წლის 21 ივნისს.

2. ვფიქრობ, „ფიცის წიგნის“ საბოლოო ვარიანტის შემუშავებას, წინ უძღოდა დიპლომატიური მოლაპარაკება აიუბიანთა სახელმწიფოსთან. ის რაც დღეისათვის ცნობილია უნდა იყოს საღაპ ად-დინის მიერ საქართველოში გაგზავნილი „ფიცის წიგნის“ თარგი, რომელიც 1190 წლის 21 ივნისს გაგზავნა თამარ მეფეს. მის მხედვით უნდა დაწერილიყო ის „ფიცის წიგნი“, რომელიც აიუბიანთა მბრძანებელს დაუბრუნდებოდა და

მისი გათვალისწინებით გაიმართებოდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობა.

3. თუ შემდგომ მოვლენებს გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ საინტერესო დოკუმენტმა შედეგი გამოიღო. „ფიცის წიგნი“ ჩამოყალიბებული იყო სალაჰ ად-დინისათვის მისაღები, მაგრამ ჩვენთვის უცნობი იმ ფორმითა და შინაარსით, რომელიც ქართველმა ელჩმა სალაჰ ად-დინს მიართვა ქ. რამაღლაში 1192 წ. 1 სექტემბერს. ამის შესახებ გვაცნობა სალაჰ ად-დინის ისტორიკოსმა ბეჰა ად-დინ შადლადიმ.

4. განხილული ცნობები საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ქართველები ეგვიპტის სასულთნოსაგან ითხოვდნენ თავიანთი მონასტრებისა და მათი ქონების დაბრუნებას, იერუსალიმში ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ არ ჩანს, რომ მათ წარმატებას მიადწიეს, რომ სალაჰ ად-დინმა მათი თხოვნა შეისმინა.

საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება.

1. თუ გავითვალისწინებთ ბიზანტიის იმპერიის დასაველეთსა და აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების თანხვედრას XIII ს. დასაწყისში, დროის თვალსაზრისით, და თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ჯვაროსანთა და საქართველოს ლიდერები ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ.

2. ვერ გავიზიარებ, რომ საქართველოს სამეფო კარს იმ მცირე ჯარით, რომელმაც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა, თავდაპირველად კონსტანტინოპოლში შეჭრა და კომუნოსების დინასტიის აღდგენა უნდოდა.

3. ასეთი გაბედული ლაშქრობა შემზადებული უნდა ყოფილიყო იმპერიის აღმოსავლეთში არსებული ვითარების ზედმიწევნით შესწავლით, ანალიზითა და პოტენციური მოწინააღმდეგის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

4. კომნენოსები, როგორც ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი დინასტია, სრულიად ამოვარდნილნი იყვნენ მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტიდან. ისინი, მოცემულ ეტაპზე ვერ დაეფლებოდნენ საიმპერატორო ტახტს.

5. თუ გავითვალისწინებთ XIII ს. დასაწყისში ბიზანტიის მიმართ და თვით ბიზანტიაში არსებულ პოლიტიკური ვითარების პერიპეტებს, საქართველოს იმ დროს შეეძლო ყოფილიყო რომელიმე ძალის მხოლოდ პოლიტიკური მოკავშირე.

6. 1204 წლის აპრილის შემდეგ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე განვითარებულ მოვლენებს და მათში ალექსი და დავით კომნენოსების როლის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მათი პოლიტიკური ამბიციები მიუღებელი იყო საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისათვის. თამარ მეფეს ტრაპიზონის იმპერიის გაფართოების არავითარი გეგმა არ გააჩნდა.

7. მას შემდეგ რაც ალექსი კომნენოსმა თავის მიზნად გამოაცხადა იმპერიის აღდგენა და მიიღო რომეების ბასილევსის და დიდი კომნენოსების ტიტული, სავარაუდოა, საქართველოს ხელისუფლებამ შეასუსტა მათთან კავშირი. 1205-1208 და 1214 წლებში ალექსის ჯარმა მარცხი განიცადა ნიკეის და იკონიის სახელმწიფოებთან ბრძოლებში. ტრაპიზონის იმპერია რეგიონალური მნიშვნელობის სახელმწიფოდ გადაიქცა.

გიორგი-ლაშას ურთიერთობა ჯვაროსნებთან

1. იერუსალიმში ქართველთა გავლენა და ევროპის ქვეყნებისათვის საქართველოს სამხედრო ძალის მნიშვნელობა რელიეფ-

ურად გამოჩნდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. აქვე ჩანს, გიორგი-ლაშას მიერ თავისი დედის, თამარ მეფის საგარეო პოლიტიკური კურსის გაგვრძელება: იგი ცდილობს ჯვაროსნებთან დაახლოებას და მათთან ერთად მუსლიმანთა წინააღმდეგ საერთო ფრონტით გამოსვლას. რაც აისახა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დოკუმენტურ დ საისტორიო ლიტერატურაში;

2. სირიის და დამასკოს გამგებელმა ალ-მალიქ ალ-მუაზხამ იერუსალიმის გალავნის დანგრევა ბრძანა, რათა ჯვაროსნები ამ ქალაქის აღების შემდეგ იქ არ გამაგრებულიყვნენ. იერუსალიმელი ქართველები ამ დონისძიების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. დაუცველ იერუსალიმში მათი სიცოცხლე და ქონება დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ისინი დამასკოს გამგებელს დაემუქრნენ;

3. საქართველოს ეგვიპტის ელჩი ეწვია. მისი ვიზიტის მიზანი იერუსალიმში დაზარალებული ქართველების პირადი და სამონასტრო ქონების კომპენსაციით იმ სამხედრო აქციის შეჩერება იყო, რომელსაც გიორგი-ლაშა გეგმადა და ამის გამო გარკვეული მოლაპარაკებაც ჰქონდა რომის პაპ ონორიუს III-სთან;

4. გიორგი-ლაშამ დამიეტასთან მდგარ ევროპელ ჯვაროსნების მეთაურს სამხედრო ძალით დახმარება შესთავაზა. მეფის წერილი ქართველმა ელჩმა დამიეტაში მიიტანა, სავარაუდოდ, 1219 წელს. ელჩს უთქვამს, რომ ჯვაროსნებისადმი დახმარებასთან ერთად გიორგი-ლაშას განზრახული ჰქონდა თავისი დედის, თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენება და იქ დაკრძალვა;

5. კარდინალ პელაგიუსის საპასუხო წერილის შემდეგ, დამიეტას კვლავ ეწვივნენ გიორგი-ლაშას ელჩები და მოლაპარაკებები;

კება გამართეს კარდინალთან და ჯვაროსანთა სხვა მეთაურებთან. ელჩებს გიორგი-ლაშას სახელით გამოუხატავთ მზადყოფნა ჯვაროსნებს დახმარებოდნენ სირიაში;

6. ქართველების განზრახვის შესახებ დახმარებოდნენ ჯვაროსნებს, როგორც იმავე პერიოდის ევროპული საისტორიო ლიტერატურიდან ჩანს, ფართოდ გავრცელებული არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც;

7. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის წარუმატებლად დამთავრების შემდეგ გიორგი-ლაშამ განიზრახა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსანთა იმ ლაშქრობაში, რომელსაც უმეთაურებდა უნგრეთის მეფე ანდრაშ II. მისი ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

რუსუდან დედოფლის ურთიერთობა რომთან

1. მეფე რუსუდანმა სცადა ლათინებთან ურთიერთობაში თავისი ძმის პოლიტიკა გაეგრძელებინა. მან ელჩი გაგზავნა რომში, რომელმაც პაპს მოახსენა, რომ საქართველოში იციან იმპერატორის სამზადისზე ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის შესახებ და როცა იმპერატორი აცნობებს წმინდა მიწაზე თავისი გამგზავრების შესახებ, მთელი ქართველი დიდკაცობა მხედართმთავრის მეთაურობით წავა სალაშქროდ. პაპმა წერილით უპასუხა, რომ იმპერატორი მალე გაემშურება წმინდა მიწაზე. პაპმა ქართველ ჯვაროსნებს უწყალობა ყველა ის პრივილეგია, რომელიც მიიღეს ლათინებმა.

2. პაპის წერილების მიღების შემდეგ, საგულისხმოა, საქართველოში სერიოზულ მზადებას შეუდგნენ, რათა იმპერატორს ამოსდგომოდნენ მხარში და თავიანთი წვლილი შეეტანათ წმინდა მიწის განთავისუფლების საქმეში.

3. სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს XIII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინის ერთი

ცნობა, რომელშიც ქართველების ჯვაროსნებისადმი დახმარების განზრახვაზე და მათ მიერ, ამ მხრივ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები უნდა იყოს აღნიშნული. ჩანს, საქართველოს მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში იცოდნენ ქართველების მიერ დაგეგმილ ფართო მასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისათვის მზადების შესახებ, რომლის მიზანი თავრიზისა და ბაღდადის დაპყრობა იყო. ჯუვეინის მიხედვით ეს ის ქართველთა ჯარი იყო, რომელიც ჯალალ ად-დინმა სომხეთში, გარნისთან დაამარცხა 1225 წელს.

4. 1225-1230 წლებში საქართველომ ჯალალ ად-დინის გამანადგურებელი შემოსევები განიცადა, 30-იან წლებში იგი მონღოლებმა დაიპყრეს. გასაჭირში ჩავარდნილმა მეფე რუსუდანმა, დახმარებისათვის მიმართა იმათ, ვისადმი დახმარებისათვის მზადყოფნას ყოველთვის გამოხატავდა თვითონაც და მისი წინაპრებიც. რუსუდანმა პაპს წერილი გაუგზავნა. პაპმა თავის საპასუხო წერილში (1240 წ. 13 იანვარი) დახმარების სანაცვლოდ ადრესატს დასავლეთის ქრისტიანების გასაჭირზე მოუთხრობს

5. საქართველოსადმი პაპის სახელმწიფოს ყურადღების და მუდმივი ურთიერთობის შენარჩუნების სურვილით (სხვა მიზეზებთან ერთობლიობაში) უნდა აიხსნას 1233 წელს ფრანცისკანელების და 1240 წელს დომინიკანელთა მისიონების დაარსება.

ქართულ-ლათინური ეკლესიების ურთიერთობა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს

1. დროის მიხედვით, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ფრაგმენტული ხასიათის ცნობები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებამდე და მის დროსაც, საქართველოს პოლიტიკოსთა და იერარქებისათვის

დასავლეთთან ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საიმედო საშუაშაველო პუნქტები სირია-პალესტინის ქართული სავანეები იყო. ეს გარემოება იმის ვარუდის დაშვების უფლებასაც გვაძლევს, რომ ქართველებსა და ლათინებს შორის მუდმივი კონტაქტები არსებობდა.

2. ლათინების მიერ დაარსებულმა საპატრიარქომ (1100 წ.) იერუსალიმის სამეფოში მართლმადიდებელთა ტაძრების უმრავლესობა დაიქვემდებარა.

3. რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის მომხდარმა კონფლიქტმა (1054 წ.) უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა ქართული ეკლესიასთან და აღმოსავლეთის საპატრიარქოებთან რომის ურთიერთობაზე.

4. ცნობილი წყაროებიდან ჩანს, ბერძნული და ქართული მონასტრები იერუსალიმში, ერთნაირად დაფასებული და პატივმიგებული იყო ლათინი და მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და მომლოცველების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ნახევარი საუკუნის წინათ მომხდარი იყო საეკლესიო განხეთქილება.

5. ქართული მონასტრები, რომ ლათინთა საპატრიარქოს ემორჩილებოდა ამის დამამტკიცებელი უნდა იყოს დავით აღმაშენებლის „ქვრივის“ შესვლა ქართულ დედათა იმ მონასტერში, რომელიც ლათინთა საპატრიარქოს ემორჩილებოდა. დედოფალყოფილმა ეს ნაბიჯი გადადგა იერუსალიმის პატრიარქის, გიბელინის შუამდგომლობით.

6. იმ გარემოებას, რომ ქართული მონასტრები ლათინთა საპატრიარქოს კანონიკურად დაემორჩილა, ამას გავლენა არ მოუხდენია მათს თვითმყოფადობაზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ჯერ კიდევ არ შეიმჩნეოდა ან არ ამჩნევდნენ.

7. ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის, არა მხოლოდ წმ. მიწაზე, არამედ საქართველოშიც კარგი ურთიერთობის მაჩვენებელია, იერუსალიმის ლათინურ საპატრიარქოს მიერ მრავალი მამულის ფლობა საქართველოში. იერუსალიმის ლათინთა საპატრიარქოს მამულები საქართველოში უნდა მიეღო დავით აღმაშენებლის დროს.

8. ორ ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობის დონის მიუხედავად, ქართველები ყოველთვის აცხადებდნენ მზადყოფნას წმინდა მიწის გასანთავისუფლებლად ომში მონაწილეობის მიღების შესახებ.

9. მას შემდეგ კი, რაც ევროპელი ჯვაროსნების მნიშვნელობა წმინდა მიწაზე შესუსტდა და პაპმა უარი შეუთვალა საქართველოს სამეფო კარს სამხედრო დახმარებაზე, დღის წესრიგში დადგა რწმენის საკითხში განსხვავებების წინა პლანზე წამოწევა. პაპ გრეგორი IX-ის მიერ 1233 წელს რუსუდან მეფისათვის გაგზავნილი ეპისტოლედან ირკვევა, რომ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობაში ბზარი გაჩენილა, რაც უნდა მომხდარიყო 1224-1233 წლებს შორის პერიოდში. სავარაუდოა, საქართველოს ეკლესიას მანამდეც ჰქონდა რომის ეკლესიის მიმართ გარკვეული პრეტენზია, მაგრამ მასზე ხმამაღლა არ ლაპარაკობდა, ყოველ შემთხვევაში პაპები თავიანთ წერილებში ამაზე არ მიუთითებდნენ.

10. რუსუდან მეფეს საეკლესიო საკითხებზე ყურადღება გაუმახვილებია იმ კონტექსტში, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა შერყეულია საშიში და დაუნდობელი მტრის, მონღოლების მიერ და ქართველ მეფეს აუცილებლად მიაჩნდა დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებისაგან დახმარების მიღება პაპის მეთაურობით. სავარაუდოა, ამგვარი თხოვნით რუსუდანმა რომი რამდენჯერმე შეაწუხა.

11. სავარაუდოა, ამ დროიდან იწყება ქართული ეკლესიის მიერ დოგმატური და კანონიკური გადახრა ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიისაკენ, რაც განაპირობა მაშინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ.

Conclusions

The First Period of Relations between Georgia and Rome

1. Written sources describing the first period of Georgian-Roman relations show that the Georgian Church fought for self-inculcation from the first years of its set up. It tried to show and protect its faithfulness and clearness of Christian ideals and church ritualism.

2. It wanted to be an objective valuer of existing in eastern churches conditions and to show its advantage towards other churches of the Byzantine Empire.

3. After the church split in the 12th-13th cc. the desire of the Georgian Church to renounce from the eastern orthodoxy was not seen.

4. It is not visible that the Georgian Church recognized established in the Roman Church "filique"-Pope's being God's deputy on the earth and his saintliness or that the Georgian Church would recognize obedience towards the Roman Church and would accept Pope's superiority.

5. The Georgian Church stressed its independence showing this by the objective appreciation of the circumstances that were in the Byzantine Churches.

The Problem of Ioane Khutsesi in Georgian Historiography

1. The problem of Ioane Khutsesi in Georgian historiography appeared in the 12th-13th cc after uncritical attitude of the 20th century historians who studied written sources describing political situation and religious circumstances in Caucasia, the Middle Asia and Near East.

2. Those who prove that the legends describing the work directly or indirectly represent separate moments of Georgian history and lives and labours of famous kings – David IV the Builder and Demetre, it means that they neglect the fact of Georgia's long and interesting relations with the Crusaders. The pathos of some researches is as if the Crusaders and in them the

Europeans considered Georgia to be somewhere in the boundless steppes of the Middle Asia or on the peninsula of Hindustan. They had no idea about Georgia's geographical situation, religion and people's fighting spirit.

3. From above-named letters, I think Hononius III's letter, sent to the French archbishop which describes nearly wholly the Mongols marches to the West, is significant. To my mind, this letter makes clear that the European Crusaders and Pope of Rome were not mistaken and they distinguished the Georgians and Mongols from each other.

4. The fact that Ioane-David's legend was generally wide-spread and it was known in Georgia too, is attested by the deed sent by Queen Rusudan to Pope of Rome which dates back to the 1223 year.

5. Rather interesting is tradition of an annalist about the Mongols religious faith which clears up embarrassment of the Georgians and Christians of the Near East. The facts transferred by an annalist about the Mongols belief should not have been made only as the result of the Georgians observation. Approximately so thought the Near Eastern and the Transcaucasian people, who suffered from the Seljuk Turks attacks. They saw their saviour in a new force coming from the east.

Georgian Queen Who Became a Nun in Jerusalem

1. Anselus, an ecclesiastic Frenchman, who laboured in Jerusalem and who was a psalm-writer and a presbyter of Lord's grave, left rather important information about the Georgian queen who became a nun in the 12th c in Jerusalem.

2. The story transferred by Anselus about the Georgian queen's becoming of a nun should be dated back to 1107-1125 years and later period.

3. "A widow" queen arrived at Jerusalem between 1107-1112 years during Latin Patriarch Gobelin's (1107-1112) rule. The Queen's coming to the nunnery and her nomination as a nun, presumably should have happen in the same years.

4. As many scientists think, "a widow" could not have been a person who participated in a conspiracy and was unmasked and punished – Guranducht, mother of Demetre I's half-brother Tsvata. It is doubtful that she might have been sent to Jerusalem and a cross belonging to David IV the Builder that was made of the True Cross parts, was sent with her.

5. The queen who was divorced with a king could announce her as "a widow" only after king's – David's death in 1125 year.

6. Anselmus should have get acquainted with a widow queen after 1125 year. He could get the cross from the queen and the queen should have been considered a widow after that year.

7. The queen who became a nun in Jerusalem, should have been David IV's first wife whom he divorced in 1104 or near-by years.

The existence of David IV's military-political relations with the Crusaders are proved by the following facts:

1. The help performed by Georgian monks who laboured on the Black Mountain to the Crusaders during the fight for conquering of Antioch (1098 year).

2. The information containing in "History and Eulogies of the Sovereigns" to my mind, is transferred about the Georgians help during conquering of Jerusalem in 1099 year.

3. The Georgians had permanent contacts with the Latins in Syria by mediators of Latin priests of the Cathedral Church of Lord's Grave and Georgian monks.

4. Latin patriarchate of Jerusalem owned 100 lands in Georgia. They got profit from them from 1100 year, from the time of establishing the Latin patriarchate.

5. A good attitude of the Crusaders towards the Georgians might be proved by restoration of the Cross Monastery in the first ten years of the 12th century.

6. Symbolical action of the Georgian military forces against the Moslems together with the Crusaders.

7. Participation of French knights on the Georgians side at the Didgori battle even if they were hired, directly or indirectly, points to David the Builder's alliance with the Crusaders movement.

8. The Georgians had to take the first attack on themselves when helping the Crusaders out of difficulty in Syria-Palestine. They also had to save the Crusaders states. Supposedly, according to allies intentions, David the Builder had to entice coalition's military forces to Georgia and annihilate them. A bait should have been Tbilisi Emirate. King David IV's marvelous victory in Didgori battle facilitated and extended the Crusaders' states' existence significantly.

9. Especially important is the information of Orderik Vitalis about participation of David IV in liberation of the Crusader-prisoners.

10. Taking into consideration the above-formed arguments, I am of the mind that we have right to say that Georgia, during the David the Builder's reign, had quite high level military-political interrelations with the Crusaders.

Relations with the Crusaders During Queen Tamar's Rule

I. Diplomacy of Queen Tamar before the Choice: the Crusaders or Sultanate of Egypt

About one Information of Greek historian Maxim Simel

1. We have not any reliable information that in the first years of Queen Tamar's reign (1184-1187) subjects of Georgian ruler, who lived in Syria-Palestine could openly oppose European Crusaders in spite of the fact that they were at a loss during Bulduin IV (1173-1185). In 1177-1178 years Bulduin confiscated a part of a vineyard from the Cross Monastery. This information was given by John Phoca – priest from Crete who visited Jerusalem in 1185. Even this known fact about confiscation of a real estate from the Georgians by the Crusader king, gives right to think that the Georgian

brotherhood of Jerusalem, and not only they, suffered from other oppressions and loss.

2. Maxim Simel's information concerning alliance of the Georgians who lived in Syria-Palestine with Salah ad-Din and their joined military actions for capturing Jerusalem are probably exaggerated. We can suppose that a certain part of Syria-Palestine Georgian diaspora acted independently, without any agreement with Georgian king. This should be explained as a result of sultan's successful diplomacy. As it will be seen later, Salah ad-Din led quite different policy towards Georgian state. The first years of newly - crowned Queen Tamar are characterized with inner-political crisis. In such a situation Georgian royal house pushed Syria-Palestine Georgian diaspora to act independently in favour for the Georgian church and economical interests.

3. We can suppose that information of the Greek historian about rapid changes of Georgian priority foreign policy points to the following: from one side, trying to become closer to Egypt – Tamar's "Book of Vow", (1185 or 1190 years) which implied Georgia's actions against Egypt's allies and from the other side, the Georgians actions against the Crusaders alliance of the Byzantine Empire which would expel foundation of the Trebizond Empire in 1203-1204 years.

Who Were the "French" and "Alameans" According to Georgian Written Sources and for the Question of Georgia's Relation with them

The Crusaders regarded well the Cross Monastery from the time of its foundation in Jerusalem Kingdom.

Written sources of the Cross Monastery do not include the information about relations between the Georgians and Germans during king Giorgi III's reign. It is mentioned there about French or Templars Knights who lived in Jerusalem and had connections with Jerusalem Georgian community and by means of the Cross Monastery Georgian monks.

Georgian state would know about a leading role performed by a French ethnical element in Jerusalem state from the very date of its foundation.

For the Question of Queen Tamar's Marriage to European Prince

1. According to Queen Tamar's historian, "the Romans" prince was among proposers of the queen, but there is no any evidence when this fact took place: before Tamar's first marriage or when she was already divorced with her second husband Giorgi the Russian. There is not any evidence either which country was the prince from.

2. According to the existing considerations, the empirical court decided to make related with the Bagration royal family for political aims. It was Friedrich Schwabel who had to get married to Queen Tamar. If we share this supposition, the best period for fulfilling this intention should have been the time when opposition between Friedrich Barbarossa and the Byzantine Emperor reached its peak and Friedrich started looking for allies against Byzantium. It happened in 1183 year.

3. It was the period of time when Friedrich Schwabel, who was younger than Queen Tamar, was engaged to a princess of Hungary. Tamar was already married for the second time and it was impossible that the Georgian queen's aunt might address her with the words that her historian transferred. Thus, taking into consideration the above-mentioned, the possibility to make related the Bagrations with the one of the European royal dynasty is quite doubtful.

4. Written sources of the Cross Monastery do not include any information about the relations between the Georgians and Germans during the reign of Giorgi III. It is mentioned there about the "French" or Templars Knights who laboured in the Jerusalem, the ones who had relations with the Georgian community and, by means of the Jerusalem Georgian monks, with Georgia.

5. Georgian government would know about a leading role that the French ethnical elements performed in Jerusalem kingdom from the foundation day.

About "the German Nation's Holy Roman Empire's Emperor and Georgian King's Possible Political Contacts

There exists a rather significant information of the Austrian annalist Ansberus, who lived in the second half of the 12th century, about attempts of Friedrich I Barbarossa to establish political relations with Georgia. According to Ansberus, Friedrich Barbarossa's general brought to him an Iberian monk of the Petritsony Monastery with whom the emperor talked for a long time.

As if the conversation between the German emperor and the Georgian monk should have been about joint hostile actions of the Georgians and Germans against the Byzantine Empire. I consider this fact to be exaggerated. It is difficult to believe that the emperor might talk about his anti-Byzantine plans with accidentally found in a monastery Georgian monk. It is more presumable that Friedrich Barbarossa wished to enrich his little knowledge about Georgia. He would, in the first place, be interested in military and economic potential of Georgia which had not good relations with Byzantium.

The "Book of Vow" as the Source of Studying of Georgia-Egypt Relations

a) According to existing consideration, Queen Tamar's "Book of Vow" should point to the agreement between Egyptian sultan and Georgian king. Presumably, this book should have been written between August 15, 1185 and June 21, 1190 years.

b) To my mind, when working on the final version of the "Book of Vow" there should have been beforehand negotiations with the Ayyubids state.

What is known today should be a pattern of the "Book of Vow" sent to Georgia by Salah ad-Din. The book was sent to Queen Tamar in June 21, 1190. According to that pattern "Book of Vow" should have been written and it would have been returned to the Ayyubid ruler. Relations between two countries would be foreshadowed according to it.

c) If we take into consideration events that took place later, it would be clear that that significant document had a good result. "Book of Vow" was formed in the acceptable form for Salah ad-Din. But by unknown for us form and consent. Georgian ambassador presented it to Salah ad-Din in town Ramallah on September 1, 1192. The information about this fact is known thanks to Salah ad-Din's historian Baha ad-Din Shaddad.

d) The above-mentioned information gives possible to say that the Georgians demanded getting back their monasteries and their properties from Egypt sultanate as well as improvement of the Georgians conditional rights. But, it is not seen if they were successful and if Salah ad-Din satisfied their requests.

Georgian-Crusaders Relations and Formation of the Trebizond Empire

1. If we take into consideration coincidence of the events which took place in the beginning of the 13th century between the west and east of the Byzantine Empire and if we talk over logically, there might appear a supposition that the Crusaders' and Georgians' leaders acted in accord with each other.

2. I cannot agree with the supposition that Georgian royal court was able to play a decisive part, with its small army, in creating the Trebizond Empire, firstly wanting invasion of Constantinople and restoration of the Comnenus dynasty.

3. Such a courageous military campaign should have been prepared after a thorough studying of the existing situation in the east of the Byzantine

Empire, as well as potential possibilities of the opponents should have been taken into consideration.

4. The Comnenus, as a pretender dynasty to the Byzantine royal throne, were absolutely taken out from that period international policy's context. They would not be able to get the empirical throne in that period of time.

5. If we take into consideration political situation towards Byzantine and inside the empire in the beginning of the 13th country, Georgia at that time might be only a political ally of any force.

6. After April 1204, the events that took place in the south coast of the Black Sea and the role which Alexius and David Comnenus took in them, their political ambitions were not acceptable for the interests of Georgian state. Queen Tamar had not any plan for expansion of the Trebizond Empire.

